




# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period



№ **10**

**2014**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი  
GEORGIAN NATIONAL MUSEUM  
Journal of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology



# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period

# 10

თბილისი 2014 Tbilisi

**მთ. რედაქტორი:** გელა გამყრელიძე

**სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:**

ზურაბ ბრავაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,  
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვიციანი,  
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,  
ვახტანგ შატბერაშვილი, მათა ჩარკვიანი

**ტექნიკური უზრუნველყოფა:** ირაკლი ხუციშვილი

**Editor-in-Chief:** Gela Gamkrelidze

**Editorial & Reviewers Board:**

Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,  
D. Kacharava, M. Kvachadze, G. Kvirvelia, D. Mindorashvili,  
M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili

**Layout:** Irakli Khutsishvili

**See the web site:**

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/31099>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/25201>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/13542>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/13546>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/9572>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/9572>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/31101>

<http://dSPACE.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>

**Address:** Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102, Georgia

E-mail: iberiacolchis@yahoo.com.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2014

ISSN 1512-4207

UDC 94(479.22)+902. ი-315

შინაარსი CONTENTS

მაია ჩარკვიანი, სანათიები (M. Charkviani, **Lamps**).....5

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გელა გიუნაშვილი, გივი ინანიშვილი, ბადრი ამალღობელი  
არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიური კვლევის შესახებ (V. Nikolaishvili, G. Giunashvili,  
G. Inanishvili, B. Amaglobeli, **About Archaeological Researches of Armazitsikhe-Bagineti**) ..... 18

ზიზი თორთლაძე, ძველმო გოსტიბეს სამაროვანი (Z. Tortadze, **The Necropolis of Qvemo  
Gostibe**) ..... 37

ნათელა ჯაბუა, წინაქრისტიანული ხანის არქიტექტურის ძირითადი ტენდენციები  
საქართველოში (N. Jabua, **Main Trends of Pre-Christian Period Architecture in Georgia**) ..... 67

რეზო პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე, თიხის სასმისების ერთი ჯგუფი ცენტრალური  
კოლხეთიდან (R. Papuashvili, L. Jibladze, **About one group of clay vessels from central Colchis**)  
---80

ირაკლი ფალავა, ირინე ვარშალომიძე, სევერიან თურქია, ძუფური მონეტების განძი  
ხელვაჩაურიდან (აჭარა) — წინასწარი მონაცემები (I. Paghava, I. Varshalomidze, S. Turkia,  
**A Hoard of Kufic Coins from Khelvachauri (Achara) – Preliminary Results**) ..... 85

მარგო ლორთქიფანიძე†, 1870-1877 წწ. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ბეჭების  
კატალოგი (M. Lortkipanidze †, **The Catalogue of Gems Unearthed at Samtavro Necropolis in 1870-77**)..... 96

ელისო ყვავაძე, მარია დავაძე, ფიჭვნარის №339 სამარხში მოპოვებული ჭურჭლის  
შიგთავსის პალინოლოგიური კვლევის შედეგები (E. Kvavadze, M. Davadze, **The results of  
Palynological researches of the content of the vessel from the Pichvnari necropolis, grave #339**) .....111

დავით სულხანიშვილი, ნინო ჯანაშვილი, ნიკოლოზ ჩადუნელი, გონის სამაროვანი  
(D. Sulxhanishvili, N. Janashvili, N. Chaduneli, **Goni Cemetery**) ..... 118

დიმიტრი ახვლედიანი, ოთარ ლორთქიფანიძე და საქართველოს არქეოლოგია  
(D. Akhvlediani, **Otar Lordkipanidze and Georgian Archaeology**) ..... 135

მარგო ლორთქიფანიძე — გლიპტიკის შესწავლის ფუძემდებელი საქართველოში..... 141

ვახტანგ ნიკოლაიშვილი 75 წლისაა ..... 147

მაიკლ ვიკერსისადმი (Michael Vickers) მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია..... 151

კომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ..... 156



**PAPERS IN ENGLISH**

**Mahsa Veisi, THE REFLECTION OF ACHAEMENID POLITICS IN ARCHAEOLOGICAL REMAINS OF ANATOLY AND CAUCASUS ..... 182**

**Manana Odisheli, ANCIENT GEORGIA AT THE TURN OF THE ERAS AND KHAISHI 'TRESURE' .....186**

**Gela Gamkrelidze, PETROLEUM TRANSPORTATION IN GEORGIA ACCORDING TO THE ARCHAEOLOGICAL DATA ..... 197**

**SUMMARIES ..... 202**

**ABBREVIATIONS ..... 210**

**იხვეწილობის აკრძალვისათვის ..... 211**

\*\*\*

## სანათები

სანათები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებია, რომლებიც გამოიყენებოდა საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი (ტაძარი, აბანო, თეატრი, აკლდამა და ა.შ.) დანიშნულების ნაგებობების გასანათებლად. რელიგიური რიტუალებისა და დღესასწაულების დროს განსაკუთრებული განათება იყო საჭირო. ხშირია სანათების მიცვალებულისათვის სამარხში ჩატანების ფაქტი, საიქიოს გზის განათების მიზნით, რაც დაკავშირებულია იმდროინდელ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან და დასაკრძალავ რიტუალში გამოყენებასთან. არ არის გამორიცხული, სანათთა სიმრავლე საცხოვრებელ ნაგებობებში, მიუთითებდეს მოსახლეობაში მნიშვნელობის დონის ამაღლებაზე. გარკვეული პერიოდიდან სანათები მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილების ფუნქციასაც იძენენ.

სანათთა ფუნქციიდან გამომდინარე, მათი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არეალი ფართოა. მათ ვხვდებით კაცობრიობის განვითარების ისტორიის თითქმის ყველა პერიოდში (ზედა პალეოლითიდან დღემდე) და მსოფლიოს ყველა კუთხეში. უძველესი სანათები ნაპოვნია პალეოლითურ მღვიმეებში.

პირველი წერილობითი წყარო, სადაც სანათზეა საუბარი, ჰომეროსის “ოდისეა“-ა (XIX სიმღერა): “წინ მიუძღოდათ მათ ათენა დიდი ქალღმერთი, ოქროს ნათელი სანათური ხელში ეჭირა” [ჰომეროსი, 1979:343].

ახ.წ. II საუკუნის ცნობილი ბერძენი მოგზაური და გეოგრაფოსი პავსანიასი თავის ნაწარმოებში “ელადის აღწერა” მოიხსენიებს ბერძენ მოქანდაკე კალიმაქოსს (ძვ.წ. V ს.), რომელმაც ქალღმერთ ათენასთვის ოქროს სანათი შექმნა, რომელიც ათენის აკროპოლისზე, ერექტიონში ჩაუქრობლად ენთო, რადგან პატრუქი კარპასიური სელისაგან

იყო დამზადებული [Павсаний, 2002:70].

სანათების სახეობებია: კვარი, ჩირაღდანი, ფარანი, ჭრაქი, ლამპადარია, კანდელაბრი, ჭალი, ლამპარი და სხვ. მრავალფეროვანია მათი ფორმა, მასალა და შემკულობა.

სანათების დასამზადებლად გამოიყენებოდა სხვადასხვა მასალა: ქვა, თიხა, ლითონი (ბრინჯაო, რკინა, ვერცხლი, ოქრო), მინა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მათი ფორმა, დამზადების ტექნოლოგია და შემკულობა. სანათები სხვადასხვა გეომეტრიული თუ სტილიზებული ორნამენტით იყო შემკული, მათზე ხშირად გამოისახებოდა როგორც მითოლოგიური და რელიგიური სიუჟეტები, ისე საყოფაცხოვრებო სცენები და საგნები.

პატრუქის დასამზადებლად ლერწმის გულს, სელსა და კანაფს იყენებდნენ, ხოლო სანვაგად - თხილის, ყაყაჩოს, წიფლის, სელის, ზეითუნის ზეთს ან ქონს, შესაძლებელია ნავთობიც ეხმარათ. პატრუქის წვერის გასასწორებლად საგანგებო ხელსაწყო – ბრინჯაოს კაუჭი - არსებობდა [კილურაძე, 1977:214; გამყრელიძე, 2001:26-30].

თიხა, ძირითადად, მსუბუქი და იოლად გადასაადგილებელი ჭრაქების დასამზადებლად გამოიყენებოდა. შესაბამისად, თიხის ჭრაქები, სხვა დანარჩენთან შედარებით, ბევრად მრავალრიცხოვანია და ალბათ, უფრო ყოველდღიური მოხმარების საგანს წარმოადგენდა.

ნედლი თიხისგან ჭრაქების ფორმის გამოყვანა ძირითადად სამი ხერხით ხდებოდა – 1. მარტივი ხელითნაძერწობით, 2. კერამიკულ მორგვზე, 3. ყალიბში.

ხელითნაძერწ ჭრაქებს, მარტივად, ყოველგვარი ხელსაწყოს გამოყენების გარეშე, ხელით ეძლეოდა ფორმა და როგორც წესი, უხეშ და სადა ნივთებს წარმოადგენენ. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა (ძვ.წ.

III ათასწლეულიდან ახ.წ. XVI-XVII საუკუნეებამდე).

კერამიკულ მორგვზე ჭრაქების დამზადება შემდეგნაირად ხდებოდა – მორგვზე გამოიყვანებოდა ტანი, შემდეგ ემატებოდა დანარჩენი დეტალები, ნაკერები საგანგებოდ იგმანებოდა, და ხდებოდა გამონვა. მათი წარმოება იწყება ძვ.წ. VI საუკუნიდან.

ჭრაქის ყალიბში დასამზადებლად - ყალიბის ორივე საგდული თიხის თხელი მასით ილესებოდა. მასის გამოშრობის შემდეგ ხდებოდა ყალიბიდან გამოღება, შეერთება, დარჩენილი ნაკერის მოდალური შტამპით დამუშავება და ჰაერზე გაშრობა, სხვადასხვა ორნამენტით დაფარვა და ლუმელში გამონვა. ყალიბის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ჭრაქების მრავალნაირი ორნამენტით შემკობა. ითვლება, რომ პროტოტიპი, ყალიბში დამზადებული თიხის ჭრაქებისა, ლითონის ჩამოსხმული ჭრაქები იყო. მათი წარმოება დაიწყო ძვ.წ. II საუკუნიდან და კარგა ხანს ჩანაცვლა მორგვზე დამზადების ტექნოლოგია. ახ.წ. III-IV სს-ში ისევ აღორძინდა მორგვზე დამზადების წესი და ყალიბში დამზადების წესთან ერთად განაგრძო არსებობა [Арсеньева, 1988:3-6].

ლითონისგან (ბრინჯაო, რკინა და სხვ.) და მარმარილოსაგან დამზადებული სანათები (ჭრაქები, ლამპადარიები, კანდელაბრები, ჭალები), თუ გავითვალისწინებთ მასალის სიძვირესა და დამზადების რთულ ტექნოლოგიას, უფრო სადღესასწაულო და რელიგიური რიტუალური დანიშნულებისა იყო. ბრინჯაოს სანათები ჩამოსხმით, ხოლო რკინისა – ჭედვით მზადდებოდა. ისინი სასახლეებს, ტაძრებსა და ადმინისტრაციულ შენობებს ამშვენებდნენ. ცნობილია, რომ ბრინჯაოს თუ სხვა ლითონისაგან დამზადებული სანათები ძვირფას სასაჩუქრე საგანსაც წარმოადგენდნენ.

მინის სანათები (ჭრაქი, ლამპარი) მინის თავისუფლად ან ყალიბში გამობერვისა და ყალიბში ჩამოსხმის ტექნიკით მზადდებოდა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენი-

ლი სანათები - ქრონოლოგიური დიაპაზონით - ძვ.წ. 700 წ. – ახ.წ. 700 წ. - შეიძლება დავაჯგუფოთ ადგილობრივად დამზადებულ და უცხოურ, შემოტანილ ნაწარმად. ასევე ცალცალკე განვიხილავთ თიხისგან, ლითონისგან და მინისგან დამზადებულ ნიმუშებს.

#### **თიხის ადგილობრივი ჭრაქები**

თიხის ადგილობრივი ჭრაქები შეიძლება ოთხ ტიპად დაიყოს: ჯამისებური, ფეხიანი სასმისისებური, ოთხკუთხა თეფშისებური, ე.წ. “ჩაიდნისებური”.

თავიდანვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თიხის ჭრაქების გარჩევა თუ ტუჩიანი ნატეხი არაა შემორჩენილი, რთულია და უმეტესად ჯამებადაა მიჩნეული, ასევე ძნელდება ფეხიანი ჭრაქების იდენტიფიკაცია, ისინი ხშირად სასმისებად განიხილება. ჭრაქის ტუჩი, როგორც წესი შემურულია. ამასთან დაკავშირებით, ჭრაქებისა და სასაკმევლების გარჩევა ჭირს. თუმცა შესაძლებელია ჭრაქები, მათში ჩასხმული სურნელოვანი ეთერზეთებით, დამატებით, სასაკმევლის ფუნქციასაც ითავსებდა.

**I ტიპი.** ჯამისებური ჭურჭელის ფორმის, ფართო პირით, ტუჩ-სადინარით, ბრტყელი ძირით, სახელურით. სახელური ორი სახისაა – შვერილი და ყური. ასევე გვხვდება უსახელურო ეგზემპლარებიც.

ამ ტიპის ჭრაქები აღმოჩენილია: **სიმაგრის** ნამოსახლარის II ფენაში (ხოზის მუნიცი.), თარიღდება ძვ.წ. VI-V სს-ით [მიქელაძე, 1978:58, ტაბ. XXXVI, 299]; სოფ. **ბეშთაშენის** (ნალკის მუნიცი.) ციხესთან მდებარე სამაროვანის № 59 სამარხში, თარიღდება ძვ.წ. V ს-ით [მენაბდე, ... 1968:141, ტაბ. XV, 550; Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ. 225] (ტაბ. I,1); **ვარსიშანთკარის** სამაროვანის № 13 სამარხში (კენოტაფი?), სოფ. ვარსიშანთკართან (დუშეთის მუნიცი.), თარიღი ძვ.წ. V-IV სს. [ნითლანაძე, 1983:52-76 (60), ტაბ. XXI,5; Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ. 200]; **კამარახევის** სამაროვანზე, სოფ. წინამურთან (მცხეთის მუნიცი.), სამარხებში №№ 3, 10, 11, 33, 103, 127, 130, 140, 141, 146,

148, 151 - 12 ცალი, თარიღი ძვ.წ. V-IV სს. [ჯღარკავა, 1982:139-190; Нариманишвили, 1991:22-23, 125, სურ. 193-199, 201-206]; **“დაჭრილები”** სამაროვანის № 1 ქვევრსამარხში, სოფ. კავთისხევთან (კასპის მუნიცი.), თარიღი ძვ.წ. IV-III სს. [ნაკაიძე, 1980:30, ტაბ. XXV,1; Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ. 221]; **უფლისციხის** ნაქალაქარის (გორის მუნიცი.), **ბამბების** სამაროვანზე, სამარხი № 2, თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [ხახუტაიშვილი, 1964:77, ტაბ. XV,4; Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ.217]; **სამაჩვეთის** სამაროვანზე, სოფ. ასურეთთან (თეთრიწყაროს მუნიცი.), თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ.216] (ტაბ. I,4); **მუხათგვერდის** სამაროვანზე, სოფ. მუხათგვერდი (მცხეთის მუნიცი.) - 9 ცალი, თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ.207-215] (ტაბ. I,3); **გომარეთის** სამაროვანზე, სოფ. გომარეთთან (დმანისის მუნიცი.), თარიღდება ძვ.წ. IV-III სს-ით [Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ.226]; **სამადლოს** ნაქალაქარზე (მცხეთის მუნიცი.), 6 ც., ძვ.წ. III-II სს. [Нариманишвили, 1991:22-23, 126, სურ. 218-220, 222-224; Гагошидзе, 1981:13, 14, 29, 33]; **ქ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის** უბანზე, სამარხ №6-ში, თარიღი ახ.წ. I-II სს. [აფაქიძე, ... 1978:687]; კრამიტსამარხ № 46-ში (დავით აღმაშენებლის ქუჩაზე), თარიღი ახ.წ. I-II სს. [აფაქიძე, ... 1995:14, სურ. 31] (ტაბ. I,5); **ბაიათხევის** სამაროვანზე, სამარხ № 13-თან ახლოს, ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი, ... 1995:133, სურ. 1119, 1312]; **კარსნისხევის** მეთუნე-ხელოსანთა ნასახლარზე, სოფ. კარსანთან (მცხეთის მუნიცი.), მე-3 და მე-5 სახლებში, მე-4 და მე-8 ორმოებში, 5 ცალი, თარიღი ახ.წ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი, 1993:108, ტაბ. XXI,3, XXII,1-2; 106, ტაბ. XI,5; 110, ტაბ. XXXII,4] (ტაბ. I,6); **ქ. მცხეთაში, სამთავროს** სამაროვანზე, სამარხებში №№ 6, 36, 38, 154, 158 - 19 ცალი, თარიღი ახ.წ. II ს. [Иващенко, 1980:81, 91, 92]; **ქ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის** უბანზე, ნამოსახლარის ზედა, მესამე ფენაში, თარიღი ახ.წ. IV-V სს. [აფაქიძე, ... 1978:68].

**II ტიპი.** სასმისისებური ჭურჭლის ფორმის, კონუსისებური ტანით, გამოყვანილი ფეხით, ტურ-სადინარით.

ამ ტიპის ჭრაქები აღმოჩენილია: **სიმაგრის** ნამოსახლარის III ფენაში (ხობის მუნიცი.), თარიღი ძვ.წ. VI-V სს. [მიქელაძე, 1978:58, ტაბ. XXXVI, 179] (ტაბ. I,2); **ქ. მცხეთაში, სამთავროს** სამაროვანზე, სამარხ №73-ში, თარიღდება ახ.წ. II ს-ით [Иващенко, 1980:81, 92]; **გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში**, კოშკი №2, თარიღდება ახ.წ. II ს-ით [ლორთქიფანიძე გ. ... 2002:170, ტაბ. XIII,2]; **ადეიშვილების გორის** ნამოსახლარი, № 12 თხრილის ნაგებობაში, სოფ. მთისძირში (ვანის მუნიცი.), თარიღი ახ.წ. IV-V სს. [გამყრელიძე, 2001:139-147, ტაბ. I] (ტაბ. I,9); **ურბნისის ნაქალაქარის** (ქარელის მუნ.), XVI-4 უბანზე, დათარიღებულია ახ.წ. V-VII სს-ით [ჭილაშვილი, 1964:114, ტაბ. XIV,2]; **სვენეთის ნასოფლარზე**, № 11 თხრილში (გორის მუნ.), თარიღი ახ.წ. V-VI სს. [მინდორაშვილი, 2012:76, ტაბ. II,18; IV,20] (ტაბ. I,10); **ლოჭინის ნასოფლარზე** (გარდაბნის მუნ.), თარიღი ახ.წ. V-VII სს. [აბრამიშვილი, ... 1962:202]; **ბარმაქსიზის** სამაროვანის № 3 სამარხში (ნალკის მუნ.), თარიღი ახ.წ. V-VII სს. [Куртин, 1941:22]; **უფლისციხის** ნაქალაქარის, ცენტრალური უბნის ხევი (გორის მუნ.), 2 ც., ახ.წ. VI-VII სს. [მინდორაშვილი, 2008:27, ტაბ. IX,1-2].

**III ტიპი.** ოთხკუთხა, ლამბაქისებური ჭურჭლის ფორმის, ბრტყელი, ოთხი საპატრუქე ტურით.

ამ ტიპის ჭრაქი აღმოჩენილია: **ბიჭვინტის** ნაქალაქარის III თხრილში, 5 ც., ახ.წ. IV ს. [კილურაძე, 1977:215, 221, სურ. 439] (ტაბ. I,8).

**IV ტიპი.** ე.წ. “ჩაიდნისებური” ფორმის ჭურჭელი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, გრძელი საპატრუქე ლულით.

ამ ტიპის ჭრაქები აღმოჩენილია: **ბიჭვინტის** ნაქალაქარის, III თხრილში, 6 ც., ახ.წ. IV-V სს. [კილურაძე, 1977:217, 220-221, სურ. 441, 445, 446, 447, 476, 479]; **ნოქალაქევის** ნაქალაქარზე (სენაკის მუნიციპალიტეტი), 2 ც., ახ.წ. IV-V სს. [ზაქარაია, ... 1977:107, ტაბ. XX,2;

Леквинадзе, ... 1981:134, ტაბ. XIX,4] (ტაბ. I,7).

ცალკეა აღსანიშნავი **კვაშტის ნამოსახლარზე** (ქედის მუნიციპალიტეტი) დაფიქსირებული ქრაქის ფრაგმენტი, რომელიც ფორმით ატიკურის მსგავსია, მაგრამ ადგილობრივი თიხისგან დამზადებული, ძვ.წ. V ს. [კახიძე, ... 1993:69, ტაბ. XX,1].

### უცხოური თიხის ქრაქები

რაც შეეხება უცხოურ სანათებს, ისინი დიდი რაოდენობით მზადდებოდა ძველი სამყაროს ტრადიციულ კერამიკულ სახელოსნოებში, ისეთებში როგორც იყო ეფესო, სამოსი, ათენი, რომი, ალექსანდრია, პერგამონი, კართაგენი, ანტიოქია და სხვ. ქრაქები იდამლებოდა ამ სახელოსნოთა სიგნატურით. ისინი ფრიად საინტერესოა სავაჭრო ურთიერთობების დადგენისათვისაც.

უცხოური თიხის ქრაქები ორი ტიპისაა - ღია რეზერვუარით და დახურული რეზერვუარით.

ღია რეზერვუარიანი ქრაქი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: კორპუსი-რეზერვუარი (ცილინდრული ან მრგვალი), ფართო პირი, საპატრუქე ცხვირი ან მილი (საყვირისებური, ბუკისებური, ჩიბუხისებური), სახელური - შვერილი ან ყური (ორლულიანი ან დაღარული მარყუჟისებრი), ბრტყელი ან ქუსლიანი ძირი.

დახურულ რეზერვუარიანი ქრაქი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: კორპუსი-რეზერვუარი (ცილინდრული ან მრგვალი), ფარაკი (ამოზნექილი ან ჩაზნექილი, ხშირად ძაბრისებური), რომელზეც დატანილია ზეთის ჩასასხმელი ნახვრეტი, საპატრუქე ცხვირი ან მილი (საყვირისებური, ბუკისებური, ჩიბუხისებური), სახელური - შვერილი ან ყური (ორლულიანი ან დაღარული მარყუჟისებრი), ბრტყელი ან ქუსლიანი ძირი.

განათების ეფექტის გასაძლიერებლად ქრაქები რამდენიმე საპატრუქეთიც (ორი, სამი და ა.შ.) გვხვდება.

უცხოური თიხის ქრაქები ელინისტურ ხანაში ლაკითაა დაფარული, გვიანანტიკურში - ნითელი საღებავით.

საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქ-

სირებული უცხოური ნაწარმი მიეკუთვნება შემდეგ საწარმოო ცენტრებს - კორინთოს, იონიას, ატიკას, პერგამონს, სამოსს, ალექსანდრიას და სხვ. სიგნატურიანი ქრაქი სადღეისოდ აღმოჩენილი არ არის.

**I ტიპი** ღია რეზერვუარით

ამ ტიპის ქრაქები აღმოჩენილია: **სიმაგრის** ნამოსახლარის, II ფენაში (ხობის მუნიცი.), ძვ.წ. VI-V სს., კორინთული ღია ტიპის [მიქელაძე, 1978:67, ტაბ. XIV, 371] (ტაბ. I,11); იონიური ღია ტიპის [მიქელაძე, 1978:67, ტაბ. XIV,73] (ტაბ. I,12); **გიენოსის** ნაქალაქარზე (ქ. ოჩამჩირე), ატიკური, ძვ.წ. II ს. [კაჭარავა, 1972] (ტაბ. I,13); **საყანჩიას** ნამოსახლარზე (ვანის მუნიციპალიტეტი), II სათავსოს ქვეშ გათხრილ ქვაყრილში, 2 ც., ატიკური, ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი [ლიჩელი, 1991:644]; **გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში**, აბანოების უბნის ახ.წ. II-III სს-ის კულტურულ ფენებში, სამოსური, თეფშისებრი ქრაქი-სასანთლე, ახ.წ. II-III სს. [ებრალიძე, 2004:37, ტაბ. II, 6].

**II ტიპი** დახურული რეზერვუარით

ამ ტიპის ქრაქები აღმოჩენილია: **გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში**, ზღუდის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში SW XII სექტორის 25-ე კვადრატი, დასავლეთ ევროპული, ახ.წ. I ს-ის მეორე-მესამე მეოთხედი [ებრალიძე, ... 2004:33, ტაბ. I, 1]; ციხის გარე ტერიტორიაზე, კულტურულ ფენაში, სამოსური, ახ.წ. I ს-ის მეორე-მესამე მეოთხედი [ებრალიძე, 2004:36, ტაბ. II, 4]; აქვილეადან, ახ.წ. I-II სს. [ებრალიძე, ... 2004:37, ტაბ. II,8] (ტაბ. I,16); №2 კოშკში, პერგამონული, ახ.წ. I ს-ის მესამე მეოთხედი [ებრალიძე, ... 2004:33, ტაბ. I,2]; პერგამონული, ახ.წ. I ს-ის მესამე მეოთხედი, [ებრალიძე, ... 2004:34, ტაბ. I,3]; პერგამონული, ახ.წ. I ს-ის მესამე მეოთხედი [ებრალიძე, ... 2004:34, ტაბ. I,4]; პერგამონული, ახ.წ. II ს-ის დასაწყისი [ებრალიძე, ... 2004:34, ტაბ. I,5] (ტაბ. I,14); პერგამონული, ახ.წ. II ს-ის დასაწყისი [ებრალიძე, ... 2004:35, ტაბ. I,6]; პერგამონული, ახ.წ. II ს-ის დასაწყისი [ებრალიძე, ... 2004:35, ტაბ. I,7]; პერგამონული, ახ.წ. II ს-ის დასაწყისი [ებრალიძე, ... 2004:35, ტაბ.

1,8]; პერგამონული, ახ.ნ. II ს; [ებრალიძე, ... 2004:35, ტაბ. I, 9]); პერგამონული, ახ.ნ. II ს. [ებრალიძე, ... 2004:36, ტაბ. II, 1]; **ქ. მცხეთა, ბაიათხევის** ნასახლარის მეორე ფენაში, I ნაკვეთის მე-10<sup>6</sup> კვადრატში, იმპორტული, ახ.ნ. I-II სს. [ნიკოლაიშვილი, ... 1995:133, სურ. 1120, 1313]; **გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში**, სამოსური, ახ.ნ. II ს. [ებრალიძე, ... 2004:37, ტაბ. II, 5]; იტალიკური, ახ.ნ. II-III სს. [ებრალიძე, ... 2004:38, ტაბ. II,9] (ტაბ. I,17); სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანზე, სამოსური, 3 ც., ახ.ნ. II ს. [მამულაძე, ..., 2013:195, ტაბ. IX,1]; აბანოს ერთ-ერთი კედლის ნაშთის დონეზე, პერგამონული, ახ.ნ. II-III სს., [ებრალიძე, ... 2004:36, ტაბ. II,2]; შიდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (83-ე კვ.), ალექსანდრიული, ახ.ნ. II-III ს. [ებრალიძე, ... 2004:37, ტაბ. II,7] (ტაბ. I, 15); პერგამონული, ახ.ნ. III ს. [ებრალიძე, ... 2004:36, ტაბ. II,3]; **ბიჭვინტის ნაქალაქარზე**, III თხრილში, პერგამონული, ახ.ნ. III სს. [კილურაძე, 1977:216, 219, სურ. 440, 443, 444, 469]; ატიკური, ახ.ნ. III-IV სს. [კილურაძე, 1977:215-216, 218, სურ. 460, 461, 475] (ტაბ. I,18); მცირე აზიური, ახ.ნ. III-IV სს. [კილურაძე, 1977:217, 219, სურ. 442, 462]; პერგამონული, ახ.ნ. IV-V სს. [კილურაძე, 1977:215, სურ. 450, 463]; ალექსანდრიული, ახ.ნ. IV-V სს. [კილურაძე, 1977:215, 217-218, სურ. 470, 472]; სამოსური, ახ.ნ. IV-V სს. [კილურაძე, 1977:217, 220, სურ. 477, 478] (ტაბ. I, 19); **კლდის ნამოსახლარზე** (ახალციხის მუნიცი.), რომაული, ფრაგმენტი, გამოსახულია პეგასი, ახ.ნ. II-IV სს. [კულტურული მემკვიდრეობის., 2011:94,160].

### ლითონის სანათები

ლითონის სანათების სახეობებია - ჭრაქი, კანდელაბრი (სადგარი, მასზე დადგმული ან დაკიდებული ჭრაქით), ლამპადარია (კედელზე ან კანდელაბრზე დასაკიდი ჭრაქი), ჭალი (ჭერზე დასაკიდი ჭრაქი).

საქართველოს ტერიტორიაზე ლითონის სანათები აღმოჩენილია:

#### 1. ჭრაქები -

**ვანის** ნაქალაქარის, ქვედა ტერასაზე (ნაკვ. 186), ხანძრის შედეგად წარმოშობილ

ფენაში (ქ. ვანი), **ბრინჯაოს**, იტალიკური ან მცირე აზიის რომელიმე სახელოსნო, ძვ.წ. II ს. [ლორთქიფანიძე ოთ, ... 1972:102, სურ. 23] (ტაბ. II,1); ქვედა ტერასაზე (ნაკვ. 203, კვ. ა), განძის შემადგენლობაში, **ბრინჯაოს**, ექვსი საპატრუქეთი, რომელთაგან სამი შემკულია ადამიანის ბიუსტით, სამი კი - სპილოს თავის გამოსახულებით, ძვ.წ. II-I სს. [ახვლედიანი, 2008:129, ტაბ. I-II; ლორთქიფანიძე ნ., 2011:47-53] (ტაბ. II,3); **ბრინჯაოს**, ერთი საპატრუქეთი, შემკული ვაზის ფოთლებისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებებით, ძვ.წ. II-I სს. [ახვლედიანი, 2008:129, ტაბ. I-II] (ტაბ. II,2); **დედოფლის გორაზე**, №1 ოთახში (ქარელის მუნიციპ.), **რკინის**, შემკული ბრინჯაოს, ჰიპოკამფის სკულპტურული გამოსახულებით, ახ.ნ. I ს-ის დასაწყისი [Löhr, 2008:158-159, კატ. №42, ტაბ. 63] (ტაბ. II,6); **რკინის**, ბრტყელი ძირი, მრგვალყურიანი, ახ.ნ. I ს-ის დასაწყისი [Löhr, 2008:158-159, კატ. №44, ტაბ. 63] (ტაბ. II,10); **რკინის**, მომრგვალებული ძირით და ტუჩით, უსახელურო, ახ.ნ. I ს-ის დასაწყისი [Löhr, 2008:158-159, კატ. №45, ტაბ. 63] (ტაბ. II,8); **რკინის**, 3 ც., ძირი ბრტყელი, გვერდები მკვეთრად დაქანებული ან ოდნავ მომრგვალებული, ახ.ნ. I ს-ის დასაწყისი [Löhr, 2008:158-159, კატ. №46-48, ტაბ. 63] (ტაბ. II,7, 9, 11); **გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის**, ცენტრალური ნაწილის კულტურულ ფენაში, **ბრინჯაოს**, 2 ც., ახ.ნ. I-II სს. [მამულაძე, ... 2007:44] (ტაბ. II,4-5); **ბიჭვინტის ნაქალაქარზე**, III თხრილში, **ბრინჯაოს**, რელიეფური ბურცობებით შემკული კორპუსით, ახ.ნ. III-IV სს. [რამიშვილი, 1965:116, სურ.12; კილურაძე, 1977:212, სურ. 473,474] (ტაბ. II,12); **ჭაბუკაურის ნაეკლესიარზე**, ნეკრესის ნაქალაქარზე (ყვარლის მუნიცი.) **ბრინჯაოს**, ახ.ნ. IV ს. [ბახტაძე, 2010:213, ტაბ. II,1] (ტაბ. II,13).

#### 2. კანდელაბრები -

აღგეთის მდიდრული სამარხში, სოფ. **წინწყარო** (თეთრინწყაროს მუნიციპ.), **ბრინჯაოს**, სამფეხა სადგარი წარმოდგენილია ადამიანის, კარგად გამოკვეთილი, მუხლში მოხრილი, რადიალურად გაშლილი ფეხე-

ბით, რომელთა შეერთების ადგილას მოთავსებულია დაკბილული დისკო, ძვ.ნ. IV-III სს. [Куртин, 1941:41, ტაბ. X; დავლიანიძე, 1976:130-131, ტაბ. XIII,8] (ტაბ. III,2); **ტახტიძის** სამაროვანზე (ქარელის მუნიციპ.), სამარხში №8, **რკინის**, სამფეხა სადგარი წარმოდგენილია ადამიანის ფეხებით, ოვალური ბურცოვებით შემკული ღეროთი და ჯამით, ძვ.ნ. IV-III სს. [გაგოშიძე, ... 2011:27,2] (ტაბ. III,1); **ვანის ნაქალაქარის**, ქვედა ტერასაზე (ნაკვ. 203, კვ. ა<sub>9</sub>), განძის შემადგენლობაში, **რკინის**, 2 ცალი, სამფეხა სადგარი წარმოდგენილია ცხოველის ფეხებით, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი, თავზე მირჩილული თეფშით, ძვ.ნ. II-I სს. [ახვლედიანი, 2008:129, ტაბ. I-II]; **დედოფლის გორაზე**, ნაქალაქარი, (ქარელის მუნიციპ.), № 11 ოთახში, **რკინის**, 2 ცალი, ერთი - ლენტისებურ მარყუჟიან სამფეხაზე დაყრდნობილი გრეხილი ღეროსა და მასზე დამაგრებული დისკოსებური ჯამისგან შედგება, მეორე - სადა სამფეხასაგან, ღეროსა და ჯამისაგან, ახ.ნ. I ს-ის დასაწყისი [Löhr, 2008:158-159, კატ.№.39, 40, ტაბ. 63] (ტაბ. III,3-4); №1 ოთახში, **რკინის**, ლენტისებურ მარყუჟიან სამფეხაზე დაყრდნობილი, სადა ღეროთი [Löhr, 2008:158-159, კატ.№41, ტაბ. 63] (ტაბ. III,5); **გონიო-აფსაროსის** ციხე-სიმაგრის, ცენტრალური ნაწილის კულტურულ ფენაში, **ბრინჯაოს**, სამფეხა, ცილინდრულტანიანი, მაღალკონუსურ-საპატრუქემილიანი. მისი კორპუსი ორ ფრიზადაა დაყოფილი. ქვედაზე მოცემულია წარწერა: ც. ცოჰ. ავრ. ც.რ, რაც შემდეგნაირად იკითხება: c. coh(ors) avr(elius) c(ivium) r(omanorum), ახ.ნ. II ს. [მამულაძე, ... 2007:47]; **“რიციანების ველის”** სამაროვნის, სამარხში №2, სოფ. ალაიანი (კასპის მუნიციპ.), **რკინის**, ფიგურულ სამფეხაზე დამაგრებული, სამწილადი ღეროსა და მასზე დარჩილული დაბალნაპირებიანი ფიალისგან შედგება. ფიალის ძირზე სამი გველის გამოსახულებაა, ახ.ნ. I ს-ის პირველი ნახევრი [მირიანაშვილი 1983:24, ნახ. 4] (ტაბ. III,6); **არმაზისხევის** სამაროვანზე, სამარხში № 6 (ქ. მცხეთა), **რკინის**, საკმაოდ რთული აღნა-

გობისა - მაღალი, მართი კუთხით მოხრილი სამფეხა და ღერო, წამოცმული ხის დახარატებული დეტალით, რომელზეც შემოკრული იყო ვერცხლის ფირფიტა, როგორც ეს სარეცლის ფეხების შემკულობისთვისაა დამახასიათებელი. ორნამენტი შედგება ერთმანეთისაგან სალტეებით გამოყოფილი კანელირებული სფერული ნაწილებისაგან. ზედა ნაწილზე დამაგრებული ყოფილა ლინზური ფორმის ორნამენტირებული ჯამი შუაში საპატრუქე ნახვრეტით, ახ.ნ. II ს. [აფაქიძე, ... 1955:77, ტაბ. XXV]; **ზღუდერის** სამაროვანზე, სამარხში № 2, სოფ. ზღუდერი (ქარელის მუნიციპ.), **რკინის**, სამფეხა სადგარზე დამაგრებული ქოთნისებური სანათი (ნივთი ძალიან დაზიანებულია), ახ.ნ. III ს. [ბრაუნდი, ... 2008:60]; **ხოვლეს** სამარხი № 1, სოფ. ხოვლე (კასპის მუნიციპ.), **რკინის**, სამ სწორ ფეხზე მიდულებული ჯამი, ახ.ნ. III ს. [მატბერაშვილი, 2007:91, ტაბ. II,9] (ტაბ. III,7).

### 3. ლამპადარიები -

**“რიციანების ველის”** სამაროვანის, სამარხში № 7, სოფ. ალაიანი (კასპის მუნიციპ.), **რკინის**, ახ.ნ. I ს-ის შუა ხანები, [მირიანაშვილი, 1983:26, სურ. 100] (ავტორის აზრით ცალუღელა სასწორია); **არმაზისხევის** სამაროვანის №6 სამარხის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, ქ. მცხეთა, **რკინის**, ჯამი საკიდის დეტალებით, ახ.ნ. II ს. [აფაქიძე, ... 1955:81-82, ტაბ. XXVI,3]; **სამთავროს** სამაროვანზე, სამარხი №212 (ქ. მცხეთა), **რკინის**, ჯამი საკიდი ჯაჭვის დეტალებით, ახ.ნ. II ს-ის პირველი ნახევარი [Иващенко, 1980:60, 118, 225, სურ. 322]; **სამთავროს** სამაროვანზე, აკლდამა-სამარხი 905, **რკინის**, ჯამი, რკინისავე ჯაჭვით ჩამოკიდებული სამარხის კედელზე, ახ.ნ. III ს. [აფაქიძე, ... 1987:17-18; აფაქიძე, ... 1996:31, ტაბ. XXXVI,2; IV,1] (ტაბ. IV,2).

### 4. ქალები -

**ვანის ნაქალაქარის**, ქვედა ტერასაზე (ნაკვ. 203, კვ. ა<sub>9</sub>), განძის შემადგენლობაში, **ბრინჯაოს**, 2 ცალი, ერთი - სამი საპატრუქეთი, დასაკიდებელი რგოლებით (ზემოდან), შემკული არწივისა და განიმედესის გამო-

სახულებით, მეორე - სამი საპატრუქეთი და რეზერვუარის სახურავით, საპატრუქებზე დასაკიდებელი რგოლებით (ზემოდან და ქვემოდან), შემკული ეროსის ოთხი ფიგურით, ძვ.წ. II-I სს. [ახვლედიანი, 2008:129, ტაბ. I-II] (ტაბ. IV,1); **დედოფლის გორაზე**, №1 ოთახში, ნაქალაქარი (ქარელის მუნიციპ.) **რკინის**, თეფშითა და საკიდი რგოლებით, ახ.წ. I ს-ის დასაწყისი [Löhr, 2008:158-159, კატ. №43, ტაბ. 63] (ტაბ. IV,3); **ნოქალაქევის** ნაქალაქარი (სენაკის მუნიციპალიტეტი), **ბრინჯაოს**, ქოროსის მრგვალი, აყურული დისკები (2 ც.) დამაკავშირებელი ჯაჭვებით, ჯვრისებური მონოგრამით, ახ.წ. IV-VI სს. [ზაქარაია, 1977:107, ტაბ. XX,1; Леквинадзе, 1982:146, ტაბ. I,1-2] (ტაბ. IV,4); **ჭაბუკაურის ნაეკლესიარზე**, ნეკრესის ნაქალაქარზე (ყვარლის მუნიციპ.) **ბრინჯაოს**, 4 ც., 2 ც. - მთლიანი (ოთხი და ექვსი საპატრუქეთი), ახ.წ. IV-V სს. მიჯნა [ბახტაძე, 2010:213, ტაბ. II,2] (ტაბ. IV,5).

#### მინის ლამპრები

ადრე შუა საუკუნეებიდან ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით, ხმარებაში ფართოდ შემოდის მინის სანათების ერთერთი სახეობა - ლამპარი, რომლებიც ლითონის ბუდეში იდგმებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ლამპრების ფრაგმენტები ფორმით ორი ტიპისაა - სწორკედლებიანი ღრმა თასი, რომელიც ქვემოთკენ ვიწროვდება და ფეხით (წვეთისებური - ბურთულადაბოლოებული ან დამუხლული) ბოლოვდება და სწორკედლებიანი ღრმა თასი, პირთან მილღობილი პატარა ყურით, რომელიც ძირისკენ მცირედ ვიწროვდება და შედრეკილი ძირი აქვთ. ისინი მინის თავისუფლად გამობერვის ტექნიკითაა დამზადებული, სადღეისოდ მხოლოდ ფრაგმენტების სახით არიან წარმოდგენილი [ჩხატარაშვილი, 1978:29-32].

საქართველოში **მინის ლამპრები** აღმოჩენილია:

**I ტიპი - ციხისძირის** ნაქალაქარზე (ქობულეთის მუნიციპ.), ახ.წ. V-VI სს., [ინაიშვილი, 1993:74, ტაბ. 29, 6]; ციხისძირის სანერგე მეურნეობასთან გამოვლენილი ბაზი-

ლიკის გათხრებისას, ახ.წ. V-VI სს. [ინაიშვილი, 1993:75]; **გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრეში**, ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თხრილში, 2 ფრაგმენტი, ახ.წ. V-VI სს., [ხალვაში, 2002:138, ტაბ. XII,9; შალიკაძე, 2004:135, სურ.25]; **ბიჭვინტის** ნაქალაქარზე, 5 ფრაგმენტი, V-VI სს. [ლორთქიფანიძე გ., 1991:73, ტაბ. XI,7-9]; **ნოქალაქევი**, V-VI სს. [Леквинадзе, 1981:125, სურ. 13ა]; **ფოთის მიდამოებში**, V-VI სს. [გამყრელიძე, 1987:114, სურ. 20]; **წებელდაში**, ციხე-სიმაგრესა და სამარხებში, VI-VII სს. [Воронов, 1973:75, სურ. 2-12, 3-9]; **დმანისის** ნაქალაქარზე, 3 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **რუსთავის** ნაქალაქარი, 3 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **უჯარმის** ნაქალაქარზე (საგარეჯოს მუნიციპ.), 1 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **იყალთოს** სამონასტრო კომპლექსში (თელავის მუნიციპ.), 2 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **ურბნისის** ნაქალაქარზე (ქარელის მუნიციპ.), 1 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **ლამაზი გორის** სამონასტრო კომპლექსში (ბოლნისის მუნიციპ.), 1 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **თბილისში**, ერეკლეს მოედანზე, 2 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **მცხეთაში** - კარიბჭესთან 1 ფრაგმენტი, სვეტიცხოველთან 3 ფრაგმენტი, VI-VII სს. [ჩხატარაშვილი, 1978:29-30, ტაბ. V, 6-11] (ტაბ. III,8-9); **ჭაბუკაურის ნაეკლესიარზე**, ნეკრესის ნაქალაქარზე (ყვარლის მუნიციპ.), 8 ფრაგმენტი, ახ.წ. V-VI სს. [ბახტაძე, 2010:213].

**II ტიპი - დმანისის** ნაქალაქარზე, 1 ფრაგმენტი, VI-VII სს.; **რუსთავის** ნაქალაქარი, 1 ფრაგმენტი; VI-VII სს. [ჩხატარაშვილი, 1978:31-32, ტაბ. V, 2-5] (ტაბ. III,10).

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სანათების წარმოება და მათი ფართოდ გამოყენება ძვ.წ. V ს-დან იწყება. ხმარებაში იყო როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული ნაწარმი. თიხის ადგილობრივი ჭრაქები დადასტურებულია: 13 ნამოსახლარზე (დაახლ. 36 ცალი) და 12 სამაროვანზე (დაახლ. 50 ცალი), თიხის იმპორტული ჭრაქები კი გვხვდება 7 ნამოსახლარზე (ძირითადად ნაქალაქარებზე) (დაახლ. 43 ცალი), ლითონის ჭრაქებიც - 5 ნამოსახლარ-



ზე (13 ცალი), კანდელაბრები აღმოჩენილია 3 ნამოსახლარზე (6 ცალი) და 6 სამაროვანზე (6 ცალი), ლამპადარიები – 3 სამაროვანზე (4 ცალი), ჭალები – 4 ნამოსახლარზე (8 ცალი).

სანათები გამოიყენებოდა როგორც უტილიტარული, ისე სარიტუალო-დეკორატიული დანიშნულებით, რაზეც მათი ფორმებისა და გამოყენებული მასალის მრავალფეროვნება მიუთითებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ძვ.წ. II - ახ.წ. IV სს-ის მასალა, როდესაც მასობრივი თიხის ჭრაქების გვერდზე გამოიყენებოდა ბრინჯაოს მაღალმხატვრული სანათებიც.

### ლიტერატურა:

**აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962:** ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. – საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XIII-B, გვ. 197-206.

**აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955:** არქეოლოგიური გათხრები არმაზისხევში. – მცხეთა I, თბილისი.

**აფაქიძე ან., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ. 1978:** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. – მცხეთა II, თბილისი, გვ. 8-77.

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1987:** მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია ახალმშენებლობებზე. – ძველის მეგობარი, № 4, გვ. 16-26.

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., დავლიანიძე რ. 1995:** 1982 წ. საველე-არქ. კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა, X, გვ. 6-55.

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1996:** მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა – აკლ-დამა 905. – მცხეთა XI, თბ., გვ. 7-79.

**ახვლედიანი დ. 2008:** განძი ვანიდან. ჟურ. – იბერია-კოლხეთი, № 4, თბილისი, გვ. 129.

**ბახტაძე ნ. 2010:** ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, № 19, გვ. 209-220.

**ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 2009:** საგანძური ზღუდერიდან. თბილისი.

**გაგოშიძე იულ., გოგიბერიძე ნ. 2011:** ტახტიძის სამაროვანი, კატალოგი. – www.heritages site, ონლაინ არქეოლოგია №1, გვ. 22-37.

**გამყრელიძე გ. 1987:** წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში. – სმამ, ისტორიის სერია, №1, გვ. 97-117.

**გამყრელიძე გ. 2001:** ერთი კერამიკული ნივთის ინტერპრეტაციისათვის ადგილობრივების გორის ნაგებობიდან. – კოლხოლოგიური ნარკვევები, თბილისი.

**გამყრელიძე გ. 2001:** ნავთობის ტრანსპორტირების

შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), - ძიებანი, დამატებანი, IV, (ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები), თბ., გვ. 26-30.

**დავლიანიძე ც. 1976:** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან. – სსმმ, №32-B, გვ.118.

**ებრალიძე ტ., მამულაძე შ. 2008:** ჭრაქები გონიო-აფსაროსიდან. ჟურ. იბერია-კოლხეთი, №4, თბ., გვ. 32-39.

**ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვიანიძე ვ., გვინჩიძე გ. 1977:** ნოქალაქევი ექსპედიციის 1974-1975 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში. – სსმავ, V, თბ., გვ. 103-113.

**ინაიშვილი ნ. 1993:** ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

**კაჭარავა დ. 1972:** გიენოსი ანტიკურ ხანაში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ.

**კახიძე ამ., მამულაძე შ. 1993:** აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, გვ. 69, ტაბ. XX,1.

**კილურაძე ნ. 1977:** ჭრაქები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან. – დიდი პიტიუნტი, II, თბ., გვ. 211-222.

**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მილსადენების დერეფანში, წარსული და მომავალი 2011:** (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი), თბილისი, გვ. 94, 156-162.

**ლიჩელი ვ. 1991:** ძველი ვანი – სამეურნეო უბანი, თბ.

**ლორთქიფანიძე გ. 1991:** ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბ.

**ლორთქიფანიძე გ., ნონეშვილი ალ. 2002:** გონიო-აფსაროსის კასტელის №2 კოშკის გათხრების ძირითადი შედეგები. – კრ. გონიო-აფსაროსი III, გვ. 168-183.

**ლორთქიფანიძე ნ. 2011:** ბრინჯაოს ექვსსაპატრუქიანი ჭრაქი ვანიდან. – იბერია-კოლხეთი № 7, გვ. 47-53.

**ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ. 1972:** ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1960-1961 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. – ვანი I, გვ. 96-107.

**მამულაძე შ., კახიძე ამ., კახიძე ემ. 2007:** გონიო-აფსაროსი, თბ.

**მამულაძე შ., შალიკაძე თ., ასლანიშვილი ლ. 2013:** გონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში 2012 წელს წარმოებულ გათხრების მოკლე ანგარიში. – კრ. აჭარა წარსული და თანამედროვეობა (2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები), ბათუმი, გვ. 187-221.

**მენაბდე მ., დავლიანიძე ც. 1968:** თრიალეთის სამაროვნები, I, თბ., გვ. 141, ტაბ. XV, 550.

**მინდორაშვილი დ. 2008:** უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბ.

**მინდორაშვილი დ. 2012:** ადრეული შუა საუკუნეების ნასოფლარი სოფ. სვენეთთან. ჟურ. იბერია-კოლხეთი № 8, გვ. 75-82.

**მირიანაშვილი ნ. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. – ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II, თბილისი.

**მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბ., გვ. 58, ტაბ. XXXVI, 179, 299; გვ. 67, ტაბ. XIV, 371, 73.

**ნაკაიძე ნ. 1980:** ქვევრსამარხები "დაჭრილების" სამაროვიდან. – კრ. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლე-

ბი, გვ. 28-40, ტაბ. XXV,1.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1993:** კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995:** ბაიათხევი. – მცხეთა, X, გვ. 97-136.

**რამიშვილი რ. 1965:** არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში. – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, გვ.107-122

**შატბერაშვილი ვ. 2007:** მდიდრული სამარხი სოფელ ხოვლედან. ჟურ. იბერია-კოლხეთი №3, გვ. 87-96.

**შილაკაძე თ. 2004:** მინის ნაწარმი. – კრ. გონიო-აფსაროსი IV, გვ. 120-140.

**ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი, თბ.

**ჩხატარაშვილი მ. 1978:** მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ.

**ნითლანაძე ლ. 1983:** ვარსიმაანთკარის სამაროვანი. – ჟინვალი I, გვ. 52-76 (60), ტაბ. XXI,5.

**ხალვაში მ. 2002:** გონიო-აფსაროსის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. - კრ. გონიო-აფსაროსი III, გვ. 134-167.

**ხახუტაიშვილი დ. 1964:** უფლისციხე I, თბილისი, გვ.77, ტაბ. XV,4.

**ჯღარკავა თ. 1982:** კამარახევის სამაროვანი (კატალოგი). – კრ. მცხეთა VI, თბ., გვ. 139-190.

**ჰეროდოტე, 1979:** ოდისეა, თარგმ. პ. ბერაძის, თბილისი.

**Арсеньева Т. 1988:** Светильники Танаиса, Москва.

**Гагошидзе Ю. 1981:** Самадло. Каталог. Тбилиси,

**Воронов Ю. 1974:** К истории экономических связей Апислии в IV-VII вв. (Привазная стеклянная посуда из Цебельды). – КСИА, вып. 138, გვ. 74-78.

**Иващенко М. 1980:** Самтаврские погребения первых трех веков н.э. - კრ. მცხეთა III, თბილისი.

**Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети, Тбилиси.

**Леквинадзе В., Хведелидзе Л. 1981:** Массовые археологические находки из раскопок Археополиса. – ნოქალაქევი-არქეოპოლისი I, თბ., გვ. 120-149.

**Нариманишвили Г. 1991:** Керамика Картли, V-I вв. до нашей эры, Тбилиси.

**Павсаний, 2002:** Описание Эллады, т. I, М.

**Löhr H. 2008:** Metal vessels and Furniture. - Iveria and Rome, Ed.A.Furtwängler, I.Gagoshidze, H.Löhr, N.Ludvig, Langenveißbach, pp.154-164.

ნამოსახლარიდან; 13. გიენოსის ნაქალაქარიდან; 14-17. გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეიდან; 18-19. ბიჭვინტის ნაქალაქარიდან.

**ტაბ. II.** ბრინჯაოს ჭრაქები: 1-3. ვანის ნაქალაქარიდან; 4-5. გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეიდან; 12. ბიჭვინტის ნაქალაქარიდან; 13. ჭაბუკაურის ნაეკლესიარიდან; რკინის ჭრაქები: 6-11. დედოფლის გორიდან.

**ტაბ. III.** ბრინჯაოს კანდელაბრი: 2. ალგეთის მდიდრული სამარხიდან; რკინის კანდელაბრები: 1. ტახტიძირის სამაროვნიდან; 3-5. დედოფლის გორიდან; 6. “რიყინების ველის” სამაროვნიდან; 7. ხოვლეს მდიდრული სამარხიდან.

მინის ლამპრები: 8-9. მცხეთის კარიბჭიდან; 10. დმანისის ნაქალაქარიდან.









**ტაბ. IV.** რკინის ლამპადარია: 2. სამთავროს სამაროვნიდან; ბრინჯაოს ჭალები: 1. ვანის ნაქალაქარიდან; 4. ნოქალაქევის ნაქალაქარიდან; 5. ჭაბუკაურის ნაეკლესიარიდან; რკინის ჭალი: 3. დედოფლის გორიდან.

## ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I.** ადგილობრივი წარმოების თიხის ჭრაქები: 1. ბეშთაშენის სამაროვნიდან; 2. სიმაგრის ნამოსახლარიდან; 3. მუხათგვერდის სამაროვნიდან; 4. სამაჩვეთის სამაროვნიდან; 5. ქ. მცხეთის კრამიტსამარხ № 46-დან; 6. კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა ნასახლარიდან; 7. ნოქალაქევის ნაქალაქარიდან; 8. ბიჭვინტის ნაქალაქარიდან; 9. ადგიშვილების გორის ნამოსახლარიდან; 10. სვენეთის ნასოფლარიდან.

უცხოური წარმოების თიხის ჭრაქები: 11-12. სიმაგრის

CHARKVIANI M.

		თიხის ჭრატქები	
		ადგილობრივი	იმპორტი
ძვ. წ. VI-IV სს.	 <p>1 2</p>	 <p>11 12</p>	
ძვ. წ. IV-III სს.	 <p>3 4</p>		
ძვ. წ. III-I სს.		 <p>13</p>	
ახ. წ. I-III სს.	 <p>5 6</p>	 <p>14 15 16 17</p>	
ახ. წ. IV-VI სს.	 <p>7 8 9 10</p>	 <p>18 19</p>	








III

კანდელები	
ბვ. წ. IV-III სს.	
ახ. წ. I II სს.	
ახ. წ. III-VI სს.	

მინის ჯამბრები	
ახ. წ. IV-VII სს.	

# IV

<p>წ ა მ პ ა რ ა ტ ი ა რ ა ზ ა რ ე ბ ი</p>	
<p>ძგწ. II-I სს.</p>	 <p>1</p>
<p>ახწ. I-II სს.</p>	 <p>2</p>  <p>3</p>
<p>ახ. წ. III-VI სს.</p>	 <p>4</p>
<p>ახწ. IV-V სს.</p>	 <p>5</p>

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გელა გიუნაშვილი, გივი ინანიშვილი,  
ბადრი ამალლობელი

## არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიური კვლევის შესახებ

ქართლის სამეფო რეზიდენცია არმაზციხე-ბაგინეთი ცნობილია როგორც ქართული, ასევე უცხოური წერილობითი წყაროებით. ქართულ საისტორიო წყაროებში არმაზციხე იხსენიება როგორც ქართლი, ქალაქი, დედაქალაქი, ციხე, არმაზი, ბაგინეთი; უცხოურში - ჰარმოზიკე, ჰერმასტუს, არმაქტიკა. მაგრამ ძირითადი ინფორმაცია არმაზციხის ისტორიის შესახებ მიღებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად [იხ. აფაქიძე ან.1963; ნიკოლაიშვილი ვ. 2011; გამყრელიძე გ. 2010: 69, 161-169].

პირველად არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე განხორციელდა 1889 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ე.წ. "ორსენაკიან ნაგებობაში", რომელიც ჯერ კიდევ ნაწილობრივ ჩანდა მიწის ზედაპირზე. მაშინ სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა პოლიქრომული ფერწერის ნიმუში (ფრესკა) შენობის კედლის შელესილობის ნაშთებზე [კავლეშვილი ელ. 1996:133-147].

XX საუკუნის 40-იან წლებში (1943-1948წწ.) სტაციონარული გათხრები განხორციელდა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ს. ჯანაშია). ამჯერად გამოვლინდა საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ძეგლები: სამეფო სასახლე, საფორტიფიკაციო სისტემა, რომაული ტიპის აბანო, აკლდამა, სარკოფაგი და სხვა საზოგადოებრივი თუ სამეურნეო ნაგებობების ნაშთები [აფაქიძე ან.1963].

1993 წელს არმაზციხეზე განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები. გათხრების შედეგად გამოვლინდა ახ.წ. პირველი საუკუნეების სატაძრო კომპლექსი, ორი რომაული ტიპის აბანო და სამი ეპიგრაფიკული ძეგლი — ფილაქვაზე ამოკვეთილი ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერები. ისინი ქართლის სამეფო კარზე მიმდინარე სამშენებლო

საქმიანობაზე მოგვითხრობენ [ნიკოლაიშვილი ვ. 1996; ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., 1998:7-9; ყაუხჩიშვილი თ. 2004].

2011 წლიდან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არმაზციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ვ. ნიკოლაიშვილი) განაახლა არქეოლოგიური გათხრები და კვლევა-ძიება არმაზციხეზე. არქეოლოგიური სამუშაოების განახლებას წინ უსწრებდა არმაზციხის ადრე გათხრილი ძეგლების ნაწილის კონსერვაცია და მომზადება მცხეთის მრავალრიცხოვანი დამთვარიელებლებისათვის. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ განახლებული გათხრების შედეგად გამოვლენილი ძეგლები (ტაბ. I), სააგენტოსთან ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე დაკონსერვდება.

არმაზციხეზე არქეოლოგიური სამუშაოების ახალი — მეოთხე ეტაპი დაიწყო 2011 წლის 6 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არმაზციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ადრე გამოვლენილი (1996-1998 წწ.) ტაძრისა და მარნის დასავლეთით აღმოჩნდა ქვათილებით ნაგები შენობები — ოთხი სათავსის ნაშთი (ტაბ. II). ორ პარალელურ კედელს შორის, ტიხრების მეშვეობით, ოთხი სათავსია გამართული, რომლებიც მარნის დასავლეთით, მის პარალელურად მდებარეობს. ყველა მათგანი საკარე საფასადო მხარით სატაძრო კომპლექსთან ჩანს დაკავშირებული. სათავსების საშუალო ზომა 12კვ.მ-ს აღწევს. შენობები ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის ქვათილებით (საშუალო ზომა: 45x20x20სმ). მათი საერთო - აღმოსავლეთი კედელი ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის ქვათილებით ორ-სამ რიგად. კედლის სისქე საშუალოდ 70 სმ-ია. ნაგებია ორ მწკრივად ნაწყობი ქვათ-

ლილებით. იგი ყოველ 80 სმ-ის ინტერვალში არმირებული ყოფილა ხის ძელებით, რომელიც გარდიგარდმო ჩანს დაწყობილი. წყობა უდუღაბოა. სათავსების საერთო - დასავლეთი კედელი მიწის პირზეა ამოყვანილი და მოყვითალო ფერის ქვათლილების ერთი მწკრივის 3-4 რიგია შემორჩენილი. სათავსებს შორის ტიხრები (სისქე-120 სმ) ძირითადად ქვატეხილებით ჩანს ნაგები, შემდეგ კი მოყვითალო ფერის ქვათლილებით არის მოპირკეთებული. შემორჩენილია ქვათლილების ექვსი-შვიდი რიგი. ქვათლილებს შორის 7-10 სმ-ის ინტერვალზეა დატოვებული. როგორც ჩანს, ეს ინტერვალები ხის ძელებით იყო გამაგრებული. ქვათლილების ზომები: 42×17×15; 32×14×10; 42×17×12; 60×17×15 სმ. ქვათლილებზე საპირონე ფოსოებია ამოჭრილი. მშენებლობის აღნიშნული წესი გავრცელებულია ანტიკურ სამყაროში [Roland Martin 1965:2-8]. ნაგებობები გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარიანი კრამიტით, რომელთა ნაწილი შეღებილია.

მეოთხე სათავსში აღმოჩნდა თიხის სანელსაცხებლის ნაწილი — მოწითალო-მოვარდისფოდ გამომწვარი (ინვ. 585), აგრეთვე ჩაფისა (ინვ. 584) და ხელადის (ინვ. 587) ნატეხები (ტაბ. IV, ინვ. 584, 585, 587). მსგავსი სანელსაცხებლე აღმოჩენილია იქვე, არმაზციხის IV ტერასაზე, გვიანანტიკური ხანის ფენაში [აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., 1999:11-15, ტაბ. V], აგრეთვე მცხეთაში — სამარხეულ კომპლექსში, სადაც ის III-IV სს-ით თარიღდება [აფაქიძე ან. და სხვ. 2004:69-80, ტაბ. IV<sub>1653</sub>]. IV სათავსში აღმოჩენილი ჩაფისა და ხელადის ანალოგიური თიხის ჭურჭელი დასტურდება ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე გამოვლენილ II-III სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე. სათავსებში დადასტურდა ყავისფერკეციანი ამფორისკის ძირები, მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნაწილები და სხვა.

ყავისფერკეციანი ამფორისკის ძირების (ტაბ. IV, ინვ. 529, 531) ანალოგიური ძირები აღმოჩენილია იქვე, არმაზციხის №2 და №3 აბანოების გამოვლენისას. მსგავსი არტეფაქტები დამახასიათებელია დასავლეთ საქართ-

ველოს ძეგლებისათვის და მიჩნეულია ადგილობრივ — კოლხურ ნაწარმად (ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე). ამ ტიპის ამფორების შემსწავლელ მკვლევართა ნაწილის აზრით კი - სამხრეთ პონტოური წარმომავლობის უნდა იყოს. ისინი ზოგადად გვიანანტიკური ხანით თარიღდება და დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი გონიო-აფსაროსში, ფოთში, ბიჭვინთაში [გამყრელიძე გ. 1987:97-117; ხალვაში მ. 2002:11,12]. ამავე პერიოდისაა იქვე გამოვლენილი ორმაგყურიანი (ინვ. 550) ამფორის მსგავსი ამფორის ნაწილები [ხალვაში მ. 2002: ტაბ. V<sub>3,4</sub>]. სათავსებში აღმოჩენილის მსგავსი კერამიკა დამახასიათებელია და დასტურდება ქართლის გვიანანტიკური ხანის (ახ.წ. II-IV სს) ნამოსახლარებზე [ნიკოლაიშვილი ვ. 1993]. ამავე პერიოდისაა, ოღონდ ორიგინალობით გამოირჩევა სათავსების გამოვლენისას აღმოჩენილი დოქი (ტაბ. V, ინვ. 555).

№2 და №3 სათავსებში დიდი რაოდენობით ქვის დასამუშავებელი იარაღები - ცულწერაქვი, წერაქვები, ჩაქურები, პალოები, სატეხები, ლომი აღმოჩნდა [ტაბ. VI, ინვ. 625, 626, 641, 642, 646, 647, 648, 649]. მსგავსი იარაღი დადასტურებულია ეთნოგრაფიულ ყოფაში და მას ბოლო ხანებამდე იყენებდნენ [ბედუკაძე ს. 1961: 169-200, სურ. 1; რეხვიაშვილი ნ. 1953: 61].

ქვის დასამუშავებელი იარაღებიდან შეიძლება გამოვყოს ცულწერაქვი. მსგავს იარაღს ანტიკური სამყაროს ქვეყნებში იყენებდნენ ძირითადად ხის დასამუშავებლად [Roland Martin 1965:40-41]. რკინის ნივთებს შორის აღსანიშნავია გამირები, რომლებითაც არქიტექტურულ დეტალებს ერთმანეთს აბამდნენ-აკავშირებდნენ (ტაბ. VI, ინვ. 657).

აღსანიშნავია სატაძრო კომპლექსთან დაკავშირებულ №2 და №3 სათავსებში 2011-12 წლებში აღმოჩენილი ქვის დასამუშავებელი იარაღების ტექნოლოგიური ანალიზის შედეგები (მეტალოგრაფია, ქიმიური შედგენილობა, მექანიკური მახასიათებლები). შესწავლილია წარმოების რკინის ლუგვი, ქვის დასამუშავებელი სამეურნეო დანიშ-



№	ნივთის დასახელება	რაოდენობა, ინვენტარი	ნახშირბადის შემცველობა %	სტრუქტურა	მიკრო-სისალე	მასალა
1	რკინის ლუგვი	2	0,1	ფერიტი + პერლიტი	120-150	რკინის გუნდა
2	ჩაქუჩი	6 (561,562,632,641,642, 644)	0,1-0,2	„-----“	130-150	რბილი ფოლადი
3	წერაქვი	14 (567,636-638, 640, 643,645, 647, 649-656)	0,3-0,4	„-----“	200-230	საშუალო სისალის ფოლადი
4	სატეხი, ლომი	4 563,625,626,646	0,3-0,5	„-----“	200-245	„-----“
5	პალო	8 648	0,1-0,2	„-----“	130-150	რბილი ფოლადი
6	ცული	1 684	0,5-0,6	„-----“	230-250	მაღალი სისალის ფოლადი

ნულების იარაღი, ასევე 2013 წელს აღმოჩენილი რკინის ცული (რესტავრატორი ირ. ბაქრაძე). “გამოკვლევული ნივთები წარმოადგენენ ძველი, რკინის პირდაპირი აღდგენის, ცივბერვითი პროცესისათვის დამახასიათებელ რკინა-ფოლადის ნაწარმს. ლუგვი რკინის სტრუქტურული შესწავლის შედეგებით სახეზეა წარმოების შუალედური პროდუქტი, დამახასიათებელი დაბალი მექანიკური თვისებებით, მასალის არაერთგვაროვნებით და ნახშირბადის არათანაბარი განაწილებით. შეიცავს დიდი რაოდენობით წიდის ჩანართებს. შავარაუდოდ, ამგვარი მასალისაგან არის მიღებული ჩვენთვის საინტერესო, შესწავლილი სამეურნეო-სამშენებლო დანიშნულების იარაღიც, რომლებიც მექანიკური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, შემდგომ დამუშავებულია დამატებით მრავალჯერადი ცხელი პლასტიკური დეფორმაციის ქვეშ, სასურველი ფორმისა და დანიშნულების

ფოლადის ფერიტული ფაზის მიკროსისალე გაზრდილია და იცვლება 120-150კგ/მმ<sup>2</sup>-ის ფარგლებში, რაც კაზმში არსებული ოქსიდიდან აღდგენილი სილიციუმის ფერიტში გახსნის შესაძლებლობებით უნდა აიხსნას. თუ გავითვალისწინებთ არმაზციხის ნაგებობათა სამშენებლო-არქიტექტურული ნაწილის მინერალურ შედგენილობას (არქიტექტურული დეტალები და ორნამენტი შესრულებულია კირქვის ტიპის კარბონატული ქანის გამოყენებით, რომლის სისალე მოოსის სკალით 3-4 ერთეულია), მისი დამუშავება შესაძლებელი იქნებოდა გამოკვლევული იარაღის საშუალებით, მათი დიფერენცირებული დანიშნულების და ფუნქციის შესაბამისად” (გ. ინანიშვილი, ბ. ამაღლობელი).

ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია სანოლის-კლინეს? თუ სავარძლის ფეხისა და სახელურის ნაწილი (ტაბ.VII, ინვ. 575, 576; რესტავრატორები: ნ. თავართქილაძე

და თ. ფარჯანაძე). ანალოგიური ნივთები (დამზადების ტექნიკით და მორთულობით) გავრცელებულია ელინისტურსა და რომაულ ხანაში. კერძოდ, მსგავსი არტეფაქტები აღმოჩენილია თანამედროვე იტალიაში-უმბრიაში ადგილ ფონტევილში, მე-3 სამარხში. იგი სანოლის ბრინჯაოს ფეხებად არის მიჩნეული [Gens antiquissima Italiee. Antichita dall'Umbria a Leningrado, 1990:298-323 ]. ღრუ ქუსლი ჩამოსხმულია და დამუშავებულია დაზგაზე. სიმაღლე- 12,7 სმ. (პერუჯის ნაციონალური მუზეუმი. ინვ. 104784/43).

სათავსებში აღმოჩენილი მასალა დამახასიათებელია ზოგადად ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პირველი საუკუნეების ძეგლებისათვის. ამიტომ, მისი არსებობის ხანა ამვე პერიოდით უნდა განისაზღვროს. ხოლო ძეგლის განადგურება ახ.წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო [ნიკოლაიშვილი ვ. 1993 და 1996წწ]

2011-12წლებში გაგრძელდა სამუშაოები „სვეტებიანი დარბაზის“ დასავლეთით, ახლადგამოვლენილი ნამოსახლარის შესასწავლად. 150 მ<sup>2</sup> ფართობზე (ნაკვ. 438<sub>12</sub>, 481<sub>3,6,9,12</sub>, 524<sub>3</sub>), მიწის აწინდელი ზედაპირიდან 150-180 სმ-ზე, ძირითადად ორი სამშენებლო პერიოდის კუთვნილი შენობები გამოვლინდა:

1) ზედა ფენის ორი ნაგებობა (სახლი №3 და №4) ქვატეხილებითა და ქვათლილებით არის ნაგები და 80 სმ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი (ტაბ. VIII<sub>1</sub>). ის ძირითადად ახ.წ. IV-V სს-ის მასალების (კერამიკა) შემცველია. სანიმუშოდ აღვწერთ ზედა ფენის ერთ-ერთ (№3) ნაგებობას.

**სახლი №3** (ნაკვ. 481<sub>12</sub> და 524<sub>3</sub>; ტაბ. VIII<sub>1</sub>)

№3 სახლი II სამშენებლო პერიოდს ეკუთვნის (ზევიდან I სამშენებლო ჰორიზონტი). ის ნაგებია ქვატეხილებითა და ნაწილობრივ ქვათლილებით (შემორჩენილია 80 სმ-ის სიმაღლეზე). სახლი ძირითადად O-W ხაზზეა დამხრობილი და პირიმხარით აღმოსავლეთით, ე.ი. საფასადო მხარე აღმოსავლეთიდან ჰქონია (ამჟამად ნაწილობრივ დაზიანებულია. განაზომები: 550×260 სმ). დასავლეთის

კედელი ნაგებია ქვატეხილით, რომელსაც ზოგან თიხის ფილებიც ურევია. შემორჩენილია 7 რიგი. შემტკიცებულია თიხა-მინით. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში — პირველ რიგში სამი ქვათლილია ჩანყობილი (ზომები: 50×50 სმ; 43×50 სმ; 48×50 სმ). კედლის სიგანე საშუალოდ 70-80 სმ-ია. ზურგი მხარე მიწის პირად ჩანს ამოშენებული. ჩრდილოეთის კედელიც ქვატეხილითაა ნაგები და შემორჩენილია 60 სმ-ის სიმაღლეზე. მისი სიგრძე 300-400 სმ-ია; სიგანე — 70-75 სმ. ჩრდილოეთის კედელზე მიდგმულია პარალელური კედელი. ისიც ქვატეხილით არის ნაგები და შემორჩენილია 35 სმ-ის სიმაღლეზე. სამხრეთის კედლის ქვედა რიგში გამოყენებულია ქვათლილები. იგი 150 სმ-ზე გრძელდება SW კუთხიდან, შემდეგ კი საკარე ღიობია 115 სმ-ის სიგანის. კარი ეზღინება სახლის აღმოსავლეთით მდებარე ტიხარს (ამ ვარაუდს აძლიერებს ჩრდილოეთის კედელი, რომელიც სცილდება ტიხარს და აღმოსავლეთით ვრცელდება). სამხრეთი კედლის სიგანე 60 სმ-ია. აღმოსავლეთი გამტიხრავი კედელი - 570 სმ-ზეა შემორჩენილი. იგი დასავლეთის კედლიდან 170 სმ-ზე მდებარეობს. ტიხარშიც - 5 ნაწილში საკარე ღიობია გაჭრილი (სიგანე - 110 სმ). საკარე ღიობის ორივე მხარეს თითო ქვათლილია ჩადგმული (ზომები: 45×40×30 სმ.). სატიხრე კედლის სიგანე 40 სმ-ია. იგი დაზიანებული ჩანს N ნაწილში. თიხატკეპნილი იატაკზე კრამიტის ნატეხებია მიმობნეული, რომელთა შორის თიხის ფილის ნატეხებიც ურევია. კრამიტები როგორც სტანდარტული (სიგრძე - 48 სმ, ილღია - 9 სმ), ასევე დამცრობილი ზომისაა (სიგრძე - 37 სმ, ილღის სიმაღლე - 6 სმ). სახლის გადახურვისას გამოყენებული ჩანს ქვედა სამშენებლო ჰორიზონტის კრამიტები. კულტურული ფენის გამოსავლენად №3 სათავსის შუა ნაწილში გავავლეთ თხრილი (240×170 სმ), რომელშიაც გამოვლინდა ადრეული პერიოდის ქვათლილები. ორ-ორი ქვათლილი პარალელურად არის ჩადგმული — 180 სმ-ის დაშორებით (ზომები: 80×55×45 სმ; 85×50×45 სმ; 80×53×45

სმ; 82x60x45 სმ.). ეს ქვათლილები თითქოს დასავლეთით არსებული კომპლექსისკენ მისასვლელს წარმოადგენს. იგი დასავლეთით გვიან გაჭრილი სამეურნეო ორმოს (დმ. — 110 სმ.) უნდა დაეზიანებინა. ქვათლილები ზედა ორი სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობებზე ადრეული ჩანს.

№3 სახლის სამხრეთ კედელში გაჭრილი საკარე ღიობის მეშვეობით №4 სათავსში გავდივართ.

2) ქვედა — მეორე სამშენებლო პერიოდის ხუთი ნაგებობის წინა-საფასადო ნაწილი გამოიკვეთა (სახლი №№ 1,2,5,6,7,8).

2013 წელს კი - თითქმის სრულად გამოვლინდა №№ 1,2,5,6,7 სახლები. მათგან დასავლეთით კიდევ სამი სახლი აღმოჩნდა (№№ 9,10,11), რომლებიც დასავლეთით - ნაწილობრივ გაუთხრელ ფართობში შედის(ტაბ. III, VIII<sub>2</sub>-IX<sub>1</sub>). ვაქვეყნებთ ერთ-ერთი კარგად დაცული სახლის (№2) აღწერილობას.

**სახლი №2** (ნაკვ. 481<sub>1,5,6</sub>; ტაბ. III, VIII<sub>2</sub>, IX<sub>1</sub>) პირველი სახლის სამხრეთით მდებარეობს და ოთხივე კედლით არის წარმოდგენილი. საფასადო მხარე აღმოსავლეთით აქვს ორიენტირებული. მისი ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გაჭრილია საკარე ღიობი (სიგანეა - 1,30 სმ). ამ კედლის სიგრძე 5,90 მ-ია. ის №1 სახლის სამხრეთით მდებარე საზიარო კედელია. დასავლეთის კედლის სიგრძე 6,65 მ-ია, ხოლო აღმოსავლეთი - პარალელური კედლისა - 6,55 მ. კედლების სიგანე საშუალოდ 0,80 მ-ია. აღმოსავლეთი კედლის გასწვრივაც - სამხრეთის კედელში საკარე ღიობია გაჭრილი (სიგანე - 1,15 მ), სამხრეთით მდებარე №5 სახლში გასასვლელად. ყველა კედელი ქვის ერთრიგა საფუძველზე ალიზით არის ნაგები (ზომები: 52x52x12-14 სმ ან მისი ნახევარი). ალიზის კედლების საფუძველი დიდი ზომის ქვატეხილებით (ზომები: 60x40; 45x30; 60x34; 75x50; სისქე - 5-7 სმ) ერთ რიგად და ორ მწკრივად არის ნაწყობი. შუა ნაწილი შევსებულია წვრილი ქვებითა და ზოგან კრამიტის ნატეხებით. კედელზე ალიზისწყობის 4-5 რიგია შემორჩენილი - 60-70 სმ-ის სი-

მაღლეზე. N და S კედლებიც დაახლოებით ამ სიმაღლეზე შემორჩა.

იატაკზე ჩაქცეული კრამიტყრილიდან დაითვლება 47 ბრტყელი და 30 ღარიანი კრამიტი. მეორე სახლის განაზომებია: 6,65x5,30 მ, ე.ი. სულ. 35,2 მ<sup>2</sup>.

ამრიგად, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით - 35 მ-ის სიგრძეზე ორ რიგად განლაგებული 8 სახლი გამოვლინდა (№№ 1,2,5,6,7- პირველ რიგში და №№ 9,10,11 - მეორე რიგში), რომლებიც ერთ დონეზეა გამართული, ერთნაირი ტექნოლოგიითაა ნაგები და ერთი ტიპის კრამიტითაა გადახურული. ყველა სახლი ერთმანეთთან საკარე ღიობებით - გასასვლელებით არის დაკავშირებული და ბუნებრივია, ისინი სინქრონულია- ერთ დროს ფუნქციონირებდა.

იქ აღმოჩენილი მწირი მასალა საფუძველს გვაძლევს ეს სახლები ერთი არქიტექტურული კომპლექსის ნაწილებად მივიჩნიოთ და ზოგადად II-III სს-ით დავათარილოთ. ხოლო მისი განადგურება შეიძლება უფრო კონკრეტულად IV საუკუნის დასაწყისში ან პირველ ნახევარში ვივარაუდოთ. ამ თარიღს მხარს უჭერს ნამოსახლარის სხვადასხვა სახლებში აღმოჩენილი არტეფაქტები: ასე მაგალითად: პირველი სახლის კრამიტყრილის ქვეშ გამოვლენილი ყელწიბოიანი ხელადის (ტაბ. XI, ინვ.663) ანალოგიური თიხის ჭურჭელი აღმოჩენილია ქართლის გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე [ლომთათიძე გ. 1977: 34-37, ტაბ. XIII; ნიკოლაიშვილი ვ. 1993: ტაბ. XXXI<sub>2</sub>; ბრაგვაძე ზ. 2000: ტაბ. VII<sub>2,6</sub>]. მეექვსე სახლში აღმოჩენილი ბავშვის სათამაშოს ნატეხის (ინვ.670) მსგავსი კარგად დაცული ნაკეთობა აღმოჩენილია მცხეთაში — მცხეთის გორის IV-V სს-ით დათარიღებულ ფენაში [აფაქიძე ან., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ. 1978: 63-64]. იქვე, №6 სახლის ჩაქცეული სახურავის კრამიტყრილში აღმოჩნდა მინის სანელსაცხებლე (ტაბ. XI, ინვ.667), რომლის მსგავსი მინის ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე

[საგინაშვილი მ. 1970: სურ. 96-122; 126-153]. აგრეთვე, ამავე პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე [ლომთათიძე გ. 1977:32-33, ტაბ. XI]. ამ თარიღს მხარს უბამს აგრეთვე, კრამიტები, რომლითაც გადახურულია უკლებლივ ყველა ნაგებობა. ისინი ტიპოლოგიურად სწორედ II-III სს-ში არის გავრცელებული [ძნელაძე მ.1987].

№10 და №11 სახლის იატაკის ჩაჭრის შემდეგ აღმოჩნდა ადრეული კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა ნითლად და შავად გამომწვარი ქუსლიანი ჯამებისა და პირმოყრილი ბრტყელძირა ჯამების ნატეხებს (ტაბ. XI, ინვ. 679,681,683). ეს ფენა ადრეულ ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ტიპის ჯამები - ქუსლიანი და ბრტყელძირა - დამახასიათებელია ძვ.წ. II-I სს-ის ძეგლებისათვის. მაგალითად, ორივე ტიპის ჯამები, როგორც ნითლად ანგობირებული, ასევე შავპრიალა, გვხვდება სამთავროს სამაროვანზე, კერძოდ, ქვევრსამარხებში [Иващенко М. 1945:109-127].

№11 სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, სამხრეთის კედელში ჩაჭრილია თონე (დმ - 60 სმ, შემორჩენილი სიღრმე - 60 სმ), რომელიც კრამიტის ნატეხებითა და ნაცრით იყო შევსებული. გარშემო აღმოჩნდა თიხატყეპნილი იატაკის ნაწილი, რომელიც ზედა დონის ნაგებობის ნაშთი უნდა ყოფილიყო. იქ აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ბრინჯაოს ბუდეაბმული მშვილდსაკინძი. იგი IV ს-ით თარიღდება [აფხაზავა ნ. 1979:12-13]. ეს თონე და მასთან დაკავშირებული იატაკის ნაშთი წარმოადგენს *terminus ante quem*-ს № 11 სახლისათვის და ზოგადად ამ სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობებისათვის.

გარდა ამისა, გამოვლინდა ქვატეხილით და რიყის ქვით ნაგები სახლი №12, რომელიც უშუალოდ №6 ნაგებობაზე ჩანს გამართული და დაკავშირებულია „ორსენაკიანი ნაგებობის“ სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან (ტაბ. IX<sub>2</sub>).

გვიანდელი ნაგებობის (№ 12) სამხრეთ

კედელში, აგეთვე, ნამოსახლარის იატაკის გამოვლენისას აღმოჩნდა კარბონატული კირქვისგან გამოთლილი არქიტექტურული დეტალები (ხბოს გამოსახულებიანი პროტომა, ხარის თავის გამოსახულება, აკროტიერიონი, კაპიტელის(?) ნაწილი) (ტაბ. X, ინვ.675, 676, 677). აღნიშნული არქიტექტურული დეტალები, იქვე ადრე გამოვლენილ ლომის გამოსახულებიან ფრიზთან ერთად, როგორც ჩანს, უფრო ადრეული ნაგებობის ფასადს ამკობდნენ. აღნიშნული ფრიზი გვიანელინისტური ხანით დათარიღდა [აფაქიძე ან. კალანდაძე აღ., ნიკოლაიშვილი ვ. 1978: 55].

“სვეტებიანი დარბაზის” ჩრდილოეთით გამოიკვეთა ქვათლილებით ნაგები კედელი, რომელშიც გაჭრილია საკარე ლიობი. იგი, როგორც ჩანს, “ორსენაკიანი ნაგებობის” ქვეშ არსებული ქვათლილებიანი ნაგებობის კომპლექსს უკავშირდებოდა. აღნიშნული კედელი საკარე ლიობის შემდეგ დასავლეთით გრძელდება და ქვათლილების ერთრიგა წყობით რელიეფს მიუყვება, შემდეგ მეორე ტერასაზე არსებული ნამოსახლარის ქვეშ შედის (ნაკვ.438<sub>1,2</sub>). უფრო გვიან - ამ კედელზე ბრტყელი, არასტანდარტული კრამიტებით სანიაღვრე გაუმართავთ (ტაბ. XII).

არმაზციხეზე უკანასკნელ წლებში ჩატარებული გათხრები ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გაცხოველებულ კონტაქტებზე, რომელიც ჰქონდა ქართლის სამეფოს (იბერიას) ანტიკური ცივილიზაციის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი რომის ძლიერ სახელმწიფოსთან.

## ლიტერატურა:

**აფაქიძე ან. 1963:** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში.

**აფაქიძე ან., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ. 1978:** მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში - მცხეთა II, თბილისი.

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ. 1999:** არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე. - III სამეცნიერო სესია. — 1998 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ანგარიშები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქ. ინსტიტუტი, გვ. 11-15.

**აფაქიძე ან., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ, ლეკაშვილი დ, გიუნაშვილი გ, რჩეულიშვილი მ, სინარულიძე ა. 2001-2002:** მცხეთაში - პარკის ტერიტორიაზე 2002 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები. - სვეტიცხოველი III. მცხეთა — 2002.

**აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ირემაშვილი შ., ნონეშვილი ა., ხეცურიანი ლ., გავაშელი ე. 2004:** მცხეთის ექსპედიცია. — საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში, მოკლე ანგარიშები, გვ. 70-72.

**აფხაზავა ნ. 1979:** ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი.

**ბედუაძე ს. 1961:** ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი (ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). - სსმმ, ტ. XXII-B, VI სამეცნიერო სესია, ანგარიშები, თბილისი, გვ. 69-75, ტაბ. IV.

**ბრაგვაძე ზ. 2000:** რგანის სამაროვანი. — არქეოლოგიური ჟურნალი I, თბილისი.

**გამყრელიძე გ. 1987:** წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში. — სმა. მაცნე, ისტ. არქ. სერია, №1, გვ. 97-117.

**გამყრელიძე გ. 2010:** ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, — "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", თბ.

**ლომთათიძე გ. 1977:** საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა, თბილისი.

**ნიკოლაშვილი ვ. 1993:** კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახელება, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1996:** არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე - „ძეგლის მეგობარი“, № 4, თბ.

**ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1998:** არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე. - მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის II სამეცნიერო სესია, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ. 2011:** არმაზციხე — ქართლის სამეფო რეზიდენცია, თბ.

**რეხვიაშვილი ნ. 1953:** ქვის საკოდი რკინის იარაღი. - სსმმ, ტ. XVII-B, თბ.

**საგინაშვილი მ. 1970:** ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ.

**ყაუხჩიშვილი თ. 2004:** საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ.

**ყიფიანი გ. 1993:** საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა, თბ.

**ძნელაძე მ. 1997:** საქართველოს ანტიკური ხანის სამშენებლო კერამიკული მასალები, თბ.

**Иващенко М. 1945:** Кувшинные погребения Грузии, ხელნაწერი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის მცხეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

**Нариманишвили Г. 1991:** Керамика Картли V- Iвв. до н.э., Тбилиси.

**Gens antiquissima Italie. Antichita dall'Umbria a Leningrado. 1990:** Древности Умбрии в Ленинграде. Electa Editori Umbria Associati, Perugia, 298-323.

**Roland Martin 1965:** Manuel D'arxitectur Grekoguees I, Materiaux et Techniges, Paris.

## ილუსტრაციების აღწერილობა:

**I.** არმაზციხე. სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. საერთო ხედი.

**II.** არმაზციხე: 1) სათავსები 1-4. ხედი სამხრეთიდან. წინა პლანზე – სათავსი №4; 2) სათავსი 1.

**III.** არმაზციხე. ე.წ. „სვეტებიანი დარბაზის“ დასავლეთით. სახლები 1-11. გეგმა და ჭრილები.

**IV.** არმაზციხე. 4 სათავსში აღმოჩენილი კერამიკა (ინვ. №№529, 531, 584, 585, 587).

**V.** არმაზციხე. სათავსების გამოვლენისას აღმოჩენილი დოქი (ინვ.555).

**VI.** არმაზციხე. №2-3 სათავსებში აღმოჩენილი რკინის ნივთები განმედამდე და კონსერვაციის შემდეგ: წერაქვები (ინვ. 647, 649), სატეხები (625, 626, 646), ჩაქურჩები (ინვ.641,642), პალო(ინვ.648), გამირი(ინვ.657).

**VII.** არმაზციხე. სათავსი 2. სავარძლის ფეხი და სახელურის ნაწილი (ინვ.575, 576).

**VIII.** 1) არმაზციხე. სახლი 3 და4; 2) სახლი 1, 2, 5, 6, 7,9,10,11- ხედი ჩრდილოეთიდან.

**IX.**1)არმაზციხე. იგივე სახლები- ხედი სამხრეთიდან; 2)სახლი 12.

**X.** არმაზციხე. არქიტექტურული დეტალები: ხარის გამოსახულება (ინვ.677), ხბოს პროტომა(ინვ.676) და აკროტერიონი(ინვ. 675).

**XI.** არმაზციხე. გვიანელინისტური ხანის კერამიკა (ინვ.679-683), გვიანანტიკური ხანის თიხის ჭურჭელი(ინვ.659-661,690), მინის სანელსაცხებლე (ინვ.667),ძვლის გარსაკრავი (ინვ.663).

**XII.** არმაზციხე. „სვეტებიანი დარბაზის“ ჩრდილოეთით გამოვლენილი ქვათლილებიანი კედელი, რომელშიც გაუმართავთ საკარე ლიობი-შესასვლელი.

NIKOLAISHVILI V. ...



II





1



2







1-1






# IV




V



# VI



# VII



# VIII



1



2

# IX




1



2

# X



# XI

01 - 2 - 667



01 - 2 - 679



01 - 2 - 681



01 - 2 - 670



01 - 2 - 680




01 - 2 - 683



01 - 2 - 682



01 - 2 - 686



01 - 2 - 659



01 - 2 - 661



01 - 2 - 660



01 - 2 - 663





# XII



1



2

## ქვემო გოსტიბეს სამაროვანი

1989-1991 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თეძმის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი — ზ. თორთლაძე, მონაწილეები: ა. სოხაძე, გ. აბულაშვილი, თ. ქემოკლიძე, დ. ჯმუხაძე, ე. ქუმსიაშვილი, გ. ქემოკლიძე, რ. ხომასურიძე). გოსტიბესა და მის შემოგარენში, საველე და სადაზვერვო სამუშაოების შედეგად ორი არქეოლოგიური ძეგლი აღმოაჩინა: 1. ზემო გოსტიბეს ადრეული შუა საუკუნეებისა [თორთლაძე ზ. 2006: 85-90] და 2. ქვემო გოსტიბეს გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნები.

გოსტიბე კასპის მუნიციპალიტეტის მთიანი სოფელია. ის მდინარე მტკვრის სამხრეთით, მცირე კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში ერთ-ერთი შტოს დაბოლოების, თრიალეთ-არჯვეანის ქედის ხეობაში (ზღვის დონიდან 1530-1600 მ სიმაღლეზე) მდებარეობს. ამ ქედით გოსტიბეს ხეობა ისტორიული თრიალეთის მაგისტრალური გზის ორ მნიშვნელოვან ადგილს, მანგლისსა და კლდეკარს აკავშირდება. მდ. გოსტიბესწყალი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება, სოფელს შუაზე ჰყოფს და რკონთან, ორ შენაკადად (ვიცხა და თეკნელა) მდ. თეძამს ერთვის. თანამედროვე დასახლება ორი სოფლისგან: ზემო გოსტიბესა და ქვემო გოსტიბესაგან შედგება (მათ შორის დაშორება 1, 5 კმ-ია).

თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გოსტიბეში წარმოებულ გათხრებს წინ, 1988 წელს ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოები უსწრებდა. ამ სამუშაოების მიზანი იყო იმ არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა და შესწავლა, რომლებიც ერთი მხრივ, სოფელში ახალი გზის გაყვანისას დაზიანდა, ხოლო მეორე მხრივ,

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიწის ზედაპირის არაერთგზის დამუშავებისას ნადგურდებოდა (მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ბარში იძულებით ჩასახლებული თეძმის ხეობის მოსახლეობის ნაწილი 1980-იან წლებში სოფ. გოსტიბეში უკან დააბრუნეს; სოფელი ზემო და ქვემო გოსტიბე ახალი საავტომობილო გზის ორივე მხარეს დასახლდა. გზის გაყვანამ და შემდგომში სამეურნეო მიწების პლანტაჟით დამუშავებამ არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი მრავალი კულტურული ფენა გაანადგურა, არქეოლოგიური ძეგლები საგრძნობლად დააზიანა, ზოგიც სრულად მოსპო. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, რომელიც 1988 წელს გახდა ჩვენთვის ცნობილი, მიწის სამუშაოების შესრულებისას ზედაპირზე იყრებოდა დიდი რაოდენობით რიყის ქვები და ფილაქვები, ადამიანთა ჩონჩხის ძვლები, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, მონეტები, თიხისა და მიწის ჭურჭლის ფრაგმენტები. ნივთების დიდი ნაწილი დაიკარგა, ნაწილი - კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. 1988 წელს აუცილებელი გახდა სასწრაფო არქეოლოგიური გათხრები, რა მიზნითაც შეიქმნა თეძმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია). ზემო და ქვემო გოსტიბეში ექსპედიციის მიერ წინასწარ ჩატარებულმა საძიებო სამუშაოებმა ორმოსამარხი და ქვაყუთები გამოავლინა, რამაც იქ სამაროვნების არსებობა დაადასტურა.

ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლი მდ. გოსტიბესწყლის მარჯვენა მხარეს, ხელოვნურად გადაჭრილი ბორცვის მოსწორებულ ველზე მდებარეობს. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა გორაკია, რომელიც, სავარაუდოდ, ადრეული ხანის გორა-ნამოსახლარი უნდა ყოფილიყო. ამის მაჩვენებელია გორასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამონარეცხი, ზედაპირულად

აკრეფილი მასალა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის კაჟისა და ობსიდიანის ანატაკეციები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ძველის ზედა კულტურული ფენა დაზიანებული და თითქმის განადგურებული დაგვხვდა (ნლების განმავლობაში ეს ტერიტორია საქონლის სადგომად გამოიყენებოდა; 80-იან ნლებში ის ღრმა პლანტაჟით დამუშავდა; მოსახლეობის ინფორმაციით მინის ზედაპირზე ხშირად ჩნდებოდა ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები და ძვირფასი ლითონის ნივთები (ოქროს საკიდი, საყურეები, ბეჭედი. სამნუხაროდ, ნივთები დაიკარგა). ძველზე ზედაპირულად აკრეფილმა არქეოლოგიურმა მასალამ, ძირითადად სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭლის ნატეხებმა და ნივთებმა, სავარაუდოდ, ნამოსახლარის კვალი გამოავლინა. სამნუხაროდ, ეს ფენა იმდენად იყო განადგურებული, რომ ვერ მოხერხდა მისი სათანადოდ შესწავლა.

წინამდებარე სტატიის მიზანია ქვემო გოსტიბეს სამაროვნის მასალების შესწავლა. ჩვენ მიერ გავლებულ თხრილში, რომლის საერთო ფართობი 464 კვ. მ-ია (29×16 მ), სულ 30 სამარხი გაითხარა, მათგან 19 ქვაყრილიანი ორმოსამარხია (1-7,15-26), 8 - ქვაყუთი (8,9,9\*, 10,11,12, 12\*,27) და 3 - ფილაქვებით გადახურული ორმოსამარხი (13,14,14\*). სამარხები სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ (1-7,13,14,14\*,15-20) და ჩრდილო-აღმოსავლეთ (8,9,9\*,10,11,12,12\*,21-27) ნაწილშია კონცენტრირებული (ტაბ. I). ინვენტარს თერთმეტი ქვაყრილიანი ორმოსამარხი (1,2,3,4,7,15,16,17,18,19,20) შეიცავს (ზემო და ქვემო გოსტიბეს სამაროვნის მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის არქეოლოგიურ და ნუმისმატიკურ კოლექციათა ფონდებში (საკოლექციო 1-2003)).

სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მინის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე ქვისგან ნაგები ძლიერ დაზიანებული, სავარაუდოდ, ქვატალახზე ნაგები კედელი აღმოჩნდა (კედლის ქვების დღევანდელი გან-

ლაგება, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით გლეხის სამოსახლოში გადადის, ძველის სამომავლო კვლევის პერსპექტივას ქმნის). ჩამოქცეული კედლის ქვების გროვაში დიდი რაოდენობით ნახშირი და თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლინდა. ფენაში აღმოჩენილი სხვადასხვა კერამიკული ფრაგმენტიდან აღსანიშნავია გამარმარილოებული კირქვისაგან დამზადებული ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (გეოქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქანი შედგება კალციტის, CaCO<sub>3</sub> კარგად გადაკრისტალეული მარცვლებისაგან. კალციტის კრისტალთა ზომა 0,4 – 1,4 მმ-ია. ასეთი ქანი სოფ. გოსტიბეს მახლობლად არსად არ გვხვდება). კედელი დასავლეთის მიმართულებით წყდება. ეს მონაკვეთი შესწავლილი ფართობის ყველაზე დაზიანებული ნაწილია. გარშემო მოფანტული ქვების გროვაში ნახშირის სქელი ფენა, ადამიანის ჩონჩხის, მსხვილფეხა საქონლის ძვლებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა; მათ შორის - დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ყელის ნატეხები. სავარაუდოდ, სამაროვნის ეს ნაწილი ამ კედლის მშენებლობისას უნდა დაზიანებულიყო. სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,38 - 0,4 მ სიღრმეზე, სავარაუდოდ საკულტო-სამეურნეო დანიშნულების (გეგმაში წრიული ფორმის) ხუთი ორმო აღმოჩნდა, მათ ზემოდან ქვაყრილი იყო. ორმოებში სხვადასხვა სიღრმეზე (1 - 1,75 მ) ცხოველთა ძვლების უმნიშვნელო ნაშთები და თიხის ჭურჭლის მცირე ფრაგმენტები გამოვლინდა; ორმოებში ნახშირის ფენაც ჩნდებოდა. მინის ზედაპირული დამუშავებისას, სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქვების გროვაში თანამედროვე მინის ზედაპირზე 0, 24 მ-ის სიმაღლეზე ოქროს მონეტა, იუსტინე II-ის სოლიდი (565-578 წწ) აღმოჩნდა; დაახლოებით 0,20 – 0,25 მ სიღრმეზე კი - ღია წითლად გამომწვარი სქელკეციანი (დაახ. 1 სმ-ის სისქის) ფრაგმენტირებული ქვევრი.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ

ნანილებში განლაგებულ სამარხებს შორის ბრტყელი ქვების ფილებისაგან შედგენილი დაზიანებული ნყოფა გამოვლინდა, რომელიც, სავარაუდოდ, ნაგებობის იატაკი უნდა ყოფილიყო. ფილაფენილი იატაკის მოსაწყობად ფილაქვები იყო გამოყენებული. იატაკი სრული სახით არაა შემორჩენილი, აკლია შუალედური და გვერდითი ქვები, თუმცა თავის დროზე იატაკი საგანგებოდ ყოფილა მოწყობილი. ფილაქვების ზომა და ფორმა სხვადასხვაა. იატაკის ზომაა: 3,6X2,45მ. მისგან სამხრეთ-დასავლეთით შემდეგი ორმოსამარხებია (№№1,2,3,4,5,6,7,15-20) განლაგებული:

**სამარხი №1** სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ უბანზე, I სადაზვერვო თხრილში, მიწის ამჟამინდელი ზედაპირიდან 0,18 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო. მისი სავარაუდო ზომაა: 1,8 X 1,67 მ; მიცვალებულის თავის ქალა მთლიანად იყო დაშლილი, ხოლო ფრაგმენტირებული ჩონჩხის ძვლები - ზედაპირზე გაფანტული და ქვების გროვაში არეული. ინდივიდის დაკრძალვის პოზა ვერ დგინდება. სამარხისეული ინვენტარი (ტაბ. II, 1-17) შემდეგია: ვერცხლის სამი ბეჭედი (1-3), ვერცხლის ხუთი საყურე (ფრაგ.) (4,5,6,7), ვერცხლის ილარი (8), ბრინჯაოს რგოლი (9), ქარვის თვალი (10), ვერცხლის მძივი (11) და სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (სარდიონი, მინა, გიშერი) (12-17); (საკოლექციო №1-2003:1-17).

**სამარხი №2** აღმოჩნდა №1 სამარხის აღმოსავლეთით, მიწის ზედაპირიდან 0,24 მ სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული იყო, თუმცა ქვების განლაგების მიხედვით ისიც ქვაყრილიანი ორმოსამარხი უნდა ყოფილიყო; მისი ზომაა: 1,25 X 0,58 მ; სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა; თავის ქალა ჩონჩხს 0,42 მ-ით იყო დაშორებული. ძვლების ფრაგმენტები გარშემო მიმოფანტულ ქვებში იყო არეული. ჩონჩხიდან სამხრეთით 0,5 – 0.6 მ. მანძილზე მოჩალისფრო თხელკეციანი და მუქნითლად გამომწვარი სქელკე-

ციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლინდა; ჩონჩხის მარცხენა კიდურთან ოქროს ბეჭედი (18) იდო, მარჯვენა კიდურის თითზე მიცვალებულს ვერცხლის ბეჭედი (20) ეკეთა; მკერდის გასწვრივ ვერცხლის გემიანი ბეჭედი (19) და სამაჯური (21) ელაგა; ჩონჩხის გარშემო მიწის სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (№22-25) იყო მოფანტული (1-2003:18-25); (ტაბ. II, 18-25).

**სამარხი №3** აღმოჩნდა №2 სამარხის სამხრეთით მიწის ზედაპირიდან 0,45 მ სიღრმეზე. სამარხი ნანილობრივ დაზიანებული იყო. მისი ზომაა: 1,25X0,8 მ; სამარხში თავით აღმოსავლეთით ორი მიცვალებული კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა: ერთი - მარჯვენა გვერდზე, მეორე კი - მარცხენაზე; პირველი ჩონჩხის თავისა და კისრის გარშემო მიწის სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (ტაბ. III, 7-22) იყო მოფანტული, მიცვალებულს მარჯვენა მაჯაზე ვერცხლის სამაჯური (ტაბ. III, 6-22) ეკეთა (1-2003:26-43).

**სამარხი №4** აღმოჩნდა №2 და №3 სამარხების აღმოსავლეთით, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე. მისი ზომაა: 0,8X0,6 მ სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი (ტაბ. IV, 1) იდო, ყბის ძვალთან – ვერცხლის ფრაგმენტირებული ბეჭედი (1-2003:44,45).

**სამარხი №5** აღმოჩნდა №№1 და 2 სამარხების გასწვრივ, აღმოსავლეთით, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული იყო, ორმო ავსებული - მიწითა და რიყის ქვებით, რომელშიც შერეული იყო ადამიანის ძვლები და ნახშირი. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,1 მ სიღრმეზე სხვადასხვა ფერისა და სისქის თიხის ჭურჭლის ნატეხები და მსხვილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა. სამარხის ზომა 1,25 მ-ის სიღრმეზე 1,5X1,35 მ-ია. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №6** ზემოაღწერილი სამარხების აღმოსავლეთით მიწის ზედაპირიდან 0,45 მ

სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხზე ქვაყრილი იყო გამართული, რომელშიც ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები გამოვლინდა; ქვების რაოდენობა სამარხის სიღრმეში მატულობდა; ისინი შიგ ჩაცვნილი უნდა ყოფილიყო; სამარხში მიწის ზედაპირიდან 0,57 მ სიღრმე-სა და 4X3,8 მ ფართობზე მარცხენა გვერდზე დასვენებული ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა. ის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. ქვები დიდი რაოდენობით ცხენის თავის ქალის გარშემო იყო მოგროვებული. ჩონჩხის პრეპარაციის შედეგად დადგინდა, რომ ცხენის თავის ქალა ჩონჩხზე იყო დასვენებული. სამარხში ქვებთან ერთად გამოვლინდა: ნახშირის ფენა, ღია მონითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები და წვრილფეხა ცხოველისა და ფრინველის ძვლები. ორმოსამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №7** აღმოჩნდა №6 სამარხის სამხრეთით 0,4 მ დაშორებით მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე. მისი ზომაა: 1,47X1,25 მ. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. ჩონჩხის თავისა და კისრის გარშემო სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (სარდიონი, გიშრი, მინა და პასტა) იყო მოფანტული (ტაბ.V,7,8,9,13); თავის ქალას უკან, თხემთან – ვერცხლის ილარი იდო (ტაბ. V,5), თავთან - ვერცხლის წყვილი საყურე (ტაბ. V,3); ყბასთან - ვერცხლის მონეტა, გოტარზეს დრაქმა, გულმკერდის არეში – ბრინჯაოს ოთხი საკიდი: ორი - ცხოველის სკულპტურული გამოსახულებით (ტაბ.V,1) და ორიც - ოვალური ფორმის, ბოლოზე მირჩილული კოპით (ტაბ.VI,7,8); ჩონჩხის მარცხენა მაჯაზე ვერცხლის სამაჯური აღმოჩნდა (ტაბ.V,11) თითზე ვერცხლის მირჩილულთვალბუდიანი ბეჭედი გემა-ინტალიოთი, ეროსის გამოსახულებით (ტაბ.V,17). წელის არეში შემდეგი ინვენტარი გამოვლინდა: ბრინჯაოს ხუთი ზარაკი (ტაბ.VI,1,2,4,5,6), ბრინჯაოს ჭვირული ბალთა და ბრინჯაოს რგოლი (ტაბ. IV,2), იქვე - აქატის მძივი, შიგ გაყრილი ბრინ-

ჯაოს ხვით; ასევე - მიწის, ლურჯი ფერის თოთხმეტნახნაგოვანი მძივი და რკინის ნივთის ფრაგმენტი (ტაბ.V,2,10,12); ბალთის ქვეშ - ბრინჯაოს ზარაკი ენის ნაშთით (ტაბ. VI,3) და ვერცხლის ფიბულა (ტაბ. V, 4); ფეხებს შორის ვერცხლის მონეტა, ავგუსტუსის დენარი იდო. მიცვალებულს თავის ქალასთან თიხის სამი ჭურჭელი ედგა: ორი ხელადა და ცალყურა ქოთან; ერთ-ერთ ხელადასთან ოვალური ფორმის სარდიონის თვლიანი ვერცხლის ბეჭედი აღმოჩნდა (1-2003:46-75); (ტაბ.V,6,14,15,16).

**სამარხი №8** ფილაქვებისაგან კარგად შეკრული ქვაყუთი სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე, ნაგებობის ფრაგმენტირებული კედელიდან 0,45 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (სამარხები №№8,9,9\*, 10, 11, 12, 12\*, 27 სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩნდა. ისინი ქვაყუთებია). სამარხი 8 სამი ფილაქვით იყო გადახურული; ქვაყუთის გვერდითა კედლები სქელი და მასიური ფილაქვებია, თავსა და ბოლოში კი – თხელი; თავთან ქვა გატეხილი იყო, შუა ქვა - დაძრული პირვანდელი მდგომარეობიდან. სამარხის ზომაა: 2,1X1 მ. ქვაყუთის მოტკეპნილ და მოსუფთავებულ იატაკზე ორი მიცვალებული თავებით აღმოსავლეთით ესვენა. პირველის ჩონჩხი (ზომით 1,7 მ) კარგად იყო დაცული; მიცვალებულს თავი მარჯვნივ ჰქონდა მიბრუნებული, ის გულაღმა ესვენა, ხელები მუცლის არეზე ჰქონდა დაწყობილი; მეორე ჩონჩხი, ძლიერ დაზიანებული, კი მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში იყო დასვენებული. ქვედა კიდურები მიწაში იყო ჩაშლილი. სამარხში რკინის ნაშთი და მცირე ზომის მიწის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

**სამარხი №9** ნაგებობის ფრაგმენტირებული კედლიდან 0,84 მ დაშორებით მიწის ზედაპირიდან 0,45 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყუთი სამი ფილაქვით იყო გადახურული, მათგან - შუა ქვა დაძრული და შუაზე გაბზარული. ქვაყუთის იატაკად მოტკეპნილი, მოსუფთავებული მიწა იყო გამოყენებული,

რომელზედაც ოთხი მიცვალებული თავებით აღმოსავლეთით ესვენა: პირველი - გულაღმა, თავი მარცხნივ ჰქონდა მიბრუნებული, ხელები მუცლის არეზე ჰქონდა დაწყობილი; მეორე - მარჯვენა მხარეს კიდურებმოკეცილ პოზაში; ორი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში ზემოდან იყო დასვენებული. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №9\*** ნაგებობის კედლიდან ჩამოქცეული ქვების გროვაში №9 ქვაყუთის ჩრდილოეთით, მიწის ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო. მასში მცირეწლოვანი ბავშვის ფრაგმენტული ჩონჩხი და მიწაში ჩაშლილი პასტის მძივი გამოვლინდა.

**სამარხი №10** მიწის ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. დაზიანებულ ქვაყუთს გადახურვის ქვა აკლდა; თავთან ფილაქვა დამტვრეული იყო. მისი ზომაა: 2X0,63 მ. სამარხში ორი მიცვალებული თავით აღმოსავლეთით ესვენა; პირველის ჩონჩხიდან მხოლოდ თავის ქალა და ჩონჩხის მცირე ფრაგმენტები შემორჩა; ის, სავარაუდოდ, მარცხენა გვერდზე ესვენა; მასზე ზემოდან მეორე მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ პოზაში იყო დასვენებული. სამარხში მიწაში ჩაშლილი მონითალო ფერის თიხის ჭურჭლის მცირე ნატეხები დაფიქსირდა.

**სამარხი №11** მიწის ზედაპირიდან 0,43 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ის მასიური, უხეშად დამუშავებული სამი ფილაქვით იყო გადახურული; თავსა და ბოლოში ქვაყუთის კედლები თითო-თითო ქვისგან იყო შედგენილი; თავთან მდებარე ქვა გაბზარული იყო; გვერდითი კედლები ორ-ორი თანაბარი ფილაქვისგან შედგებოდა. სამარხის ზომაა: 2,15X0,86 მ. ქვაყუთში მიცვალებული (სიგრძით 1,68 მ) გულაღმა ესვენა; თავის ქალა ფუძეში იყო მოტეხილი და წინ გადმოვარდნილი, ხელები გულმკერდის არეზე ჰქონდა დაწყობილი. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №12** მიწის ზედაპირიდან 0,45 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყუთის გადახურვის ფილაქვები დაძრული იყო პირვანდელი

მდგომარეობიდან. კედლებად თავსა და ბოლოში თითო-თითო ფილაქვა იყო გამოყენებული. გვერდით კედლებად კი - სამ-სამი. სამარხის ზომაა: 2,25X0,7 მ. ქვაყუთში ორი მიცვალებული თავით აღმოსავლეთით ესვენა; ერთი - გულაღმა, ხელები გულმკერდის არეზე ჰქონდა დაწყობილი, თავი ოდნავ მარჯვნივ ჰქონდა მიბრუნებული; მეორე - კი გვერდზე იყო დასვენებული. სავარაუდოდ, ქვაყუთში მეორად დამარხვას ჰქონდა ადგილი. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №12\*** ნაგებობის კედლის ნანგრევებში, მიწის ზედაპირიდან 0,45 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ფრაგმენტირებული, მცირე ზომის ქვაყუთიდან, მხოლოდ დაზიანებული თავის ქალა შემორჩა. ქვაყუთის სავარაუდო ზომაა: 0,55X0,3 მ. ჩონჩხის ძვლების ფრაგმენტებსა და ნახშირის ფენაში შავი ფერის თიხის ჭურჭლის სამი ნატეხი და მონითალო ფერის თიხის ქოთნის ყელის ფრაგმენტი ამოიკრიფა.

**სამარხი №13** ზემოაღწერილი ქვაყუთების დასავლეთით აღმოჩნდა (№№13,14,14\* სამარხები ფილაქვით გადახურული ორმოსამარხებია, რომლებიც ორი უბნის - ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთის მიჯნაზე მდებარეობენ). ორმოსამარხს სახურავად სქელი, მასიური, კუთხეჩამოტეხილი ერთი ფილაქვა ეფარა. მისი ზომაა: 1,7X0,8 მ. სამარხში მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარცხენა მხარეს კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. თავის ქალა ტანისგან 0,2 მ-ით იყო დაცილებული. სამარხში ოფსიდიანის რამდენიმე დაუმუშავებელი ნატეხი და მსხვილფეხა საქონლის ძვლები გამოვლინდა.

**სამარხი №14** მიწის ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ორმოსამარხი სამი თანაბარი ზომის ფილაქვით იყო გადახურული. ქვები ადგილიდან იყო დაძრული. ორმოსამარხის ზომაა: 1,32X0,74 მ. სამარხში მიცვალებული ჩრდილო-დასავლეთით დამხობილი, დამჯდარ პოზაში იყო დაკრძალული, თავის ქალა ფეხის კიდურებთან იდო. ხელის

კიდურები ტანის გასწვრივ ეწყო. სამარხის ზომაა: 1,43×0,43 მ. ჩონჩხის გარშემო მსხვილფეხა საქონლისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გამოვლინდა.

**სამარხი №14\*** მინის ზედაპირიდან 0,35 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მნიშვნელოვნად დაზიანებული სამარხი, სავარაუდოდ ორმოსამარხი, ფილაქვით დახურული უნდა ყოფილიყო, მსგავსად №№13,14 სამარხებისა. მისი ზომაა: 3,4×2,2 მ. კარგად გასუფთავებულ და დატკეპნილ მიწაზე სამი მიცვალებული თავით აღმოსავლეთით ესვენა; ფრაგმენტულად დაცული ორი ჩონჩხი გამოტილ პოზაში იყო, ხელები წელის არესთან ჰქონდათ დანყობილი; ხოლო, ძალზედ დაზიანებული მესამე ჩონჩხიდან მხოლოდ თავის ქალა შემორჩა; ის ორ ჩონჩხს შორის იდო; სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №15** ქვაყრილიანი ორმოსამარხი მინის ამჟამინდელი ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. მისი ზომაა: 1,2×0,6 მ. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა მხარეს კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი იდო, კისრის მიდამოში სხვადასხვა ფორმისა და ზომის მინის მძივები იყო მოფანტული, იქვე ოთხნახნაგა ფორმის ვერცხლის საყურე აღმოჩნდა (ტაბ. VIII,2,5,6,7,8); გულმკერდსა და წელს შორის ბრინჯაოს ორი ზარაკი (ერთი ფრაგმენტირებული) იდო (ტაბ. VII,2); წელის არეში ბრინჯაოს ჭვირული ბალთა (ტაბ. VII,1) და ირმის გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდი იდო (ტაბ. VIII,1); მიცვალებულს მარჯვენა მარჯაზე ვერცხლის სამაჯური ეკეთა, თითზე – ვერცხლის ბეჭედი (ტაბ. VIII,3,4); პირის ღრუში ავგუსტუსის ვერცხლის დენარი აღმოჩნდა; ფეხის კიდურებთან – ვერცხლის ორი მონეტა, ავგუსტუსის დენარი და გოტარზეს დრაქმა (ინვენტარის კოლექციის №1-2003:76-89). ჩონჩხის თავის ქალასთან მუქ და ღია წითლად გამომწვარი თიხის ორი ჭურჭელი იყო. სამნუხაროდ, ისინი დაიკარგა (ექსპედიციის მუშაობის დამასრულებელი ეტაპი, 1991 წელი, ქვეყანა-

ში მიმდინარე პოლიტიკურ არეულობას დაემთხვა. ექსპედიციამ დაგეგმილი სავლე სამუშაო დროულად დაამთავრა, თუმცა კი ბაზის სასწრაფოდ დატოვება მოუხდა. ტრანსპორტის არ ქონის გამო ზედაპირულად აკრეფილი მასალის უმეტესი ნაწილი და №№15,17,18 სამარხებიდან მოპოვებული თიხის ჭურჭლები ადგილზე დარჩა. ჩვენი არყოფნის პერიოდში ბაზა დაარბიეს და გაძარცვეს).

**სამარხი №16** აღმოჩნდა №15 სამარხიდან აღმოსავლეთით, მინის ზედაპირიდან 0,45 მ-ის სიღრმეზე. მისი ზომაა: 1,4×0,8 მ. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა მხარეს კიდურებმოხრილი ესვენა; თავის ქალა დაზიანებული იყო, წელს ქვემოთ ჩონჩხი - ფრაგმენტირებული. მიცვალებულის კისრის მიდამოში მძივები (მინა, გიშერი) იყო მოფანტული; ყბის ძვალთან ვერცხლის მონეტა, გოტარზეს დრაქმა იდო; მარჯვენა ხელის თითებთან - ვერცხლის ბეჭედი; გულმკერდის არეში - რკინის რგოლი (ტაბ. IX,1-5). ჩონჩხის ალაგებისას თავის ქალის ქვემოთ ვერცხლის მონეტა, გოტარზეს დრაქმა აღმოჩნდა (№1-2003:90-97).

**სამარხი №17** მინის ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში ორი მიცვალებული თავებით აღმოსავლეთით ესვენა; ერთი ჩონჩხი - მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილ პოზაში; მისი თავის ქალის გასწვრივ მეორე ადამიანის მარჯვენა გვერდზე დასვენებული მოზრდილი თავის ქალა კისრის მალეების გარეშე იდო; პირველი მიცვალებულის თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი აღმოჩნდა; ყბასთან – ვერცხლის მონეტა - ავგუსტუსის დენარი და ვერცხლის საყურე (ფრაგმენტები). კისრის მიდამოებში სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები (მინა, პასტა) იყო მოფანტული. მიცვალებულს წელის არეში, ბრინჯაოს ჭვირული ბალთის ფრაგმენტი (ცენტრალური ცხოველის, ცხენის გამოსახულება) ბრინჯაოს ზარაკთან ერთად ახლდა; ფეხებთან ვერცხლის მონეტა, გოტარზეს დრაქმა იდო. პირველ ჩონჩხთან მუქ წითლად გამომწვარი

ორი თიხის ქოთანს ელაგა: ერთი – თავის ქალასთან და მეორე – ფეხებთან. მეორე ინდივიდის თავის ქალასთან ოქროს საყურე, პირის ღრუში – ვერცხლის მონეტა, ავგუსტუსის დენარი და ლეგაკეციანი თიხის ქოთანს აღმოჩნდა (№1-2003:98-107); (ტაბ. IX,6-11).

**სამარხი №18** მიწის ზედაპირიდან 0,6 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. სამარხის ზომაა: 1,7×0,9 მ. დაზიანებული თავის ქალის უკან, თხემთან, ვერცხლის ილარი (ტაბ. XII,18) იდო; ჩონჩხის ყბასთან შემდეგი ინვენტარი აღმოჩნდა: ბრინჯაოს ფიბულა (ტაბ. XI,6), ბრინჯაოს ნივთი ზედ მიკრული მძივებით, ვერცხლის ორი მონეტა - ავგუსტუსის დენარები, ვერცხლის წყვილი საყურე, პატარა ზომის, მილისებრი, დახვრეტილი კბილები და ძვლები, იქვე მძივები (სარდიონი, მინა, პასტა, გიშერი, მთის ბროლი) იყო მოფანტული (ტაბ. XII,1,4,9-17,19-22,24); მოხრილ მკლავთან - ბრინჯაოს ორნილადი ფიბულა (ფრაგმენტი) და ვერცხლის სამი ბეჭედი (ტაბ. XII,5-7). მიცვალებულს წელის არეში პირქვე დამხობილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთა და ბრინჯაოს რგოლი (ტაბ. X,1-2) აღმოაჩნდა; მიცვალებული ქსოვილზე იყო დასვენებული. მისი ნაშთი ბალთაზე იყო მიკრული. ბალთაზე შინდის კურკები და ყურძნის წიპნები იყო მოფანტული. ბალთასთან ორი მძივი აღმოჩნდა: ერთი აქატის - დიდი ნახვრეტით, შიგ ჩარჩენილი ბრინჯაოს სპირალურად დახვეული მილაკის ნაშთით, მეორე – საკიდის ფორმის (ტაბ. XII,8,23); ასევე - ბრინჯაოს ცხრა ზარაკი (ერთი ფრაგმენტირებული) (ტაბ. XI,1,3,4,5,7,8,9,10) და ბრინჯაოს ოთხი საკიდი იყო: 1) ბიკონუსური ფორმის, 2) გოფირებული - ორი დაბოლოებით, რომელზედაც რკინის გაურკვეველი ნივთი იყო მიკრული (ტაბ. XI,2,11), 3) სამფერდა, 4) ირმის გამოსახულებიანი (ტაბ. XII,2,3); ფეხებთან - ვერცხლის მონეტა - გოტარზეს დრაქმა. მიცვალებულს თავთან თიხის სამი ჭურჭელი ედო: მოჩაღისფრო ფერის ორი ხელადა და ერთი – მუქ

წითლად გამომწვარი ცალყურა ქოთანს (№1-2003:108-149).

**სამარხი №19** აღმოჩნდა №18 სამარხის სამხრეთით, მიწის ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე. სამარხის ზომაა: 1,54×0,7 მ. სამარხი დაზიანებული იყო. მასში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. თავის ქალის დაზიანებული ფრაგმენტები იქვე იყო მობნეული, ყბა მკერდამდე ჰქონდა ჩამოტანილი. ჩონჩხის ძვლებიდან ქვედა კიდურების მცირე ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. ინვენტარი შემდეგია: ორი დაზიანებული საყურე: ერთი – ბრინჯაოსი, მეორე - ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთი (ტაბ. III,1-3); (№1-2003:150-152).

**სამარხი №20** აღმოჩნდა №19 სამარხიდან სამხრეთით, 1 მ-ის დაშორებით, მიწის ამჟამინდელი ზედაპირიდან 0,38 მ-ის სიღრმეზე. ორმოსამარხის გადახურვა დაზიანებული იყო, ქვები გარშემო ეყარა. სამარხის ზომაა: 0,9×0,7 მ. სამარხი ორი მიცვალებულისთვის იყო განკუთვნილი. მათი ჩონჩხები ცუდად იყო დაცული, თავის ქალები - დაზიანებული. ორივე, სავარაუდოდ, თავით აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. მარცხენა მიცვალებულის თავის ქალა ჩონჩხის მკერდზე იყო დამხობილი. ინვენტარი შემდეგია: ვერცხლის ბეჭედი და გიმრის მძივები (№1-2003:153,154); (ტაბ. III,4,5).

**სამარხი №21** მიწის ზედაპირიდან 0, 35 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. ის ძლიერ დაზიანებული იყო. მისი ზომაა: 1,3×0,85 მ. სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. მიწის ზედაპირიდან 1,50 მ სიღრმეზე (სამარხის ზომა: 1,9×1,5მ) წვრილფეხა ცხოველის ყბის ფრაგმენტი, მონითალო ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხი და დიდი რაოდენობით ნახშირი დადასტურდა.

**სამარხი №22** აღმოჩნდა №21 სამარხიდან 1 მ-ის დაშორებით მიწის ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე. აღნიშნული სამარხიც ძლიერ დაზიანებული იყო. მისი ზომაა: 1,3×0,9 მ. სამარხში 1,68 მ-ის სიღრმეზე (ზომა: 2,1×2,5 მ) მონითალო ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხ-



ები, წვრილფეხა ცხოველის ძვლის ნაშთი და აქა-იქ ნახშირი აღმოჩნდა. სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ დადასტურდა.

**სამარხი №23** აღმოჩნდა №22 სამარხიდან სამხრეთით, 1,2 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 0,38 მ-ის სიღრმეზე. მისი ზომაა: 2,5X1,5 მ. დაზიანებულ სამარხში მიცვალებული, სავარაუდოდ, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. ჩონჩხის თავის ქალა მიწაში იყო ჩაშლილი, კიდურები - დაზიანებული. სამარხში ჩაშლილი ბრინჯაოს ბეჭდის მცირე ფრაგმენტი შემორჩა.

**სამარხი №24** ნაგებობის კედლიდან ჩამოქცეული ქვების გროვაში მიწის ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა. მისი ზომაა: 1,8X1,2 მ. სამარხი დაზიანებული იყო. ადამიანის ჩონჩხის ძვლები ზედაპირზე იყო ამოყრილი და ქვაყრილის გროვაში არეული. სამარხში ორი მიცვალებული, სავარაუდოდ, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი ესვენა. ინვენტარიდან დაშლილი ცილინდრული ფორმის გიშრის მძივები და მცირე ზომის, გაურკვეველი დანიშნულების ბრინჯაოს ნივთის ნატეხი გადარჩა.

**სამარხი №25** აღმოჩნდა №24 სამარხიდან დასავლეთით, 0,7 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 0,38 მ-ის სიღრმეზე. მისი ზომაა: 1X0,85 მ. დაზიანებულ სამარხში მიცვალებული თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი ესვენა. ჩონჩხი ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, თავის ქალა - დაძრული პირვანდელი მდგომარეობიდან. სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №26** აღმოჩნდა №24 და №25 სამარხებიდან სამხრეთ-დასავლეთით (1,5 - 3 მ-ის დაშორებით) მიწის ზედაპირიდან 0,45 მ-ის სიღრმეზე. მისი ზომაა: 2,05X1,6 მ. სამარხი დაზიანებული იყო. უსისტემოდ დაყრილი ქვების გროვაში მონითალო-მოყვითალო ფერის თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა; ხოლო 0,5-0,9 მ-ის სიღრმეზე ნახშირის ფენა გამოიკვეთა; სამარხში 1,15 მ-ის სიღრმეზე

ბორბლისებრი ფორმის, მოყავისფრო ფერის თიხის კვირისტავი და სიპი ქვა (ზომით: 0,85X0,5 მ) იყო. სამარხში 2 მ-ის სიღრმეზე კვლავ ნახშირის ფენამ იმატა. სამარხი არ შეიცავდა ადამიანის ჩონჩხსა და ინვენტარს.

**სამარხი №27** აღმოჩნდა №26 სამარხიდან 0,45-0,5 მ-ის დაშორებით მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე. სამხრეთით მისი უშუალო გაგრძელება სამაროვნის ცენტრში მდებარე ფილაფენილი იატაკია. სამარხი მასიური ფილაქვებისგან მჭიდროდ შეკრული ქვაყუთია. სამარხის კედლებად და სახურავად სქელი, მონაცრისფრო, მკვრივი ქვიშაქვისგან შედგენილი თითო-თითო ფილაქვა იყო გამოყენებული; მათ დამუშავების კვალი არ ემჩნეოდათ. სამარხის კედლების ზომაა: 1,7X1,7 მ სახურავის - 1,74X1 მ. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. მასში მიცვალებული თავით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ გამოტილ პოზაში ესვენა, ხელები მკერდზე ეწყო. ჩონჩხის პრეპარაციისას გამოვლინდა, რომ მიცვალებულთან ერთად სამარხში ხარის თავი იყო ჩაფლული; მიუხედავად იმისა, რომ ის დაძრული იყო პირვანდელი მდგომარეობიდან, სავარაუდოდ, მარცხენა გვერდზე უნდა ყოფილიყო დასვენებული. სამარხში დიდი რაოდენობით საშუალო ზომის ქვები ელაგა; მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,35 მ-ის სიღრმეზე წვრილფეხა ცხოველის ყბისა და ნეკნების ნაშთი გამოვლინდა, ხოლო 2,2 მ-ის სიღრმეზე - ღია და მუქ-მონითალო ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სავარაუდოდ, თიხის ჭურჭელი სამარხში უნდა ჩაემტვრიათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე სამარხისეული ინვენტარი თერთმეტ ორმოსამარხში დადასტურდა (№№1,2,3,4,7,15,16,17,18,19,20). მათ შორის იარაღი არ გვხვდება. აღმოჩენილი არტეფაქტები კი ძირითადად იყო ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები, სამკაული და ნუმიზმატიკური მასალა. წინამდებარე სტატიის მიზანმიმართულად მხოლოდ იმ ნივთებს, რომლებიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ძვე-

ლის დასათარიღებლად.

**კერამიკული ნანარმი** სრული სახით მხოლოდ №7 სამარხიდან შემოგვრჩა. ესაა: ორი ხელადა და ერთი ქოთანის. მცირე ზომის მოჩალისფრო ნითლად გამომწვარი თხელკეციანი, ყელნიბოიანი თიხის ხელალები (ტაბ.V,14,16), რომელთაც პირსა და მხარზე დაძერწილი აქვთ მალალი, ოვალურგანივკვეთიანი ყური (ერთ მათგანს მხარზე ვერტიკალური, მოკლე ნაჭდევების ზოლი შემოუყვება). დასახელებული ტიპის თიხის ჭურჭელი საქართველოში გვიანანტიკურ ხანაში ჩნდება. მათ ვხვდებით ახ.წ. III ს-ის ბოლო და IV ს-ის დამდეგით დათარიღებულ სამარხებში. კერძოდ, არაგვის ხეობაში, ჟინვალის სამაროვანზე (მრავალრიცხოვან თიხის ჭურჭელს შორის ამ ტიპის 25 ხელადა დადასტურდა) [ჩიხლაძე ვ. 1999: 46, ტაბ. CI,CII]; მათი ანალოგი ცნობილია: ახალი ჟინვალის სამაროვანის [რამიშვილი რ. 1983: ტაბ. XIII,2, 09-1-73-230; XV,1, ჟი-72-283], ურბნისის [ჭილაშვილი ლ. 1964: 60, ტაბ. XXII, 60-68], ზღუდერის [ნემსაძე გ. 1969: 53], ერწოსა [რამიშვილი რ. 1971] და მოდინახეს [ნადირაძე ჯ. 1975: ტაბ.XVIII.] გვიანანტიკური ხანის სამაროვნებიდან. რაც შეეხება ცალყურა, სქელკეციან და მუქნითლად გამომწვარ ქოთანს (ტაბ.V,15), მისი მსგავსი ჟინვალის სამაროვანზე გვხვდება [ჩიხლაძე ვ. 1999:LXVII<sub>16</sub>, XXVII<sub>77</sub>]. ახალი ჟინვალის სამაროვანზე მსგავსი ჭურჭელი №7 სამარხში აღმოჩნდა. სამარხი ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრითა და IV ს-ის დამდეგით თარიღდება [რამიშვილი რ. 1983: 96, 114, სურ. 7].

**ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან** ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე სამი ფიბულა და ბრინჯაოს ოთხი ჭვირული ბალთა აღმოჩნდა. რკალისებრი ფიბულები: ერთი – ვერცხლისა ორნილადი, რკალის შემსხვილებულ ნაწილზე ირიბნაჭდევებიანი ორნამენტით შემკული (ტაბ.V,4) და ორი (ერთი ფრაგმენტირებული) - ბრინჯაოსი, ორნილადი, მშვილდშემსხვილებულ შუა ნაწილზე თევზიფხურსახიანი (ტაბ. XI,6).

ფიბულების აღნიშნული ტიპი, მკვლევართა აზრით, ჯერ კიდევ რკინის ხანაში ჩნდება და გვიანანტიკური ხანის ბოლომდე საქართველოს სხვადასხვა მხარეში გვხვდება. მათ ადგილობრივ ნიმუშად მიიჩნევენ. ისინი არქაული, სამხრეთკავკასიური ფიბულებია და მათი პროტოტიპები მცირე აზიაში იძებნება [Куртин Б. 1949: 22,23]. რკალისებრი ფიბულების გავრცელების არეალი ძირითადად შიდა ქართლი და არგვეთია. აწყურის, ახალგორისა და სოხთის სამაროვნებზე ისინი ახ.წ. I-V სს-ით დათარიღებულ სამარხებშია აღმოჩენილი. სტირფაზის №4 სამარხში აღმოჩენილი მსგავსი ფიბულა ახ.წ. IV საუკუნითაა დათარიღებული [აფახაზავა ნ. 1979: 6,11,35; ტაბ. I<sub>14</sub>; ტაბ. V<sub>22-27</sub>]. ჟინვალის სამაროვანზე ორი ცალი მსგავსი ფიბულა ახ.წ. III-IV სს დათარიღებულ №563 ორმოსამარხში დადასტურდა [ჩიხლაძე ვ. 1999: LXIV<sub>12,13</sub>].

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე ოთხ ქვყარილიან ორმოსამარხში (№№7,15,17,18) ბრინჯაოს ოთხი ჭვირული ბალთა (ტაბ. IV,2; VII,1; IX,8; X,1) აღმოჩნდა. მათგან ერთი დაზიანებულია, თუმცა კომპოზიცია იკითხება, ხოლო №17 სამარხის ბალთა ფრაგმენტულია და მხოლოდ ცენტრალური ცხოველის, ცხენის, გამოსახულებაა სრულად შემორჩენილი. როგორც ჩანს, ის მიცვალებულს სამარხში ამ სახით ჩააყოლეს (ტაბ.IX,8). გოსტიბეს ოთხკუთხა ფორმის ბალთების კომპოზიცია ოთხფიგურია; ცენტრალური ცხოველი ცხენია; თანმხლები - ხარი, ძალღი, კვიცი, ფრინველი. ბალთებს გარშემო ორნამენტული სახის (რელიეფური წნული და ზენური ხვიების ზოლები) ჩარჩო შემოუყვება. ჩარჩოს კუთხეებში კონუსური ფორმის კოპებია მოთავსებული; ბალთებს უკანა მხარეს კავი და ყუნწი აქვთ.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთები იმ იშვიათ არქეოლოგიურ არქეფაქტთა რიცხვს განეკუთნება, რომელთა მიმართ დაინტერესება და კვლევა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე არ განელებულა. ჭვირული ბალ-

თების შესწავლის ისტორია და სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები ვრცლად აქვს განხილული მკვლევარს მ. ხიდაშელს თავის ნაშრომში [ხიდაშელი მ. 1972:5-17]. არის გამოკვლევა ბალთების ფუნქციური დანიშნულების შესახებაც [ყიფიანი გ. 2000:80-91].

როგორც ცნობილია ბალთების გარკვეული ნაწილი მსოფლიოს მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებშია თავმოყრილი; მათი ძირითადი ნაწილი კი დაცულია საქართველოში, თბილისისა თუ სხვადასხვა რეგიონულ მუზეუმში. ბალთებს მკვლევრები სხვადასხვა და ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო კუთხით განიხილავდნენ (ეს ეხებოდა მათ წარმომავლობას, ქრონოლოგიას, კლასიფიკაციას, სემანტიკურ ანალიზს, ფუნქციურ დანიშნულებას და სხვ.), რასაც თავდაპირველად მათი შემთხვევითი აღმოჩენები და ძირითადად, ბალთების არქეოლოგიური კონტექსტიდან მოწყვეტილად შესწავლა განაპირობებდა.

ბრინჯაოს ჭვირული ბალთების საფუძვლიანი სამეცნიერო შესწავლა შესაძლებელი გახდა 1938 წელს ზემო რაჭაში, სოფ. ღებში, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. სამარხისეულ კომპლექსებში აღმოჩენილმა ბალთებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს მათ შესახებ არსებული სხვადასხვაგვარი შეხედულება; კერძოდ, დადგინდა ბალთების ადგილობრივი წარმომავლობა და გავრცელების არეალი – კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი მხარე – მთის რაჭა, ზემო იმერეთი, შიდა ქართლი და თრიალეთი; განისაზღვრა მათი ქრონოლოგიური ჩარჩო. არქეოლოგიური კომპლექსების მიხედვით, ისინი ძვ.წ. III ს-ის დამდეგი - ახ.წ. III ს-ის ბოლოთი დათარიღდა; გ. გობეჯიშვილი ბალთების დათარიღებისას უპირატესობას ანიჭებს თანმხლებ სამარხისეულ ინვენტარსა და კომპოზიციაში წარმოდგენილ ფიგურათა სემანტიკურ ანალიზს [გობეჯიშვილი გ. 1952: 217-219]. ასევე გაირკვა სამარხში ბალთების ადგილმდებარეობა და შესაბამისად, მათი ფუნქციური დანიშნულება [გობეჯიშვილი გ. 1952:106].

სამარხებში ბალთები ჩონჩხის წელის არეში ან ოდნავ ქვემოთ, მენჯის ძვლებთან დასტურდება; მათი თანმხლები ინვენტარი ძირითადად, ცხოველების ფიგურები, ზარაკები, მშვილდსაკინძები და სამკაულია [გობეჯიშვილი გ. 1942; Куфтин Б. 1941:79-91; Куфтин Б. 1949: 26-29; Пчелина Е. 1968: 119-140].

რაც შეეხება ბალთების ტიპოლოგიკლასიფიკაციას, მათი ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დაყოფით მკვლევარი მ. ხიდაშელი აყალიბებს სისტემას, რომელშიც ეყრდნობა დამატებითი ცხოველებისა და ჩარჩოს ცვალებადობას და მთავარი აქცენტი გადააქვს კომპოზიციის ცენტრალური ცხოველის გამოსახულებაზე, როგორც ამოსავალ ნერტილზე, მრავალფეროვანი მასალის სისტემაში მოყვანისათვის [ხიდაშელი მ. 1972:21].

ქვემო გოსტიბეს სამაროვნის ბალთები მხატვრული სტილის მიხედვით ერთგვაროვანია; ისინი ერთი ტიპისაა და მ. ხიდაშელის კლასიფიკაციის მიხედვით, III ჯგუფის II ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან [ხიდაშელი მ. 1972:31, ტაბ. XI]. თუმცა, თუკი მათზე კვლევას სემანტიკურ-სტილისტური კუთხით წარმართავთ, რაც ბალთებზე მომუშავე მეცნიერთა შორის ასევე სადავო საკითხად იქცა, სრულიად დასაშვებია მათი ანალოგის მოძიება III ჯგუფის I ქვეჯგუფშიც [იხ. ხიდაშელი მ. 1972:ტაბ. IX, 119,120]. გოსტიბეს ბალთების მსგავსი არტიფაქტები ცნობილია საჩხერიდან, ოქონის გორიდან [ბრეგვაძე ზ. 1997:6-7, 25-29, ტაბ. IX-XII], ხაშურიდან, სოფ. ზეკოტა (შემთხვევითი მონაპოვარი) [ხიდაშელი მ. 1972: 110, №136], ჭიათურიდან, სოფ. კაცხი [ქორიძე დ. 1961:ტაბ. XIV-1; ამირანაშვილი შ. 1971:ტაბ. X; Amiranashvili Ш. 1963:ил. 3; Джавахишвили А. 1971: рис. 274; ხიდაშელი მ. 1972:107, №120, ტაბ. IX; Amiranashvili Sch. 1971]; მათ ასევე, ვხვდებით კასპის (გოსტიბე), ქუთაისის (ინვ. №№5509,5424,5511) მხარეთმცოდნეობის, გორის ისტორიისა და ეთნოგრაფიის (საინვ. №3-43/4 გიემ 3908) მუზეუმებში, სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში (№№5338,К₃5200), ნიუ-იორკის მეტროპოლიტენისა [Rostovzev

M. 1922:fig.IC; Carter D. 1957:32-b; ხიდაშელი მ. 1972:110, №138] და ბრიტანეთის [Hancar F. 1931; ხიდაშელი მ. 1972: 108, №124, ტაბ.X] მუზეუმებში; ისინი ძირითადად ახ.წ. II-III სს-ით თარიღდებიან.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე სამარხისეულ კომპლექსებში აღმოჩენილი ბალთები, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი მონაპოვარია გვიანანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოს არა მარტო ნივთიერი და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა სულიერი კულტურის შესასწავლად [თორთლაძე ზ. 2003: 46-68], არამედ რიგი სხვადასხვა საკითხების დასაზუსტებლადაც. კერძოდ: დასაბუთებულად განისაზღვრა სამარხში მათი მდებარეობა, შესაბამისად დანიშნულება და სამარხისეულ ინვენტართან შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა მოითხოვა დღემდე მოცემული მათი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის კორექცია.

**სამკაული.** ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე ექვს ქვაყრილიან ორმოსამარხში ვერცხლის ექვსი ილარი აღმოჩნდა (ტაბ. II,8; IV,1; V,5; VIII,5; IX,6; XII,18) [თორთლაძე ზ. 2005:123-131]. ილარი საჰიგიენო ნივთია, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლო წლებში საქართველოში სადალაქოებში გამოიყენებოდა. ქართულ არქეოლოგიურ ტერმინოლოგიაში სიტყვა ილარის დამკვიდრება იროდიონ სონღულაშვილთანაა დაკავშირებული [სონღულაშვილი ირ. 1935:149-158]. ილარს ანტიკური ხანის რომსა და რომის იმპერიის პროვინციებში ფართო გამოყენება ჰქონდა ახ.წ. I-IV სს და გარდა საჰიგიენო ფუნქციისა, სამედიცინო დანიშნულებითაც ხმარობდნენ; თუმცა არ იყო სპეციალური სამედიცინო ხელსაწყო. მას ეს დანიშნულება მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, როცა ის კომბინირებული იყო რომელიმე სამედიცინო-ქირურგიულ ინსტრუმენტთან. გარდა ზემოაღნიშნული ფუნქციებისა, წვეტიანი დაბოლოების გამო მკვლევრებს სრულიად დასაშვებად მიაჩნიათ, რომ მას როგორც ტანისამოსზე, ისე თმის სარჭის, თმის სამკაულის ფუნქციაც უნდა

შეესრულებინა [Riha E. 1986:56,59, Taf. 26<sup>245-46</sup>; Watermann R. 1974: 147].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ილარი ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანაში ჩვენთანაც საკმაოდ გავრცელებული ნივთი ყოფილა. ისინი ცნობილია ვარსიმეანთ-კარის (ძვ.წ. V-IV სს.) [მუხიგულაშვილი ნ. 2006:133-137], ტახტიძირის სამაროვნებიდან (ძვ.წ. IV ს.) [გოგობერიძე ნ. 2008:5-13]. მოგვიანებით, ილარი ახ.წ. II ს-ით დათარიღებულ კლდეეთის სამაროვანზე გვხვდება [ლომთათიძე გ. 1957: ტაბ.XIII2,71-72]; ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული ხუთი ილარი: ორი - ვერცხლისა და სამი - ბრინჯაოსი ახ.წ. I-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში დადასტურდა [ჩიხლაძე 1999: 125]; მათ შორის ვერცხლის ილარი /09-XXV-79-49/ ახ.წ. III ს-ით დათარიღებულ სამარხში გვხვდება, ხოლო №469 სამარხიდან მოპოვებული ბრინჯაოს ილარი - ახ.წ. IV ს დასაწყისით თარიღდება [ჩიხლაძე ვ. 1999: 29, XXX /09-XXV-82-417/]. სამთავროს სამაროვნის №201 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ილარი ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახევართაა დათარიღებული [მანჯგალაძე გ. 1985:54,102, სურ. 286]. ანალოგიური შემთხვევებია კარსნისხევში [ნიკოლაიშვილი ვ. 1993], არაგვისპირში [რამიშვილი რ. 1981:98-154]. ჟინვალში აღმოჩნდა საჰიგიენო კომპლექტი-ასხმულა (სამი ან მეტი ნივთი: მაგალითად, პინცეტი, კბილსაჩიჩქნი, საფხეკი დანა და ა. შ. ისეა ასხმული ღეროზე, რომ თითოეულის ხმარება ცალ-ცალკეა შესაძლებელი) ყოველდღიური ჰიგიენისათვის გამოიყენებოდა. ასხმულა გავრცელებული იყო რომსა და რომის იმპერიის პროვინციებში. მას კაცები ქამარზე იმაგრებდნენ, ქალებსათვის კი ჩანთის აქსესუარს წარმოადგენდა. ასხმულას ტარების ტრადიცია კელტურ სამყაროში განსაკუთრებით ყოფილა გავრცელებული [Cuppers H, Collot G. 1983:272]. ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილ ასხმულაზე ილარი კბილების საჩიჩქნსა და ფრჩხილების საწმენდთანაა კომბინირებული /09-XXV-82-

48/. ილარებს ვხვდებით ასევე ტუიაქორორას სამაროვანზე [ნიკოლაიშვილი ვ. 1978: 157-168], ჩხარში [ბრაგვაძე ზ. 1997: 35, ტაბ. XVI, სურ. 3].

გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩენილი ილარები თავის ქალის უკან, თხემთან, აღმოჩნდა და სრულიად დასაშვებია, რომ ისინი თმის დასამაგრებლად იყო გამოყენებული. ის მოსაზრება, რომ ქალები თმის სამაგრად საკინძს იყენებდნენ, დადასტურებულია მცხეთაში, არმაზისხევში ჩატარებული გათხრებითაც. არმაზისხევის გვიანდელ სამაროვანზე №12 ქვის სამარხში მდებარე თავის ქალის ირგვლივ რვა საკინძი იყო მიმოხრეული, უმთავრესად თავს უკან, ნვერებით ლოყებისკენ, ხოლო მეცხრე - ილარი თავის ქალის მარცხნივ იდო. სამარხში შემორჩენილი ქალის თმის ერთ-ერთ ბლუჯას ეტყობოდა დიდი, ნაპირგამწვანებული ბრინჯაოს საკინძის ნახვრეტი. უეჭველია საკინძები თმის დასამაგრებლად და გასალამაზებლად გამოიყენებოდა [აფაქიძე ან., 1955: 138 ტაბ. CXVII<sub>32,33</sub>]. ის მოსაზრება, რომ ილარი ამ დანიშნულებითაც გამოიყენებოდა, დადასტურდა ქვემო გოსტიბეს სამაროვანზეც. გოსტიბეს ილარებს ფორმის მიხედვით საქართველოში ზუსტი ანალოგი არ მოეძებნებათ. მათი პარალელი რომსა და რომის იმპერიის პროვინციებში გვხვდება, სადაც ილარს როგორც ცალკე, ისე სხვა საჰიგიენი-სამედიცინო ნივთებთან ერთად ახ.წ. I-IV სს ფართო გამოყენება ჰქონდათ. აუგუსტის რომაულ მუზეუმში დაცული 681 ცალი საჰიგიენო და სამედიცინო ინსტრუმენტიდან, რომელიც რომაული სამოქალაქო დასახლებებიდან - აუგუსტა რაურორიკორუმსა და კასტრუმ რაურაცენსედან - მომდინარეობს, რამდენიმე ნიმუში მსგავსებას პოულობს საქართველოში აღმოჩენილ ანალოგიურ ნივთებთან, ხოლო გოსტიბურ ილარებთან პარალელს ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებული ილარი პოულობს [თორთლაძე ზ. 2005:129-130; Emilie Riha, 1986:59.Taf.26<sub>245-6</sub>; Watermann R.A. 1974:147].

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე თორმეტი

საყურე აღმოჩნდა. მათგან ერთი - ბრინჯაოსი (ტაბ. III,1), ერთი - ოქროსი (ტაბ. IX,7) და დანარჩენი (ერთი ძლიერ ფრაგმენტირებული) - ვერცხლის (ტაბ. II,4-7,9; III,3; V,3; VIII,2; XII,4). უმეტესი ნაწილი ამ საყურეებისა სადაფორმის, წვრილი მრგვალგანიკვეთიანი მათულისაგან დამზადებული რგოლებია. მსგავსი რგოლები უხვად მოგვეპოვება გოსტიბეს სამაროვნის თანადროული ძეგლებიდან. ჟინვალის სამაროვანზე მსგავსი საყურეები ახ.წ. I-II სს-ით დათარიღებულ სამარხებში გვხვდება [ჩიხლაძე ვ. 1999: ტაბ. CXIII<sub>202,203,274</sub>]. გოსტიბეს ოთხნახნაგა (წინიბოსებრი) ფორმის საყურეებს (ტაბ. VIII,2; IX,7) ანალოგი ჟინვალში ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხების მასალებში ეძებნებათ [ჩიხლაძე ვ. 1999:81,82, XXVII<sub>79,80</sub>, XXXI<sub>22</sub>, XXXV<sub>437,438</sub>, XV<sub>246,247</sub>, X<sub>33</sub>, XI<sub>212,213</sub>, XII<sub>305,306</sub>]. ანალოგიური საყურეები გვხვდება არაგვისპირეთში [რამიშვილი რ. 1981:98-154], კარსნისხევში [ნიკოლაიშვილი ვ. 1993], ნეძიხში [რობაქიძე ც. 1985], ნიფრანისძირში [მუხიგულაშვილი ნ. 1982]. წინიბოსებრი საყურეები ამ სამაროვნებზე ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში გვხვდება. სამთავროზე 181 და 295 სამარხებში აღმოჩენილი მსგავსი საყურეები ახ.წ. III ს-ით თარიღდება [მანჯგალაძე გ. 1985:60, 103, 106, 86, სურ. 327,328,490]. გოსტიბეს საყურის ორი ნიმუში შედგენილი საყურეების ის ტიპია (ტაბ. V,3; XII,4), რომელიც საქართველოს გვიანანტიკური ხანის სამარხებში გვხვდება. სამთავროს სამაროვანზე №2 სამარხსა და №187 სამარხში აღმოჩენილი საყურეები, რომლებიც დათარიღებულია ახ.წ. IV ს-ის I ნახევრით, იდენტურია გოსტიბეს საყურის ნიმუშისა (ტაბ. V,3) [მანჯგალაძე გ. 1985: 53,73,102,105, სურ. 275,276,411,412]; იგივე შემთხვევაა - ჟინვალის სამაროვანზეც [ჩიხლაძე ვ. 1999:LIII<sub>260,263</sub>, LXVII<sub>150</sub>]. რაც შეეხება მეორე წყვილ საყურეს გოსტიბეს სამაროვნიდან (ტაბ. XII,4), ჟინვალის სამაროვანზე მისი ანალოგი ახ.წ. III-IV სს-ის სამარხებშია დადასტურებული [ჩიხლაძე ვ. 1999:82,83, LXVII<sub>136,137</sub>]. ასევე, მათი მსგავსი საყურეები

ცნობილია დიღმის [ნიკოლაიშვილი ვ. 1978], ნეძიხის [რობაქიძე ვ. 1985] სამაროვნებიდან. მოგვიანებით საყურის ფორმა მცირე განსხვავებას განიცდის, პირგახსნილ რგოლზე ჩნდება მირჩილული ყუნწი, რომელზედაც კაუჭით ღერაკია დამაგრებული; მცხეთიგორის ეს საყურე ახ.ნ. IV-V სს-ით თარიღდება [ნიკოლაიშვილი ვ., 1985:132-135, სურ. 792].

გოსტიბეს სამაროვანზე ვერცხლის ოთხი სამაჯური აღმოჩნდა: ერთი – ცხოველის (გველის) სახიანი (ტაბ.V,11) და სამი – თავებგადახვეული (ტაბ. II,21; III,6; VIII,4). გველისსახიანი სამაჯურები ჟინვალის სამაროვანზე ახ.ნ. I-III სს-ის სამარხებში გვხვდება [ჩიხლაძე ვ.1999:87, XVIII<sub>72</sub>, XXII<sub>371,372</sub>, XXXIV<sub>181</sub>, CX, CXI]. ნ. აფხაზავა მსგავს სამაჯურებს მცირეოდენი სახესხვაობით I ჯგუფის I ტიპში ათავსებს და აღნიშნავს, რომ ისინი საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის ახ.ნ. IV-VIII სს-ის განმავლობაში არსებობდა [აფხაზავა ნ. 1979:80-81]. რაც შეეხება თავებგადახვეულ სამაჯურებს ისინი გვიანელინისტური და რომაული ხანისთვისაა დამახასიათებელი და მათი ანალოგები ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. ჟინვალში ისინი სამაროვანის მთელი მოქმედების მანძილზე ძვ.წ. I - ახ.წ. VIII სს-ში გვხვდება [ჩიხლაძე ვ. 1999: 86, LVII<sub>19</sub>, LXX<sub>190</sub>, LXXIX<sub>19</sub>, CX]. ისინი ცნობილია კლდეეთის (ახ.წ. II ს.) [ლომთათიძე გ. 1957:ტაბ. XIX,1], არმაზისხევის (ახ.წ. II ს.) [აფაქიძე ან. 1955:114, ტაბ. XXXIII, 3, 3], მოგვთაკარის (ახ.წ. I-III სს.) [სიხარულიძე ან. 1985: 109,120,131], სამთავროს (ახ.წ. III-IV სს.) სამაროვნებიდან [მანჯგალაძე გ. 1985:108,სურ.236,577] და სხვ.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე სულ ერთი ოქროს (ტაბ.II,18) და ცამეტი ვერცხლის ბეჭედი (ტაბ. II,1,2,3,19,20; III,4; V,6,17; VIII,3; IX,1; XII,5,6,7) აღმოჩნდა. ეს ბეჭედები ფორმის მიხედვით ორგვარია: მაღალთვალბუდიანი, მხრებდაკუთხული (ტაბ.II,1,19) და მირჩილულთვალბუდიანი (ტაბ. II,2,3,18; V,6,17; VIII,3; IX,1; XII,5,6,7).

მაღალთვალბუდიანი, მხრებდაკუთხული ბეჭედები, მკვლევართა აზრით, ადგილობრი-

ვი, იბერიული ოქრომჭედლობის ნიმუშადაა მიჩნეული [Джавахишвили К. 2009-2010:177; ლორთქიფანიძემარგ.1958:28,კატ.№22,23,25-28,30; სურ.48,50,52,57,58,59,62]. ამ ტიპის ბეჭედები, დღესდღეობით მხოლოდ საქართველოშია დადასტურებული, გარდა ერთი გამონაკლისისა სომხეთის ტერიტორიიდან [Манукян А. 1984:90]. მათი უმეტესი ნაწილი ძველი იბერიის სამეფოს ტერიტორიიდან მომდინარეობს, კერძოდ არმაზისხევის [აფაქიძე ან. 1955: ტაბ. XIII<sub>6</sub>; C<sub>6,10</sub>,CIII<sub>9,10</sub>.სურ. 136<sub>1,8,24,26</sub>], სამთავროს [Максимова М. 1950:261, №№1-60, ტაბ.I-II], ახალგორის [ლომთათიძე გ. 1973:194], მოდინახეს სამაროვნებიდან [ნადირაძე ჯ. 1975:44,47,ტაბ.XV<sub>1,2,3,5,6</sub>. სურ. 11], აღაიანიდან [მირიანაშვილი ნ. 1983:91, გამ. 158<sub>3,4</sub>,ტაბ.I.] და სხვ. ამ ბეჭედების ფორმებს შორის სხვაობა ისაა, რომ ზოგ შემთხვევაში მათი მხრები ძლიერ დაკუთხულია, ზოგში კი – სუსტად. ბეჭედებს, მკვეთრად გამოკვეთილი დაკუთხული მხრებით, ახ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით ათარიღებენ [ჯავახიშვილი ქ., შეროზია მ. 2010:258]. გოსტიბეს სამაროვანზე №1 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედი (ტაბ. II,1) ბეჭედების ამ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა მისი მხრების სუსტი დაკუთხვის გამო შესაძლებელია, მისი შედარებით ადრეული პერიოდით, ახ.წ. IV ს-ის დასაწყისით, დათარიღება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში ოქრომჭედლობაში ადგილობრივი ფორმა ყალიბდება. კერძოდ, ქართლში თანდათან ქრება უცხოური ან მისი მიბაძვით შექმნილი ნივთები და “ოქრომჭედლობაში კიდევ უფრო მეტი მხატვრულ-სტილისტური დამოუკიდებლობა ჩანს, ვიდრე წინარე საუკუნეთა სამკაულში...” [ლომთათიძე გ. 1973:220]. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გოსტიბეს სამაროვანის №2 სამარხიდან მოპოვებული ვერცხლის ბეჭედი (ტაბ.II,19) იწვევს. მისი ზუსტი ანალოგი საქართველოში ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ესაა ჰორიზონტალურ მხრებიანი ბეჭედი, რომელსაც მხრებზე მირჩილული აქვს ძონის თვლებით შემკული ოქროს თითო-თითო წრიული

თვალბუდე; შუაში, ოვალურ თვალბუდეში, კი ჩასმულია სარდერის გემა-ინტალიო ჰორუსის გამოსახულებით (ჰორუსი, ეგვიპტური სიტყვის ლათინური ფორმაა. ის ადრეულ ეგვიპტურ მითოლოგიაში მთავარ ღვთაებას (მეფეს, ცას) განასახიერებდა. ბერძნულ-რომაულ ეპოქაში ჰორუსი ფეხზე მდგომი ლეგიონერის სახით გამოიხატებოდა). საქართველოში ბეჭდების მხრების შემკულობა თვლებით ან ორნამენტებით ახ.წ. III ს-ის ბოლოს და IV ს-ის დასაწყისში იწყება; არმაზისხევის მასალებში გვხვდება მხრებშემკული ბეჭდების სხვადასხვა ვარიანტი [აფაქიძე ან. 1955: 192<sub>5</sub>. სურ. 135<sub>3,5</sub>]. მცხეთაში შემთხვევით ნაპოვნი ოქროს ბეჭედი, ღვთაება პერსეოსის გამოსახულებით (ინვ. №653) ფორმის მიხედვით გოსტიბეს ბეჭედის მსგავსია. მას ახ.წ. III ს-ით ათარიღებენ [ლორთქიფანიძე მ. 1961:33,34,სურ. 16]. გოსტიბეს ბეჭედის ზუსტი ანალოგის მოძიება რომსა და რომის იმპერიის პროვინციების გლიპტიკურ მასალებშიც ვერ მოხერხდა. ფორმის მიხედვით მსგავსი სტილიზებულიმხრებიანი, მხრებშემკული ბეჭდები რომაულ სამყაროში ახ.წ. III საუკუნით თარიღდება [Marshall F. 1911: ტაბ.XVI, გამ.550; Henkel F. 1913:ტაბ.XII, გამ.253,253<sub>a</sub>, 253<sub>b</sub>]; მოტივის მიხედვით მათ ახ.წ. I-III სს-ით ათარიღებენ [Zwierlein-Diehl E. 1979: S. 182-183. Taf. 128<sub>1364-1368</sub>].

რაც შეეხება მირჩილულთვალბუდიან ბეჭედებს, გოსტიბეს სამაროვანზე ამ ტიპის რამდენიმე ბეჭედს მხრებზე პატარა ბურთულები აზის (ტაბ. II,3; V,6; XII,7). მსგავსი ბეჭედები საქართველოში ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში ჩნდება და IV ს-შიც განაგრძობს არსებობას [ლორთქიფანიძე მ. 1954:34,III<sub>587</sub>; აფხაზავა ნ. 1979:96-97, ტაბ. XVI<sub>6</sub>]; გოსტიბეს ბეჭედის (ტაბ.V,6) ზუსტი ანალოგი ურბნისში გვხვდება (№11 ხის სარკოფაგი, გემიანი მხრებკოპიანი ოქროს ბეჭედი); ის ახ.წ. IV ს-ით არის დათარიღებული [ჭილაშვილი ლ. 1964:68,69,სურ.34.]. მსგავსი ბეჭედები ცნობილია ყინვალის [ჩიხლაძე ვ. 1999:IX<sub>117</sub>,XX<sub>93</sub>], ზღუდერის (გრილოსის გამოსახულებიანი

გემით, თითო-თითო ბურთულით, დათარიღებული IV ს-ით; გემმა – III-IV სს.) [ჯავახიშვილი ქ. 1972:79, ტაბ.XIV,126], არაგვისპირის (ახ.წ. III ს-ის ბოლო – IV ს-ის დასაწყისი) [რამიშვილი რ. 1975:12,13], ქუშანანთგორის II სამაროვნებიდან (ახ.წ. III ს-ის მინურული) [რამიშვილი რ. 1979:36,87, ტაბ.24<sub>1,1</sub>]. მხრებზე ბურთულებიანი ბეჭედები კარგადაა ცნობილი რომაულ სამყაროში. ბურთულები შეიძლება იყოს თითო-თითო, ორ-ორი, სამ-სამი. ფ. ჰენკელი, რომლის კლასიფიკაცია ძირითადი საყრდენია რომაული ბეჭედების დასათარიღებლად, მათ “გვიანრომაული”, ახ.წ. IV ს-ის ხანის ჯგუფში ათავსებს [Henkel 1913:38, NN272-281]. გოსტიბეს ბეჭედს (ტაბ. XII,7) გარდა იმისა, რომ თვალბუდის ძირზე თითო-თითო ბურთულა აქვს მირჩილული, მისი ბრტყელი, თანაბარი სიგანის რკალი გარედან დაწახნაგებულია, ხოლო მხრები ღრმად დაღარული ფოთლოვანი მცენარის ორნამენტითაა შემკული. მსგავსი სტილიზებულმხრებიანი ბეჭედები გავრცელებულია როგორც რომაულ, ასევე საქართველოს გვიანტიკური ხანის კულტურაში. ისინი ახ.წ. III ს-ით თარიღდება [Henkel F. 1913:Taf. XII, 251; Marshall F. 1911: Taf. XV, 537,539,540,544; Greifenhagen A. 1975:S.81,Taf.60<sub>13,14</sub>]. ამ ბეჭედს ზუსტი ანალოგი საქართველოში არ ეძებნება. მსგავსი ბეჭედები ფორმისა და მხრებზე შემკულობის მიხედვით ყინვალში აღმოჩნდა; ისინი ახ.წ. IV ს-ის დასაწყისით თარიღდება [ჩიხლაძე ვ. 1999: 78, VIII<sub>106</sub>, XX<sub>177</sub>]; ანალოგი - არმაზისხევის №2 აკლდამიდან ახ.წ. III ს-ით. თარიღდება [ლორთქიფანიძე მ. 1969:137,№126,სურ.59]. ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე №2 სამარხში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედს (ტაბ. II,18) ზუსტი ანალოგი საქართველოში ასევე არ ეძებნება. იმავე ფორმის ბეჭედი, მხოლოდ ოვალური თვალბუდით ურბნისის ნაქალაქარის №168 სამარხიდანაა ცნობილი. მას ახ.წ. III ს-ით ათარიღებენ [ჯავახიშვილი ქ. 1972: 71-72, სურ. 9]; ყინვალის სამაროვანზე მსგავსი ბეჭედი ახ.წ. II – III სს-თაა დათარიღებული [ჩიხლაძე ვ. 1999: XXXVII<sub>11</sub>]. მირჩილულთვალ-

ბუდიანი ბეჭედი (ტაბ.V,17) პატარა ჰორიზონტალური მხრებით ტიპური ნიმუშია ამ პერიოდის გლიპტიკური მასალისათვის; ის კარგად თარიღდება ახ.წ. III ს-ის თვალბუდეში ჩასმული გემა-ინტალიოთი, ეროსის გამოსახულება კი სხვადასხვა სიუჟეტით საკმაოდ გავრცელებული მოტივია გლიპტიკურ ხელოვნებაში და უფრო ადრეული ხანისაა (ახ.წ. I-II სს) [Zwierlein-Diehl E. 1973: Taf. 73<sub>434</sub>; Henkel F. 1913: Taf. XXII<sub>431,436</sub> XLVIII<sub>1255</sub>; ლორთქიფანიძე მ. 1967: ტაბ.X,82]. №16 სამარხიდან ბეჭდის ფორმა ასევე გავრცელებულია საქართველოში (ტაბ.IX,1); მისი ანალოგები გვხვდება ჟინვალის სამაროვანზე [ჩიხლაძე ვ. 1999: ტაბ. XXV448-51, LV46,47, LVIII96]. მსგავსი ბეჭდები ახ.წ. III ს-ით თარიღდება [Henkel F. 1913: Taf. XXII, N413; ლორთქიფანიძე მარგ. 1994: კატ. 18, ტაბ. II, 18; ლორთქიფანიძე მარგ. 1958: კატ. 14, სურ. 29]. მირჩილულთვალბუდიანი ბეჭედი 18 სამარხიდან (ტაბ. XII,5) სტილიზებულმხრებიანი ბეჭდების ტიპს განეკუთვნება, იმ განსხვავებით, რომ რელიეფური ორნამენტი რკალიდან მხრებზე გადასვლის ადგილას აქვს დატანილი. ამ ბეჭდის მსგავსი საქართველოში ვერ მოიძებნა. გამონაკლისია სამთავროზე აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი (გლიპ. №281), დათარიღებული ახ.წ. III-IV სს-ით [Макимова М. 1950: 243, ტაბ.I,6, ტაბ.IV,1]. მეორე ბეჭედი, რომელიც №18 სამარხში აღმოჩნდა, ტიპური რომაული ბეჭედი (ტაბ. XII,6); ეს ფორმა ძალიან გავრცელებული იყო რომისა და მისი იმპერიის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე [Henkel F. 1913: S.32,59. Taf. XI<sub>220,221</sub>; XXII<sub>432,433</sub>]. მისი ანალოგი განსაკუთრებით ბევრია საქართველოში. მათ ახ.წ. III ს-ით თარიღებენ [ლორთქიფანიძე მარგ. 1958:53, სურ.29; 41, სურ.17; ლორთქიფანიძე მარგ. 1961:32, სურ.15;36, №30, სურ.17; ლორთქიფანიძე მარგ. 1969:137-138, სურ.60, კატ. №127]. ბოლოებგადახვეული სამაჯურების ანალოგიურია მრგვალგანივკვეთიანი ბეჭედი, რომელსაც მხრებზე წვრილი მავთული აქვს დახვეული და ზედ სარდიონის მძივია წამოცმული (ტაბ.II,20). ამ ბეჭდის ადრეული ფორმა,

რომელსაც ფარაკად მრგვალგანივკვეთიანი მავთული აქვს სპირალურად გადახვეული ახ.წ. II ს-ის ბოლო და III ს-ით არის დათარიღებული [ჩიხლაძე ვ. 1999: XLVIII<sub>176</sub>, LVIII<sub>96</sub>, LXII<sub>307</sub>]. გოსტიბეს ბეჭდის ანალოგი, რომელსაც ფარაკის ადგილას გადახვეულ მავთულზე მძივი აქვს ასხმული, ახ.წ-ის III-IV სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება [ჩიხლაძე ვ. 1999: 77, LIX<sub>118,119</sub>, LXXI<sub>117</sub>]. მისი ანალოგი ცნობილია ურბნისის ნაქალაქარის №263 სამარხიდან, ხოლო №167 სამარხში აღმოჩენილი მსგავსი ნიმუში, რომელსაც ოვალურ თვალბუდეში ეროტის გამოსახულებიანი ინტალიო აქვს ჩასმული, ახ.წ. III ს-ით თარიღდება [ჯავახიშვილი ქ. 1972: 62, 69-70, სურ. 4, 6]. რკალზე განივნაჭდევიანი მრგვალგანივკვეთიანი ბეჭედი გოსტიბეს სამაროვნის №15 სამარხიდან (ტაბ.VIII,3) ახ.წ. III ს-ზე უფრო გვიანი ხანითაა დათარიღებული [Henkel F. 1913: S. 270-278, Taf. XIV-278]; ხოლო ბეჭედს №20 სამარხიდან (ტაბ. III,4) ზუსტი ანალოგი საქართველოში ვერ ეძებნება. თუმცა კი მსგავსი ფორმის ბეჭდები, მხრებზე ჯვრის ორნამენტის გარეშე, საქართველოში ცნობილია [Макимова М. 1950:242, Рис. 1]. ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი მსგავსი სამი ბეჭედი დათარიღებულია ახ.წ. IV ს-ის პირველი მეოთხედით [ჩიხლაძე ვ. 1999:LXXX]. გლიპტიკოსის ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, მხრებზე ჯვრის გამოსახვა მანიშნებელია ახ.წ. III ს-ის ჰორიზონტალმხრებიანი ბეჭდების გარდამავალი ფორმისა ახ.წ. IV ს-ის ბოლოს მაღალთვალბუდიანი, მხრებდაკუთხული ბეჭდების ფორმისაკენ. გოსტიბეს ეს ნიმუში ქრონოლოგიურად ოდნავ წინ უსწრებს იმ ფორმის დამკვიდრებას, როდესაც მისი თვალბუდე მაღალი ხდება და მხრებზე ჯვარი შემდგომში დაკუთხულ ფორმაში გარდაიქმნება.

ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე აღმოჩნდა თოთხმეტი ვერცხლისა (№№71,72,87-89,95-97,105-107,147-149) და ერთი ოქროს მონეტა (№155<sup>1</sup>). მათგან შვიდი პართული, გოტარზეს (40/41-51 წწ) დრაქმა



(№№71,89,95-97,107,149), შვიდი - რომაული, ავგუსტუსის (ქ.წ.27-ქ.შ.14წწ) დენარი (№№72,87,88,105,106,147,148) და ერთი იუსტინე II-ის (565-678წწ) სოლიდი (№155').

ამრიგად, ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით და სამარხების საერთო დახასიათებისას დადგინდა, რომ ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე გვხვდება საქართველოს გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი სამარხების სამი ტიპი. ესენია: ა) ქვაყრილიანი ორმოსამარხები (1-7,15-26), რომლებიც გარეგნულად (იგულისხმება ნაკლებად დაზიანებული სამარხები) თითქმის ერთგვაროვანია; მინის ამჟამინდელი ზედაპირიდან 0,18-0,6 მ. სიღრმეზე ამოთხრილ ოვალურ ორმოებში ინჰუმაციური წესით თითო ან ორი მიცვალებული თავით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ დამხრობილი, - მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ პოზაში ესვენა. ბ) ფილაქვებისგან შედგენილი ქვაყუთები (8,9,9\*,10,11,12,12\*,27), რომლებშიაც ერთიდან ოთხი ინდივიდი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კიდურებმოკეცილი ან გამოტილ პოზაში იყო დასვენებული, გვაქვს მეორადი დამარხვის შემთხვევაც და გ) შერეული - ფილაქვებით გადახურული ორმოსამარხები (13,14,14\*), სადაც მიცვალებულები თავით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით იყვნენ დაკრძალული; მათგან ერთი (№14) - მჯდომარე პოზაში.

სამარხების შედარებითი ქრონოლოგია ასეთია: სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში განლაგებული ორმოსამარხები (1-7,15-20) უფრო ადრეული ხანისაა, ვიდრე მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვაყრილიანი ორმოსამარხები (21-26) (თუმცა თარიღის დაზუსტება მათი დაზიანებისა და ინვენტარის არ ქონის გამო ვერ ხერხდება); ხოლო შერეული სამარხების (13,14,14\*) რომელიმე ჯგუფისათვის მიკუთვნება კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია; რაც შეეხება სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ფილაქვი-

ან ქვაყუთებს (8,9,9\*,10,11,12,12\*,27), ისინი უფრო ადრეულია, ვიდრე მათ ზედაპირულ ფენაში აღმოჩენილი იუსტინე II-ის ოქროს სოლიდი (565-678 წწ.).

სამარხისეული ინვენტარის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზით, რომელსაც სადღეისოდ მრავალი პარალელი მოეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან, ჩვენ მიერ გათხრილი ქვაყრილიანი ორმოსამარხები (ინვენტარიანი №№1,2,3,4,7,15,16,17,18,19,20 და უინვენტარო №№5,6), რომლებიც სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთ უბანზეა განლაგებული, ახ.წ. III ს-ის ბოლოთი და IV ს-ის დასაწყისით დათარიღდა. ამ ქრონოლოგიის დადგენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა №7 სამარხიდან მომდინარე კერამიკასა (ტაბ. V,14,15,16) და სამარხისეული კომპლექსების ბეჭდებს. აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით საშუალება გვეძლევა ბრინჯაოს ჭვირული ბალთების დათარიღების დღემდე სადავო საკითხს შევხვით და ქვემო გოსტიბეს სამაროვანზე ქალის ოთხ სამარხში (№№7,15,17,18) ჩონჩხის წელის მიდამოში აღმოჩენილი ბალთების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ახ.წ. IV ს-ის დამდეგი ხანით განვსაზღვროთ. სწორედ გვიანანტიკური ხანის ზახორის სამარხი და მის კომპლექსში აღმოჩენილი ჭვირული ბალთის (კოლ. 15-982:1) დათარიღება, რომელიც ახ.წ. III ს-ით განისაზღვრა, რაც ამავე კომპლექსში აღმოჩენილმა მხრებიან მირჩილულთვალბუდიანმა ბეჭედმა განაპირობა [ჯავახიშვილი ქ. 1987:73-81].

ამრიგად, ქვემო გოსტიბეს სამაროვნი ახ.წ. III ს-ის ბოლოთი და IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება; ხოლო სამაროვანზე ზედაპირულად შეგროვებულმა მასალამ საშუალება მოგვცა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ქვემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორიაზე მოზინადრენი ახ.წ. III-VII საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობდნენ. ქვემო და ზემო გოსტიბეს არქეოლოგიური ძეგლის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის იბერიის არქეოლო-

გიური ძეგლების ხასიათის დასადგენად. ასევე – უცხოური და ადგილობრივი კულტურების ურთიერთობის შესასწავლად.

### ლიტერატურა:

**ამირანაშვილი შ. 1971:** ქართული ხელოვნების ისტორია, ხელოვნება, თბილისი.

**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955:** მცხეთა I, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

**აფხაზავა ნ. 1979:** ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ.

**ბრავაძე ზ. 1997:** ჩხარის სამაროვანი, თბილისი.

**გობეჯიშვილი გ. 1942:** ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ.

**გობეჯიშვილი გ. 1952:** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი.

**გოგიბერიძე ნ. 2008:** საკინძეების და ილარების ზოგიერთი ტიპის თარიღისათვის. ჟურ. - იბერია-კოლხეთი, №4, თბ., 5-13.

**თორთლაძე ზ. 2003:** ბრინჯაოს ჭვირული ბალთების სემანტიკური ანალიზისათვის. - ენა და კულტურა, 4, თბილისი, 46-68.

**თორთლაძე ზ. 2005:** ილარები ქვემო გოსტიბეს სამაროვნიდან. - ნარკვევები, X, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, თბ., გვ. 123-131.

**თორთლაძე ზ. 2006:** ზემო გოსტიბეს სამაროვანი. - არქეოლოგიური ჟურნალი, IV, თბილისი.

**ლომთათიძე გ. 1957:** კლდეეთის სამაროვანი, თბილისი.

**ლომთათიძე გ. 1973:** ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი, გვ. 198-211.

**ლორთქიფანიძე მარგ. 1954:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები I, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული გემების კატალოგი, თბილისი.

**ლორთქიფანიძე მარ. 1958:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II (არმაზისხევი), თბ.

**ლორთქიფანიძე მარგ. 1961:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბილისი.

**ლორთქიფანიძე მარგ. 1967:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. IV კატალოგი, თბ.

**ლორთქიფანიძე მარგ. 1969:** ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I, თბ.

**მანჯგალაძე გ. 1985:** სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, კატალოგი, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, VII, თბილისი, 43-108.

**მირიანაშვილი ნ. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი.

**მუხიგულაშვილი ნ. 1982:** ნიფრანისძირის სამაროვანი, ანგარიში, ხელნაწერი.

**მუხიგულაშვილი ნ. 2006:** ვარსიმეანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს ილარები. - ძიებანი, 17-18, თბ., გვ. 133-137.

**ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**ნემსაძე გ. 1969:** ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-66 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. - საქართველოს სახელ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ.1. თბ.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1978:** ანტიკური ხანის ძეგლები დიდმის ხეობიდან. - საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, გვ. 91-102.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1978:** ტუიქაქორას სამაროვანი /1953 წლის დაზვერვის შედეგად მოპოვებული მასალების მიხედვით/. - მცხეთა II, თბ.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1993:** კარსნისხევის მეთუნე ხელოსანთა დასახლება, თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., ლლონტი ნ. 1985:** მცხეთისგორის სამაროვანი, კატალოგი. - მცხეთა VII, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, გვ. 132-150.

**რამიშვილი რ. 1971:** ერნოს ველი ანტიკურ ხანაში. - ძეგლის მეგობარი, №27-28. თბილისი, გვ. 27.

**რამიშვილი რ. 1975:** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში. - ძეგლის მეგობარი №39., თბ., გვ. 12,13.

**რამიშვილი რ. 1979:** ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ.

**რამიშვილი რ. 1981:** მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. - ჟინვალის ექსპედიცია /II სესიის მასალები/, თბ.

**რამიშვილი რ. 1983:** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი, 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით. - ჟინვალი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, I, გვ. 81-130.

**რობაქიძე ც. 1985:** ნეძიხის სამაროვანი, ანგარიში, ხელნაწერი.

**სიხარულიძე ან., აბუთიძე ან. 1985:** მოგვთაკარის სამაროვანი, კატალოგი. - მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, გვ. 109-131.

**სონლულაშვილი ირ. 1935:** ილარები. - სსმმ. VIII, თბილისი, გვ. 149-58.

**ქორიძე დ. 1961:** მატერიალური კულტურის ძეგლები საჩხერის რაიონიდან, თბილისი.

**ყიფიანი გ. 2000:** ბრინჯაოს ჭვირულ ბალთათა ატრიბუციის საკითხები. - კავკასიის მაცნე 1, თბ., გვ. 80-91.

**ჩიხლაძე ვ. 1999:** არაგვის ხეობა ახ.წ. I ათასწლეულის

პირველ ნახევარში /ჟინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით/, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

**ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი.

**ხიდაშელი მ. 1972:** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ბალთები), თბ.

**ჯავახიშვილი ქ. 1972:** ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, V, თბილისი.

**ჯავახიშვილი ქ. 1987:** გვიანანტიკური ხანის სამარხის ს. ზახორიდან. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXIX-B, თბილისი, გვ. 73-81.

**ჯავახიშვილი ქ., შეროზია მ. 2010:** ახალი აღმოჩენა დაბა ახალგორიდან. - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე I (46-B), გვ. 257-262. თბილისი.

**Амиранашвили Ш. 1963:** Вклад Грузии в сокровищницу художественной культуры, Тбилиси.

**Джавахишвили А., Закарая П. 1971:** Искусство древней Грузии. - История искусств. Народов СССР, 1, Мос.

**Джавахишвили К. 2009-2010:** Еще раз о Питиахше Иберии (Картли) века. Питиахш Уса. 174-181.

**Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети, т. 1. Опыт периодизации памятников, Тб.

**Куфтин Б. 1949:** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетия и Имеретию, Тб.

**Максимова М. 1950:** Геммы из некрополя Мцхеты Самтавро. სსმმ XVI – B.

**Манукян А. 1984:** Гемма из Армении с изображением храма Афродиты Пафоской. - ВДИ N4. ст.90.

**Пчелина Е. 1968:** Погребальные комплексы из Сохта. - ИЮОНИИ, XV.

**Amiranashvili Sch. 1971:** Kundschatze Georgiens, Prague.

**Carter D. 1957:** The Symbol of the Beast. - The Animal Style Art of Eurasia, New York.

**Cuppers H., Collot G., Kolling A., Thill G (und Mitarbeiter) 1983:** Die Romer an Mosel und Saar. Mainz.

**Greifenhagen A. 1975:** Schmuckarbeiten in Edelmetall, Band II, Berlin.

**Hancar F. 1934:** Kaukasus-Luristan. Eur. Sept. Ant., Bd. IX, Helsinki.

**Henkel F. 1913:** Die Römischen Fingerringe der Rheinland. Berlin.

**Marshall F. 1911:** Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, London.

**Riha E. 1986:** Römisches Toilettgeraet und medizinische Instrumente aus Augst und Kaiseraugst. - Forschung in Augst. Band 6. Augst.

**Rostovzev M. 1922:** Bronze Belt-Claps and Pendants from the Norhern Caucasus. - BMM, vol. XXIII, N2.

**Zwierlein-Diehl E. 1973:** Die Antiken Gemmen des Kunsthistorischen Museums in Wien, Band I, München.


**Zwierlein-Diehl E. 1979:** Die Antiken Gemmen des Kunsthistorischen Museums in Wien, B. II, München.

**Watermann R.A. 1974:** Medizinisches und Hygienisches aus Germania inferior. - Ein Beitrag zur Geschichte der Medizin und Hygiene der romischen Provinzen. Neuss. S.147.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I** – ქვემო გოსტიბეს სამაროვნის სამარხების განლაგების სქემა. **II** – №№1 და 2 სამარხების ინვენტარი. **III** – №№19, 20 და 3 სამარხების ინვენტარი. **IV** – №№ 4 და 7 სამარხების ინვენტარი. **V** – №7 სამარხის ინვენტარი. **VI** – №7 სამარხის ინვენტარი. **VII** – №15 სამარხის ინვენტარი. **VIII** – №15 სამარხის ინვენტარი. **IX** – №№ 16 და 17 სამარხების ინვენტარი. **X** – №18 სამარხის ინვენტარი. **XI** – №18 სამარხის ინვენტარი. **XII** – № 18 სამარხის ინვენტარი.

### სამარხების განლაგების სქემა




● ქვერიდლიანი ორმოსამარხი

▲ ფილაქებით გადახურული ორმოსამარხი


■ ქვაყუთი

○ ხამყურზე ორმო




# II

## სამაგრი 1




## სამაგრი 2







სამაგრი 19



სამაგრი 20



სამაგრი 3




# IV


სამარბო 4



სამარბო 7




1



# V







կանոնի 7






# VI

նամոթի 7





# VII

հմարտ 15



1




2




# VIII

Խմբիկ 15




# IX

სამაგრი 16




სამაგრი 17




# X



სამართბო 18



1






2




# XI

სამაგრი 18



# XII

ԽճճՅՈՒ 18



## წინაქრისტიანული ხანის არქიტექტურის ძირითადი ტენდენციები საქართველოში

საქართველო იმ ქვეყნების რიგს განეკუთვნება, რომელთა ტერიტორიაზე სამშენებლო საქმე უძველესი დროიდან განვითარდა. ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი კლიმატი აქ ცხოვრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ადამიანი ჯერ ბუნებრივ გამოქვაბულებს და დროებით სადგომებს აფარებდა თავს, შემდგომ კი საცხოვრისის აგებაზე დაიწყო ზრუნვა. სამინათმოქმედო საქმიანობის დაწყების ეტაპზე, რომელიც სხვადასხვა სფეროში ნოვაციების დანერგვით იყო გამორჩეული, დადგა მონეული ჭირნახულის დაბინავების და მუდმივი საცხოვრისის აგების პრობლემა. რეალურად, ეს გახდა სამშენებლო საქმის და არქიტექტურის, როგორც ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი დარგის, ფორმირების საფუძველი. ამ მნიშვნელოვანი პროცესის მიმდინარეობა საქართველოს ტერიტორიაზე ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების მიხედვით დასტურდება. ამ ეპოქაში ადამიანმა შესძლო ბუნებაში არსებული თიხა-ქვიშნარის და წყლის მეშვეობით სამშენებლო მასალის – ალიზის შექმნა და მისთვის ესოდენ საჭირო საცხოვრისის აგება.

სამშენებლო საქმიანობის განვითარების პროცესი შემდგომში საცხოვრებელი ნაგებობის თავდაპირველი მარტივი სტრუქტურის თანდათანობითი გარდაქმნის, კონსტრუქციული, უტილიტარული თუ გარკვეული იდეურ-მხატვრული საკითხების გადაჭრის გზით წარიმართა. საცხოვრისის გარდა, დაიწყო გარკვეული საკრალური მნიშვნელობის თუ დასაკრძლავი ნაგებობების მშენებლობა, რაც საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის და, განსაკუთრებით, თრიალეთის კულტურების ძეგლებში წარმოჩნდება. ასევე საყურადღებოა მეგალითური, ე.წ. ციკლოპური წყობის ნიმუშები. არქეოლოგი-

ური გათხრების შედეგად აღმოჩენილი თუ ნანგრევების სახით შემორჩენილი უძველესი ძეგლები უაღრესად ღირებულ მასალას წარმოადგენს საქართველოში ხუროთმოძღვრების გენეზისის, ცალკეული არქიტექტურული ფორმების, სამშენებლო საშუალებებისა თუ ხერხების, ათასწლეულების განმავლობაში სამშენებლო გამოცდილების მემკვიდრეობითობის კვლევის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შესაფერისი პირობები იყო არა მხოლოდ ხუროთმოძღვრების ჩასახვის, არამედ მისი ინტენსიურად განვითარებისათვის. მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ნაირგვარი სამშენებლო მასალის არსებობა ის მოცემულობა იყო, რამაც დროთა ვითარებაში მდიდარი ხუროთმოძღვრული ტრადიციების ფორმირებას შეუწყო ხელი. ეს პროცესი, ბრინჯაოსა და შემდგომ რკინის ეპოქებში შრომის იარაღების განვითარების კვალდაკვალ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ხის თუ ქვის რესურსის ათვისების და შესაბამისი სამშენებლო ხერხების დაუფლების გზით საქართველოს სხვადასხვა ლანდშაფტურ თუ კლიმატურ პირობებში განსხვავებულად წარიმართა. შედეგად შეიქმნა მრავალფეროვანი არქიტექტურული თემები თუ ფორმები და დაისახა არქიტექტურის დინამიურად განვითარების პერსპექტივა. ამ პროცესში ასევე დიდი როლი შეასრულა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის სპეციფიკამ. სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდებში ცივილიზაციის მოწინავე ცენტრებთან ინტენსიური კულტურული კავშირების არსებობა სამშენებლო-ტექნიკური თუ მხატვრულ-სტილისტური ნოვაციების თანადროულად ათვისების შესაძლებლობას ქმნიდა, რაც დიდად უწყობდა ხელს ეპოქის შესაბამისი სიახლეების დანერგვასა და ხუროთმოძღვრების განვითარების სტიმულირებას.



ამდენად, საქართველოში არსებობდა ობიექტური პირობები არქიტექტურის ჩასახვა-განვითარებისათვის, რაზეც მის ტერიტორიაზე მიკვლეული ძეგლების სიმრავლეც მეტყველებს. აღმოჩენილი ნაგებობების ნაშთები დანყებული ადრესამინათმოქმედო კულტურის უძველესი ნამოსახლარებიდან (მაგ.: შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა) მომდევნო კულტურებსა და ცალკეულ ძეგლებში უტყუარად ადასტურებს სამშენებლო საქმის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილების არსებობას ძვ.წ.ა. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის.

წინაქრისტიანული ეპოქის ათასწლეუანი პერიოდი (ძვ.წ. I ათასწლეულის VI-Vსს-დან ახ.წ. IV.ს.-მდე) უაღრესად მნიშვნელოვანია მრავალმხრივი კულტურული კავშირ-ურთიერთობების შედეგად სამშენებლო ნოვაციების შეთვისების, ასევე ადგილობრივი, თვითმყოფადი ნიშან-თვისებების ფორმირების თვალსაზრისით. ამ პერიოდის მასალა ძალზე საყურადღებო ინფორმაციას გვანვდის არქიტექტურული ფორმებისა და მიდგომების თვალსაზრისით. ამ ათასწლეულის განმავლობაში ფორმირდა ის მდიდარი და მრავალმხრივი არქიტექტურული ტრადიციები, რომელთაც დაეფუძნება შემდგომ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ წინაქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის და არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების წარმოჩენისას სირთულეს ქმნის ნაგებობების შესახებ არსებული ინფორმაციის ფრაგმენტულობა, რაც ართულებს, ხშირად კი შეუძლებელს ხდის, მათი თავდაპირველი სახის სრულფასოვნად აღდგენას. მიუხედავად ამისა, არსებული არტეფაქტები ბევრი საკითხის გარკვევისა და ხუროთმოძღვრების განვითარების ძირითადი მიმართულების დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული პერიოდების ხუროთმოძღვრების განსხვავებული ისტორიულ-

კულტურული თუ იდეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით სამშენებლო საქმეში მემკვიდრეობითობის ნიშნების გამოკვეთა, რაც საქართველოში ხუროთმოძღვრების განვითარების უწყვეტი პროცესის სურათს წარმოაჩენს. ამავედროულად გასათვალისწინებელია, რომ თავის მხრივ წინაქრისტიანული ხანის არქიტექტურა ეფუძნება ათასწლეულების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას, მრავალგვარი სამშენებლო მასალების სპეციფიკის და შესაბამისი ხერხების ცოდნას, რაც ამ ეპოქის შესაბამისი ახალი გამოწვევების უკეთ გააზრების შესაძლებლობას განაპირობებდა.

უდაოა, რომ საქართველოში სამშენებლო საქმის ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალის არსებობა წარმოადგენდა. საშენი მასალა, რომელიც ჯერ კიდევ უძველესი, ადრესამინათმოქმედო კულტურის პერიოდიდან, გამოიყენებოდა და აქტუალობა ახ.წ. პირველ საუკუნეებამდე შეინარჩუნა იყო ალიზი. ამას თიხა-მიწების საკმაოდ დიდი რესურსი, გამოშრობისათვის საჭირო თბილი კლიმატი და დამზადების წესის სიმარტივე განაპირობებდა. საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად მხოლოდ ალიზით ნაგები (მაგ.: შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა) შენობები, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხის (მაგ.: ქვაცხელა) და ქვის გამოყენებაც (მაგ.: ამირანის გორა) დასტურდება [ჯაფარიძე, 2002:61-124]. ალიზს ფართოდ იყენებენ წინაქრისტიანულ ხანაშიც, ძვ.წ. I ათასწლეულში, როგორც საცხოვრისების, ასევე სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობისას. მაგალითად, ძვ.წ. IV-III სს-ის ციხია-გორაში 1,5 მეტრი სისქის ქვის კედლებს ალიზის ნიჟარა აგრძელებს [ცქიტიშვილი, 2003:11-25]; ხოლო ძვ.წ. II-I სს-ის დედოფლის მინდორის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი მთლიანად ალიზის აგურით (ზომები: 50X50X15სმ) არის ნაგები [გაგოშიძე, 1981:102-116]. ალიზის გამოყენება მკვეთრად შემცირდა ძვ.წ.

I ათასწლეულის დასასრულს, რაც კირის დულაბის გავრცელებას უკავშირდება.

საქართველოში, განსაკუთრებით კოლხეთში, ხე ერთ-ერთ ძირითად საშენ მასალას წარმოადგენდა. ტყეებით მდიდარი მხარე სათანადო მასალის მოპოვების კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. კოლხეთში ტყეების სიუხვეს და ხის ნაგებობების სიმრავლეს აღნიშნავენ ბერძენი და რომაელი ავტორებიც – ჰიპოკრატე, ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, ვიტრუვიუსი, სტრაბონი და სხვ. ხით ნაგები სამოსახლოები აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კომკებს, ზღუდემესერებს, გამაგრებულ სამოსახლოებს [იხ. გამყრელიძე, 2002:111-121]. აღსანიშნავია, რომ ხის ძელებით ნაგებ ე.წ. “კოლხურ სახლს” საგანგებოდ ეხება რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი თავის ცნობილ ტრაქტატში “არქიტექტურის ათი წიგნი” (Vitruvius, II,1,4), რაც კოლხეთში ხის ხუროთმოძღვრების თავისებური ნიმუშების არსებობას ადასტურებს.

რაც შეეხება ქვის მასალას, საქართველოში მისი ბუნებრივი რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. საშენ მასალად გამოიყენებოდა როგორც ვულკანური ქანები – ანდეზიტო-ბაზალტი, ასევე უფრო ადვილად დასამუშავებელი ქვიშაქვა, ტუფი და მათთან შედარებით მტკიცე კირქვა. აქტიურად იყენებდნენ რიყის ქვას. ქვის მასალის გამოყენების ფაქტები ჯერ კიდევ უძველეს კულტურებში გვხვდება, ხოლო ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნიდან იგება მეგალითური ნაგებობები: მენჰირები (ნალკის, თეთრიწყაროს და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებში) და დოლმენები (ძირითადად აფხაზეთში). ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გვხვდება ე.წ. ციკლოპური ანუ მშრალი წყობით ნაგები სასიმაგრო კედლები (მაგ.: ავრანლო – ძვ.წ. II ათასწ., ნორდევანი – ძვ.წ. I ათასწ.). ამდენად, ძვ.წ. I ათასწლეულისთვის უკვე არსებობდა ქვის ნაგებობების მშენებლობის გამოცდილება.

როგორც ფაქტობრივი მასალა ადას-

ტურებს, ძვ.წ. IV საუკუნიდან ვრცელდება ქვის კვადრებად გათლის ტექნიკა. ამგვარი კვადრები ეწყობოდა მშრალად, უხსნაროდ და გადაბმული იყო ხის ან ლითონის ე.წ. მერცხლის კუდის სახის პირონებით, ამოკვეთილ ბუდეებში ტყვიის ჩადულების საშუალებით (მაგ.: არმაზციხე, გორი, წინამური). ასევე ვრცელდება რუსტებიანი წყობა (მაგ., ვანი, უფლისციხე, მცხეთა), რომელშიც ქვის კვადრის გათლილ ნაწიბურებს შორის მოქცეული დაუმუშავებელი ზედაპირით შექმნილი მხატვრული ეფექტი კედელს თავისებურ მხატვრულ გამომსახველობას სძენდა. ნაგებობების შემორჩენილი ნაწილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კედლის ამოყვანისას უმეტესად დაცული იყო ქვის რიგების ჰორიზონტალური წყობა, თუმცა თავად რიგები არათანბარი სიმაღლის იყო. კედელი იგებოდა როგორც მთლიანად ქვის კვადრებით, ასევე ქვაზე ალიზის აგურით. ქვის კვადრების ზედაპირის განსხვავებულ ხასიათს მათი დამუშავებისას სხვადასხვა ტიპის იარაღის გამოყენება აპირობებდა. ამგვარი ქვის მასალით უმეტესად საზოგადოებრივი და საკულტო დანიშნულების ნაგებობები შენდებოდა.

ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს კირის დულაბის გავრცელებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა ქვის არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით. საგულისხმოა სტრაბონის ცნობა – “იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით, სოფლებით, იქ არის კრამიტის სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა... (Strabo, XI,III,1,2) არქეოლოგიურ მასალაში მრავლად აღმოჩენილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი ადასტურებს ამ ცნობის რეალობას. თავად კრამიტის ზომა (დაახ. 52-46 X 44-47) და სიმძიმე მიუთითებს იმ ნაგებობათა სიმტკიცესა და მდგრადობაზე, რომლებიც ამგვარი კრამიტით იყო გადახურული.

წინაქრისტიანულ ხანის საქართველოს ხუროთმოძღვრებაში მრავალფეროვანი სამშენებლო მასალების გამოყენება შესაბამისი ტექნიკური ხერხების და სამშენებლო ტრადიციების არსებობაზე მიუთითებს. ეს

მოცემულობა ნაგებობების ცუდი დაცულობის პირობებში საქართველოში ხუროთმოძღვრების განვითარების საკმაოდ მაღალი დონის დამადასტურებელ ერთ-ერთ არგუმენტად გვევლინება.

ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში იწყება ძალზე მნიშვნელოვანი, ურბანული ცენტრების ფორმირების პროცესი, რაც თავისთავად სამშენებლო საქმიანობის გააქტიურების მანიშნებელია. ამაზე მიუთითებს როგორც მატერიალური, ასევე წერილობითი წყაროები. ქალაქების შესახებ ფაქტობრივი მასალა ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის გამოვლენილი. რაც შეეხება ეპიგრაფიკულ და ნარატიულ წერილობით წყაროებს, არის ცნობები ცალკეული ქალაქების და მათი დასახელების შესახებ. გვხვდება სხვადასხვა ენაზე (მაგ.: არამეული, ბერძნული, რომაული) შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები. საგულისხმოა, რომ “ქართლის ცხოვრების” მემატიაწე ლეონტი მროველი ქალაქების წარმოშობის საკითხს ქართველთა ეთნარქებს უკავშირებს [ქ.ც.: 5], რაც მის მიერ ამ პროცესის მნიშვნელობის აღიარებას ადასტურებს. ლეონტის მიხედვით ქართლოსის ცოლმა ააშენა რუსთავი, მცხეთოსმა - მცხეთა, ოძრხოსმა – ოძრხე და თუხარისი, ჯავახოსმა – წუნდა და არტაანი, უფლოსმა უფლისციხე, ურბნისი და კასპი. ამ და სხვა ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ქალაქების ნაწილი დღესაც არსებობს, ნაწილი არქეოლოგიურად არის შესწავლილი, მაგრამ ნაწილი დღემდე არ არის მიკვლეული, მაგალითად, კულხას ქალაქები, შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული ბერძნული კოლონიები, ზოგიერთი რომაული სიმაგრე და სხვა.

თავისთავად საქალაქო ტიპის დასახლებათა გაჩენა სათანადო ეკონომიკური და სოციალური პირობების, საზოგადოების განვითარების შესაბამისი დონის არსებობას საჭიროებდა. ეს პროცესი საქართველოში ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან დაიწყო. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ,

მაგალითად, უფლისციხეში, მცხეთაში, რუსთავში გაცილებით ადრეულ ხანაში არსებული დასახლებები ქალაქებად ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ფორმირდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ამ პროცესს ხელი შეუწყო კონკრეტულმა გარემოებამ, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ და ბერძნული ფაქტორების გაჩენამ ზღვისპირეთში. ამდენად, აქ ეს ფაქტი ქალაქების წარმოშობის დამატებით სტიმულად იქცა. ნელ-ნელა ქალაქური ტიპის დასახლებები შეიქმნა კოლხეთის შიდა მხარეშიც (მაგ.: ვანი, ქუთაისი, საირხე). ზღვისპირეთის გარდა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ ქალაქების წარმოშობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეუწყო ხელი. როგორც ცნობილია, საქართველოში გადიოდა საერთაშორისო ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, რომელთა მარშრუტი ძირითადად მდინარეების გასწვრივ მიემართებოდა. სწორედ ამ ადგილებში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქალაქმშენებლობისთვის (მაგ.: შორაპანი).

სავაჭრო ურთიერთობების გარდა ქალაქების მშენებლობისას უმთავრესი ცხოვრებისათვის საჭირო პირობების არსებობა იყო. ეს უპირველესად ეხებოდა სასმელი წყლის საკმარისი რესურსით და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფას. ასევე ძალზე დიდი ყურადღება ექცეოდა თავდაცვითი პრობლემატიკის გადამწყვეტას. ამიტომ ქალაქებისათვის ადგილს უმეტესად ბორცვებსა თუ მთისწინეთში არჩევდნენ, სადაც უკეთ შეიძლებოდა ზღუდეების აგება და საფორტიფიკაციო ნაგებობების მემშვეობით თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

ქალაქის ტიპის დასახლებას გამოარჩევდა საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ნაგებობების არსებობა. ასევე იყო სავაჭრო ადგილები (ბაზრობა) თუ ამ ფუნქციისთვის აგებული საგანგებო შენობები. დროთა განმავლობაში ფორმირდა ქალაქური ტიპის საცხოვრებელი სახლები. ქალაქის ტერიტო-

რია შემოსაზღვრული იყო კედლებით. ამას გარდა არსებობდა შიდა ციხე (აკროპოლისი), რომელიც დამატებით თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა.

საყურადღებოა, რომ მცხეთაში აღმოჩენილი ახ.წ. IV საუკუნის ქვის ეპიტაფია – „ავრელი აქოლისი, არქიტექტორი და არქიზოგრაფი“ ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოში ქალაქის განაშენიანების პროცესების ხელმძღვანელის სპეციალური თანამდებობა არსებობდა. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ურბანული ხუროთმოძღვრება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ამ აზრს ამყარებს ძვ.წ. I საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის ზემოთ აღნიშნული ცნობაც იბერიის არქიტექტურულად გამართული ქალაქებისა და დაბების შესახებ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეტნაკლებად შესწავლილია რიგი ნაქალაქარები, როგორცაა მცხეთა, სამადლო, უფლისციხე, გორი, ძალისა, ურბნისი, ვანი, ბიჭვინთა და სხვ. ამ მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ წინაქრისტიანულ საქართველოში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული ურბანული მშენებლობა. გააზრებულად იყო შერჩეული ადგილი ქალაქმშენებლობისათვის. გათვალისწინებული იყო როგორც თავდაცვის, ასევე კომუნიკაციისთვის საჭირო პირობების შექმნის აუცილებლობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საფორტიფიკაციო სისტემის ფორმირებას. ამ თვალსაზრისით ძალზე ღირებულ ინფორმაციას გვანვდის არმაზციხის (პირონებით გადაბმული ქვის სქელი კედლები, რომლებიც ალიზით გრძელდებოდა) [აფაქიძე, 1963:21-24], ვანის (ქალაქის ჭიშკრის მონაკვეთი შესასვლელის მარჯვნივ სპეციალურ პოსტამენტზე სავარაუდოდ ქალაქის მფარველი ღმერთის ქანდაკებით) [ვანი, 1972:147-174], ბიჭვინთის (რომაული კასტელუმი და ქალაქის გალავანი კოშკებით) [დიდი პიტიუნტი, 1975] მასალა. ნაქალაქარებში დასტურდება სხვადასხვა უბნების არსებობა, რაც განსაკუთრებით

ნათლად მცხეთის მაგალითზეა გამოვლენილი [იხ. Gamkrelidze, G. 2014]. საცხოვრისების გარდა ჩანს სავაჭრო, საკულტო და სხვა სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობათა კვალი. აღსანიშნავია, რომ ქალაქებში დიდი ყურადღება ექცეოდა საგზაო ინფრასტრუქტურას. იგებოდა მოკირწყლული გზები. ამის კარგ მაგალითს ვანის ჭიშკართან შემორჩენილი ქვაფენილი წარმოადგენს. სამშენებლო საქმის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე [ხახუტაიშვილი, 1989]. მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე განსაკუთრებით აღსანიშნავია წინაქრისტიანული პერიოდის რომაული არქიტექტურის გავლენით გამოკვეთილი დარბაზები (მაგ.: ე.წ. კესონებიანი დარბაზი).

როგორც აღინიშნა საქართველოში წინაქრისტიანული ხანის ნაგებობები ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ამდენად გაძნელებულია არა მხოლოდ მათი სივრცული გადაწყვეტის რეკონსტრუქცია, არამედ ხშირ შემთხვევაში გართულებულია გეგმის სრულად გამოვლენაც კი. ეს, ცხადია, ართულებს, როგორც ამ ნაგებობების არქიტექტურული სახის, ასევე მათი ფუნქციის ზუსტად განსაზღვრას. მეტნაკლები სისრულით შემორჩენილი რიგი ძეგლები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის წინაქრისტიანული ხანის ნაგებობების გეგმარებასა თუ არქიტექტურული გადაწყვეტის ხასიათზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძველი მცხეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ცალკეული ნაგებობები. მათგან ერთ-ერთი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან სრულად არის შემორჩენილი და ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისად გვევლინება. ეს არის მცირე ზომის კვადრატს მიახლოებული გეგმარების მქონე აკლდამა ორფერდა სახურავით (ძვ.წ. I ს.) [აფაქიძე, 1963:105-108], რომლის შიდა სივრცეს კამაროვანი გადახურვა გააჩნია. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სივრცის გადახურვის ამ საკმაოდ რთული და ეფექტური ხერხის

გამოყენების ფაქტს ადასტურებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ ნახსენები კესონებიანი ქერი უფლისციხეში ასევე კამაროვანი ფორმის იმიტაციას ქმნიდა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოში გადახურვის კონსტრუქციულად საკმაოდ რთული, კამაროვანი გადახურვა, გავრცელებული იყო. ამდენად, ადრექრისტიანულ ეტაპზე მისი გავრცელება, უდაოდ, სამშენებლო საქმის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს.

მცხეთაში აღმოჩენილ სხვა ნაგებობებში, სამწუხაროდ, გადახურვის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, თუმცა გარკვეული ნაგებობები ყურადღებას გვმარების თვალსაზრისით იმსახურებს. ასეთია მაგალითად, არმაზციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე.წ. ექვსსვეტიანი დარბაზი (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს.) [აფაქიძე, 1963:25-27] და ექვსაფსიდიანი ნაგებობა (II-III სს.) [ნიკოლაიშვილი, 1996:23-25]. დღეს რთულია ზუსტად განსაზღვრა როგორც ამ ძეგლების ფუნქციის, მათი საკულტო თუ საერო კუთვნილების, სივრცულ-მოცულობითი გადანაწევების, თუმცა უდაოა, რომ ისინი უაღრესად საინტერესო არქიტექტურული გადანაწევების ნაგებობებს წარმოადგენდნენ.

საყურადღებო სატაძრო არქიტექტურის ნიმუშებია შემოჩენილი ვანის ნაქალაქარში. აქ, ქვედა ტერასაზე დადასტურებულია შთამბეჭდავი ზომის (800 კვ.მ) ტაძრის ნაშთები, რომელიც შედგებოდა სამხვერპლოს, დარბაზის და შემონირულობების შესანახი სპეციალური სათავსისაგან [მათიაშვილი, 2005:44-45]. დარბაზში *in situ* საყრდენის ორი ბაზაა დაფიქსირებული, რაც თვალნათლივ მიანიშნებს აქ სვეტებიანი სტრუქტურის არსებობაზე.

ბიჭვინტაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი კასტელუმის და გონიოს ციხის ადრეული სამშენებლო პერიოდის მასალა ნათლად მეტყველებს საქართველოს ტერიტორიაზე რომაელების მიერ წარმოებული მასშტაბური მშენებლობების შესახებ.

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ არსებობდა რომაელთა მოწინავე საინჟინრო-სამშენებლო იდეებისა თუ ხერხების ადგილზე გაცნობის შესაძლებლობა. შედეგად, ნოვაციების შეთვისების საშუალება ადგილობრივი სამშენებლო პოტენციალის გაზრდის პირობას ქმნიდა. ამას ადასტურებს რომაული ხუროთმოძღვრების და, ზოგადად, ცხოვრების წესისთვის ესოდენ სახასიათო, რომაული ტიპის აბანოს საქართველოში ფართოდ გავრცელების ფაქტიც. რომაული ტიპის აბანო, რომელიც ტექნიკური და სამშენებლო თვალსაზრისით ძალზე რთულ და სპეციფიკურ კომპლექსურ ნაგებობას წარმოადგენს, დადასტურებულია როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში (არმაზისხევი, ძალისა, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, შუხუთი და სხვ.). ეს ნიმუშები, რომლებიც რომაული აბანოს სტანდარტების სრული დაცვითაა აგებული, ნათლად მეტყველებს რომაული ხუროთმოძღვრების ამ ტიპის ნიმუშის თავისებურების საფუძვლიან ცოდნას. ყველა შემოჩენილ ძეგლში წარმოდგენილია რომაული აბანოსათვის სახასიათო ცივი, თბილი, ცხელი წყლის სათავსები, გასახდელი და სართულქვეშა ორთქლით გასათბობი სისტემა კოლორიფლებით. განსაკუთრებით გამორჩეულია ძალისას კომპლექსი მოზაიკური კომპოზიციებით შემკული იატაკით და უზარმაზარი საცურაო აუზით [ბოხორაძე, 1981]. მოზაიკებია დადასტურებული ასევე ბიჭვინთისა და შუხუთის აბანოებშიც. შემკულობის ამ ხერხის გამოყენება მიუთითებს საქართველოში აბანოს იმგვარი გააზრების წესზე, როგორც ეს რომაულ სამყაროში იყო მიღებული, სადაც ის არა მხოლოდ სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციის, არამედ უფრო ფართო, სოციალ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ წინაქრისტიანული ხანის ნაგებობებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ციხია-გორას (ძვ.წ. IV-III სს.) [კვიციანი, 2003:11-25] და დედოფლის მინ-

დორის (ძვ.წ. II-I სს.) [გაგოშიძე, 1981:102-116] კომპლექსები. ამ ძეგლების მნიშვნელობა განუზომლად დიდია, რადგან წინაქრისტიანული ხანის სხვა ნაგებობისგან განსხვავებით მათი არქიტექტურული სახის და ფუნქციის განსაზღვრა მეტ-ნაკლები სისრულით არის შესაძლებელი. ისინი წარმოადგენენ ცეცხლის ტაძრებს, რომელთა გეგმა დაფუძნებულია ამ ტიპის ნაგებობებისათვის სახასიათო კვადრატი კვადრატში პრინციპზე. ცეცხლის ტაძრის აგების ფაქტი მაზდეანობის და, ზოგადად, ირანის გავლენის მიმანიშნებელია, რაც ამ ძეგლების არქიტექტურულ გადაწყვეტაშიც ვლინდება. აღსანიშნავია, რომ ასევე ცეცხლის ტაძარად არის მიჩნეული ოთხსაყრდენიანი კლდეში ნაკვეთი კვადრატული გეგმის ნაგებობა უფლისციხეში, რომელიც VI საუკუნეში სამნავიან ბაზილიკად გადააკეთეს [ყიფიანი, 2000:101-109].

საგულისხმოა, რომ ციხია-გორას ტაძარი ქალაქის გალავნის კედელთან იყო აგებული, რაზეც ზღუდის შემორჩენილი მონაკვეთი მიუთითებს. ამდენად, სავარაუდოა ამ დასახლებულ პუნქტში მაზდეანური რელიგიის მიმდევართა არსებობა, ვისთვისაც უნდა აგებულიყო აღნიშნული ტაძარი. რაც შეეხება კომპლექსის არქიტექტურულ სტრუქტურას, აქ ჩანს როგორც ცეცხლის ტაძრისთვის სახასიათო ტრადიციული სქემები და ფორმები (მაგ.: კვადრატული ცელა, გარშემოსავლელი, ბეღელი, მცირე ტაძარი და სხვ.), ასევე განსხვავებული მიდგომები (მაგ.: ორსართულიანი გრძივი ნაგებობა, დაფერდებული კრამიტისანი გადახურვა და სხვა), რაც ამ ხუროთმოძღვრული თემის თავისებურ დამუშავებაზე მიუთითებს. ციხია-გორასთან შედარებით გაცილებით მასშტაბურია დედოფლის მინდორის კომპლექსი, სადაც არქიტექტურული ანსამბლის ცენტრს კვადრატული ეზო ქმნიდა და ყველა ნაგებობა მასთან მიმართებაში მოიაზრებოდა. ამ გრანდიოზული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, უდაოდ, უმაღლესი ხელისუფლების ნებით განხორციელდა და ამ რეგიონში ირანის რელიგი-

ურ-იდეოლოგიური პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა.

როგორც ცნობილია, ხუროთმოძღვრება ნათლად და პირუთვნელად ასახავს კონკრეტული ეპოქისა თუ ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების დონეს, კულტურული კავშირ-ურთიერთობების ხასიათს. ამ თვალსაზრისით წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ნაგებობების გარდა, მნიშვნელოვანია ცალკეული არქიტექტურული დეტალები, რომელთა შესწავლა ბევრი საყურადღებო საკითხის წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. ფაქტობრივი მასალის სიმრავლეში განსაკუთრებით ინფორმატიულია ისეთი ხუროთმოძღვრული ფორმა როგორცაა კაპიტელი, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით აკონკრეტებს ძეგლის არქიტექტურულ-კულტურული რაობის საკითხს და მიანიშნებს ადგილობრივი ხუროთმოძღვრების განვითარების დონეს. ამავდროულად, კაპიტელის აღმოჩენა თავისთავად ადასტურებს საყრდენის გამოყენების ფაქტს, რაც ნაგებობის ინტერიერსა თუ ექსტერიერში სვეტების არსებობის მანიშნებელია და ამდენად არქიტექტურული კომპოზიციის დადგენის ალბათობას ზრდის. საგულისხმოა ისიც, რომ კაპიტელის ფორმისა და მხატვრული იერსახის შესწავლა ანტიკური თუ აღმოსავლური კულტურული არეალისთვის კუთვნილების განსაზღვრის და, შესაბამისად, ისტორიულ-კულტურული კავშირების იდენტიფიცირების კარგ საშუალებას იძლევა.

საინტერესოა, რომ ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ ცეცხლის ტაძრებში, ციხიაგორასა და დედოფლის მინდორში, დადასტურებულია კაპიტელების აღმოჩენის ფაქტი. ეს ქვის კაპიტელები, სავარაუდოდ, ხის სვეტებზე იყო დაფუძნებული. ციხიაგორაში კაპიტელი აღმოჩნდა ე.წ. ორსართულიანი სასახლის ფარგლებში, თუმცა იქ ნაგებობის ნრევისა და ხანძრის დროს უნდა მოხვედრილიყო [ცქიტიშვილი, 2003]. ესაა აქემენიდური ირანის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ორ-

პროტომიანი კაპიტელი. უნდა ითქვას, რომ ირანის სამეფო სასახლეების კაპიტელების ხარების ძლევამოსილი, პომპეზური იერის გამოსახულებებისაგან განსხვავებით ციხიაგორას კაპიტელზე ხარების მხატვრული სახე სრულიად განსხვავებულია. მათ მშვიდი, კამერული განწყობა გამოარჩევს. ამას, ცხადია, განსხვავებული იდეური დატვირთვა და არქიტექტურული ამოცანის არსებობა განაპირობებდა. სასახლის გრანდიოზულ დარბაზებში სამეფო ძალაუფლების და ხელისუფლების სიძლიერის შესაფერისი, ხოლო ციხიაგორას სატაძრო კომპლექსში საკრალური სივრცის შესაბამისი ატმოსფერო იყო შექმნილი, რაც კაპიტელების იერსახეშიც აისახა.

ციხიაგორას ტაძარში ორპროტომიანი კაპიტელიანი სვეტის ადგილმდებარეობა ზუსტად განსაზღვრული არ არის. სავარაუდოდ, ის მთავარ დარბაზს ამშვენებდა. საინტერესოა, რომ ამგვარი ტიპის ორპროტომიანი კაპიტელი აღმოჩნდა ვანშიც, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ირანის კულტურული გავლენა აღმოსავლეთის გარდა, დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა.

სვეტები დედოფლის მინდორის კომპლექსის სხვადასხვა ნაგებობაშიც იყო გამოყენებული. როგორც ჩანს საყრდენები ხის იყო. მთავარ ცეცხლის ტაძარში ირანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ოთხსვეტიანი კომპოზიციაა. შემორჩენილია ქვის კაპიტელი, რომელსაც გაშლილი ლოტოსის ყვავილის ფორმა აქვს. როგორც ცნობილია, ეს ფორმა ძალზე გავრცელებული იყო აღმოსავლურ სამყაროში. საყურადღებოა, რომ დედოფლის მინდორის ნიმუშს კიდევ დეკორატიული ნიული შემოუყვება, რაც მისი მხატვრული გააზრების თავისებურებაზე მეტყველებს.

სოფ. საირხეში (საჩხერის მახლობლად) დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩნდა დორიული სტილის ორი (დიდი და მცირე) კაპიტელი. ორივე გამოკვეთილია მკვრივი თეთრი კირქვისაგან. როგორც მკვლევარი და არქიტექტორი გიორგი ლეჟავა აღნიშნავს [ლეჟავა, 1979:9-10], კა-

პიტელი მართალია დორიულია, მაგრამ ახასიათებს თავისებურება ექინის დამუშავებაში. კერძოდ, ჩვეული სადა ფორმის ნაცვლად, შემკულია ლოტოსის ყვავილის ფოთლების მოტივით. ამასთან მისი დამუშავების ტექნიკა სკულპტურულია. საინტერესოა, რომ პატარა კაპიტელიც დიდის ანალოგიურად არის გააზრებული. გ. ლეჟავას ვარაუდით, ეს კაპიტელები დორიული ტიპის ტაძარს განეკუთვნებოდა.

სარკინეში, რომელიც შიომღვიმის მისაღვლომბთან მდებარეობს და წინაქრისტიანულ ხანაში დიდი მცხეთის უბანს ან დამოუკიდებელ ქალაქს წარმოადგენდა, არქეოლოგიური გათხრებისას სხვა საინტერესო მასალასთან ერთად აღმოჩნდა იონური კაპიტელი, რომელსაც ამ ორდერისთვის სახასიათო ყველა დამახასიათებელი ნიშანი გაჩნია. უპირველესად მას აქვს ვოლუტები, რომლებიც ლენტითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ყურადღებას იქცევს ამ ლენტის ცენტრში გამოსახული ექვსფურცლიანი ვარდული. აღსანიშნავია, რომ ამდაგვარი ვარდულით შემკული კაპიტელი 1958 წელს აღმოჩნდა აზერბაიჯანშიც, რომელიც სარკინეს კაპიტელის მსგავსად მცირე ზომისაა [ლეჟავა, 1979:12].

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ფრაგმენტები, რომლებიც განეკუთვნებოდა როგორც მონუმენტურ, ასევე მომცრო ნაგებობებს. დადასტურებულია სხვადასხვა ტიპის კაპიტელები, ბაზები და სვეტის ნატეხები, ასევე აკროტიერიუმის, წვიმის სადინარად გამოყენებული ლომის თავები და სხვა ფრაგმენტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი კორინთული კაპიტელი [ლეჟავა, 1979:13-15]. ვანის ამ კაპიტელებს ორიარუსიანი გადაწყვეტა აქვს. ქვედა რიგი მთლიანად აკანთის ფოთლების მოტივითაა წარმოდგენილი. ფოთლები საკმაოდ პლასტიკურადაა დამუშავებული. ზედა რიგში კუთხეებში ასევე ოთხი ფოთოლია, ხოლო მათ შორის ერთ შემთხვევაში ქალის მკერდამდე ფიგურაა. ხოლო მეორეში ვარდულია გამოსახული. ეს დეტალები კაპიტელებს გამორჩეულ იერს ანიჭებს.

ზემოთჩამოთვლილი ნიმუშები უტყუ-

არად ადასტურებს წინაქრისტიანულ ხანის საქართველოში როგორც აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო, ასევე ანტიკური ორდერის გამოყენების ფაქტს და შესაბამისი არქიტექტურული სისტემების შესახებ სათანადო ინფორმაციის ფლობას. ამავდროულად ჩანს თავისებური მიდგომებისა და მოტივების შემუშავების სურვილიც, რაც კარგად ავლენს შემოტანილი არქიტექტურული ფორმების შემოქმედებითად გადამუშავების უნარს. კაპიტელების მაგალითზე ნათლად ჩანს დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროსთან კულტურული კავშირ-ურთიერთობის შედეგი. ეს, ცხადია, არქიტექტურის სხვა ფორმებსა თუ დეკორატიულ მოტივებშიც ვლინდება და საქართველოში ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნების განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება.

ამდენად, წინაქრისტიანულ საქართველოში ხუროთმოძღვრების განვითარების დონე საკმაოდ მაღალი იყო, რაზეც ნათლად მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მონაცემები. ხუროთმოძღვრების რაობას განაპირობებდა როგორც წინა ათასწლეულებში მრავალგვარი სამშენებლო მასალების და ხერხების ფლობის მდიდარი გამოცდილება, ასევე მრავალმხრივი კულტურული კავშირების წყალობით არქიტექტურული ინოვაციების თანადროულად ათვისების შესაძლებლობა. ამ პერიოდში აღმოსავლურ, ძირითადად ირანულ, და ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა არქიტექტურული თემებისა თუ ფორმების მრავალფეროვანი რეპერტუარი. ქართულმა ხუროთმოძღვრებამ წინაქრისტიანული პერიოდისაგან მემკვიდრეობით მიიღო როგორც ცალკეული კომპოზიციური სქემები, არქიტექტურული ფორმები და მოტივები, ასევე ისეთი ზოგადკულტურული თვისებები როგორიცაა გარე სამყაროსადმი გახსნილობა, ტრადიციულისა და ინოვაციურის ბალანსის დაცვის, ახლის მიღებისა და შემოქმედებითად გადამუშავების უნარი, რაც შუა საუკუნეების არქიტექტურის მიღწევების საფუძველი გახდა.

## ლიტერატურა:



**აფაქიძე ან. 1963:** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი.  
**ბოხოჩაძე ალ. 1981:** არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში, თბ.  
**გამყრელიძე გ. 2002:** კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევები), თბ.  
**დიდი პიტიუნტი, 1975:** ტ. I, თბ.  
**ვანი, 1972:** ტ. I, თბილისი.  
**მათიაშვილი ნ. 2005:** ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ.  
**ლეჟავა გ. 1979:** ანტიკური ხანის საქართველოს ძეგლები, თბ.  
**ნიკოლაიშვილი ვ. 1996:** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არმაზციხე-ბაგინეთზე. - ჟურ. ძეგლის მეგობარი, 4(95), თბ., გვ. 22-25.  
**ქართლის ცხოვრება, 1959:** I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი.  
**ყფიანი გ. 2000:** კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ.  
**ცქიტიშვილი გ. 2003:** ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, თბ.  
**ხახუტაიშვილი დ. 1989:** უფლისციხე ქალაქი კლდეში, თბ.  
**ჯაფარიძე ოთ. 2002:** საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ.  
**Гагошидзе, Ю. 1981:** Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II-вв. до н.э. Дедоплис Миндори), сб. Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, Москва, 102-116.  
**Gamkrelidze, G. 2014:** Archaeology of the Roman period of Georgia (Iberia-Colchis), (Essay and Catalog), Tb., (in English). <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/40056?locale=en>

## ილუსტრაციების აღწერილობა:


1. მცხეთის სიტუაციური გეგმა **გ. გამყრელიძის** მიხედვით.
2. აკლდამა მცხეთაში. ფასადი და ჭრილი.
3. ციხიაგორა. ცეცხლის ტაძრის გეგმა.
4. ნაქალაქარ ძალისას გენგეგმა.
5. დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსის გეგმა.
6. გონიოს ციხის გეგმა.
7. ბიჭვინთის გენგეგმა.
8. უფლისციხის კესონებიანი დარბაზი. ჭრილი.
9. ორპროტომიანი კაპიტელი ციხიაგორადან.
10. კორინთული კაპიტელი ვანიდან.






JABUA N.






II



III



# IV



## თიხის სასმისების ერთი ჯგუფი ცენტრალური კოლხეთიდან

ძველი კოლხური კულტურის შესწავლილ ძეგლებს შორის, თავისი უნიკალური აღმორჩენებით, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს სოფ. ყულევის ნამოსახლარს, რომელიც მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან აღმოსავლეთით 200 მ. დაშორებით. ოვალური ფორმის ბორცვ-ნამოსახლარის ყველაზე მაღალი ადგილი ზღვის დონიდან 1,6 მ. აღწევდა, ხოლო ფართობი 2,5 ჰა-ს აღემატებოდა. გუძუბას დასავლეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთის მხრიდან ხელოვნური თხრილი შემოსდევდა, რომლის კვალი კარგად იკვეთებოდა.

1973 წ. ყულევის ნამოსახლარზე (II უბანი) არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ [იხ. მიქელაძე თ. და სხვ. 1974:34-35]. 1999-2006 წწ. ეს ძეგლი არქეოლოგიურად შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ყულევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. გამოიყო სამი მეტრის სიმაღლის ოთხი კულტურული ფენა, რომელთაგან ზედა XIX ს. განეკუთვნებოდა, ხოლო მომდევნო სამი ფენა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა საფეხურს ასახავდა.

ყულევის ნამოსახლარის II კულტურული ფენის (სტრატეგრაფიას ვგულისხმობთ ზემოდან ქვემოთ) მრავალრიცხოვან მონაპოვარს შორის თავისი იშვიათობით და ორიგინალობით ყურადღებას იპყრობს ზიარი და მილისებურხველიანი თიხის ორი სასმისი. ზიარი ჭურჭელი სრულად არის შემორჩენილი. გამომწვარია ყავისფრად და შედგება ერთმანეთთან შეერთებული აბსოლუტურად ერთნაირი სამი სასმისისაგან, რომლებიც ურთიერთშორის დაკავშირებულია მუცლის

არეში დატანილი სამი ხვერელით (სიმაღლე 6,5 სმ., ძირის დმ - 2 სმ., პირის დმ - 4 სმ., ტევადობა დაახლოებით 0,3 ლ.) თითოეულს ახასიათებს მსუბუქად გადაშლილი, ბაკოდანახნაგებული პირის გვირგვინი, დაბალი ყელი, სფერული მოყვანილობის მუცელი, გამოყვანილი მაღალი ვიწრო ძირით. სამივე სასმისს კორპუსის დასაწყისში დაძერწილი აქვს ერთმანეთის იდენტური მრგვალხვერელიანი, შუაში ოდნავ ღეროჩაზნეკილი ვერტიკალური ყური. სასმისებს ტანის დასაწყისში ირგვლივ შემოსდევს ღარული დეკორი. ჭურჭელი დამზადებულია ჩარხზე (ტაბ. I,1.) ყულევის ნამოსახლარიდან ასევე მომდინარეობს აგურისფრად გამომწვარი სადღვებელის ფორმის თიხის სასმისი, რომელსაც გააჩნია მსუბუქად გადაშლილი ნაკლული პირი, კონცენტრული ღარებით შემკული დაბალი ყელი და ფართო ბრტყელი ძირისაკენ თანდათანობით შევიწროებული მეტნაკლებად სწორი ტანი. არტეფაქტს ორ მოპირდაპირე მხარეს დაძერწილი აქვს მრგვალხვერელიანი ვერტიკალური ყური და მილისებური გადმოსასხმელი (ტაბ. I,2).

ძველი კოლხური კულტურის ნამყვან ელემენტებთან ერთად (ბრინჯაოსა და რკინის თოხები, სეგმენტები, ისრისპირები, სატევრები, ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი, სხვადასხვა მინერალისაგან დამზადებული მძივები და ა.შ.) რამდენადმე განსხვავებული ფორმის შავად გამომწვარი თიხის სასმისი გამოვლინდა ერგეტის №1 სამაროვნის (ნაკვარდამუ) №1 კოლექტიურ სამარხ-ორმოში [Микеладзе Т.1981:44-45]. ჭურჭელს აქვს ნაკლული სწორი პირი, ოდნავ შესამჩნევი ყელით, რომელსაც ტანის დასაწყისში, ორ მოპირდაპირე მხარეს აზის ვერტიკალური ყური და მილისებური გადმოსასხმელი. არტეფაქტი ხასიათდება მსუბუქად გამოკვეთილი მუცლით, რომელიც ფართო ბრტყელი ძირისკენ

ვინროვდება (ტაბ. I,3). ურეკის სამაროვანზე რამდენადმე განსხვავებული ფორმის ჭურჭელზეც (კასრისებული მოყვანილობის ტოლჩა) გვხვდება კორპუსის დასასწყისში დატანილი სანრუპავი მილი [მიქელაძე თ. 1985:21, ტაბ. XXX<sub>1014</sub>]. კოლხეთში ორგანოფილებიანი ზიარი ჭურჭელი ფრაგმენტული სახით გამოვლენილია ფიჩორის ნამოსახლარის ადრე-ბრინჯაოს ხანის დასასრულის VIII კულტურულ ფენაში. კანელურიანი ორნამენტით შემკული, ვერტიკალურყურიანი ორტყუპა ზიარი ჭურჭელი სხვა მასალასთან ერთად ასევე დასტურდება დღვასას (ხობის მუნიცი.) სამაროვნის №2 კოლექტიურ სამარხ-ორმოშიც [Микеладзе Т., ... 1995:43, ტაბ.5]. ზიარი ჭურჭლისაგან რამდენადმე განსხვავდება გორაძირის ნამოსახლარის I კულტურულ ფენაში (ძვ.წ. V-IV სს.) აღმოჩენილი ჯამის ფრაგმენტი, რომლის ფსკერზე ჩადგმული (დაძერწილი) იყო სფერულტანიანი პატარა კოჭობი მხარზე დასმული სამ-სამი კოპით [მეშველიანი თ. და სხვ. 1999:74, ტაბ. I-II].

საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანაში გამოვლენილი ზიარი ჭურჭლის დანიშნულებაზე და გავრცელების არეალზე გარესამყაროდან მოყვანილი შესაბამისი პარალელებით სპეციალური გამოკვლევა არსებობს [ფხაკაძე გ. 2002:29-32, ტაბ. I]. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და ყურადღებას გავამახვილებთ ამ ტიპის ჭურჭლის ზოგიერთ ასპექტზე. როგორც მოვიხსენიეთ, ზოგიერთ ძეგლზე (ყულევი, ერგეტა) იშვიათად გვხვდება მილისებურხვრელიანი სასმისები. ასეთი დეტალი განსხვავებული ფორმის ჭურჭელს (ჯამები) უჩნდება შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ხანაში და არსებობას განაგრძობენ ძვ. კოლხური კერამიკის განვითარების I-II ეტაპებზე (ძვ.წ. XIV-VII სს.). ყურმილიანი დოქები კი შუაკოლხური კერამიკის ერთ-ერთი გავრცელებული ჭურჭელია. იგი კოლხურ ქვევრებთან და სასმისებთან ერთად ძვ.წ. VI ს-დან გვხვდება, თუმცა დასაშვებად მიაჩნიათ მისი გამოჩენა ძვ.წ. VII ს. დასასრული-

დან [მიქელაძე თ. 1985:23, ტაბ. IV] და ძვ.წ. VIII საუკუნიდანაც კი [რამიშვილი აღ. 1974:109-110]. როგორც ჩანს, სხვადასხვა ფორმის თიხის და სპილენძის ჭურჭელს ნისკარტისებური, მილისებური გადმოსასხმელებით უძველესი ფესვები ეძებნებათ ეგვიპტურ და შუამდინარული ცივილიზაციებიდან.

საყურადღებოა რა ფუნქციონალური დატვირთვა უნდა ჰქონოდა ყულევის ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის ფენიდან (ასევე მხედველობაში გვაქვს ერგეტის სამაროვნიდან) მომდინარე ზიარსა და მილისებურხვრელიან სასმისებს. ცხადია, რომ ორმაგი და სამმაგი ჭურჭელი ჩვეულებრივი ხმარებისთვის არ იყო განკუთვნილი, მას რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ამის ერთ-ერთი მანიშნებელია მისი იშვიათობაც. აქედან გამომდინარე ფიქრობენ, რომ ზიარ-ჭურჭელს მარნის დანიშნულება ჰქონდა და ამ სასმისით რიტუალური, წმინდა სითხე ისმებოდა. ღვინის გამოჩენამდე ეს უნდა ყოფილიყო არაყი? ან ლუდი. ზიარი ჭურჭელი სწორედ სადღესასწაულო-სარიტუალო სასმელად იყო განკუთვნილი [ფხაკაძე გ. 2002:32]. ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ ყულევის ზიარი ჭურჭელი ყოველდღიური ხმარებისთვის კი არ იყო გამიზნული, არამედ ეს ე.წ. განსხვავებული სასმისი საგანგებო შემთხვევაში გამოიყენებოდა სადღესასწაული-სარიტუალო ღვინის სასმელად. ამ მხრივ საყურადღებოა ეთნოგრაფიული მონაცემებიც. კერძოდ, საღვთო დღესასწაულებზე წმინდა ღვინო „ზედაშე“ განსაკუთრებული ფორმის თიხის სასმისით ე.წ. „მარნით“ ისმებოდა, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებული ორი, სამი ან მეტი ზიარი ჭურჭლისაგან შედგებოდა [Бардавелидзе В. 1957:67-68]. საინტერესოა, რომ ზიარ-ჭურჭელს ახლო პარალელები მოეპოვება საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში და თანამედროვე ქართულ სალალობო სუფრაზეც (სამთვალა, სამტყუპა, სამტანა, ორჭინჭილა და ა.შ.) [ლეკიშვილი ა. 1972:ტაბ. XXXVII<sub>7</sub>, ბარისაშვილი გ. 2012:33]. ასევე მეღვინეობას უნდა უკავებ-

ირდებოდა სოფ. ყულევის ტერიტორიაზე ცივას ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის ფენაში აღმოჩენილი მეტად საყურადღებო ხის ჭურჭელი წაგრძელებული მილისებური გადმოსასხმელით, რომლის უახლოესი პარალელები ცნობილია დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში [ფრუიძე ლ. 1967:341-342, ტაბ. XXXIII<sub>გ</sub>, XXXVIII<sub>გ</sub>, სურ.77-80: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011:206,217].

ყულევის ნამოსახლარიდან და ერგეტის №1 სამაროვნიდან (№1 სამარხი-ორმო) მომდინარე მილისებურგადმოსასხმელიანი სასმისი ც შესაძლოა მერძეობას, ან იქნებ მეღვინეობასთან დაკავშირებულ არტეფაქტს წარმოადგენდა. თუმცა გარკვეული არგუმენტები ამ მოსაზრების გასამყარებლად არ გაგვაჩნია. ვერც ეთნოგრაფიული მასალებით მოვიძიეთ შესაბამისი პარალელები და იძულებული ვართ მხოლოდ ვარაუდების დონეზე შემოვიფარგლოთ.

როგორც ცნობილია, საქართველო კულტურული ვაზის წარმოშობის ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო [რამიშვილი რ. 2001], სადაც ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს მევენახეობა საკმაოდ დანიშნურებული ჩანს [კიკვიძე ი. 1976:96-98]. ძველ კოლხეთში მეღვინეობის კულტურის არსებობას ვარაუდობენ წინაანტიკური ხანიდან, ამას უნდა ადასტურებდეს ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა საფეხურის ძეგლებზე (ანაკლია I, ანაკლია II, ერგეტა „მამულიების ბორცვი“, ნოსირი III) მიკვლეული ველური და ველურიდან კულტურულზე გარდამავალი პერიოდის ვაზის ნიპნები, ასევე კულტურული ვაზის ნიპნები გიენოსის, ყულევისა და ცივის ნამოსახლარებიდან (კულტურულ ვაზის ნიპნები-*vitis vinifera*. ცივის ნამოსახლარიდან განსაზღვრა ეროვნული მოზეუმის თანამშრომელმა ნანა რუსიშვილმა) [ძიძიგური ლ. 2001:62-69]. საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად კოლხეთში მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული საკითხები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით არაერთხელაა

განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში და ამიტომ ამით შემოვიფარგლებით. მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პერიოდის არაერთი რქის, თიხის, ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის სასმისებია არქეოლოგიების მიერ მიწის ნიაღში აღმოჩენილი და დოკუმენტალურად დადასტურებული [იხ. Gamkrelidze G. 2009:204-214; გამყრელიძე გ. 1982:73-81]. ვფიქრობთ, ყულევისა და ერგეტის არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე თიხის სასმისები ერთგვარად ავსებს და კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის წინაანტიკური ხანის კოლხეთში დღემდე შემორჩენილ მეღვინეობასთან დაკავშირებულ თიხის სასმისებს. ეს აღმოჩენა სხვა მონაცემებთან ერთად (მხედველობაში გვაქვს ყულევის ტერიტორიაზე მიკვლეული კულტურული ვაზის ნიპნები, მეღვინეობასთან დაკავშირებული ხის სასმისი-კულა და ა.შ.) უნდა მიუთითებდეს, რომ ყულევში, ზოგადად კი კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში წინაანტიკური ხანიდან მევენახეობა საკმაოდ დანიშნურებული დარგი უნდა ყოფილიყო.

## ლიტერატურა:

- ბარისაშვილი გ. 2012:** თიხის ტრადიციული ქართული საღვინე ჭურჭელი, თბილისი.
- გამყრელიძე გ. 1982:** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბილისი.
- კიკვიძე ი. 1976:** მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ.
- ლეკიშვილი ა. 1972:** შენ ხარ ვენახი, თბილისი.
- მეშველიანი თ., პაპუაშვილი რ., ქორიძე ე., ჯალაბაძე მ. 1999:** გორაძირის არქეოლოგიური გათხრები. - მილსადენის არქეოლოგია, ტ.1, თბილისი, გვ.71-78.
- მიქელაძე თ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ. 1974:** კოლხეთის არქ. ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები, თბ., გვ.34-35
- მიქელაძე თ. 1985:** კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნები, თბ.
- პაპუაშვილი რ. 2002:** არქეოლოგიური გათხრები

ყულევში 1999-2001 წწ. - ურბანიზმი არქაულ და კლასიკურ ხანაში, ძიებანი, დამატება VIII, თბ., გვ.31-32.

**რამიშვილი ალ. 1974:** ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების დათარიღებისათვის. - მაცნე №2, ისტ., არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, გვ.104-111.

**რამიშვილი რ. 2001:** ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, თბილისი.

**ფრუიძე ლ. 1967:** მევენახეობა-მელვინეობა რაჭაში (ეთნოგრაფიის მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**ფხაკაძე გ. 2002:** ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებასა და გავრცელების შესახებ. - ძიებანი №9, თბილისი, გვ. 29-32.

**ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011:** - ელ. ნადირაძე (რედ.) თბილისი.

**ძიძიგური ლ. 2001:** ვაზი და კოლხური სამყარო. - კრ. გურია III, თბილისი, გვ. 62-72.

**Бардавелмдзе В. 1957:** Древнейшие религиозные верование и абрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси.

**Микеладзе Т. Мухелишвили Д. Хахутаიшвили Д. 1981:** Колхидская археологическая экспедиция. - ПАИ 1978 г., Тбилиси, с. 43-49.




**Микеладзе Т. Мигдисова Н. Папуашвили Р. Чубинишвили К. 1995:** Колхидская экспедиция. - ПАИ 1987 г., Тбилиси, с.39-43.

**Gamkrelidze G. 2009:** Two Silver Rhytons from Georgia – Colchis (*Mtisdziri and Gomi*). –*Journal Iberia-Colchis*, #5, Published by National Museum of Georgia, Tb., 2009, pp. 204-214.

#### **ილუსტრაციების აღწერილობა:**

**ტაბ I-1-2** – ზიარი და მილისებურ ხვრელიანი ჭურჭელი ყულევის ნამოსახლარიდან; **3** – მილისებურ ხვრელიანი სასმისი ერგეტის სამაროვნიდან.





## ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა) — წინასწარი მონაცემები

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი ომაიანთა და აბასიანთა სახალიფოს მონეტები, კერძოდ, ვერცხლის დირჰემები. ცალკეული აღმოჩენებისა და მთლიანი განძების სახით ჩვენამდე მოღწეული სამონეტო არტეფაქტები ძვირფას ისტორიულ ინფორმაციას შეიცავს სახალიფოსთან საქართველოს ეკონომიკური თუ პოლიტიკური კავშირების შესახებ. გასაგებია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამეცნიერო მიმოქცევაში მისი ჩართვა.

ამ მიზანს არაერთი ნაშრომი ისახავს; განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ირინე ჯალალანის სამეცნიერო მემკვიდრეობა — მკვლევარმა საქართველოში ქუფური ვერცხლის საფასის მიმოქცევის შესახებ იმ დროისთვის ხელმისაწვდომი მონაცემები შეაჯამა, და, განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, ამ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე დირჰემის ტრიალის ზოგადი კონცეფცია ჩამოაყალიბა [ჯალალანია ი. 1973: 69-80; Джалагания И. 1979: 44-73]. (პატივცემული მეცნიერი 2013 წლის ბოლო დღეებში აღესრულა — ქართულმა ნუმიზმატიკურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა.)

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ირინე ჯალალანის ამ საკითხისადმი მიძღვნილი ბოლო ნაშრომის გამოცემიდან (1979) [Джалагания И. 1979: 44-73] საუკუნის მესამედზე მეტმა განვლო. ამ დროის განმავლობაში დაგროვდა დიდძალი ახალი მასალა, რომელიც დღემდე მეტწილად გამოუქვეყნებელი რჩება (თუმცა კი, არსებობს სასიამოვნო გამონაკლისებიც: ინჩხურის, ნაქვასა და ზოტის განძები; მტკვრის კალაპოტში და თბილისის შემოგარენში აღმოჩენილი ქუფური ფელსები და ვერცხლის დირჰემები თუ ოქროს დინარები [Гваберидзе Ц., Кутелия Т. 1998: 89-90; ჩაღუნელი მ., ქორიძე

მ. 2011: 260-269; ფალავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს. 2013: 60-67, 117-120; Paghava I., Turkia S. (forthcoming); Paghava I., Turkia S. (forthcoming-b); ვგულისხმობთ როგორც კერძო ასევე საჯარო კოლექციებში შენახულ მონეტებს (ასე, მაგალითად, ავტორებისთვის ცნობილია ქუფური მონეტებისგან შემდგარი კიდევ ხუთი განძი, რომელიც კერძო კოლექციებში ინახება; ასევე მრავალი ცალკეული აღმოჩენის ფაქტიც. იგეგმება ამ მონაცემების ეტაპობრივად გამოქვეყნება და შემდგომი ანალიზი). განსაკუთრებული ინტერესის ღირსია რეგიონული მუზეუმების ფონდები. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმად ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფონდებისგან განსხვავებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ სამუზეუმო დანესებულებათა კოლექციებში შენახულ ქუფურ მონეტებს აქამდე შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. არადა, იქ თავმოყრილი მონეტები, ჩვეულებრივ, ადგილობრივად და ნაპოვნი, და, ამრიგად, ძალიან ინფორმატიულია სწორედ ადგილობრივი სამონეტო მიმოქცევის შესასწავლად. მაგრამ სრულიად საქართველოში ამა თუ იმ ეპოქაში ფულადი მიმოქცევის ზოგადი სურათიც ხომ ქვეყნის ცალკეულ მხარეებში სამონეტო მიმოქცევის შესახებ დაგროვილი ცოდნის შეჯერების შედეგს წარმოადგენს.

ზემოხსენებული ახალი, ადრე უცნობი ინფორმაციის გათვალისწინებით, გვეძლევა შესაძლებლობა საქართველოში ქუფური საფასის მიმოქცევის საკითხს ხელახლა და ახლებურად მივუდგეთ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმში საქართველოს მიერ უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1990-იან – 2000-იან

წლებში შესული ქუფური მონეტების ორი განძი. ერთ-ერთი მათგანი სოფელ ზოტშია (გურია) აღმოჩენილი [ფალავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს., 2013: 60-67, 117-120], მეორეს კი წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ აღმოჩენების გააზრების შედეგად სრულებით იცვლება წარმოდგენა ქუფური საფასის მიმოქცევის ბუნებაზე სამხრეთ-დასავლეთ (იქნებ, საზოგადოდ, დასავლეთ?) საქართველოში. შესაბამისად, სახალიფოსთან საქართველოს ნუმისმატიკური კავშირების ზოგადი კონცეფციაც საკმაოდ განსხვავებულ სახეს იღებს.

ჩვენი ნაშრომის მიზანი აჭარაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ხელვაჩაურში ნაპოვნი განძის გამოქვეყნებაა; ახალი მონაცემების საფუძველზე ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ, შავიზღვისპირა მხარეში ქუფური მონეტების მიმოქცევის შესწავლაა.

ხელვაჩაურის განძი შემთხვევით აღმოჩნდა 2004 წელს, დაბა ხელვაჩაურში, მოქალაქე ზ. ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთში. იმავე წელს ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმმა შეისყიდა. განძი მუზეუმის ფონდებში მთლიანი სახით შევიდა. გატარებულია VI: 04-39 ნომრით. განძი შედგება 149 მთლიანი მონეტისგან და 1 მონეტის ნატეხისგან. მონეტებთან ერთად განძში შედიოდა ვერცხლის ბეჭედი (დიამეტრი = 2.1 სმ) და ორი ვერცხლისვე საკიდი. განძი თიხის ქოთანში იყო მოთავსებული (ქოთნის სიმაღლე = 10 სმ, პირის დ. = 6 სმ, ტანის დ. = 12 სმ, ძირის დ. = 8.5 სმ, ხუფის დ. = 2.2 სმ).

მოგვეყავს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში შენახული ხელვაჩაურის განძის ზოგადი აღწერილობა; განძში შემავალი მონეტების სრული სია სათანადო ატრიბუციასა და მეტროლოგიურ მონაცემებთან ერთად მოყვანილია დანართის სახით (იხ. დანართი 1).

განძი საკმაოდ დიდია. მუზეუმში ის, როგორც ჩანს, სრული სახით შევიდა, რაც შედარებით იშვიათ (და ნუმისმატიკური მეცნიერებისთვის საბედნიერო) მოვლენას წარ-

მოადგენს. გაძარცვას გადარჩენილი კომპლექსის სამონეტო ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 150 ცალი მონეტისგან შედგება (ჯამური წონა — 426.07 გ). ამგვარად, საქართველოში აღმოჩენილ ქუფური მონეტების განძებს შორის ის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილია (ევროპის ჩრდილოეთ მხარეებში გვხვდება გაცილებით უფრო დიდი ზომის, რამდენიმე კილოგრამიანი და ათეულკილოგრამიანი განძებიც კი). შედარებისთვის მოვიყვანთ ინფორმაციას როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ისტორიულ არგვეთსა და სოფელ ზოტში (თანამედროვე გურია) აღმოჩენილი ქუფური საფასის განძების შესახებ [ჯალალანია ი. 1976: 29, 35-42; ლომოური თ. 2005: 16-46; ფალავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს. 2013: 60-67, 117-120]:

*აღმოსავლეთი საქართველო* — ისტორიული კახეთი, ჰერეთი, თბილისი და მისი შემოგარენი (არაბული ძალაუფლების ფორპოსტი აღმოსავლეთ საქართველოში): ფშაველის განძი — 125 დირჰემი (ომაიანები, ომაიანები ესპანეთში, აბასიანები, ალლაბიანები) და სასანური ტიპის კიდევ 2 ვერცხლის მონეტა; მთისძირის — 302 დირჰემი (ომაიანები, ომაიანები ესპანეთში, აბასიანთა მომხრეები, აბასიანები, იდრისიანები) და 3 სასანური დრამა; ფიჩხოვანის — 113 დირჰემი (ომაიანები, ომაიანები ესპანეთში, აბასიანები, იდრისიანები, 8 განუსაზღვრელი მონეტის ჩათვლით) და 5 სასანური დრამა; ლელიანის განძი — 163 ქუფური დირჰემი, 1 ნატეხის ჩათვლით (ომაიანები, აბასიანები) და 8 სასანური ტიპის ვერცხლის მონეტა; კავშირის განძი — 36 ქუფური დირჰემი (ომაიანები, აბასიანები) და 2 სასანური დრამა; აფენის განძი — 354 დირჰემი, მათ შორის, 13 ნატეხი, და 40 სასანური ტიპის მონეტა (ომაიანები, ესპანეთის ომაიანები, აბასიანები); დლივის განძი — 30 დირჰემი (ომაიანები, აბასიანები) და სასანური ტიპის კიდევ 3 ვერცხლის მონეტა (33 მონეტიდან 19 ნატეხების სახით იყო წარმოდგენილი); უპასპორტო განძი (ნაპოვნია “სადღაც აღმოსავლეთ საქართველოში”) —

52 დირჰემი (ომიანები, აბასიანები);

არგვეთი: სავანის განძი — 68 დირჰემი (ომიანები, აბასიანები).

ზოტი (გურია): 150-მდე დირჰემი (განანილება დინასტიების მიხედვით უცნობია).

აღვნიშნავთ, რომ ხელვაჩაურის განძის ყველა მონეტა სტანდარტული – დირჰემის ნომინალისაა. ამასთანავე, 149 მონეტა მთლიანი სახითაა წარმოდგენილი, 1 კი ნატებს წარმოადგენს, რომელიც ზომებით დაახლოებით 1/2 დირჰემს შეესაბამება (წონა — 1.54 გ, ანუ, აგრეთვე, დაახლოებით დირჰემის ნახევარი).

სწორედ ამ უკანასკნელი ერთი მონეტის გარდა მოჭრის ადგილი იკითხება ყველა (149) დირჰემზე. განძში შემავალი მონეტების განანილება რეგიონებისა და ზარაფხანების მიხედვით შემდეგნაირია (მონაცემები შეჯამებულია ჰისტოგრამების სახითაც — ჰისტოგრამა 1-2):

- სავადი (სამხრეთი ერაყი) (105 დირჰემი – საერთო რიცხვის 70.5%): ალ-ბასრა (4, 2.7%), ალ-ქუფა (4, 2.7%), მადინათ ას-სალამი (97, 65.1%);
- ალ-ჯაზირა (ზემო მესოპოტამია) (2, 1.3%): არ-რაფიკა (2, 1.3%);
- ჯიბალი (სპარსეთის ერაყი) (26, 17.4%): ალ-მუჰამადია (26, 17.4%);
- სეჯესთანი და ქირმანი (3, 2.0%): მადინათ ზარანჯი (1, 0.7%), ქირმანი (2, 1.3%);
- ხორასანი (9, 6.0%): მადინათ ნისაბური (1, 0.7%), მადინათ ბალხი (7, 4.7%), მადინათ მარვი (1, 0.7%);
- მავერანნაჰრი (1, 0.7%): მადინათ სამარ-კანდი (1, 0.7%);
- არმინია (3, 2.0%): არრანი (№3, 2.0%).

სახალიფოს სხვა რეგიონების ზარაფხანები განძში წარმოდგენილი არ არის.

თვალში საცემია სავადში (ძირითადად, მადინათ ას-სალამში) მოჭრილი მონეტების სიჭარბე. ქართულენოვან ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს

ფაქტი მიუთითებს სახალიფოს უპირატესად ამ რეგიონთან სავაჭრო ურთიერთობებზე [პაჰუაშვილი თ. 1970: 364-370]; არსებობს საპირისპირო შეხედულებაც — ი. ჯალალანიას თანახმად, ამგვარი დასკვნის გამოტანა არ იქნებოდა გამართლებული, ვინაიდან სახალიფოში ერთიანი სამონეტო ბაზარი არსებობდა, სხვადასხვა ზარაფხანის ნაწარმი კი შორს გადაიდოდა მოჭრის ადგილიდან; შესაბამისად, ერაყის ქალაქებში მოჭრილი დირჰემების სიუხვე უფრო შესაბამისი ზარაფხანების მუშაობის ინტენსიურობაზე მიუთითებს [Джалаганиа И. 1979: 53]. ი. ჯალალანიას მოსაზრებები საკმაოდ საფუძვლიანად გვეჩვენება. დავამატებთ, რომ სახალიფოს სხვა რეგიონებზე უფრო ახლომდებარე პროვინცია არმინიის მონეტებზე მოდის ხელვაჩაურის განძის მონეტების მხოლოდ 2% (3 მონეტა 149-დან); ეს არა არმინიის ურბანულ ცენტრებთან კავშირების სიმწირეზე (პირიქით, ამიერკავკასიაში სპილენძის საფასის მიმოქცევის ხასიათიდან გამომდინარე, ეს კავშირები მეტად ინტენსიური იყო [Paghava I., Turkia S. (forthcoming)], არამედ პროვინცია არმინიაში ქუფური საფასის გამოშვების არაინტენსიურობაზე მიუთითებს. ამასთან, ჩვენი აზრით, არ იქნებოდა მიზანშეწონილი ამგვარი მიდგომის სისწორის აბსოლუტიზაცია. ორ კონტინენტზე გადაჭიმული სახალიფო ძალიან ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. არ იქნებოდა სწორი, სამონეტო ბაზარი ამ სახელმწიფოს ყველა მხარეში იდენტურად ჩაგვეთვალა. ასე, მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის მხარეებში გასული ქუფური ვერცხლის გამოშვების რეგიონებად განანილების მიხედვით შესაძლებლად მიიჩნევა სავაჭრო კონტაქტების მიმართულებაზე მსჯელობა [Кулешов В. 2013: 203]. ჩვენი აზრით, ხელვაჩაურის განძში სავადში მოჭრილი დირჰემების ესოდენ გამოხატული სიჭარბე (საერთო რიცხვის 70.5%), მაინც, დიდი სიფრთხილით, შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვანწილად (მაგრამ, ბუნებრივია, არა ექსკლუზიურად) სახალიფოს სწორედ ამ რეგიონთან ეკონომიკური კავშირების განსა-

კუთრებულ ინტენსიურობაზე.

განძში შემავალ პრაქტიკულად ყველა მონეტაზე (გადატეხილის ჩათვლით) (მოჭრის) თარიღი საკმაოდ სარწმუნოდ იკითხება; რამდენიმე მონეტაზე, სამწუხაროდ, არ იკითხება თარიღის ერთეული (იხ. დანართი 1). ყველაზე ადრეულია ჰ. 132 წლით დათარიღებული ქუფაში მოჭრილი დირჰემი, გვიანდელი – ჰ. 199 წლით დათარიღებული მადინათ ას-სალამის ორი დირჰემი. განძის ჩაფლობაც ჰ. 199 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს; ეს შეიძლება ჰიჯრის მესამე საუკუნის პირველ ათწლეულებშიც მომხდარიყო (ქრისტეშობიდან 810-820-იან წლებში?).

მონეტების განაწილება გამოშვების დროის მიხედვით (ათწლეულების მიხედვით) შეჯამებულია ჰისტოგრამის სახით (ჰისტოგრამა 3). სახეზეა ჰიჯრის 160-იანი და 180-იანი წლებით დათარიღებული დირჰემების სიჭარბე. საფიქრებელია, რომ ამ წლებში სახალიფოს შესაბამისი ზარაფხანები უფრო ინტენსიურად მოქმედებდა; ანდა, აღნიშნულ ათწლეულებში ადგილობრივ ბაზარზე ქუფური დირჰემი უფრო აქტიურად შემოდიოდა. პირველი უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება.

იშვიათი გამონაკლისის გარდა (იხ. ქვემოთ), განძის მონეტები თავისთავად განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს, თუმცა კი, მათ შორის გვხვდება ისეთი შედარებით იშვიათი ცალები, როგორცაა ალქუფაში მოჭრილი ჰ. 132 წლით (აბასიანთა სახელით ემისიის დასაწყისი) დათარიღებული დირჰემი (სურ. 1), არ-რაფიკაში გამოშვებული ჰ. 188 და ჰ. 192 წწ. დათარიღებული დირჰემები (სურ. 2-3), არრანში ჰ. 184 და ჰ. 188 წწ. მოჭრილი მონეტები (სურ. 4-6), მადინათ მარვის ჰ. 194 წ. დირჰემი (სურ. 7), ქირმანში ჰ. 166 და 167 წწ. გამოშვებული საფასე (სურ. 8-9).

თავისთავად იშვიათი არ არის, მაგრამ საქართველოში შედარებით იშვიათად გვხვდება მადინათ ნისაბურსა და მადინათ სამარკანდში მოჭრილი დირჰემები — ხელვაჩაურის განძში შესაბამისად ჰ. 194 და 195 წწ.

დათარიღებული მონეტებია (სურ. 10-11).

საგანგებო განხილვის ღირსია მადინათ ას-სალამის ჰ. 177 წლით დათარიღებული დირჰემი (სურ. 12). მონეტის შუბლზე მითითებულია მოჭრის თარიღი (177), ხოლო ზურგზე კი — ხალიფა ალ-მაჰდის სახელი, რომლის ზეობის წლებიცაა ჰ. 158-169 წლები (775-785). წელის აღმნიშვნელი გრაფემები სიქაზე ძალიან მკაფიოდ დაიტანეს, ასე რომ, ინტერპრეტაციის შეცდომა აქ გამორიცხებულია. მონეტა მინაბადს არ უნდა წარმოადგენდეს — ყველა ზედწერილის კალიგრაფია სრულყოფილია. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ზარაფხანაში ორგანიზაციული ხასიათის შეცდომა მოხდა — ახალ, ჰ. 177 წლით დათარიღებულ სიქასთან ერთად მონეტის მოსაჭრელად გამოიყენეს ძველი სიქა, უკვე გარდაცვლილი ხალიფის სახელით (რომელიც არ ყოფილა განადგურებული!).

გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად გვესახება თავად განძის, როგორც ერთიანი კომპლექსის, აჭარაში აღმოჩენის ფაქტი. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (გურია, აჭარა, ლაზეთი) ხელვაჩაურის აღმოჩენის გარდა, ცნობილია განძების პოვნის კიდევ სამი შემთხვევა: ზოტის განძი (150 დირჰემამდე, გადარჩენილი-გამოქვეყნებულია 12 მონეტა, 1 ნატეხის ჩათვლით) [ფალავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს. 2013: 60-67, 117-120], არქაბის განძი (ლაზეთში) (200-მდე დირჰემი, ოქროს მონეტების გარდა) და ქოროხის (მდინარე ქოროხის შესართავთან, განძი მიმოიბნა) განძი (ამ უკანასკნელი განძის შემადგენლობა, სამწუხაროდ, უცნობია. აღირიცხა ერთადერთი მონეტა – ჰ. 195 წ. ალ-ამინის მადინათ ას-სალამში მოჭრილი დირჰემი [Джалагания И. 1979: 55]; აღსანიშნავია, რომ მსგავსი მონეტა გურიაში ნაპოვნ ზოტის 12-მონეტიან განძში ორია [ფალავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს., 2013: 60-67, 117-120]. ხელვაჩაურის განძშიც ასეთი მონეტა ასევე ორია - იხ. დანართი 1). ოთხივე განძი საკმაოდ კომპაქტურ ტერიტორიაზეა ჩამალული (და შემდეგ ნაპოვნი) — არქა-

ბის, ჭოროხისა და ხელვაჩაურის განძები ზღვისპირა (უშუალო ჰინტერლანდის ჩათვლით) ზონაშია განლაგებული, (არქაბიდან ხელვაჩაურამდე) სანაპიროს დაახლოებით 40 კმ-იანი ზოლის გაყოფაზე; ხოლო გურიაში ნაპოვნი ზოტის განძი კი ქვეყნის სიღრმეშია (ხელვაჩაურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით), მაგრამ სანაპიროს 50 კმ-ზე მეტად მაინც არ არის დაშორებული.

ხსენებული განძების, როგორც *ერთობლიობის*, განხილვას, მივყავართ საკმაოდ, ჩვენი აზრით, საგულისხმო დასკვნამდე — ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელია, შემოვხაზოთ *საქართველოს ტერიტორიაზე ქუფური საფასის აქტიური მიმოქცევის კიდევ ერთი რეგიონი — გურია-აჭარა-ლაზეთი*.

აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება აქამდე (ი. ჯალალანიას მიერ) გამოთქმულ კონცეფციას, რომლის თანახმადაც, ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოში ქუფური საფასე, ძირითადად საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მიმოქცეოდა, კერძოდ კი, 1) თბილისსა და მის შემოგარენში (თბილისის საამირო, საამიროს ტერიტორიული ბირთვი), და 2) ჰერეთში (დღევანდელი საინგილოს ტერიტორიის ჩათვლით). რაც შეეხება ქვეყნის დასავლეთ რეგიონებს, იქ ქუფური მონეტების მხოლოდ ცალკეული და, ი. ჯალალანიას აზრით, შემთხვევითი აღმოჩენებია ცნობილი [ჯალალანია ი. 1973: 70-71; Джалагания И. 1979: 48-49]. არქაბისა (ლაზეთში, 200-ზე მეტი მონეტა) და ჭოროხის (აჭარა) განძების გადანახვის ფაქტებს კი მკვლევარი ნაკლებ ყურადღებას უთმობს, და თვლის, რომ ქუფური მონეტების საქართველოს შესაბამის რეგიონში მოხვედრა ტრაპიზონის გავლით ბიზანტია-სახალიფოს საგარეო ვაჭრობას უნდა უკავშირდებოდეს - ისინი „შესაძლოა აქ სულ სხვა გზით მოხვდა“ [ჯალალანია ი. 1973: 75-76; Джалагания И. 1979: 55].

ვთვლით, რომ აღნიშნული კონცეფცია უნდა გადახალისდეს. საკმაოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე ოთხი საკმაოდ მსხვილი (ოთხ-

იდან სამი მაინც 150-200 დირჰემს შეიცავდა) განძის კონცენტრაცია, ჩვენი აზრით, ეჭვს არ ტოვებს, რომ ქუფური საფასე საქართველოს დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებშიც მიმოქცეოდა, კერძოდ, გურია-აჭარა-ლაზეთში.

IX საუკუნის პირველი მესამედისთვის შესაძლებელია ვივარაუდოთ ფულადი ურთიერთობების უკვე საკმაოდ მაღალი დონე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშიც. სახეზეა სახალიფოსა თუ ლიხს-აღმოსავლეთით მდებარე ქართულ რეგიონებთან გურია-აჭარა-ლაზეთის კავშირების ინტენსიურობის ნუმისმატიკური დადასტურებაც.

### ლიტერატურა:

- ლომოური თ. 2005:** სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი. - ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში (რედ. ქუთელია თ.), თბ., არტანუჯი, გვ. 16-46.
- პაპუაშვილი თ. 1970:** ჰერეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, მეცნიერება.
- ფაღავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს. 2013:** ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია). - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები, V, გვ. 60-67, 117-120.
- ჩადუნელი მ., ქორიძე მ. 2011:** ნაქვას განძი. - ეროვნული მუზეუმის მოამბე, II, გვ. 260-269.
- ჯალალანია ი. 1976:** საქართველოს სამონეტო განძები, I. თბილისი: მეცნიერება.
- ჯალალანია ირ. 1973:** ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს საქართველოში. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 4, გვ. 69-80.
- Гваберидзе Ц., Кутелия Т. 1998:** Инчхурский клад. - Сборник тезисов, докладов и сообщений Шестой Всероссийской нумизматической конференции. Спб, с. 89-90.
- Джалагания И. 1979:** Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тб.
- Кулешов В. 2013:** Редкие и примечательные аббасидские дирхамы последней трети IX и начала X в. из Козьянковского клада. - Гісторыя і археалогія Полацка і Полацкай зямлі. Матэрыялы VI Міжнароднай навукавай канференцыі (1-3 лістапада 2012 г.). У дзвюх частках. Частка 1. Полацк, с. 194-204.
- Paghava I., Turkia S. (forthcoming):** Circulation of Kufic Fulus in the Tiflis Emirate.
- Paghava I., Turkia S. (forthcoming):** Circulation of Kufic Dirhams and Dinars in the Tiflis Emirate (New Monetary Evidence).

**დანართი 1. ხელვაჩაურის განძის მონეტების სია**


მითითებული ზარაფხანა	თარიღი ჰიჯრით	შეესაბამება თარიღს ქრისტეშობით	წონა	სიქების თანხვედრა	საიდენტიფიკაციო კოდი
ვერ ისაზღვრება	180	796/7	1.54	3:00?	138
ალ-ბასრა	161	777/8	2.88	12:00	77
ალ-ბასრა	162	778/9	2.81	3:15	132
ალ-ბასრა	165	781/2	2.85	3:15	103
ალ-ბასრა	167	783/4	2.7	1:30	22
არ-რაფიკა	188	803/4	2.92	3:15	143
არ-რაფიკა	192	807/8	3	3:15	70
ალ-ქუფა	132	749/50	2.71	10:00	124
ალ-ქუფა	134	751/2	2.86	9:00	43
ალ-ქუფა	135	752/3	2.83	9:30	51
ალ-ქუფა	142	759/60	2.8	8:00	24
არრანი	184	800/1	2.91	9:00	46
არრანი	184	800/1	2.82	2:45	146
არრანი	188	803/4	2.93	11:00	27
მადინათ ას-სალამი	152	769/70	2.86	8:45	1
მადინათ ას-სალამი	152	769/70	2.83	2:15	38
მადინათ ას-სალამი	155	771/2	2.93	10:00	49
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.89	3:30	55
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.84	9:30	96
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.76	4:00	100
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.89	9:00	110
მადინათ ას-სალამი	156	772/3	3.05	3:15	140
მადინათ ას-სალამი	157	773/4	2.86	7:30	18
მადინათ ას-სალამი	157	773/4	2.88	5:45	118
მადინათ ას-სალამი	158	774/5	2.92	1:00	129
მადინათ ას-სალამი	160	776/7	2.76	12:30	39
მადინათ ას-სალამი	160	776/7	2.74	11:45	45
მადინათ ას-სალამი	160	776/7	2.83	10:00	116
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.9	12:15	4
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.91	12:30	11
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.78	6:15	17
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.87	9:15	33
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.9	3:30	35
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.88	12:00	40
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.93	10:30	68
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.76	11:45	115
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.91	9:30	134
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.34	9:30	137
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.76	15:45?	149
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.82	6:15	8
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.82	9:00	23
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.81	11:45	58
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.71	3:15	64
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.85	8:30	67
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.84	3:00	83
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.87	6:15	107
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.92	3:00	122
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.88	12:30	133
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.85	8:15	136
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.89	6:00	145
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.81	3:30	21

მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.83	12:15	28
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.71	3:30	75
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.88	12:00	82
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.83	3:45	89
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.89	3:15	99
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.87	9:30	102
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.86	6:30	112
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.89	5:45	139
მადინათ ას-სალამი	164	780/1	2.83	5:15	9
მადინათ ას-სალამი	164	780/1	2.8	8:00	78
მადინათ ას-სალამი	165	781/2	2.82	11:30	42
მადინათ ას-სალამი	165	781/2	2.9	2:45	119
მადინათ ას-სალამი	165	781/2	2.86	3:30	141
მადინათ ას-სალამი	166	782/3	2.87	3:15	56
მადინათ ას-სალამი	166	782/3	2.65	11:00	93
მადინათ ას-სალამი	166	782/3	2.75	12:00	111
მადინათ ას-სალამი	177	793/4	2.58	5:30	125
მადინათ ას-სალამი	178	794/5	2.75	12:00	109
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.9	7:30	31
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.92	3:30	32
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.89	6:15	37
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.96	11:30	62
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.91	11:45	88
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.41	3:00	113
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.89	1:00	60
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.89	2:45	92
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.9	9:00	106
მადინათ ას-სალამი	180	796/7	3.08	8:30	108
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.93	9:00	120
მადინათ ას-სალამი	181	797/8	2.94	4:00	16
მადინათ ას-სალამი	181	797/8	2.91	8:00	74
მადინათ ას-სალამი	181	797/8	2.92	9:00	104
მადინათ ას-სალამი	182	798/9	2.81	5:00	98
მადინათ ას-სალამი	182	798/9	2.88	10:00	130
მადინათ ას-სალამი	185	801/2	2.92	8:30	13
მადინათ ას-სალამი	185	801/2	2.81	9:45	87
მადინათ ას-სალამი	185	801/2	2.91	5:30	148
მადინათ ას-სალამი	186	802	2.95	3:45	114
მადინათ ას-სალამი	186	802	2.88	5:45	150
მადინათ ას-სალამი	187	802/3	2.91	9:00	14
მადინათ ას-სალამი	187	802/3	2.87	9:15	101
მადინათ ას-სალამი	188	803/4	2.82	10:00	73
მადინათ ას-სალამი	188	803/4	2.96	9:00	79
მადინათ ას-სალამი	188	803/4	2.82	2:45	95
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.85	9:00	2
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.93	8:15	3
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.93	7:00	19
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.82	9:00	26
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.91	8:30	30
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.89	9:15	80
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.9	3:30	128
მადინათ ას-სალამი	195	810/1	2.84	9:00	81
მადინათ ას-სალამი	195	810/1	2.83	9:15	126
მადინათ ას-სალამი	196	811/2	2.94	3:00	63
მადინათ ას-სალამი	198	813/4	2.88	9:00	72




მადინათ ას-სალამი	199	814/5	3.1	1:15	57
მადინათ ას-სალამი	199	814/5	2.9	9:30	117
მადინათ ას-სალამი	166		2.85	11:00	94
მადინათ ას-სალამი	186		2.75	2:00	41
მადინათ ას-სალამი	186		2.93	9:15	142
მადინათ ბალხი	181	797/8	2.94	1:00	52
მადინათ ბალხი	182	798/9	2.79	10:45	44
მადინათ ბალხი	182	798/9	2.89	8:00	91
მადინათ ბალხი	185	801/2	2.79	8:30	47
მადინათ ბალხი	185	801/2	2.95	10:00	135
მადინათ ბალხი	186	802	2.79	3:30	97
მადინათ ბალხი	195	810/1	2.87	8:45	25
მადინათ ზარანჯი	189	804/5	2.63	6:15	15
მადინათ მარვი	194	809/10	2.9	3:00	144
მადინათ ნისაბური	194	809/10	2.7	8:00	131
მადინათ სამარკანდი	195	810/1	2.76	2:45	123
ალ-მუჰამმადია	166	782/3	2.74	10:48	5
ალ-მუჰამმადია	161	777/8	2.82	9:30	6
ალ-მუჰამმადია	163	779/80	2.88	12:15	7
ალ-მუჰამმადია	182	798/9	2.86	9:00	12
ალ-მუჰამმადია	166	782/3	2.83	1:30	20
ალ-მუჰამმადია	187	802/3	2.9	3:30	29
ალ-მუჰამმადია	181	797/8	2.81	9:30	34
ალ-მუჰამმადია	184	800/1	2.6	7:30	36
ალ-მუჰამმადია	188	803/4	2.93	9:00	48
ალ-მუჰამმადია	180	796/7	2.87	7:30	50
ალ-მუჰამმადია	186	802	2.89	9:00	53
ალ-მუჰამმადია	175	791/2	2.9	9:00	54
ალ-მუჰამმადია	180	796/7	2.88	3:15	59
ალ-მუჰამმადია	181	797/8	2.9	8:00	61
ალ-მუჰამმადია	168	784/5	2.74	4:00	65
ალ-მუჰამმადია	150	767/8	2.55	10:00	66
ალ-მუჰამმადია	189	804/5	2.94	8:45	69
ალ-მუჰამმადია	171	787/8	3.01	2:30	76
ალ-მუჰამმადია	180	796/7	2.9	9:15	84
ალ-მუჰამმადია	189	804/5	2.94	11:00	85
ალ-მუჰამმადია	167	783/4	2.87	8:45	86
ალ-მუჰამმადია	166	782/3	2.81	2:45	90
ალ-მუჰამმადია	170	786/7	2.85	8:30	105
ალ-მუჰამმადია	186		2.88	3:15	121
ალ-მუჰამმადია	166	782/3	2.86	3:00	127
ალ-მუჰამმადია	166	782/3	2.83	8:45	147
ქირმანი	166	782/3	2.88	12:30	10
ქირმანი	167	783/4	2.77	3:00	71


ჰისტოგრამა 1. განაწილება ზარაფხანების მიხედვით  
(აბსოლუტურ რიცხვებში)



ჰისტოგრამა 2. განაწილება რეგიონების მიხედვით  
(აბსოლუტურ რიცხვებში)



ჰისტოგრამა 3. განაწილება ათწლეულების მიხედვით  
(აბსოლუტურ რიცხვებში)



PAGHAVA I...



1



2

3



4

5



6

7

II



8



9



10



11



12



## 1870-1877 წლებში სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული გემების კატალოგი

### წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ფრ. ბაიერნის მიერ სამთავროში 1870-1877 წლებში მოპოვებული გლიპტიკური მასალა, რომელიც ა. ზახაროვს გამოქვეყნებული აქვს მოკლე კატალოგის სახით [Zakharow, 1930] სხვა გემებთან ერთად. აღნიშნული კატალოგი მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისაა, რიგ შეცდომებს შეიცავს და თავისი მეთოდით დღეისათვის მოძველებულია.

სამთავროში სისტემატიური არქეოლოგიური გათხრების (1938-1948 წწ.) შედეგად მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების შესწავლამ [Максимова, 1950; ლორთქიფანიძე მარ., 1954] საშუალება მოგვცა მეტ-ნაკლებად სისტემაში მოგვეყვანა ბაიერნისეული მასალა (ფრ. ბაიერნის მიერ მოპოვებული ძეგლების სავსე დოკუმენტაცია საკმაოდ მოუწესრიგებელია, ამიტომ დადგენა იმისა თუ რომელ სამარხში ან რომელი წლის მონაპოვარს წარმოადგენს ესა თუ ის გემა, შეუძლებელია).

კატალოგში შესულია საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში დაცული ბაიერნისეული მთელი კოლექცია – 31 გემა და საბეჭდავი, რომლებიც წარმოშობის მიხედვითა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავაჯგუფეთ (ბაიერნისეული მასალების ნაწილი მოსკოვის ისტორიული მუზეუმისა და სახელმწიფო ერმიტაჟის კუთვნილებას შეადგენს). ძეგლების კლასიფიკაციისას ვემყარებით სტილისტურ და შედარებით (ძირითადად, სამთავროში მოპოვებულ გემებთან) ანალიზს. გამოყოფილი გვაქვს: რომაული, ბიზანტიური, პართული, სასანური და ადგილობრივი გემების ცალკეული ჯგუფები.

#### ა. რომაული გემები:

1. (ინვ. 324; ტაბ. I,1). ინტალიო [Zakharow,

1930: ტაბ. IV,145], მონითალო ფერის სარდიონისა; ნაკვეთილი კონუსისებრი მოყვანილობისა; ოვალური “ფუძე” აქვს, მაღალია.

ბრტყელ პირზე პროფილში მარჯვნივ დურაყია (წყლის ჯიხვი) გამოხატული. რქები სწორი ხაზებითაა მოცემული; პატარა თავი აქვს, სქელკისრიანია. სხეული ირიბი ხაზებითაა დასერილი – ბალანს გამოხატავს; მოკლე ბოლო ორად აქვს გაყოფილი.

გამოხატულება დაზგაზა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

გემები მსგავსი შინაარსით რომაულ გლიპტიკაში ფართოდაა გავრცელებული [იხ. Furtwängler, 1896:ტაბ. 41, 6062; Osborne, 1920: ტაბ. XXVI,15; Walters, 1926: ტაბ. XXIX, 2602; აგრეთვე საქართველოში მოპოვებულ გემათაგან - Максимова, 1950:ტაბ. I,11 (შესრულების მანერითა და სტილისტურად განსხვავდება ბაიერნისეული გემისაგან)].

დაცულობა: ქვას ერთ მხარეს გვერდი ჩამოტეხილი აქვს, რამდენიმე ადგილას ატკეცილია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 10 მმ; განი – 7 მმ, სიმაღლე – 4 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 1814.

ინტალიო, ამოჭრის თავისებურებისა და სტილისტური მონაცემების მიხედვით ახ.წ. II საუკუნეს მიეკუთვნება.

2. (ინვ. 332; ტაბ. I,2). ინტალიო [Zakharow, 1930: ტაბ. IV,146], მოყავისფრო სარდიონისა, რკინის ბუდეში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია დურაყი, პროფილში მარჯვნივ, გრძელი რქები ჰორიზონტალური ხაზებით არის მოცემული. დურაყს პატარა თავი აქვს, მაღალი კისერი, გრძელი, ორად

გამლილი ბოლო. მთელი სხეული ირიბი და ურთიერთგადამკვეთი ღარებით არის დასერილი – ბალანს გამოხატავს.

გამოხატულება დაზგაზუა ამოჭრილი, მკვეთრად და არალრმად, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. წმინდა ნახელავია, ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

გემები მსგავსი შინაარსით რომაულ გლიპტიკაში ფართოდაა გავრცელებული [იხ. Furtwängler, 1896:ტაბ. 41, 2602; Osborne, 1920:ტაბ. XXVI, 12, 15; Walters, 1926:ტაბ. XXIX, 2602; აგრეთვე სამთავროში მოპოვებულ გემებიდან - Максимова, 1950:ტაბ. I, 11 და წინამდებარე კატალოგის გემა 1 (№324)].

ბეჭდიდან დარჩენილია დაჟანგული და დეფორმირებული ბუდე, რომლის მიხედვით ფორმის აღდგენა შეუძლებელია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შემონახული; ბეჭდისაგან დაჟანგული და დეფორმირებული ფრაგმენტია დარჩენილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 9 მმ; განი – 6 მმ; ფრაგმენტის სიგრძე – 17 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2002.

№ 324 ინტალიოსთან მსგავსების საფუძველზე გემა ახ.წ. II საუკუნით თარღდება.

**3.** (ინვ. 335; ტაბ. I,3). ინტალიო [Zakharow, 1930: ტაბ. IV,138], მონითალო ფერის სარდიონისა; ბრტყელი, ქვედაპირისკენ ვიწროვდება.

პირზე გრილოსია გამოხატული. იგი წარმოადგენს ერთ არსებაში გაერთიანებულ სამ სხვადასხვა სახეს. ცენტრში გამოხატულია მამლის თავ-კისერი, პროფილში მარჯვნივ; მარცხენა მხარეს, პროფილში მარჯვნივ, სილენის ნილაბი მამლის ფეხებით. მარჯვენა მხარეს, პროფილში მარცხნივ, ცხენის თავია. გრილოსი მარჯვნივ მიდის, მის ფეხთ შორის მოცემული ნიადაგის ზოლი მკაფიოდ ჩანს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზუა ამოჭრილი, არალრმად და მკვეთრად, საკმაოდ ფაქიზი ნახელავია. ცალკეული დეტალები გულ-

მოდგინედ არის დამუშავებული, ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

აღნიშნული შინაარსის გემები რომაულ გლიპტიკაში ფართოდაა გავრცელებული [იხ. Reinach, 1895:ტაბ. 26, I, 51,6; Osborne, 1920:ტაბ. XXVII,4; Imhoof-Blümer, Keller, 1889:ტაბ. XXV,64 (კომპოზიცია ოდნავ განსხვავებულია); King, 1879:ტაბ. LVI,4-5 (კომპოზიცია განსხვავებულია); Richter, 1920:ტაბ. 68, 275].

ჩანს თვალი რკინის ბუდეში ყოფილა ჩასმული, კვალა შერჩენილი.

დაცულობა: ქვა ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 12 მმ; განი – 9 მმ, სიმაღლე – 5 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 335.

ინტალიო, ამოჭრის მანერისა და სტილისტური თავისებურების მიხედვით ახ.წ. II საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს.

**4.** (ინვ. 325; ტაბ. I,4). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. V,154], მონითალო ფერის სარდიონისა, რკინის ბეჭედში ჩასმული; ოვალური მოყვანილობისა, ბრტყელი, ქვედაპირისკენ ვიწროვდება; პირისა და ქვედაპირის შემადგენელი ნახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოხატულია ფრინველი, პროფილში მარჯვნივ. იგი წვრილ ტოტზე ზის, რომელსაც აქა-იქ პატარ-პატარა ფოთლები ფარავს; ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ თითქოს ფრინველი ახლახან დაფრენილა ტოტზე. მას პატარა, სუმარულად შესრულებული თავი აქვს; მკაფიოდ გამოხატული მოკაუჭებული მოკლე ნისკარტი, გამობერილი გულ-მუცელი და გრძელი ბოლო. ფრინველი ფრთაგამლილია; ფრთების კონტური მკვეთრადაა გამოხატული. ყვავი უნდა იყოს. გამოსახულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზუა ამოჭრილი არალრმად, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. ქვა კარგად არის გაპრიალებული; საკმაოდ სქემატურად შესრულებული გამოხატულება ოსტატს მქრქალად

დაუტოვებია.

ანალოგიური სიუჟეტი რომაულ გემებზე გვხვდება [იხ. Furtwängler, 1896:ტაბ. 40, 5826; Imhoof-Blüner, Keller, 1889:ტაბ. XXI, 3, 12-13 (ფრინველი ოდნავ განსხვავებულია)].

ბეჭდისაგან დარჩენილია თვალბუდისა და რკალის პატარა ნატეხი. ჩანს ბეჭდის რკალი უშუალოდ გადადიოდა ბუდეში, თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ბეჭდის ფორმის სრული აღდგენა ძნელია.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული. ბეჭდისაგან დაჟანგული ფრაგმენტია დარჩენილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 9 მმ; განი – 7 მმ, სიმაღლე – 3 მმ, ფრაგმენტის სიგრძე – 14 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2051.

ინტალიო, ამოჭრის მანერისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ახ.ნ. II საუკუნით თარიღდება.

5. (ინვ. 328; ტაბ. I,5). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. IV,128], მონაცრისფრო ყვითელი ქალცედონისა, ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ქვედაპირისკენ ფართოვდება.

პირზე გამოხატულია გვერდი გვერდზე მდგომი კასტორი და პოლუქსი, თავები ერთმანეთისკენ აქვთ მიბრუნებული; მათი სხეულები პირდაპირ არის მოცემული. ახალგაზრდა ათლეტები მარჯვენა ხელით შუბებს ეყრდნობიან; თავები მუზარადით აქვთ შებურული, რომელთაც თითო ვარსკვლავი ამკობს. ყოველ მათგანს მარცხენა მკლავზე ქლამიდა აქვს გადაკიდებული და ამავე ხელში მახვილი უჭირავთ. გრძელი ნიადაგის ზოლი მკვეთრად არის გამოხატული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად და მკვეთრად; სქემატური ნახელავია, არ გამოიჩინება დიდი სიფაქიზით, ცალკეული დეტალები სუმარულად არის შესრულებული. ქვა კარგადაა გაპრიალებული, გამოხატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

დიოსკურების გამოხატვა გლიპტიკაში ერთერთი გავრცელებული სიუჟეტთაგანია [იხ. Furtwängler, 1896:ტაბ. 48, 6725, ტაბ.

54, 7203; Osborne, 1920:ტაბ. XXIX, 1; Walters, 1926:ტაბ. XXIX, 1860].

ჩანს თვალს ბრინჯაოს ბუდე ჰქონია; გემას ქვედაპირზე შერჩენილი აქვს ფურცლოვანი ბრინჯაოსგან გაკეთებული ბუდის პირი.

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 14 მმ; განი – 12 მმ, სიმაღლე – 4 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2050.

ინტალიო, ამოჭრის მანერისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ახ.ნ. II-III საუკუნეებით თარიღდება [მდრ. Максимова, 1950: №№20, 31].

6. (ინვ. 327; ტაბ. I,6). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. IV,126], მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ქვედაპირისკენ ფართოვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებული ნახნავი დაქანებული აქვს.

ბრტყელ პირზე გამოხატულია აპოლონი, პროფილში მარჯვნივ მიბრუნებული თავით; სხეული პირდაპირ არის მოცემული. აპოლონის თავს სქემატურად შესრულებული სხივებიანი გვირგვინი ამკობს. ღვთაების თავი სუმარულადაა გადმოცემული, სხეული კუნთებით აქვს დაფარული, ტიტველია. აპოლონი იდაყვში მოხრილ მარცხენა ხელით გრძელ მათრახს ეყრდნობა. მარჯვენა მკლავზე ღვთაებას ფარი აქვს დამაგრებული და ამავე ხელით სვეტს ეყრდნობა.

აპოლონის სხეულის პროპორციები დარღვეულია – ტანთან შედარებით მეტად მოკლე ფეხები აქვს, დიდი თავი; კისერი არ აქვს გამოხატული. ღვთაებას ზურგზე – მარცხენა მხარზე, კაპარჭი უნდა ჰქონდეს ნამოკიდებული. აპოლონის მარჯვენა ფეხი პირდაპირ არის გამოხატული, მარცხენა – პროფილში. ფეხთ შორის მოცემული ნიადაგის ზოლი გრძელია. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მკვეთრ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი მკა-

ფიოდ, ტლანქი ნახელავია. ცალკეული დეტალები სუმარულად არის შესრულებული. ქვა-ფონი გაპრიალებულია, გამოსატულება ოსტატს მქრქალად დაუტოვებია.

აპოლონის მსგავსი გამოსატულებები, საკმაოდ ხშირია რომაულ გლიპტიკაში [იხ. Furtwängler, 1896:ტაბ. 61, 8655, 3481(კომპოზიციაში მცირეოდენი სხვაობა); Walters, 1926:269, 2755].

ვერცხლის ბეჭდის ორნახნაგა (გარედან და შიგნიდან) საკმაოდ განიერი რკალი მხრებთან სქელდება-ფართოვდება და ბრტყელ ბუდის ძირში – ფირფიტაში გადადის. ფირფიტაზე დარჩილულია ოვალური მოყვანილობის დაბალი ბუდე, რომელიც, როგორც ჩანს, თვალს მჭიდროდ ეკვროდა; ბეჭედს მაღალი, ჰორიზონტალური მხრები აქვს, ნახნაგები საკმაოდ მკვეთრკონტურია. მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ.წ. III საუკუნით თარიღდება [იხ. Максимова, 1950:ტაბ. IV,126; Henkel, 1913; ლორთქიფანიძე მარ., 1954:№№607-608].

დაცულობა: ადგილ-ადგილ ინტალიოს ანატეკები და ნაბზარები აქვს; ბეჭედი ოთხად არის გატეხილი, ბუდისაგან მხოლოდ ძირია დარჩენილი.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 15 მმ; განი – 11 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 17-20 მმ, რკალის განი – 4-6 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2033.

სტილისტური თავისებურებებისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ.წ. III საუკუნით თარიღდება.

**7.** (ინვ. 326; ტაბ. I,7). ინტალიო [Zakharow, 1930: ტაბ. V,157], მუქი ფერის ალმანდინისა, ვერცხლის ბეჭედში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, ქვედაპირისკენ ფართოვდება; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი ნახნაგი დაქანებული აქვს.

პირზე გამოსატულია თევზი, გამოსატულება სუმარულადაა შესრულებული – თავი თევზს სხეულთან აქვს გაერთიანებული, ფარფლები სამ-სამი ღარით არის გადმოცე-

მული, მოკლე და სწორი ბოლო აქვს.

გამოსატულება დაზგაზეა ამოჭრილი საკმაოდ ტლანქად და არაღრმად, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა; ძალზე სქემატური და დაუდევარი ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოსატულება მჭრელს მქრქალად დაუტოვებია.

გემები მსგავსი შინაარსით ხშირად გვხვდება რომაულ გლიპტიკაში. საქართველოში მოპოვებულ გემათაგან [იხ. Максимова, 1950:ტაბ. I,6, II,54; Furtwängler, 1896:ტაბ. 59, 7958, ტაბ. 358, 7938, 7941(კომპოზიცია სხვაგვარია); Imhoof-Blümer, Keller, 1889:ტაბ. XXIII, 12].

ვერცხლის ბეჭდის საკმაოდ განიერი სამნახნაგა რკალი მხრებთან ფართოვდება და ბრტყელ ბუდის ძირში – ფირფიტაში გადადის. ფირფიტაზე დარჩილულია ოვალური მოყვანილობის დაბალი ბუდე, რომელიც თვალის ძირს მჭიდროდ ეკვრის; ბეჭედს მაღალი, ჰორიზონტალური მხრები აქვს. რკალი ბრტყელშიდაპირიანია, ზედაპირზე გამოყვანილი ნახნაგი მკვეთრკონტურია. მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ.წ. III საუკუნით თარიღდება [იხ. Максимова, 1950:254, ნახ. 6; Henkel, 1913:116, 1273, სურ. 69; ლორთქიფანიძე მარ., 1954:№№607-608].

დაცულობა: თვალი სისქეში გაბზარულია; ბეჭედი დაჭყლეტილია და ამის გამო დეფორმირებულია, ბუდე ერთგან გატეხილია; ნაპირები შემომტვრეული აქვს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 10 მმ; განი – 6 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 16-20 მმ, რკალის განი – 3-5 მმ, ბუდის სიგრძე – 12 მმ, ბუდის განი – 2მმ..

სამთავრო, ძველი ნომერი 1999.

ანალოგიური მასალისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ.წ. III საუკუნით თარიღდება.

**8.** (ინვ. 331; ტაბ. I,8). ინტალიო [Zakharow, 1930: ტაბ. V, 158], მუქი ფერის სარდერისა, რკინის ბეჭედში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოსატულია პურის ორი თავთა-



ვი – ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლო; თავთავებს მოკლე ღერო აქვს, ფოთლები ორი პარალელური ხაზით არის გადმოცემული, გრძელი ფხა მკვეთრადაა გამოხატული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არა ღრმად და ტლანქად; საკმაოდ სქემატურად არის შესრულებული. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მჭრელს მქრქალად დაუტოვებია.

მსგავსი გემები ხშირია რომაულ გლიპტიკაში. საქართველოში მოპოვებულ გემათაგან [იხ. Максимова, 1950:ტაბ. II,59 (აღნიშნულ გემაზე ორი თავთავია გამოხატული).

რკინის ბეჭდის ვინრო რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალურ ბუდეში; თვალბუდე შიგ ბეჭედში არის ამოჭრილი, ბეჭედი დეფორმირებულია და მისი ფორმის ზუსტად აღდგენა ძნელია.

დაცულობა: ინტალიოს რამდენიმე ადგილას ანატკეციები აქვს; ბეჭედი გატეხილია, რკალს 1/2 აკლია. რკინა ძალზე დაჟანგულია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 6 მმ; განი – 4 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 13 მმ, სიმაღლე – 20 მმ, ბუდის განი – 11 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2045.

სამთავროშივე აღმოჩენილ გემის მიხედვით ახ.ნ. III საუკუნით თარიღდება.

**9.** (ინვ. 333; ტაბ. I,9). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. V,161], მომწვანო ფერის მინისა, ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული. ინტალიო კვადრატის მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია კანოპა; იგი წარმოადგენს მუცელგამობერილ და ძირისაკენ საკმაოდ მკვეთრად შევიწროვებულ ჭურჭელს (ამფორას მოგვაგონებს), რომლის სახურავი ორი ადამიანის კეფაშექცეულ თავს გამოხატავს – ორი თავი გაერთიანებულია და პროფილებით არის გამოხატული (ე.ი. ერთი თავი ორი სახით).

გამოხატულება ძალზე სუმარულად არის შესრულებული და ამის გამო სახის ნაკვეთბ-

ის გარჩევა ძნელია. გამოხატულების ზემოთ, თავის გასწვრივ, აქეთ-იქით, თითო ნიშანია მოთავსებული.

ინტალიო ჩამოსხმულია, საკმაოდ დაუდევრად შესრულებული, ინტალიოს ქვედაპირი უსწორმასწოროა, თვალი ზოგან სქელი და ზოგან თხელია. გამოხატულება საკმაოდ ღრმა არის, მაგრამ არამკაფიო, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა.

რომაულ პერიოდში კანოპები ოსირისის კულტთან არის დაკავშირებული. გემებზე ისინი იშვიათად გვხვდება [იხ. King, 1879:2879, ტაბ. VII,9] (საერთო აქვს სამთავროულ გემასთან მხოლოდ შინაარსობრივად).

ფურცლოვანი ბრინჯაოსგან გაკეთებული ბეჭდის რკალი ვინროა, ფართო და დაკუთხული მხრები აქვს (მხარზე ორ-ორი წიბო), რომელიც უშუალოდ გადადის ღრმა ბუდეში. ბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი, კვადრატის მოყვანილობა აქვს, ძირშედრეკილია.

რკალის ზედაპირი ოდნავ ამობურცულია, შიდაპირი ბრტყელია. მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ.ნ. III ს-ით თარიღდება [შდრ. Henkel, 1913:ტაბ. XLIV, 1126, 1126a-b; ტაბ. XLVIII, 1128, 1128a-b].

დაცულობა: ირიზეებული თვალი, ბუდიდან ამოვარდნილია; ბეჭედი დეფორმირებული და ბუდესთან რამდენიმე ადგილას გატეხილია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 6 მმ; განი – 5 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 12 მმ, სიმაღლე – 18 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 1996.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ.ნ. III საუკუნით თარიღდება.

**10.** (ინვ. 334; ტაბ. I,10). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. IV,144], მოყავისფრო-ნარინჯისფერი სარდიონისა, ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ქვედაპირისკენ ფართოვდება, საკმაოდ მაღალია.

პირზე გამოხატულია მწოლიარე ირემი, პროფილში მარცხნივ, უკან იყურება. გამოხატულება სქემატურად არის შესრულებული; ირმის თავი სუმარულადაა გადმოცე-

მული, ცალკეული დეტალების გარჩევა შეუძლებელი ხდება; რქები სწორი და მოკლე ხაზებით არის გადმოცემული, სხეული ერთ სიბრტყეშია მთლიანად გაერთიანებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არალრმად. ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა. საკმაოდ დაუდევარი ნამუშევარია.

ბეჭდის ვინრო და ბრტყელი რკალი მხრებთან ფართოვდება და უშუალოდ გადადის დაბალ, ოვალური მოყვანილობის ბუდეში, თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი; ბუდეს შედრეკილი ძირი აქვს. მხრებთან ბეჭედი გასქელებულია.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ.ნ. III საუკუნეს მიეკუთვნება [იხ. Henkel, 1913: ტაბ. XVIII, 1249, 1249a-b].

დაცულობა: ქვა კარგად არის შენახული; ბეჭედს რკალის დიდი ნაწილი მოტეხილი აქვს და აკლია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 11 მმ; განი – 8 მმ, სიმაღლე – 3 მმ, ბეჭდის დიამეტრი – 16 მმ, რკალის განი – 20 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2030.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ.ნ. III საუკუნით თარიღდება.

11. (ინვ. 336; ტაბ. I,11). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. IV,131], ნითელი ფერის მინისებრი პასტისა (ლუქისებრი იასპის მიმბაძველობაა), იგი ბრინჯაოს ვინრო ბუდეშია ჩასმული და მედალიონს წარმოადგენს. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, პირისა და ზურგის შემაერთებული ნახნავი მკვეთრად არის დაქანებული. ინტალიოს პირზე გამოხატულებაა მოთავსებული, ზურგზე – ბერძნული წარწერა.

პირზე გამოხატულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, მიმავალი, პროფილში მარცხნივ. თავი სუმარულად არის გადმოცემული ისე, რომ ცალკეული ნაკვთების გარჩევა შეუძლებელია – ცხვირი, პირი და ნიკაპი სამი არალრმა, პარალელური ღარით არის მოცემული.

ღვთაებას წელთან გადმოფენილი პეპ-

ლოსი აცვია; სამოსის ბოლო ჰაერში ფრიალებს. წინ განვდილ მარცხენა ხელში მრგვალი გვირგვინი უჭირავს; მარჯვენა მხარზე პალმის ტოტი აქვს გადებული, რომელიც მარჯვენა მკლავში არის გაყრილი. ნიკე ფრთებგაშლილია; დიდი ზომის ფრთებს ზედა კონტური მომრგვალებული აქვს. ნაკრტენის ხუთი წყება მკვეთრი ზოლებით არის გადმოცემული. ღვთაების ფეხით დიდი ზომის ფარია მოთავსებული. ფარი მრგვალია, რელიეფური ზედაპირი აქვს. ნიკეს ფეხები ტლანქად არის შესრულებული (ორი მორკალული ხაზით გამოხატული). ნიადაგის ზოლი მკვეთრად ჩანს.

ზურგზე “ამოკვეთილი” წარწერა პოზიტიურია, იგი ერთ სიტყვას აღნიშნავს და სამ სტრიქონად არის გაყოფილი. პირველი სტრიქონი – HX, მეორე სტრიქონი – API, მესამე – ΣI. წარწერა თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს და იგი ასე იკითხება: ηχαριστι=[E]ὑχαριστηი ე.ი. ეზიარე (ან მადლიერი იყავ) [ყაუხჩიშვილი თ. 1950:258].

ინტალიო ჩამოსხმულია, გამოხატულება მკაფიოდ არის გამოსული, ასევე წარწერა. ჩანს, ოსტატს გემა ყალიბიდან ამოღების შემდეგ საჭრისით დაუმუშავებია. დედანი, რომლისგანაც პირი აულიათ, არ ყოფილა ღრმად ნაკვეთი – გამოსახულება ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ნიკეს გამოხატულება ხშირია ანტიკურ გლიპტიკაში, რომაულ გემებზე [იხ. Walters, 1926:211, 1705, 1710; Reinach, 1895:ტაბ. 65, 70<sup>2</sup>; Middleton, 1891:ტაბ. 11, 31]. სტილისტური და შესრულების მანერის მხრივ, ჩვენი გემა ყველაზე ახლო ანალოგიას მიდღტონისეულ გემასთან პოულობს.

მედალიონის ბუდე ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული, იგი ვინრო სალტეს წარმოადგენს და ინტალიოს ნაპირზე მჭიდროდ არის შემოჭედილი. ჩანს, მედალიონს ყუნწი ჰქონია; ამჟამად მოტეხილი აქვს.

დაცულობა: ინტალიო ირიზებულია, ამის გამო გამოხატულებამ ნაწილობრივ სიმკვეთრე დაჰკარგა; ლითონი პატინის სქელი ფენ-

ით არის დაფარული, ბუდე ადგილ-ადგილ ნაკლულია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 20 მმ; განი – 15 მმ, ბუდის ტანი – 16 მმ, ბუდის სიგრძე – 22 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 1848.

თავისი ხასიათით ნივთი აბრასაქს უნდა წარმოადგენდეს და ამიტომ ახ.წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს. ამგვარ დათარიღებას ხელს უწყობს თვით ნახელავის ხასიათიც და ამას გარდა წარწერაც.

#### **ბ. ბიზანტიური:**

12. (ინვ. 350; ტაბ. I,12). საბეჭდავი-ბეჭედი [Zakharow, 1930: ტაბ. IV,164], ბრინჯაოსი, ფრაგმენტირებული. ამოკვეთილგამოხატულებიანი ბეჭედი ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული. ოვალური მოყვანილობის ბეჭდის ფარაკი ბრტყელია.

პირზე ამოჭრილია ბერძნული ასოებისაგან შედგენილი მონოგრამა, რომელსაც გარს უვლის ქდეული ღარი. ღარი პირის კიდეს ეხება. მონოგრამა მიჩნეულია კერძო პირის სახელად და თარიღდება ახ.წ. პირველი საუკუნეებით [ყაუხჩიშვილი თ. 1950:259].

მონოგრამა საჭრისით არის ამოჭრილი, არალრმად, ანაბეჭდზე დაბალ, მაგრამ საკმაოდ მკვეთრ რელიეფს იძლევა. ბეჭდის ოვალური და ბრტყელი ფარაკი უშუალოდ გადადის ვიწრო და ბრტყელ რკალში. ანალოგიური ფორმის ბეჭდები ახ.წ. IV ს-ით თარიღდება [შდრ. Henkel, 1913:111, 1378, 1378a-b].

დაცულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია ფარაკი და რკალის უმნიშვნელო ნაწილი.

ზომა: ფარაკის სიგრძე – 13 მმ, განი – 10 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2004.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ.წ. IV ს-ით თარიღდება.

13. (ინვ. 349; ტაბ. I,13). ინტალიო ბრინჯაოსი [Zakharow, 1930: ტაბ. IV,164], ოვალური მოყვანილობისა, ბრტყელი; როგორც ჩანს ბეჭდის ფარაკად ყოფილა გამოყენებული. ზურგი ინტალიოს სადა და ბრტყელი აქვს.

პირზე ცენტრში, გამოხატულია პალმის ხე, რომლის მოკლე შტოები მარჯვნივ და

მარცხნივ არის გადახრილი; ხის ტანი რამდენიმე რელიეფური რგოლითაა შემკული. პალმის გვერდებზე, აქეთ-იქით, მონოგრამები მოთავსებული – სტილიზებული ბერძნული ასოებით შესრულებული. გამოხატულების ირგვლივ, პირის კიდესთან, წერტილოვანი ხაზია ამოჭრილი.

გამოხატულება საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი, არალრმად და სქემატურად, ანაბეჭდზე საკმაოდ მკრთალ და დაბალ რელიეფს იძლევა.

დაცულობა: ბეჭდისაგან მხოლოდ ფარაკია დარჩენილი. გამოხატულება მკრთალი ჩანს იმის გამო, რომ ინტალიოს პირი საკმაოდ გაცვეთილია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 11 სმ, ინტალიოს განი – 10 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2046.

ვფიქრობთ, ინტალიო ბიზანტიური წარმოშობისა უნდა იყოს და არა უადრეს ახ.წ. IV ს-ით უნდა დათარიღდეს (შდრ. 350).

#### **გ. ადრექრისტიანული:**

14. (ინვ. 353). საბეჭდავი-ბეჭედი ბრინჯაოსი, ფრაგმენტირებული. ამოკვეთილგამოხატულებიანი ბეჭედი ბრინჯაოს ფურცლისაგან არის გაკეთებული. მრგვალი მოყვანილობის ინტალიო-ბეჭდის ფარაკი, ბრტყელია.

პირზე მოცემული გამოხატულება ძალიან ბუნდოვანია იმის გამო, რომ იგი გაცვეთილია. ადამიანის წინ ფრთოსანი არსება(?) დგას, პროფილში. ადამიანსა და ფრთოსან არსებას(?) შორის გაურკვეველი საგანია (თუ ნიშანი) ამოკვეთილი).

გამოხატულება საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი, იგი მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. გამოხატულება არ არის ღრმად ნაკვეთი, ანაბეჭდზე მეტად მკრთალ და დაბალ რელიეფს იძლევა.

ვიწრო და ბრტყელ რკალზე დარჩილია მრგვალი ფარაკი-ინტალიო. ინტალიოს ქვედაპირი სადა და ბრტყელი აქვს.

დაცულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია ფრაგმენტი (ფარაკი და რკალის ნაწილი),

გამოხატულება გაცვეთილია, პატინამ დააზიანა.

ზომა: ინტალიოს დმ-11 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 1995.

ვფიქრობთ, ბეჭედი ადრე ქრისტიანულ ბეჭდებად ცნობილ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ (შდრ. [Dalton, 1911]).

**15.** (ინვ. 1999; ტაბ. I,15). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. V,125], მუქი ფერის ალმანდინისა, ოქროს ფურცლით გადაკრულ ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული. ინტალიოს ნაკვეთილი კონუსის მოყვანილობა აქვს.

პირზე გამოხატულია გრძელბოლოანი ფრინველი, პროფილში მარჯვნივ, თავი ზურგისკენ აქვს მიბრუნებული. ფეხებს ორი სწორი ხაზი გამოხატავს. ფრინველი ხის ტოტზე ზის, რომელიც მხოლოდ სწორი ხაზითაა გამოხატული. გამოხატულება მეტად სუმარულად არის შესრულებული, იგი თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზუა ამოჭრილი, არალრმად და მეტად სქემატურად, ანაბეჭდზე ძალიან დაბალ და მკრთალ რელიეფს იძლევა. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება ზოგან მქრქალია, ზოგან პრიალებს.

ბრინჯაოს ბეჭედს ოქროს თხელი ფირფიტა აქვს გადაკრული. ამჟამად ფირფიტა ადგილ-ადგილ არის შერჩენილი. გვერდებისკენ ოდნავ განზიდული ვინრო რკალი რგოლს წარმოადგენს, რომელსაც მაღალი ბუდე აქვს დარჩილული. ბუდე ცილინდრული მოყვანილობისაა, საკმაოდ მაღალი, რელიეფური ზოლებითაა შემკული (ძირითად, თითქმის ბუდის ნაპირამდე) მთელ სიგრძეზე, ხან გამოშვებით, სადანაპირიანი ბუდე პირისკენ ფართოვდება; რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს, ოდნავ ამობურცული პირი.

დაცულობა: ქვა რამდენიმე ადგილას გაბზარულია; ადგილ-ადგილ ანატკეცები და ნაბზარები აქვს. ოქროს ფირფიტა მხოლოდ ზოგან არის შემორჩენილი – ბუდისა და რკალის შიდაპირზე, ნაწილობრივ, და რკალის

ზედაპირზე – მცირედ.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 10 მმ; ინტალიოს განი – 8 მმ; ინტალიოს სიმაღლე – 3 მმ; ბეჭდის დმ. – 16-19 მმ; ბეჭდის სიმაღლე – 23 მმ.

სტილისტური თავისებურებებისა და ამოჭრის მანერის მიხედვით თვალი გვიანანტიკური ხანისაა, ჩასმულია გვიანფეოდალური ხანის თვალბუდეში.

#### **დ. ადგილობრივი გემები:**

**16.** (ინვ. 35; ტაბ. I,16) მრავალნახნაგა [Максимова, 1941:81-82] საბეჭდავი ლურჯი ფერის (ლაჟვარდისებრი) მინისა. მრავალნახნაგა საბეჭდავი პარალელეპიპედს წარმოადგენს, რომლის ზურგი ნაკვეთილი პირამიდაა. საბეჭდავს მთელ სიგრძეზე გაკეთებული აქვს ნახვრეტი ზონარისათვის, პირბრტყელია. ნახნაგები მკვეთრად არის გამოყვანილი.

პირზე გამოხატულია ლომზე ნადირობის სცენა. მონადირეს ხელი აქვს წავლებული ლომის კისრისათვის და სატევრის ჩაცემას უპირებს. ლომი უკანა ფეხებზე დგას და წინა თათებით მონადირის მიწვდომას ლამობს.

მონადირეს მოკლე კაბა აცვია, მას უჩრველოდ გრძელი, აცქვეტილი ყურები აქვს, რითაც ცხოველის თავს უფრო მოგვაგონებს – შესაძლებელია თავი შებურული ჰქონდეს.

ინტალიო ჩამოსხმულია, საბეჭდავის ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს იგი კარგად დაუმუშავებია. გამოხატულება საკმაოდ მკაფიოდაა გამოსული.

დაცულობა: საბეჭდავი ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: საბეჭდავის სიმაღლე – 6 მმ, სიგრძე – 19 მმ, განი – 12 მმ, ნახვრეტის დმ – 2 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2084.

მ. მაქსიმოვა საბეჭდავს ადგილობრივ ნახელავად მიიჩნევს. იგი ადგილობრივ ასლს წარმოადგენს მცირეაზიური წარმოშობის ძვ.წ. V-IV საუკუნის ქვის საბეჭდავიდან.

#### **ე. პართული და სასანური გემები:**

**17.** (ინვ. 338; ტაბ. I,17). ინტალიო, მომწვანო ფერის მინისა, მრგვალია და ბრტყელი. ინტალიო ბრინჯაოს ბეჭედშია ჩასმული.

პირზე გამოხატულია ოთხფურცლიანი, სტილიზებული ყვავილი. ყოველი ფურცლის ნაპირი ორ-ორად არის გაყოფილი.

ინტალიო ჩამოსხმულია. ყალიბიდან ამოღების შემდეგ ოსტატს გამოხატულები-სათვის საჭრისი შემოუვლია. გამოხატულება არ არის ღრმა; იგი ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

მსგავსი გამოხატულებები ხშირია ირანულ გემებზე საქართველოში მოპოვებულ გემასთან [Макимова, 1950:ტაბ. III,76; ლორთქიფანიძე მარ., 1954:ტაბ.VI,66].

ბრინჯაოს ბეჭედი საკმაოდ პატარა ზომისაა; მრგვალი და წვრილი მავთულის რკალი დაბალ და მრგვალ ბუდეზეა მიჩნეული. ბუდეს გარს ავლია წვრილი მავთული, ბრტყელძირიანია.

დაცულობა: ინტალიო გაცვეთილია, მინა – ირიზებული; ბეჭედი პატინის სქელი ფენით არის დაფარული.

ზომა: ინტალიოს დმ.-5 მმ, ბეჭდის დმ.-15 მმ, სიმაღლე – 20 მმ.

სამთავროში აღმოჩენილი ანალოგიური მასალის მიხედვით ინტალიო პართული ეპოქით თარიღდება, სახელდობრ, ახ.წ. I-II ს-ით.

**18.** (ინვ. 339; ტაბ. I,18). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. II,59], თეთრი ფერის პასტისა ცისფერი ლაქებით, ვერცხლის ბეჭედში ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი.

პირზე გამოხატულია ტახი, პროფილში მარჯვნივ, მიმავალი, თავდახრილი. დიდი ზომის აცქვეტილი ყურები სწორი ხაზებითაა გამოხატული, ფერდებს სამი ღარი ჰკვეთს, დიდ თათებს გრძელი ბრჭყალები აბოლოებს; ტახს გრძელი და სწორი კუდი აქვს.

პირის კიდესთან, ტახის თავს ზემოთ (კუდიდან თავამდე) წყვეტილი ხაზია ამოჭრილი.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ამოჭრილი უნდა იყოს, არაღრმად და მკვეთრად; გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ და მკაფიო რელიეფს იძლევა. ინტალიოს წესიერი ფორმა აქვს მიცემული.

მსგავსი გამოხატულება ხშირია სასანურ

გემებზე [იხ. Horn, Steindorf, 1891:ტაბ. III,2158; Максимова, 1950:ტაბ. III,84].

მასიური ბეჭედი, რკალის ზედაპირის კონტურის მიხედვით, რომბისებური მოყვანილობისაა, შიდაპირის მიხედვით – ელიფსურია. მკვეთრად დაქანებული, ბრტყელი მხრები ზევითკენ ფართოვდება და ძალიან დაბალ არაღრმა, ოვალური ფორმის ბუდეში გადადის; რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს, გარედან ნახნაგებიანი.

ანალოგიური ფორმის ბეჭედები ახ.წ. III ს-ით თარიღდება [იხ. Henkel, 1913:ტაბ. XXII,440; ტაბ. XIX,1299, 1299a-b; Marshall, 1907:ტაბ. V,200].

დაცულობა: პასტა გამოფიტულია, თვალი ბუდიდან ამოვარდნილია; ვერცხლს ზედაპირი ადგილ-ადგილ ამოჭმული აქვს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 11 მმ, ინტალიოს განი – 9 მმ, ბეჭდის დმ. – 17-20, ბეჭდის სიმაღლე – 26 მმ.

ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება, ახ.წ. III ს. ბეჭდის ფორმა ანტიკურია.

**19.** (ინვ. 343; ტაბ. I,19). საბეჭდავი-ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. II, 42], მთლიანი ქვისაგან გამოთლილი, მონითალო ფერის სარდიონისა; ელიფსოიდური ფორმა აქვს, ცალ მხარეს წაკვეთილია. გამოხატულება წაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს. ქვაში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის.

პირზე გამოხატულია ირემი, პროფილში მარჯვნივ მორბის; დიდი, სქემატურად შესრულებული რქები ისეა გახრილი, რომ ზურგს ეხება. თავი სუმარულადაა გადმოცემული, თვალს რელიეფური წერტილი გამოხატავს, გულ-მკერდი, მუცელი და გავა ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი. ირემს ფეხები სახსრებში მოხრილი აქვს, მოკლე კუდი დაბალი რელიეფითაა შესრულებული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ირმის გულ-მკერდის გასწვრივ, დრუნჩის ქვემოთ, ასო უნდა იყოს ამოჭრილი – L.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი,

ღრმად და მკვეთრად, ანაბეჭდზე საკმაოდ მაღალ რელიეფს იძლევა. ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით. ქვა კარგად არის გაპრიალებული და სუფთადაა გათლილი, გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულება საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ირანული ნარმოების გემებზე [იხ. Horn, Steindorf, 1891:ტაბ. II,1196].

დაცულობა: ქვას ნაბზარები და ანატკეცები აქვს.

ზომა: საბეჭდავის სიმაღლე - 15 მმ, პირის განი - 8 მმ, პირის სიგრძე - 13 მმ, ნახვრეტის დმ. - 5 მმ.

საბეჭდავის ფორმის მიხედვითა და ამოჭრის მანერით ინტალიო ახ.წ. III საუკუნით თარიღდება.

**20.** (ინვ. 340; ტაბ. I,20). ინტალიო-საბეჭდავი ბრინჯაოსი [Zakharow, 1930: ტაბ. III,71], სფერული ფორმისაა, ცალ მხარეს “ნაკვეთილი”, გამოსახულება ნაკვეთილ მხარეზეა ამოჭრილი; პირი ოვალური და ბრტყელი აქვს. საბეჭდავში გაკეთებულია ნახვრეტი ზონრისათვის.

პირზე გამოხატულია ფრინველი, პროფილში მარჯვნივ, თავი ზურგისკენ აქვს მიბრუნებული, მკრთალად ჩანს. გრძელი და სწორი კისერი მორკალული აქვს. სხეული სწორი ღარებითაა დასერილი, გულმკერდსა და მუცელს საკმაოდ ფართო ღარი ფარგლავს. ფრინველი ფრთებმოკეცილია; სამი ფრთისგან შედგენილი ბოლო უკან აქვს გაშვერილი. მოკლე ფეხები გრძელი ბრტყალებითაა დაბოლოებული.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არაღრმად, ძალზე სქემატურად არის შესრულებული, ანაბეჭდზე დაბალ არათანაბარ რელიეფს იძლევა.

აღნიშნული სიუჟეტი ხშირად გვხვდება ირანულ გემებზე [იხ. Horn, Steindorf, 1891:ტაბ. IV,1478].

დაცულობა: საბეჭდავი გაცვეთილია, ამის გამო გამოხატულების სიმკვეთრე დაკარგულია.

ზომა: საბეჭდავის სიმაღლე - 8 მმ, პირის განი - 10 მმ, პირის სიგრძე - 12 მმ, ნახვრეტის დმ - 8 მმ. სამთავრო, ძველი ნომერი 2049.

ამოჭრის მანერის მიხედვით ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება, შესაძლოა ახ.წ. III ს. [შდრ. Максимова, 1950:ნახ. 69].

**21.** (ინვ. 337; ტაბ. I,21). ინტალიო, მომწვანო ფერის მინისა, ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული. ინტალიო მრგვალია და ბრტყელი.

პირზე გამოხატულია სტილიზებული ოთხფურცლიანი ყვავილი. გამოხატულებას სიმკვეთრე დაკარგული აქვს. ანალოგიურია № 338-ისა.

ინტალიო ჩამოსხმულია, ყალიბიდან ამოღების შემდეგ იგი ოსტატს საჭრისით დაუმუშავებია. გამოხატულება საკმაოდ ღრმად არის გამოსული. ჩანს დედანი, რომლიდანაც ოსტატს პირი აუღია, ღრმად ნაკვეთი ყოფილა.

ბეჭდის წვრილი და მრგვალი რკალი ცილინდრის მოყვანილობის, კოლოფისებრ ბუდეზეა მირჩილული. ბუდეს გარს უვლის ჭდეებით შემკული მავთული; აქეთ-იქით მირჩილული აქვს წვრილი მავთულის თითო რგოლი.

დაცულობა: მინა ირიზებულია, ბეჭედი ძალზე დეფორმირებული. ბრინჯაოს პატინის სქელი ფენა აქვს გადაკრული.

ზომა: ინტალიოს დმ. - 5 მმ, ბუდის დმ. - 9 მმ, რკალის დმ - 2 მმ.

ანალოგიური მასალის საფუძველზე ინტალიო პართულ ეპოქას მიეკუთვნება [შდრ. Максимова, 1950:III,76].

**22.** (ინვ. 330; ტაბ. I,22). საბეჭდავი-ბეჭედი ვერცხლის [Zakharow, 1930:ტაბ. V,151]. ამოკვეთილ გამოსახულებიანი ბეჭდის ფარაკი-ინტალიო, ოვალური და ბრტყელია; იგი უშუალოდ გადადის ბეჭდის რკალში.

პირზე გამოხატულია დიდქორიანი და გრძელბოლოიანი ფრინველი, ხოხობი უნდა იყოს. გამოხატულება საკმაოდ სტილიზებულია; ცალკეული ნაწილები სუმარულადაა გადმოცემული, თავი სხეულთან თითქმის გაერთიანებულია; ფრინველს ოდნავ მოკაუ-

ჭებული გრძელი ნისკარტი აქვს, სწორი ხაზებით გადმოცემული დიდი ზომის ქოჩორი, რომელიც ბოლოსკენ ფართოვდება, ასევეა გრძელი, გაშლილი ბოლო. ხოხობს მოკლე ფეხები აქვს, იგი წინვანი (?) ხის წინ დგას. ნიადაგის ზოლი ფრინველის ფეხთ შორის მკვეთრადაა მოცემული.

ინტალიო ჩამოსხმული უნდა იყოს და შემდეგ, ზოგან, საჭრისით დამუშავებული (ხე, ბოლო, ქოჩორი). გამოსატულება არ არის ღრმა. მსგავსი გამოსატულება [იხ. Horn, Steindorf, 1891:ტაბ. IV,1467].

ბეჭედი საკმაოდ მასიურია. მრგვალი მავთულის სადა რკალი “მხრებისკენ” შეუმჩნევლად ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის ამოკვეთილგამოსახულებიან ფარაკში გადადის. ბეჭდის რკალს ამობურცული ზედაპირი აქვს, შიდაპირი მეტ-ნაკლებად შებრტყელებულია.

მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ.წ. IV საუკუნით თარიღდება [შდრ. Henkel, 1913:ტაბ. XXX-II,809, 809a-b; ტაბ. XXXI,892, 892a-b].

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომა: ბეჭდის სიმაღლე – 23 მმ, დმ. – 19 მმ, ინტალიოს სიგრძე – 14 მმ, ინტალიოს განი – 7 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2041.

ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ.წ. IV საუკუნით თარიღდება.

**23.** (ინვ. 348; ტაბ. I,23). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. V,148] ღია ფერის ლაჟვარდის ქვისა, თეთრი წინწკლებით. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი ნახნაგი ოდნავ დაქანებული აქვს.

პირზე გამოსატულია ორი, სტილიზებული ცხოველის თავი პროფილში მარცხნივ. ორივე ცხოველი გრძელყურაა. გრძელი დრუნჩი ბუტეროლეთი არის შესრულებული. თვალი რელიეფურად არის გამოსატული; ყურები ნაწვეტებული აქვს. ცხოველები სახედრის თავებს უნდა გამოსატავდეს.

გამოსატულება დაზგაზეა ამოჭრილი,

არაღრმად და საკმაოდ მკვეთრად, ნახელავი არ გამოიჩინება დიდი სიფაქიზით და ოსტატობით; ქვა მქრქალად არის გაპრიალებული.

დაცულობა: ქვას ადგილ-ადგილ ანატკეციები აქვს.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 11 მმ, განი – 9 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2047.

“ბუტეროლით” შესრულებული ნამუშევარი სასანური გლიპტიკური ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. სასანურია.

**24.** (ინვ. 733; ტაბ. I,24). საბეჭდავი ბეჭედი ვერცხლისა. ბეჭდის ფარაკი-ინტალიო, ოვალური და ოდნავ ამობურცულია.

პირზე გამოსატულია ე.წ. სასანური მონოგრამა; ურთიერთგადამკვეთი ხაზები-ღარები ნახევარმთვარის მოყვანილობის რკალებით ბოლოვდება. გამოსატულება ძალიან სქემატურად არის შესრულებული.

გამოსატულება საჭრისით არის ამოჭრილი, ტლანქი ნახელავია.

ბეჭედი დიდი ზომისაა, მრგვალი რკალი უშუალოდ გადადის საკმაოდ თხელ, ოვალური მოყვანილობის ფარაკ-ინტალიოში.

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომა: ბეჭდის სიმაღლე – 18 მმ, დმ.- 16 მმ, ინტალიოს სიგრძე – 13 მმ, ინტალიოს განი – 4 მმ.

მსგავსი გამოსატულებები გავრცელებულია სასანურ გემებზე [იხ. Horn, Steindorf 1891:ტაბ. VI,1587].

სამთავრო, სასანური უნდა იყოს.

**25.** (ინვ. 341; ტაბ. I,25). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. I,13] მონითალო ფერის სარდიონისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი; პირისა და ქვედაპირის შემაერთებელი ნახნაგი ოდნავ დაქანებული აქვს.

პირზე გამოსატულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ, ძალზე სქემატურადაა შესრულებული. მამაკაცს ცხვირი და შუბლი გაერთიანებული აქვს. პირი ორი პარალელური ღარითაა გადმოცემული, წვერს სწორი ხაზი გამოსატავს, თვალი გუ-

ლამოღებული წერტილითაა აღნიშნული, ყურს საყურე უმკობს.

მამაკაცს დიდი თმა აქვს, სწორი და მკვეთრი ღარებით გადმოცემული. გულ-მკერდი ჰორიზონტალური ხაზებითაა დასერილი – ქსოვილს გამოხატავს.

პირის კიდეებთან, თავის გასწვრივ, აქეთ-იქით, წერტილოვანი რკალებია ამოჭრილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი, არალრმად და მკვეთრად, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა; ტლანქი ნახელავია. ქვა კარგად არის გაპრიალებული, გამოხატულება მჭრელს მქრქალად დაუტოვებია. მსგავსი გამოხატულებები ხშირად გვხვდება ე.წ. სასანურ გემებზე [იხ. Horn, Steindorf 1891:ტაბ. I,1029].

დაცულობა: ინტალიო კარგად არის შენახული.

ზომა: სიგრძე – 9 მმ, განი – 8 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 1814.

ინტალიო ირანული წარმოშობისაა, აქემენიდური ეპოქის შემდეგდროინდელი.

**26.** (ინვ. 342; ტაბ. I,26). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. I,25] მონითალო ფერის სარდიონისა, ოვალური მოყვანილობა აქვს, ბრტყელია.

პირზე გამოხატულია ადამიანისა და ლომების ბრძოლა – გმირის ლომებთან ბრძოლის სცენა. ცენტრში ორ ლომს შორის წვერიანი მამაკაცი დგას; მას თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, ტანი პირდაპირ არის მოცემული, ფეხები – პროფილში. გმირს მოკლე და ნაოჭიანი კაბა აცვია, ნაოჭებს სწორი ხაზები გამოხატავს, ქსოვილი მეტად ტლანქად არის შესრულებული.

გმირი გილგამეში უნდა იყოს, რომელმაც ლომებთან ბრძოლაში გაიმარჯვა. გილგამეში იდაყვში მოხრილი ხელებით მოკლულ ლომებს ეყრდნობა (ლომების თავებს ეყრდნობა).

გამოხატულება იმდენად სუმარულად არის შესრულებული, რომ ცალკეული ნაწილების გარჩევა შეუძლებელი ხდება, სახელდობრ, გილგამეშის თავ-პირი მთლი-

ანად გაერთიანებულია და უშუალოდ გადადის სხეულში. ასევეა ლომებიც – თავი სამ პარალელურ და მოკლე ღარს წარმოადგენს და სხეულიდან შვეული ხაზითაა გამოყოფილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ისე, რომ პირის კიდეც ეხება.

გამოხატულება დაზგაზეა ამოჭრილი არალრმად და მეტად სქემატურად საკმაოდ დაუდევარი და ტლანქი ნახელავია. ქვა გაპრიალებულია, ოსტატს გამოხატულება მქრქალად დაუტოვებია.

აღნიშნული სიუჟეტი ხშირად გვხვდება ირანულ გემებზე [იხ. Survey ... 1938].

დაცულობა: ქვა ადგილ-ადგილ ატკეცილია.

ზომა: ინტალიოს სიგრძე – 13 მმ, განი – 11 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 1804.

ინტალიო ირანული წარმოშობისაა, აქემენიდური ეპოქის შემდეგდროინდელი.

**27.** (ინვ. 344; ტაბ. I,1). ინტალიო [Zakharow, 1930:ტაბ. IV,111] ღია ფერის ლაჟვარდის ქვისა. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი, საკმაოდ უნესო ფორმისაა.

პირზე გამოხატულია არწივი, პირდაპირ, ფრთაგამოშლილია. თავი პროფილში მარჯვნივ აქვს მიბრუნებული; ფეხები ორი სწორი და საკმაოდ ფართო ხაზით არის შესრულებული; ნაკრტენსა და ბუმბულს ასევე ფართო ხაზები გამოხატავს, ბოლო ძალიან მკრთალად ჩანს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, არალრმად; სქემატური და საკმაოდ ტლანქი ნახელავია. ქვედაპირი კარგად არის გაპრიალებული, პირი და გამოხატულება მქრქალია.

მსგავსი გამოხატულება გავრცელებულია ე.წ. სასანურ გემებზე [იხ. Horn, Steindorf, 1891:ტაბ. IV,1432].

დაცულობა: გამოხატულება გაცვეთილია. ინტალიოს ადგილ-ადგილ ანატკეცილები და ამონატეხები აქვს.

ზომა: სიგრძე – 11 მმ, განი – 10 მმ.

ინტალიო ირანული წარმოშობისაა.



28. (ინვ.732). საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი, დიდი ზომისაა. ამოკვეთილ გამოსახულებიან ბეჭედს ვინრო რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ თანდათან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ინტალიო-ფარაკში. პირი ინტალიოს ოდნავ ამობურცული აქვს ქვედაპირი, ე.ი. ფარაკის ზურგი – ჩადრეკილია. ბეჭდის რკალი ბრტყელშიდაპირიანია.

ბეჭედი ძალზე გაცვეთილია. ამის გამო გამოსახულება ბუნდოვანია და გაურკვეველი რჩება.

მკრთალად შერჩენილ კონტურის მიხედვით, საბეჭდავზე ცხოველი უნდა იყოს გამოსახული, შესაძლებელია ლომი.

გამოსახულება მეტად მკრთალი და არაღრმა არის, ძალზე გაცვეთილი, ამიტომ იმის დადგენა, თუ რა ხერხით არის გაკეთებული, ძნელია.

დაცულობა: ბეჭედი პატინის სქელი ფენით იყო დაფარული, გამოსახულება დაზიანდა და თითქმის გაქრა.

ზომა: ბეჭდის სიმაღლე – 22 მმ, დმ – 18 მმ, ინტალიოს სიგრძე – 17 მმ.

### გ. არაბულწარწერიანი გემები:

29. (ინვ. 351). ბეჭედი-საბეჭდავი ბრინჯაოსი [Zakharow, 1930:ტაბ. IV,123], გვერდებისკენ მცირედ განზიდული ვინრო, შებრტყელებული რკალი მხრებთან მკვეთრად სქელდება-ფართოვდება და თხელ, ჰორიზონტალურ მხრებში გადადის; მკვეთრად გამოსახული ბეჭდის მხრები თავის მხრივ უშუალოდ გადადის მაღალ, კვადრატულპირიან საბეჭდავში-ინტალიოში; რკალს ბრტყელი შიდაპირი აქვს, ოდნავ ამობურცული ზედაპირი მხრებთან, საბეჭდავი ქვევითკენ ვინროვდება – შედრეკილგვერდებიანია.

პირზე ამოჭრილია არაბული ასოებით შესრულებული წარწერა – ორ სტრიქონად. ასოების მოხაზულობა კუთხოვანია. მიხეილ დიაკონოვმა ასოების მოხაზულობის მიხედვით საბეჭდავი-ბეჭედი X საუკუნით დაგვითარილა.

დაცულობა: ბეჭედი საკმაოდ კარგად

არის შენახული, რკალი ქვედა ნაწილში ერთგან გატეხილია.

ზომა: ბეჭდის სიმაღლე – 23 მმ, დმ – 20 მმ, ინტალიოს სიმაღლე – 4 მმ.

30. (ინვ. 352). ბეჭედი-საბეჭდავი ბრინჯაოსი [Zakharow, 1930:ტაბ. IV,124], ქვევითკენ ჩამოგრძელებულ რკალზე მაღალი საბეჭდავი არის მირჩილული; ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს, მრავალკუთხაა (ნაპირი იგულისხმება). ამჟამად მკვეთრად ოთხი კუთხე გამოირჩევა (ეტყობა თავის დროზე რვა კუთხე გამოირჩეოდა, ოთხი კუთხის კონტური მოცვეთილია). საბეჭდავის ზურგი დაღარულია, მთელ სიმაღლეზე რვა-რვა პარალელური ღარი ჰკვეთს. რკალს რელიეფური ზედაპირი აქვს, ბრტყელი შიდაპირი.

პირზე ამოჭრილია არაბული ასოებით შესრულებული სამსტრიქონიანი სტილიზებული წარწერა.

დაცულობა: საბეჭდავი კარგად არის შენახული.

ზომა: ბეჭდის სიმაღლე – 24 მმ, დმ – 16 მმ, ინტალიოს სიგრძე – 13 მმ, ინტალიოს განი – 12 მმ.

სამთავრო, ძველი ნომერი 2001.

მსგავსი ბეჭედი დალტონის ნაშრომში X საუკუნით თარიღდება [Dalton, 1911:121, 129]. ანალოგიად ამ შემთხვევაში მას ვერ გამოვიყენებთ. ჩვენს ბეჭედზე დამატარებელი ელემენტი წარწერაა.

(2013 წლის მაისში ქაიროს უნივერსიტეტის პროფესორმა შუბლ იბრაჰიმ იბეიდმა არაბული წარწერა წაიკითხა როგორც “ბედნიერება მფლობელს” და XII საუკუნით (ჰიჯრით VI ს.) დაათარილა).

### ლიტერატურა:

ლორთქიფანიძე მარ., 1954: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბ.

ყაუხჩიშვილი თ., 1950: ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ.

Максимова М., 1941: Стекланные многогранные печати, найденные на территории Грузии. - ენიმკის მოამბე, X, თბ., გვ. 81-82.

**Максимова М., 1950:** Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро (раскопки 1938-39 гг.). – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ.

**Dalton O., 1911:** Early christian antiquities, London.

**Furtwängler A., 1896:** Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin.

**Henkel F., 1913:** Die römischen Fingerringe der Rheinlande, Berlin.

**Horn P., Steindorf G., 1891:** Sassanidische Siegelsteine, Berlin.

**Imhoof-Blümer F., Keller O., 1889:** Tier und Pflanzenbilder auf Münzen und Gemmen, Leipzig.

**King C., 1879:** Antique gems and rings, v. II, London.

**Marshall F., 1907:** Catalogue of the finger rings greek, etruscan and roman, London.

**Middleton J., 1891:** Ancient gems: The Engraved gems of Classical Times, Chicago.

**Reinach S., 1895:** Pierres gravées, Paris.

**Richter G., 1920:** Engraved gems, New-York.

**Survey of Persian Art 1938:** IV, New York-London.

**Osborne D., 1920:** Engraved gems, New-York.

**Walters H., 1926:** Catalogue of the Engraved Gems and Cameos. - Greek, Etruscan and Roman in the British Museum, London.


**Zakharow A., 1930:** Gemmen und Siegel des Museums Georgiens. - საქართველო სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, V, თბ.

ირმის გამოსახულებით;

11. ინვ. 336. ინტალიონითელი ფერის მინისებური პასტისა, პირზე ქალღმერთ ნიკეს გამოსახულებით, ზურგზე - ბერძნული წარწერით პოზიტივში;
12. ინვ. 350. ინტალიონ ბრინჯაოსი, ბეჭდის ფარაკზე ამოჭრილი ბერძნული ასოებისაგან შედგენილი მონოგრამით;
13. ინვ. 349. ინტალიონ ბრინჯაოსი, ბეჭდის ფარაკზე ამოჭრილი ბერძნული ასოებისაგან შედგენილი მონოგრამით;
14. (?) უცნობია.
15. ინვ. 1999. ინტალიონ ალმანდინისა გრძელბოლოანი ფრინველის გამოსახულებით;
16. ინვ. 35. მრავალწახნაგა საბეჭდავი ლაჟვარდისფერი მინისა, რომელზედაც ლომზე ნადირობის სცენაა გამოსახული;
17. ინვ. 338. ინტალიონ მომწვანო ფერის მინისა, ოთხფურცლიანი სტილიზებული ყვავილის გამოსახულებით;
18. ინვ. 339. ინტალიონ თეთრი ფერის პასტისა ცისფერი ლაქებით, ტახის გამოსახულებით;
19. ინვ. 343. ინტალიონ-საბეჭდავი სარდიონისა, ირმის გამოსახულებით;
20. ინვ. 340. ინტალიონ-საბეჭდავი ბრინჯაოსი, ფრინველის გამოსახულებით;
21. ინვ. 337. ინტალიონ მომწვანო ფერის მინისა, ოთხფურცლიანი სტილიზებული ყვავილის გამოსახულებით;
22. ინვ. 330. საბეჭდავი-ბეჭედი ვერცხლისა, ფარაკზე დიდქორიანი და გრძელბოლოიანი ფრინველის გამოსახულებით;
23. ინვ. 348. ინტალიონ ღია ფერის ლაჟვარდის ქვისა, ორი სტილიზებული ცხოველის თავის გამოსახულებით;
24. ინვ. 733. საბეჭდავი-ბეჭედი ვერცხლისა, ფარაკზე სასანური მონოგრამით;
25. ინვ. 341. ინტალიონ სარდიონისა, წვერიანი მამაკაცის ბიუსტის გამოსახულებით;
26. ინვ. 342. ინტალიონ სარდიონისა, ადამიანისა და ლომების ორთაბრძოლის გამოსახულებით;
27. ინვ. 344. ინტალიონ ლაჟვარდის ქვისა, ფრთაგამული არწივის გამოსახულებით.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

1. ინვ. 324. ინტალიონ სარდიონისა ჯიხვის გამოსახულებით;
2. ინვ. 332. ინტალიონ სარდიონისა ჯიხვის გამოსახულებით;
3. ინვ. 335. ინტალიონ სარდიონისა გრილოსის გამოსახულებით;
4. ინვ. 325. ინტალიონ სარდიონისა ხის ტოტზე მჯდომი ფრინველის გამოსახულებით;
5. ინვ. 328. ინტალიონ ყვითელი ქალცედონისა კასტორისა და პოლუქსის გამოსახულებით;
6. ინვ. 327. ინტალიონ სარდიონისა აპოლონის გამოსახულებით;
7. ინვ. 326. ინტალიონ ალმანდინისა თევზის გამოსახულებით;
8. ინვ. 331. ინტალიონ სარდერისა პურის თავთავების გამოსახულებით;
9. ინვ. 333. ინტალიონ მომწვანო ფერის მინისა კანოპას გამოსახულებით;
10. ინვ. 334. ინტალიონ სარდიონისა მწოლიარე



## ფიჭვნარის №339 სამარხში მოპოვებული ჭურჭლის შიბთავსის პალინოლოგიური კვლევის შედეგები

ფიჭვნარის სამაროვანი წარმოადგენს კოლხეთის ზღვისპირა ზოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს, რომელიც მდებარეობს მდ. ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან. ფიჭვნარმა მკვლევართა ყურადღება 50-იან წლებიდან შემთხვევით აღმოჩენილი განძებით მიიქცია [კახიძე ამ. 1965:43-57]. პირველ ხანებში ფიჭვნარსა და მის მიდამოებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები განახორციელა, ხოლო 60-იან წლებიდან, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიცია ყოველწლიურად აწარმოებს სამუშაოებს.

დღეისათვის მოპოვებული მდიდარი და მრავალფეროვანი არტეფაქტების მიხედვით დასტურდება, რომ ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში საქალაქო ცხოვრების წარმოქმნა-განვითარების მძლავრი წინამძღვრები არსებობდა. ქობულეთის რაიონის გორაკ-ბორცვიანი ზოლი დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საფეხურიდან - ახალი ქვის ხანიდან. ადრებრინჯაოს ეპოქაში ისპანსა და მის მიდამოებში ათვისებული ჩანს დაბლობი ადგილებიც, ხოლო შუა ბრინჯაოს ხანიდან მძლავრი დასახლებლები ჩნდება მდ. ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან. ვრცელ ტერიტორიაზე შესანიშნავად დაცული კულტურული ფენების მიხედვით, დგინდება რომ გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში აქაურ მკვიდრთ ჰქონდათ ჯარგვალის ტიპის ნაგებობები [კახიძე ამ. 2000:183-189]. სამშენებლო საქმიანობისა და ხელოსნური წარმოების მრავალპროფილიან დარგთა შორის ნამყვანი ადგილი ეკავა მინათმოქმედებას,

მეთევზეობას, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას, მეთუნეობას და ა.შ.

საწარმოო ძალების განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობაში თვალსაჩინო ძვრები ჩნდება ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან, უძველესი სამოსახლო თანდათანობით ქალაქური ტიპის დასახლებად ყალიბდება, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უჭირავს (კლასიკურ ხანაში დაახლოებით 40-50 ჰა, ხოლო ელინისტურ ხანაში 60-70 ჰა). ძვ.წ V-III სს ფიჭვნარის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანაა [კახიძე ამ., ... 1989:23-27]. ამ პერიოდისთვის ტრადიციული ჯარგვალური ტიპის შენობები თანდათანობით იცვლება ბათქაშის სქელი ფენით შელესილი ძეღური ნაგებობით, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელი ჩანს აქაური ნესტიანი გარემო პირობებისთვის.

როგორც ცნობილია, ფიჭვნარის ტერიტორიაზე 1965 წლიდან მოყოლებული ხორციელდება საკმაოდ ფართო და საინტერესო საველე კვლევა-ძიებანი. აღმოჩენილია 300-ზე მეტი სამარხი და ათეულობით სააღაპო მოედანი. სამარხთა დიდი ნაწილი ინჰუმაციურია, ზოგჯერ სამარხები ცალკეულ ჯგუფებადაა განლაგებული [კახიძე ამ. 2004:183-189].

2013 წლის 13 ივლისიდან 2 აგვისტომდე ფიჭვნარის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სისტემატიური არქეოლოგიური სამუშაოები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამირან კახიძე. აგრეთვე, საველე სამუშაოებში აქტიურად ჩართული იყვნენ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლები. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა №339 სამარხი (NW-26, 67 კვადრანტი), რომლის სიგრძეა 1 მეტრი, სიგანე კი 1.2 მეტრი (ტაბ. I,1). სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი თიხის ჭურჭელი – მცირე ზომის კოჭობი. მსგავსი ნაწარმი ფი-

ჭვნარის ტერიტორიაზე ხშირად დაფიქსირებულია. არქეოლოგიური მონაცემებით იგი ძვ.წ. V ს-ით თარიღდება (ტაბ. 1, 2).

**კოჭობი** წარმოადგენს 5 სმ სიმაღლის ჭურჭელს, რომლის მუცლის დიამეტრი 4,5 სმ-ია, ძირისა 3,5 სმ, ყურის ზედა ბოლო მიდრეკილი ყოფილა დაბალ, ოდნავ გადაშლილ პირზე. მხრის არე შემკულია ორ რიგად განლაგებული თევზიფხური ნაჭდევით, მუცელი კი მჭიდროდ განლაგებული დასვრეტილი მეჭეჭების რიგით (ტაბ. 1,3). თიხა კარგად არის გამომწვარი, შიგთავსი წარმოადგენს ყვითელი ქვიშის და ორგანული ნაშთების ნარევს. დღეისათვის ძალზედ აქტუალურია პალინოლოგიური კვლევა, რადგან იგი გვაძლევს უაღრესად მდიდარ ინფორმაციას უძველესი ხალხის ყოველდღიური ყოფის შესახებ. სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებზე გადავიდოდით, ვფიქრობთ საინტერესო იქნება თუ თანმიმდევრობით გაგაცნობდით იმ ლაბორატორიულ სამუშაოებს, რომელსაც ჭურჭლიდან ამოღებული მინა გადის [Rosch 2005]. გამოიყოფა სამი ეტაპი.

პირველ ეტაპი — 100-150 გრამი ნიადაგი თავსდება ფაიფურის 1000 გრამიან ჭიქაში. მას ვასხამთ მწვავე კალიუმის (ან ნატრიუმის) 10% ხსნარს და ვათავსებთ ანთებულ ქურაზე და ვადულებთ 3-5 წუთის განმავლობაში (თან წკირით ვურევთ), შემდეგ ვაცივებთ და მიღებულ მასას ვხსნით სუფთა წყალში და ვატარებთ წვრილ საცერში, რომლის დანაყოფი 0,1 მილიმეტრია. ამის შემდგომ ნიმუშს ვათავსებთ ჭიქაში 24 სთ განმავლობაში.

მეორე ეტაპი — ნიმუშიდან ნალექს ცენტრიფუგირებით გამოვყოფთ. შემდეგ მას ვრეცხავთ დისცილირებულ წყლით, სანამ განარეცხი წყალი არ გახდება გამჭირვალე. მიღებულ მასალას ვასხამთ კადმიუმის სითხეს და 20 წუთის განმავლობაში ვახდენთ მის ცენტრიფუგირებას. ამ პროცესის დროს ხდება ნიადაგისა და მტვრის მარცვლების განცალკევება. მცენარეთა მტვრის და სხვა სახის ორგანული ნაშთის მთელი მასა ზემოთ ამოტივტივდება, ჩვენ ჭიქაში გადმოვასხ-

ამთ, გავაზავებთ დისცილირებულ წყლით და დავტოვებთ 24 საათის განმავლობაში.

მესამე ეტაპი — ვანარმოებთ მიღებული ხსნარის ცენტრიფუგირებას პატარა სინჯარებში, ვრეცხავთ კადმიუმისაგან და ვაკეთებთ აცეტოლიზს, რის შედეგადაც მტვრის მარცვლები მუქდება, ანუ იღებება. ამის შემდეგ მტვრის მარცვლების იდენტიფიკაცია საკმაოდ ადვილია. აცეტოლიზის შემადგენლობაში შედის — ცხრა ნაწილი ძმრის ანჰიდრიდი და ერთი ნაწილი მარილმჟავა. სინჯარაში მოთავსებულ ნიმუშს ვდებთ ცხელ წყალში 2 წუთით, წყლის ტემპერატურა არ უნდა იყოს 80 გრადუსზე ნაკლები. მას ისევ ვაცენტრიფუგირებთ 5 წუთით და შემდეგ ხდება ჯერ გამშრალება ძმარმჟავის საშუალებით. ბოლოს ვანარმოებთ ნიმუშის გარეცხვას დისცილირებულ წყლით. მორგოვილ მტვერს ვაშრობთ და კვლევისთვის ვათავსებთ გლიცერინში. გამოკვლევისთვის ვიღებთ თითო წვეთ მასალას და ვამზადებთ პრეპარატს. მიკროსკოპში ხდება პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ხასიათის მასალის იდენტიფიკაცია და მათი დათვლა. ერთი ნიმუშიდან საჭიროა დაითვალოს არა ნაკლებ 150-200 მტვრის მარცვალი და ამდენივე სხვა სახის პალინომორფი. მასალა განისაზღვრება სინათლის ფოტომიკროსკოპ Olympus-სის საშუალებით 200-400 ჯერ გადიდებით. ახლა კი უშუალოდ გადავიდეთ კვლევის შედეგებზე.

კვლევის შედეგები. პალინოლოგიური სპექტრი მცენარეთა მტვრის და სპორების შემადგენლობით ნაკლები აღმოჩნდა. ხემცენარეთაგან ნაპოვნია ბიჭვინთის ფიჭვის (*Pinus pithyusa*), რცხილას (*Carpinus caucasica*), ჯაგრცხილას (*Carpinus orientalis*) და ცაცხვის (*Tilia caucasica*) ერთეული მტვრის მარცვლები. არც ბალახოვნების მტვერია ბევრი. აღინიშნება ხორბლის (*Tritikum*), ვარდკაჭაჭას (*Gichorioideae*) და ასტრას (*Aster*) მტვერი. ნაპოვნია აგრეთვე ტყის გვიმრების სპორები.

რაც შეეხება არაპალინოლოგიური სახის მიკროსკოპიულ ნაშთებს, სპექტრში ძალიან

ბევრია მტკნარი წყლის წყალმცენარეები ჭარბობს მიკროსკოპიული მწვანე წყალმცენარე პსევდოშიზეას (*Pseudoschizaeae*) ზიგოსპორები (ტაბ. III, 1,2), ბევრია ლურჯ-მწვანე წყალმცენარის, ანუ ციანობაქტერიის რიფულარიას (*Rivularia*) ნაშთები (ტაბ. II, 3-6). აღინიშნება აგრეთვე მწვანე წყალმცენარე სპიროგირას (*Spirogyra*) ზიგოსპორები (ტაბ. II, 1,2). ზოგადად წყალმცენარეთა ნაშთები სპექტრის 80% შეადგენს.

მეორე დომინანტია განახშირებული ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები (ტაბ. II, 7) რომელსაც იმდროინდელი ცეცხლის კვალი აღენიშნება. განსაზღვრულია ფიჭვის ხის მერქნის უჯრედები, რომლებიც არც თუ ისე ბევრია. ჩვენი აზრით, იმ ოთახში სადაც ჭურჭელს ხმარობდნენ, ღუმელი უნდა ყოფილიყო, რომლის ნაცრის, კვამლის და ჭვარტლის მიკროსკოპიული ნაშთები ვრცელდება მთელ ოთახში და იქ არსებულ საგნებზე ჯდება.

კარგადაა წარმოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო მცირე რაოდენობით, გვხვდება ბამბის ბოჭკო, აგრეთვე აღმოჩენილია კულტურული მარცვლოვნების სახამებელი და ფიტოლიტები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ოთახში ფქვილი იცრებოდა (ტაბ III,3). ის რომ საცხოვრებელ ოთახში ფქვილი ნამდვილად იყო, ადასტურებს პალინოლოგიურ სპექტრში ხორბლის მტვრის მარცვლებიც, რომლებიც ყოველთვის მოჰყვება ფქვილს.

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის მცირეა სოკოს სპორების რაოდენობა. განსაზღვრა სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორები. გლომუსი იზრდება მხოლოდ დამუშავებულ ნიადაგზე და არქეოლოგიურ მასალაში. იგი მიწათმოქმედების არსებობის კარგი ინდიკატორია [Van Geel 1986], ცოტაა აგრეთვე, მწერების და ტკიპების მიკროსკოპიული ნაშთები.

რადგანაც ჭურჭელში აღმოჩენილი მასალის დიდ ნაწილს წყალმცენარეები წარმოადგენენ, გადავწყვიტეთ აქცენტი სწორედ მათზე გადაგვეტანა.

ჩვენ მოკლედ გაგაცნობთ ორი წყალმცენარის – *Spirogyra*, *Rivularia* - სტრუქტურას.

მათი სტრუქტურა ძაფისებრია და ფართოდ არის გავრცელებული, ხასიათდება იმით, რომ მისი შემადგენელი უმოძრაო უჯრედები ერთი ან რამდენიმე წყებადაა განლაგებული ძაფისებურად [თოდუა ვ. 2013:87-93]. ძაფები მარტივია ან დატოტვილი, მისი შემადგენელი უჯრედები უმეტეს შემთხვევაში ერთნაირია. გვხვდება როგორც თავისუფლად მცხოვრები, ასევე სუბსტრატზე მიმაგრებული ძაფისებრი წყალმცენარეები, ტიპიური წარმომადგენელია *Spirogyra* — რომლის ქრომატოფორები სპირალურადაა დახვეული, მის ქრომატოფორებში მოთავსებულია ბალთების მსგავსი პირენოიდები, სახამებლის მარცვლებით. უჯრედის ღრუს უდიდესი ნაწილი უკავია ვაკუულს, რომლიც სავსეა უჯრედის წვენიტ. მის ცენტრში წვრილი პროტოპლაზმური ძაფებით ჩაკიდულია ბირთვი. სპიროგირას ახასიათებს კიბისებრი კონფიგურაცია.

ამრიგად, დადგინდა, რომ აგროცენოზებში მწვანე წყალმცენარეთა ალგოფლორა მნიშვნელოვნად იცვლება წლის სეზონთან ერთად მაგ. გაზაფხულზე დომინანტ სახეობებს შორის გვხვდება *Spirogyra* და *Pseudoschizaeae*.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნადგომ სასმელ წყალში ყოველთვისაა თვალით უხილავი წყალმცენარეები, რომლებიც ჭურჭლის ძირზე ილექება. თანამედროვე სასმელი წყლის ანალიზის კვლევების შედეგები აჩვენებენ, რომ სასმელი წყლის ჭურჭელში ხშირად ილექება თვალით უხილავი წყალმცენარეები, შესასწავლი ობიექტის ანალიზი ასევე ადასტურებს მტკნარი წყლის წყალმცენარეების არსებობას, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ კოჭობს იყენებდნენ სასმელი წყლის ჭურჭელად.

ის ფაქტი, რომ წყალმცენარეთა შორის ბევრია *Pseudoschizaeae* და *Rivularia*, რომლებიც უფრო თბილ ნამდვილ სუბტროპიკულ ზონებში ვრცელდება [Medianik 2006],

მონიშნავს რომ ძვ.წ. V საუკუნეში კლიმატი, დღევანდელთან შედარებით უფრო თბილი და ნოტიო იყო.

რაც შეეხება ფიჭვნარის იმდროინდელ ლანდშაფტს, აქ ძვ.წ. V საუკუნეში გარდა ხორბლის მინდვრებისა, საკმაოდ ახლოს ტყეც იზრდებოდა. სადაც ბიჭვინთის ფიჭვი, ცაცხვი, რცხილა და ჯაგრცხილა იზრდებოდა. ტყის არსებობის დასტურია აგრეთვე ტყის გვიმრების (*Polypodiaceae*) სპორებიც. ის რომ კლიმატი ნამდვილად დღევანდელზე გაცილებით თბილი უნდა ყოფილიყო, რაც უკვე ავლნიშნეთ, დასტურდება ბიჭვინთის ფიჭვის მტვერის არსებობით და მისი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედებით. ფიჭვის ეს სახეობა მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზე ვრცელდება, მთის რელიეფის მაღალ საფეხურებზე ზრდა და განვითარება მას უჭირს. სითბო და ტენის მოყვარულია აგრეთვე ცაცხვი და რცხილა.

ჭურჭლის შიგთავსში ნაპოვნი სელის და ბამბის ქსოვილის ნაშთები მეტყველებს, რომ იმდროინდელი ადამიანი, ძირითადად ამ ტექსტილს ხმარობდა [Kvavadze E. 2013; Bokeria M. 2010], რაც სრულიად ეთანხმება სამარხეულ მასალაში აღმოჩენილ ქსოვილის ტექსტილს.

მეხორბლეობის განვითარება უძველეს კოლხეთში პალეობოტანიკური მონაცემებითაც დასტურდება, მაგალითად, ფიჭვნარის ტერიტორიაზე 90-იან წლებში გაითხარა ნამოსახლარი, სადაც დადასტურდა როგორც ხორბალი, ისე ქერი და ფეტვი [Русишвили Н. 1990].

როგორც უკვე ავლნიშნეთ, განხილული სამარხის ჭურჭლის შიგთავსში აღმოჩენილია ხორბლის მტვერის მარცვლები, მისი ფიტოლიტები და სახამებელი, რომლებიც დასაღვევი წყლის ჭურჭელში, ჩვენი აზრით, ფქვილის გაცრის დროს უნდა მოხვედრილიყო. ამრიგად, არქეოლოგიურ კვლევებში საბუნებისმეტყველო დისციპლინათა მონაცემების გამოყენებამ, დამატებითი ინფორმაცია მოგვანოდა აღნიშნული პერიოდის სამეურნეო ყოფის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით,



რაც ბუნებრივია, კვლავაც გაგრძელდება მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად.

## ლიტერატურა:

- თოდუა ვ. 2013:** ბოტანიკა, I ნაწილი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ., გვ. 87-93.
- კახიძე ამ. 1965:** მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისთვის. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის. თბ. გვ. 43-67.
- კახიძე ამ. 2004 :** ფიჭვნარი, ტ. III, "კოლხები". თბ.
- კახიძე ამ., მამულაძე შ. 2000:** ჭოროხის აუზი, კოლხური კულტურის უძველესი კერა, აჭარა, ბათუმი.
- კახიძე ამ., სახუტაიშვილი დ. 1989:** მასალები ბათუმის ძველი ისტორიისთვის „მეცნიერება“ თბ. გვ. 23-27.
- Русишвили н. 1990:** "Культурные растения на ранних поселениях Грузии по палеоэтноботаническим исследованиям". Автореф. дис. к. биол. наук. Кишинев, 25с.
- Kvavadze E., Chichinadze M. 2013:** Pollen and non-pollen palynomorphs in organic residue from the hoard of ancient Vani (western Georgia). *Journal of Archaeological Science*, 40:2237-2253.
- Kvavadze E., Ferring C.R., Bukhsianidze M., Chagelishvili R., Martkoplshvili I., Bruch A. 2012:** Non pollen palynomorphs in Early Pleistocene sediments of Southern Georgia from Early Human Expansion Corridor. - Abstracts of 5-th Workshop on Non-Pollen Palynomorphs. 2-4 July 2012, Amsterdam, pp. 82.
- Medeanic S. 2006:** Freshwater algal palynomorph records from Holocene deposits in the coastal plain of Rio Grande do Sul, Brazil. - *Review of Palaeobotany and Palynology* 141, PP. 83-101.
- Van Geel, 1986:** Application of fungal and algal remains and other microfossils in palynological analyses. In: Berglund, B.E. (Ed.), *Handbook of Holocene Palaeoecology and Palaeohydrology*. Wiley, Chichester, pp. 497-505.
- Van Geel B. 1998:** A study of non-pollen objects in pollen slides (eds. M.L. van Hove and M. Henndrikse). Utrecht. PP.115.





## ილუსტრაციების აღწერილობა:

- ტაბ. I** – 1. ფიჭვნარის სამაროვნის №339 სამარხი; 2. სამარხში აღმოჩენილი კოჭობი; 3. კოჭობის გრაფიკული ჩანახატი; **II** – 1-2. *Spirogyra* სპიროგირა; 3-6. *Rivularia* რივულარია; 7. ხის ტრაქეალური უჯრედი; **III** — 1-2. *Pseudoschizaeae* პსევდოშიზეა; 3. სელი.







# II



III



20μm



## გონის სამაროვანი

*ედგენება გურამ გაბიძაშვილის  
ნათელ ხსოვნას*

დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარე ლეჩხუმი არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი. 1910 წელს ლეჩხუმში დაზვერვითი სამუშაოები ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაატარა [თაყაიშვილი ექ. 1937:440]. 1960-იან წლებში ლ. სახაროვამ აწარმოა არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები [სახაროვა ლ. 1976:96; სულავა ნ. 1996]. სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა 70-იან წლებშიც (იხ. ა. ნუცუბიძის საველე დღიური 1979), რის შედეგადაც ცნობილია, რომ ეს კუთხე ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებით საკმაოდ მდიდარია, თუმცა უმეტესობა დღემდე შეუსწავლელია.

1980-იანი წლების ბოლოს შეიქმნა ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც გურამ გაბიძაშვილი ხელმძღვანელობდა. ექსპედიციამ შეისწავლა მდ. რიონისა და ლეხიდრის შესართავთან არსებული ენეოლითური სადგომი ქეროულის კლდეზე, „კორვაშმინდორის“ ნამოსახლარი და მეტალურგიული სახელოსნოები, ასევე ჩატარდა დაზვერვები (იხ. გაბიძაშვილი გ. და სულხანიშვილი დ., საველე დღიურები 1987-1991). ამავე წლებში სოფ. ორხვის მკვიდრმა, ემზარ გაბიძაშვილმა ექსპედიციას გადასცა ბრინჯაოს ნივთები გონიდან (ინახება ცაგერის მუზეუმში).

ერთ-ერთი არქეოლოგიურად შეუსწავლელი ადგილი იყო გონი. ძეგლი მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ორხვის აღმოსავლეთით, ქუთაისი-ალპანამამისონის საავტომობილო გზიდან 5 კმ-ის მოშორებით. მას ესაზღვრება: დასავლეთით - სოფ. ორხვი, აღმოსავლეთით - „ნამქვი“ გორა, სამხრეთით - „კორვაშმინდორი“, ჩრდილოეთით - რიონის ხეობა. ჩრდილო-დასავლეთით, ბორცვზე დგას X-XI საუკუნეების გონის წმინდა გიორგის ეკლესია [ბერ-

ძენიშვილი დ. და სხვ., 1983:88], ხოლო მისგან დასავლეთით, 150 მეტრში, სოფ. ორხვის სახნავ-სათეს მინებზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაქანებულ ფერდზე, არქეოლოგიური ძეგლი – გონის სამაროვანია. აღნიშნული ადგილი (ნაკვეთის კოორდინატები: 8319633-4709240; 8319621-4709235) ცნობილი იყო შემთხვევითი აღმოჩენებით, სადაც მინის დამუშავების დროს მოსახლეობა ხშირად პოულობდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს და ბრინჯაოს ნივთებს. ყოველწლიური ხვნათესვისას არქეოლოგიური ფენა საგრძნობლად ზიანდებოდა.

ადგილ გონის არქეოლოგიური შესწავლა 2005 წლიდან გახდა შესაძლებელი. გათხრების მიზანს გადარჩენითი, მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები წარმოადგენდა, რომლის ინიციატორი და ხელმძღვანელი 2005, 2007 წლებში გურამ გაბიძაშვილი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ, 2010 და 2013 წლებში ექსპედიცია დავით სულხანიშვილის თაოსნობით გაგრძელდა. სამაროვანზე დღემდე გამოვლენილი და შესწავლილია 11 სამარხი. სამარხები ჩაჭრილია კირქვანარევე მოყვითალო თიხაში. მათი უმრავლესობა მონიშნული იყო მცირე ქვაყრილით, ან ცალკეული ქვებით, რომლებიც დაფარული იყო მინის 20-30 სმ-იანი ფენით, ამიტომაც სამარხების მოსაძიებლად საჭირო გახდა თხრილების გავლება. სამაროვნის გავრცელების არეალი ჯერჯერობით დაუდგენელია. მისი შესწავლილი ნაწილი II-IV საუკუნეებით თარიღდება. აღმოჩენილი მასალები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ცაგერის ისტორიულ მუზეუმში.

სამარხი №1 - წარმოადგენდა ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხს, რომელიც ჩრდილოეთიდან ქვებით იყო შემოზღუდული. სამარხი მოყვითალო ფერის გრუნტში იყო

გაჭრილი და შევსებული ნაცრისფერი მიწით. მიცვალებული დაკრძალული იყო თავით აღმოსავლეთისკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილ მდგომარეობაში. ოსტეოლოგიური მასალა ცუდად იყო შემორჩენილი.

ინვენტარი: 1. მშვილდსაკინძი - ბრინჯაოსი, მუხლზამბარიანი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო ბოლოში დაბრტყელებულია, შემოხვეული აქვს წვრილი ღერაკი, ენა მახათისებურია, ნაკლული. სიმაღლე 4,6 სმ, სიგრძე 8,2 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. I,10); 2. მშვიდსაკინძი - ბრინჯაოსი, ორწილადი, შუაში შესქელებული მრგვალგანივკვეთიანი რკალით, ბუდე აკეცილი, ენა მახათის ფორმისაა, სიმაღლე - 1,8 სმ, სიგრძე - 3სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. I,6); 3. მშვილდსაკინძი - ბრინჯაოსი, ორწილადი, შუაში შესქელებული მრგვალგანივკვეთიანი რკალით, ბუდე აკეცილი, შუაში დახვეული აქვს ბრტყელი ფირფიტა (რკინის ენის ნაწილი), სიმაღლე - 3,1 სმ, სიგრძე - 4,8 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. I,7); 4. მშვილდსაკინძი - ბრინჯაოსი, ორწილადი, შუაში შესქელებული მრგვალგანივკვეთიანი რკალით, ბუდე აკეცილი, შუაში დახვეული აქვს ბრტყელი ფირფიტა (რკინის ენის ნაწილი), რკალი შემკულია თევზიფხური ორნამენტით. სიმაღლე - 3,5 სმ, სიგრძე - 4,9 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. I,9); 5. საკიდი, ბრინჯაოსი, კასრისებური, ნახევარსფერული, ოთხი კოპით. სიგრძე - 2,3 სმ, სიმაღლე 1,8 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. I,16); 6. რგოლები - არათანაბარი სისქის ღეროთი, სპირალურად ჩახვეული ბოლოებით, ერთმანეთზე გადაბმული, 2 ც. დიამეტრი - 1) 4,5, 2) 3,8 სმ. აღმოჩნდა თავის ქალის არეში (ტაბ. I,12); 7. მახათები - ბრინჯაოსი, ოთხნახნაგა ღეროთი, დაბრტყელებული, მომრგვალებული და გახვრეტილი თავით. 2 ც. 8,1 და 6,5 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. II,5); 8. საკიდი - ბრინჯაოსი, ნალისებური, გახვრეტილი, შემკულია ჭდეული ნერტილებით. ზომები 3,5X3,4 სმ, ნაკლულია. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. I,1); 9.

სპირალები - ბრინჯაოსი, ბრტყელგანივკვეთიანი ღეროთი, 2 ც. სიგრძე 3 სმ, სიმაღლე 2,7 ს. აღმოჩნდა თავის ქალის არეში (ტაბ. I,5); 10. საკიდი - ბრინჯაოსი, შუაში დაბრტყელებული და გახვრეტილი, 2,2X1,9 სმ, ნაკლული. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. I,2); 11. ღერაკები - ბრინჯაოსი, ცილინდრის ფორმის, 3 ც. უდიდესი სიგრძე 3,6 სმ. დაზიანებული. აღმოჩნდა თავის ქალის არეში (ტაბ. II,4); 12. რგოლი - ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი; ფრაგმენტები. აღმოჩნდა ხელებთან; 13. საკიდი - ბრინჯაოსი, ფოთლისებური, გახვრეტილი, 1 ც., 3X3 სმ. აღმოჩნდა თავის ქალის არეში (ტაბ. I,13); 14. საკიდი - ბრინჯაოსი, ფოთლისებური, სპირალურად ჩახვეული ყუნწით, შემკული სხვადასხვა ზომის ბურცობებით, 12 ც. უდიდესი 5,4X2 სმ, უმცირესი 3,3X1,4. თავის ქალის არეში (ტაბ. II,12); 15. აბზინდა - ბრინჯაოსი, რგოლის ფორმის, მრგვალგანივკვეთიანი, ძირითად ღეროზე ორი სპირალით დაფიქსირებული ბრტყელი ენით. დმ. 2,4 სმ. აღმოჩნდა წელის არეში (ტაბ. I,4); 16. მინის მძივები: წითელი, აგურისფერი, თეთრი, შავი, ცისფერი, სხვადასხვა ფორმის - გრეხილი, მრგვალბრტყელი, რვანახნაგა, ცილინდრული, ბრტყელი. ნაწილი შემკულია წითელ ფონზე გამოსახული შავი ფერის რვათვალა მზით; სხვადასხვა ფერის სარტყლით (თვალეზით), სულ 49 ც. აღმოჩნდა ყელის არეში; 17. ფირფიტა (აგრაფი?) - ბრინჯაოსი, ოვალური ფორმის, შემკულია ჩალარული ორნამენტით. შედგება სამი ფრაგმენტისგან. აღმოჩნდა ხელთან (ტაბ. I,14); 18. ფირფიტა - ბრინჯაოსი, წარმოდგენილია ორი დახვრეტილი ფრაგმენტით. დაზიანებული. აღმოჩნდა თავთან (ტაბ. I,15); 19. ბალთა - ჭვირული, ბრინჯაოსი. ჩარჩო შემკულია რელიეფური წნულით და კუთხეებში კოპებით. ცენტრალური ფიგურა ცხენია, რომლის ტანი შემკულია განივი ხაზებით, კონცენტრული ჭდეებით და წნული ზოლებით. ცხენის ფეხებს შორის ფრთებგაშლილი ფრინველის სტილიზებული გამოსახულებაა. ზედა ჩარჩოს მარცხენა კუთხ-

ეში ცხენის ზურგზე მდგომი ცხოველია ჩასმული. ცენტრში ხარის თავია, რომლის რქები ჩარჩოზე გადადის. ბალთაზე მეორე მხარეს აქვს ყულფი და კავი. 13X12,8 სმ. ნაკლულია. აღმოჩნდა წელის არეში (ტაბ. II,1).

2007 წელს გაითხარა ექვსი ორმოსამარხი.

სამარხი № 2 - ოვალური ფორმის (ზომები - 1, 6 X 1,2მ, სიღრმე - 20-30 სმ). მიცვალებული დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან - დასავლეთისკენ. ძლიერ დაზიანებული თავის ქალა სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა, ჩონჩხის სხვა ნაწილები არ შემორჩა.

ინვენტარი: 1. რგოლები - ვერცხლის, 2 ც., მრგვალგანივკვეთიანი, თავები ოდნავ შემსხვილებულია. რკალის დიამეტრი 1) 2 სმ., 2) 1,8 სმ., ღეროს დმ - 2 მმ. აღმოჩნდა ცენტრალურ ნაწილში, სავარაუდოდ ჩონჩხის მუცლის არეში (ტაბ. III, 1,2); 2. საკიდი, ბრინჯაოსი, ნალისებური მოყვანილობის, ოდნავ დაბრტყელებულღეროიანი, ცენტრალურ ნაწილში მირჩილულია ყუნნი, რომელიც ნაკლულია. დმ - 2,3 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, სავარაუდოდ მიცვალებულის მუცლის არეში (ტაბ. III,3); 3. ფიბულა - ბრინჯაოსი, ნახევარწრიული, რკალი ოთხნახნაგაა, რკინის ენით, სიგრძე - 4,5 სმ, სიმაღლე 3 სმ. ღეროს მაქს. დმ. - 0.6 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან (ტაბ. III, 5); 4. რგოლი - ბრინჯაოსი, ღერო მრგვალგანივკვეთიანია, დმ - 2 სმ. აღმოჩნდა სამარხის დას. ნაწილში (ტაბ. III,4); 5. მძივები - პოლიქრომული, წითლად, შავად და ყვითლად დაფერილი პასტის, სფეროსებრი, ნახვრეტი ფართოა - 0,5 სმ., 8 ც. (1 დამტვრეულია) (ტაბ. III,8-10); 6. მძივი - ლურჯი მინის, მრავალნახნაგა. სიგრძე 1,5 სმ. (ტაბ. III,11), 7. მძივი - ლურჯი მინის, მილისებური, დანახნაგებული. სიგრძე 1,7 სმ. (ტაბ. III,13); 8. მძივები - მოყავიფრო, დახშული მინის, მრავალნახნაგა. სიგრძე - 1 სმ., 2 ც., (ერთი გატეხილია) (ტაბ. III,12); 9. მძივები - შავი მინის, სფერული, თეთრი განივი ზოლით, 2 ც., ზომა - 1 სმ (ტაბ. III,6-7).

სამარხი №3, სამარხი №4 - სამარხები დანგრეული და გაძარცვული იყო.

სამარხი №5 - აღმოჩნდა №2 და №4 სამარხებს შორის, თანამედროვე ზედაპირიდან 20-39 სმ სიღრმეზე. ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა (ზომები 1,7X1,2), რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს შემოუყვებოდა ნატეხი ქვების რკალისებური ყრილი. მიცვალებული დამხრობილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. იგი დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ.

ინვენტარი: 1. დანა - რკინის, სწორპირიანი, მოქლონიანი, დეფორმირებული, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე 11,5 სმ, აღმოჩნდა მუხლის თავს ზემოთ (ტაბ. III,20); 2. ფიბულა - ბრინჯაოსი, მსხვილღეროიანი, მრგვალგანივკვეთიანი, ბრინჯაოს ენიანი, სპირალური ხვით (ზომები h-2,5 სმ, სიგრძე 4,2 სმ, ღეროს დმ. 0,7 სმ), აღმოჩნდა ყელის არეში (ტაბ. III, 16); 3. რგოლი - ვერცხლის, მრგვალგანივკვეთიანი, თავი ოდნავ შემსხვილებულია. რკალის დიამეტრი - 2 სმ. და 1,8 სმ, აღმოჩნდა თავის არეში (ტაბ. III,15); 4. მძივები - ლურჯი მინის, სფერული, თეთრი განივი ზოლით, 2 ც., (ტაბ. III,17); 5. მძივი - ლურჯი მინის, მრავალნახნაგა (ტაბ. III,18); 6. მძივი - პოლიქრომული, წითლად შავად და ყვითლად დაფერილი პასტის, სფეროსებრი, ნახვრეტი ფართოა, 1 დამტვრეული, შემონახულია ნახევარი (ტაბ. III, 19); 7. რგოლი - ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, დმ - 3.5 სმ, აღმოჩნდა მკერდის არეში (ტაბ. III,14).

სამარხი № 6 - დანგრეული და გაძარცვული იყო.

სამარხი № 7 - აღმოჩნდა ნაგებობიდან დასავლეთით, 17 მეტრში (ზომები 2 X 1,5 მ). სამარხს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს შემოუყვებოდა ნატეხი ქვების რკალისებური ყრილი. მიცვალებული დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან-დასავლეთისკენ და დასვენებული მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილ მდგომარეობაში. ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოდეებული. თავით დასავლეთით.

ინვენტარი: 1. დანა - რკინის, ნამგლისე-

ბური ფორმის, გრძელყუნნიანი, ყუნნის თავი მოხრილია ხის ტარის სამაგრისათვის. სიგრძე – 18 სმ. აღმოჩნდა ხელებთან (ტაბ. IV,14); 2. მძივები – პოლიქრომული, წითლად, შავად და ყვითლად დაფერილი პასტის, სფეროსებრი, ნასვრეტი ფართოა, ზომა – 0,5 სმ, 4 ც., აღმოჩნდა ყელის არეში (ტაბ. IV,4-7); 3. შუბისპირი – რკინის, ფოთლისებური, სიგრძე 29 სმ, მასრის სიგრძე - 11 სმ. აღმოჩნდა ხელებთან (ტაბ. IV,15), 4. ფიბულა – ბრინჯაოსი, მსხვილღეროიანი, მრგვალგანივკვეთიანი, რკინის ენიანი. ღერო ცალ მხარეს შემკულია ამოკანრული თევზიფხური ორნამენტით. სიმაღლე 3 სმ, სიგანე 4,7 სმ, ღეროს სისქე 0,8 სმ. აღმოჩნდა თავის ქალის არეში (ტაბ. IV,10); 5. საკიდები – ბრინჯაოსი, ფოთლისებური, ისეთივე როგორც №1 სამარხში, 2 ც., ერთი სანახევროდაა შემორჩენილი, სიგრძე 5,5, სმ. აღმოჩნდა თავის ქალის არეში (ტაბ. IV,2-3); 6. საკიდი – ვერცხლის, ნალისებრი მოყვანილობის, ოდნავ დაბრტყელებულ ღეროიანი, ცენტრალულ ნაწილში მირჩილული უნდა ყოფილიყო ყუნნი. ზომები – 2,5 X 2,5 სმ. აღმოჩნდა თავთან (ტაბ. IV,1); 7. ნაღვენთი – ბრინჯაოსი, სამარხის სამხრეთ ნაწილში; 8. რგოლი - ვერცხლის, მრგვალგანივკვეთიანი, თავი ოდნავ შემსხვილებულია, გატეხილია სამად. დმ - 2,5 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. IV,8); 9. საკინძი – რკინის, ფრაგმენტი, 6 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. IV,9); 10. ისრისპირის ნამზადი – ქვის (კირქვა?). აქვს კონუსური, ოდნავ მომრგვალებული ფორმა. სიგრძე – 1,7 სმ. აღმოჩნდა ხელებთან; 11. სამაჯური – ვერცხლის, ბრტყელგანივკვეთიანი, ბოლოსაკენ გაფართოებული და კიდევ უფრო დაბრტყელებული. ღეროზე (ზურგის გარდა) ამოკანრულია წინვოვანი ორნამენტი. დმ - 7,3 სმ. ეკეთა მარცხენა ხელზე (ტაბ. IV,11); 12. მონეტა – ვერცხლის, ავგუსტუსის დენარის მინაბადი. აღმოჩნა მიცვალებულის პირში; 13. ჭურჭლის ნატეხი – თიხის, სქელკედლიანი, გამომწვარია რუხად, ზედაპირზე განივი ამოლარული ხაზებია დატანილი. ნაკანრი ორნამენტი

დატანილია ჭურჭლის შიდაპირზეც. აღმოჩნდა სამარხის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, სავარაუდოდ, ადრეული კულტურული ფენის ნაშთია (ტაბ. IV,12); 14. დერგის პირის ნატეხი - თიხის, სქელკედლიანი, გამომწვარია მოყავისფრო-მონითალოდ, ორნამენტირებულია ამოკანრული ხაზებით. პირზე ბადისებრი ორნამენტი. ნაკანრი ორნამენტი დატანილია ჭურჭლის შიდაპირზეც. აღმოჩნდა სამარხის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, სავარაუდოდ ადრეული კულტურული ფენის ნაშთია (ტაბ. IV,13).

2010 წელს გაითხარა ორი სამარხი:

სამარხი №8 - გამოჩნდა მიწის თანამდეროვე ზედაპირიდან 0,3 მ-ის სიღრმეზე. იგი ჩაჭრილი იყო თიხნარში და მისი ცენტრალური ნაწილი მონიშნული იყო სამი ქვით. სამარხს წაგრძელებული, კუთხეებმომრგვალებული ფორმა ჰქონდა. დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ზომები: 1.6X0,5-0,6 მ) და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრული რკალურად განლაგებული კლდისა და რიყის ნატეხი ქვების რიგით. სამარხის სიღრმე – 0,2-0,25 მ. ძლიერ დაზიანებული ჩონჩხისაგან შემორჩენილი იყო ლულოვანი ძვლების ფრაგმენტირებული და ჩაშლილი თავის ქალის ნაწილები. მიცვალებულს, როგორც ჩანს, თავი სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ედო, ხოლო ფეხის ძვლის ფრაგმენტების მიხედვით შეგვიძლია ვივარადოთ, რომ იგი მარცხენა გვერდზე იწვა.

ინვენტარი: 1. ფიბულა – დამზადებულია ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან. სიგრძე – 9,7 სმ. აღმოჩენილია გულ-მკერდის არეში (ტაბ. V,1); 2. სამაჯური – დამზადებულია ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან. რკალის დმ – 6,5 სმ. აღმოჩენილია ხელის არეში (ტაბ. V,4); 3. რგოლები – ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, თავები ოდნავ შემსხვილებულია. რკალის დიამეტრი 3,5 სმ. აღმოჩენილია თავის ქალის არეში (ტაბ. V,2-3); 4. მძივები – გიშრის, სფეროსებრი და კასრისებრი ფორმის, 85 ც. აღმოჩენილია ყელის არეში (ტაბ. V,7); 5. მძივები – პოლიქრომული, წით-

ლად, შავად და ყვითლად დაფერილი პასტის, სფეროსებრი, 2 ც. (1ც. დამტვრეულია), აღმორჩენილია ყელის არეში (ტაბ. V,5-6).

სამარხი №9 - გამოჩნდა მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე. ეს სამარხიც ისევეა გამართული, როგორც №8 სამარხი (დამხრობა, სიღრმე სამარხის და სამარხის ზედაპირის). ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრული იყო რკალისებურად განლაგებული კლდისა და რიყის ნატეხი ქვების რიგით. სამარხი იყო წაგრძელებული ფორმის, კუთხეებმომრგვალებული. ძლიერ დაზიანებული ჩონჩხისაგან შემორჩა ლულოვანი ძვლები. მიცვალებულს თავი სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ედო. თავის ქალა მთლიანად დაშლილი იყო. მის მდებარეობას განსაზღვრავდა შავი ლაქა - ორგანული ნაშთი და რამდენიმე კბილი. დანარჩენი ძვლები არეული იყო, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული გვერდზე უნდა წოლილიყო.

ინვენტარი: 1. რგოლი - ბრინჯაოსი, ბრტყელგანიკვეთიანი, მთლიანად სხმული, რკალის დიამეტრი 3,5 სმ, ღეროს დმ - 0,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან (ტაბ. V,11); 2. რგოლები - ვერცხლის, მრგვალგანიკვეთიანი, თავები ოდნავ შემსხვილებულია. რკალის დიამეტრი 2,6 სმ, ღეროს დმ -2 მმ, 2 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან (ტაბ. V,9-10); 3. დანა - რკინის, ყუნწიანი, სიგრძე 11 სმ; დანა დეფორმირებულია. აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში (ტაბ. V,8); 4. საკინძი - დამზადებულია ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან. საკინძის თავი ამავე მავთულისაგან დახვეული ოთხფურცლიანი ყვავილის გამოსახულებას წარმოადგენს. სიგრძე 6,5 სმ. ნივთი ორადაა გატეხილი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან (ტაბ. V,15); 5. თმის სარჭი - დამზადებულია ვერცხლის თხელი, ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის ფირფიტისაგან. ნივთის თავში (სამკუთხედის ფუძე) გაყრილია რკინის ნემსის დასამაგრებელი ღერო. წვერი აპრეხილია და დაბრტყელებული. ნივთის ზედაპირი ორნამენტირებულია: კიდეებზე დაუყვება ამოკან-

რული ხაზებით შემოსაზღვრული ირიბი ხაზები, სამკუთხედის ფუძიდან წვერისაკენ კი თევზიფხური ორნამენტით შექმნილი ბისექტრისა მიემართება. ცალ მხარეს ნივთს აქვს ორი ნახვრეტი. სიგრძე 5 სმ, სამკუთხედის ფუძის სიგანე - 2 სმ, აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან (ტაბ. V, 16); 6. ისრისპირის ნამზადი - ქვის (კირქვა?). აქვს კონუსური, ოდნავ მომრგვალებული ფორმა. სიგრძე 2,5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან; 7. მძივები - გიშრის, სფეროსებრი და კასრისებრი ფორმების, 88 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში (ტაბ. V,17); 8. მძივები - თეთრი პასტის, სფეროსებრი, 4 ც., აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში; 9. მძივი - აგურისფერი პასტის, 1 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში; 10. მძივი - გამჭვირვალე, ლურჯი მინის, 1 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში; 11. მძივები - პოლიქრომული, წითლად შავად და ყვითლად დაფერილი პასტის, სფეროსებრი 2 ც. (1 დამტვრეულია). აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში (ტაბ. V,14); 12. მძივები - პოლიქრომული, ლურჯი და ყავისფრად დაფერილი პასტის, სფეროსებრი 4 ც. (2 დამტვრეულია), აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის არეში (ტაბ. V, 12, 13).

2013 წელის საველე სეზონის მიზანს წარმოადგენდა სამაროვნის გავრცელების არეალის დადგენა, რის გამოც გაიჭრა რამდენიმე თხრილი. უმრავლესობა ცარიელი იყო და მხოლოდ წინა საველე სეზონებში გათხრილი სამარხებიდან სამხრეთით, 10-12 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა ორი ორმოსამარხი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ორივე სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი კარგად იყო შენახული, ასევე თიხის ჭურჭელიც, რაც ამ სამაროვანზე პირველად დადასტურდა.

სამარხი №10 - სამარხი დაფიქსირდა მინის თანამედროვე ზედაპირიდან 40-50 სმ-ის სიღრმეზე. სამარხ ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა და მონიშნული იყო სამი ქვით (ზომები 1.8X1.1X0.15 მ). მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე ესვენა, თავით ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. ჩონჩხს

თავის ქალა დაზიანებული ჰქონდა.

ინვენტარი: 1. ხელადა - თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, მსხვილმინარევიანი კეცი. ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, ცილინდრული, შუაში შეზნექილი ყელით. ყელი თანდათანობით გადადის მუცელში. ფართო, ბრტყელძირიანი. ყური - ოვალურგანივკვეთიანი. დაძერწილია პირსა და მუცლის ზედა ნაწილზე. შემორჩენილია ფრაგმენტული სახით. ზომები: ძირის დმ - 11.5 სმ, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. VI,1); 2. საყურე - ბრინჯაოსი, შედგება ორი ერთმანეთზე ჩამოკიდებული რგოლისგან, რომელთაგან ერთს კავის ფორმა აქვს. ზომები: სიგრძე - 2 სმ, დმ - 1.5 სმ. აღმოჩნდა თავთან (ტაბ. VI,5); 3. მძივები - მინისა და პასტის, მრგვალი, წაგრძელებული, წვეთის ფორმის, ლურჯი, მოყვითალო, მწვანე, წითელი, თეთრი. აღმოჩნდა ყელის არეში (ტაბ. VI,7); 4. ფიბულა - ბრინჯაოსი, ორნაწილადი. მშვილდი შემკულია თოკისებური წნულით. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. VI,6); 5. ფიბულა - ნიჟარის მშვილდით, დაზიანებული. ზომები: სიგრძე - 6 სმ. აღმოჩნდა მხართან (ტაბ. VI,4); 6. მძივი - ცარცის, მრგვალი, თეთრი ფერის. ზომები: დმ. - 2 სმ. აღმოჩნდა მხართან (ტაბ. VI,3); 7. სამაჯური - ბრინჯაოსი, ოვალურგანივკვეთიანი, თავებგახსნილი, ბოლოებისკენ გაგანიერებული. სამად გატეხილი. ზომები: დმ - 6.5 სმ. ეკეთა ხელზე (ტაბ. VI,9); 8. ბალთა - ბრინჯაოსი, ყვირული, 12 ფანჯრიანი. ცენტრში მირჩილულია შუაში გახვრეტილი კონუსი, გარშემო შემოუყვება წნული ორნამენტის ორი რიგი, გვერდებზე ტრაპეციის ფორმის ყურებით. ცალ მხარეს ყურთან აქვს ორი საკიდი. ზომები: დმ - 7 სმ. სიგრძე - 10 სმ, კონუსის სიმაღლე - 2 სმ, ყურის სიგრძე 2 სმ, სიგანე - 3 სმ. აღმოჩნდა ხელთან (ტაბ. VI,8); 9. საკიდი - ძვლის, ნაპრიალები ზედაპირით. წარმოადგენს ბრტყელ, ოთხკუთხა ფირფიტას, შუაში წრიული ნახვრეტით. ზომები: სიგრძე - 3 სმ. აღმოჩნდა ხელთან (ტაბ. VI,2); 10. რგოლები - ბრინჯაოსი, ორი ცალი, ერთზე

რკინის პატინაა შემორჩენილი. ზომები: დმ - 2სმ (ტაბ. VI,10).

სამარხი №11 - დადასტურდა მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0.8 მ. სიღრმეზე (ზომები 1.9 X 1მ, სიღრმე 0.2-0.5 მ). მიცვალებული დაკრძალული იყო გამოტილი, ფეხებით დასავლეთით, თავი კი სამხრეთით ედო. ჩონჩხი სავარაუდოდ, თავიდანვე დაზიანდა, რაზეც მეტყველებდა გადავარდნილი თავის ქალის ზედა ნაწილი და ორგან გადატეხილი მენჯის ძვალი.

ინვენტარი: 1. ხელადა - მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი - მსხვილმინარევიანი, ბაკომომრგვალებული, პირგადაშლილი, ცილინდრული, შუაში შეზნექილი ყელით, ყელი თანდათანობით გადადის მუცელში, სფერულმუცლიანი. ფართო, ბრტყელძირიანი. ყურნაკლული. ყური დაძერწილი უნდა ყოფილიყო პირსა და მუცლის ზედა ნაწილზე. ფრაგმენტული სახით. ნაწილობრივ აღდგენილი. ზომები: პირის დმ - 8.5 სმ, მუცლის დმ - 14 სმ, ძირის დმ - 10.3 სმ კეცის სისქე - 8 მმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. VII,1); 2. საყურეები (2 ც.) - ვერცხლის. გახსნილ რგოლზე მირჩილულ ღერაკზე აცმულია ნახევარსფერული მძივი. ზომები: სიგრძე - 3 სმ, დმ - 1 სმ. აღმოჩნდა თავის ქალასთან (ტაბ. VII,5); 3. მძივები - მინის და პასტის, გრძელი, მრგვალი, წვეთის ფორმის. ლურჯი, მწვანე, წითელი, თეთრი. აღმოჩნდა ყელის არეში (ტაბ. VII,9); 4. მშვილდსაკინძი - ბრინჯაოსი, მსხვილღეროიანი, ოთხნახნაგა მშვილდით, რკინის ენით. ღერო მრგვალგანივკვეთიანია. ზომები: სიგრძე - 4 სმ, სიმაღლე - 2.5 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. VII,7); 5. მშვილდსაკინძი - რკინის, ორნაწილადი, ბუდეაბმული, შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. ზომები: სიგრძე - 4 სმ. აღმოჩნდა ნეკნებთან (ტაბ. VII,10); 6. ფიბულა - ნიჟარისმშვილდიანი, დაკბილული. ბრინჯაოს ენა უნდა ჰქონოდა. ზომები: სიგრძე - 7 სმ, სიმაღლე - 2 სმ. აღმოჩნდა ნეკნებთან (ტაბ. VII,8); 7. მშვილდსაკინძი - ვერცხლის,



ორნანილადი, მუხლზამბარიანი, ბუდეაბ-  
მული. ზომები: სიგრძე - 4.5 სმ, სიმაღლე - 2  
სმ. აღმოჩნდა ნეკნებთან (ტაბ. VII,11); 8. სამა-  
ჯური - ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, თავებ-  
დაბრტყელებული. შუაში გატეხილი. ზომები:  
დმ - 6სმ. ეკეთა ხელზე (ტაბ. VII,2); 9. სამა-  
ჯური - ბრინჯაოსი, თავებგახსნილი, მსხ-  
ვილთავიანი. ზომები: დმ - 7 სმ. ეკეთა ხელზე  
(ტაბ. VII,3); 10. ფიბულა - რკინის, ნაკლული,  
შემორჩენილია ფრაგმენტები. აღმოჩნდა  
გულ-მკერდის არეში. ზომები: სიგრძე - 4 სმ  
(ტაბ. VII,6); 11. ბეჭედი - ბრინჯაოსი, მთლი-  
ანადსხმული, ფარაკიანი. კონუსური თავით,  
რომელშიც ამოკვეთილია გამოსახულება.  
წარმოდგენილია ქალის ფიგურა, მარჯვნივ  
მიბრუნებული თავით და დრაპირებული კა-  
ბით. მის მარჯვენა მხარეს ლენტია გამოსახ-  
ული, ხოლო მარცხნივ მცენარე, დმ - 2.5 სმ.  
სიმაღლე - 2.5 სმ, ფარაკის დმ - 1 სმ, სიმაღლე  
- 0.5 სმ. ეკეთა თითზე (ტაბ. VII,4).

ამის გარდა, სამაროვნის ტერიტორიაზე  
ადგილობრივმა მოსახლეობამ სხვადასხვა  
დროს აკრიფა და ექსპედიციას გადასცა: რკი-  
ნის შუბისპირი (ტაბ. III,21), ბრინჯაოს ნაღ-  
ვენთები და რკინის წიდა.

როგორც ვნახეთ, გონის სამაროვანზე  
ამ დრომდე თერთმეტი სამარხია გათხრი-  
ლი. სამი მათგანი დანგრეული და გაძარც-  
ვულია. ინვენტარი მრავალფეროვანია. გვხ-  
ვდება კერამიკა, იარაღი, მონეტა, სამკაული,  
აქსესუარები.

კერამიკული ჭურჭელი სამაროვანზე წარ-  
მოდგენილია №10 (ტაბ. VI,1) და №11 (ტაბ. VII,1)  
სამარხებში აღმოჩენილი ორი ხელადით. მათ  
აქვთ როგორც საერთო (კეცი, ბაკო, პირი,  
ყელი, ძირი), ისე განმასხვავებელი (გამონვის  
ფერი, მუცელი, ზომა) მორფოლოგიური ნიშ-  
ნები. აღნიშნული ხელადები ზოგად მსგავს-  
ებას ავლენს დასავლეთ საქართველოს ტერ-  
იტორიაზე მოპოვებულ და გვიანანტიკური  
ხანით დათარიღებულ მასალასთან (ბიჭვინ-  
თა, ნოქალაქევი, ფიჭვნარი და სხვ.), ხოლო  
ლექსუმის ძეგლებზე - ცხეთის სამაროვანზე  
აღმოჩენილ მრგვალპირიან (სამ. №10) და პი-

რფართო (სამ. №14) დოქებთან. ჭურჭლის  
დამზადებისა და გამოწვის დაბალი ხარისხის  
მიხედვით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ისი-  
ნი სპეციალურად სამარხში ჩასაყოლებლად  
იყო დამზადებული და ახ.წ. I ს-ით თარიღდ-  
ება [სულავა ნ. 1996:37].

სამაროვანზე მიკვლეულ ნივთებს შორის  
რკინის იარაღიცაა: დანები და შუბისპირე-  
ბი. რკინის დანები სხვადასხვა ტიპისაა - №5  
სამარხის დანა სწორპირიანია (ტაბ. III,20),  
ასეთივე პირი ჰქონდა №9 სამარხში მოპო-  
ვებულ დანასაც. №7 სამარხის დანა კი ნამგ-  
ლისებური ფორმისაა და გრძელი ყუნწი აქვს  
(ტაბ. IV,14). მას ყველაზე მეტად ემსგავსება  
მურის ციხესთან აღმოჩენილი ასეთივე ია-  
რაღი, რომელიც ზოგადად ანტიკური ხანით  
თარიღდება [სულავა ნ. და სხვ., 2012:41],  
არსებობს მოსაზრება, რომ ნამგლისებური  
დანები შესაძლებელია სასხლავად გამოყ-  
ენებულიყო. აღსანიშნავია, რომ რკინის  
მცირე ზომის დანების სხვადასხვა ფორმები  
არ არის დამახასიათებელი რომელიმე რე-  
გიონისათვის და არც ქრონოლოგიურადაა  
შეზღუდული [დავლიანიძე ც. 1983:48], მისი  
პარალელური მასალა კი გვხვდება როგორც  
საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ,  
განვითარებული რკინის ხანიდან გვიანან-  
ტიკური ხანის ჩათვლით [დავლიანიძე ც.  
1983:46-49]. №7 სამარხში მოპოვებული ფოთ-  
ლისებური, ქედიანი, გრძელ და შეკრულმას-  
რიანი რკინის შუბისპირების მსგავსი იარაღი  
ძვ.წ. VI საუკუნიდანაა ცნობილი და გვიანან-  
ტიკურ ხანაშიაც აგრძელებს არსებობას [გა-  
მყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005: 129].  
ისინი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ  
საქართველოში გვხვდება და სავარაუდოდ,  
გენეტიკურად უკავშირდება გვიანბრინჯაოს  
ხანის ამავე ფორმის იარაღს [სახაროვა ლ.  
1973:87, სურ. 32; დავლიანიძე ც. 1983:45].

№7 სამარხში, მიცვალებულის პირში აღ-  
მოჩნდა ქარონის ობოლი - ოქტავიანე ავგუს-  
ტუსის დენარის ვერცხლის მინაბადი, მსგავსი  
შემთხვევა დაფიქსირდა დუშეთის რაიონის  
სოფელ ბაგიჭალაში, სადაც ავგუსტუსის დე-

ნარის მინაბადი და ფრააგ IV (ძვ.წ. 37-2 წწ.) პართული დრაქმა ასევე მიცვალებულის პირში აღმოჩნდა [შეროზია მ. 2009:65]. ასეთი მონეტები მიმოქცევაში იყო როგორც იბერიაში, ასევე კოლხეთშიც II-IV სს-ის განმავლობაში. სულ საქართველოში აღმოჩენილია 56 ცალი. აქედან კლდეეთში – 16 ც., ბორში – 29 ც., მდ. ყვირილას აუზში – 10 ც., სოფ. კაცხში – 1 ც. [დუნდუა 2013:33], ასევე ლეჩხუმში (ინახება ცაგერის ისტორიულ მუზეუმში) [სულავა და სხვ. 2012:52]. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკურ კოლექციებში, განძების ფონდში ავგუსტუსის დენარის მინაბადის 15 ეგზემპლარია დაცული. აქედან ერთი აღმოჩენილია სვანეთში, სოფ. ცხუმურში, ერთი ცალი – დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში – ლეჩხუმში (ცაგერი) [პატარიძე მ. 2011:32]. ეს ეგზემპლარები დამზადებულია დაბალი სინჯის ვერცხლისაგან და ყველაზე გვიანდელ ნიმუშებს უნდა წარმოადგენდნენ. თარიღებიან III ს-ით [შეროზია მ. 2009:61]. ავგუსტუსის მონეტების რიცხვის მკვეთრმა შემცირებამ III საუკუნის შუა ხანებიდან, მათი ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი გამოიწვია. სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ კომპლექსებში, ამიტომ მათი ემისიის თარიღის დადგენა ძირს. მასალის სიმცირის გამო, ასევე ძნელია ავგუსტუსის დენარების მინაბადების ცენტრის ლოკალიზაცია [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006:125].

სამკაულიდან აღსანიშნავია საკინძები, თავსამკაულები, საკიდები, საყურეები, მძივები, სამაჯურები, ბეჭედი.

№1 სამარხში, მიცვალებულის თავის არეში დაფიქსირდა ფოთლის ფორმის ბრინჯაოს ათი ცალი საკიდი (ტაბ. II,2). ჩვენი აზრით, იგი გარდაცვლილის თავსამკაულს წარმოადგენდა. თავსამკაული მზადდებოდა ბუნებრივი ან სტილიზებული ფოთლებისგან. ხშირად გამოიყენებოდა დაფნის, მუხის, ზეთისხილის ან სუროს ფოთლები. ვერცხლის, ოქროს ან მოოქროვილი ხის თავსამკაულს, როგორც სიმბოლურ შესაწირავს, მიცვალებულს სა-

მარხშიც ატანდნენ [<http://www.langantiques.com/university/index.php/Wreath>].

გონის სამაროვანზე გვხვდება ცარცის მძივი, ასევე თვალიანი, ვარსკვლავის ან ყვავილის გამოსახულებიანი, მოზაიკური, პოლიქრომული, ცისფერი, შავი და თეთრი ფერის მინის მძივები. ცარცის მძივი აღმოჩნდა №10 სამარხში (ტაბ. VI,3). მსგავსი მძივი აღმოჩენილია ცხეთის სამაროვანზე და თარიღდება ახ.წ. III-IV სს-ით [სულავა ნ. 1996:105]. მოზაიკური მინის მძივები გვხვდება №2 (ტაბ. III<sup>8,9,10</sup>) და №9 (ტაბ. V,12-14) სამარხებში. რთული ორნამენტული სახეებით შემკული მინის მძივების დამზადება ხდებოდა გვიანრომაულ ხანაში, მაგრამ ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევარში მათი ფორმა უფრო რთულდება, ვრცელდება მოზაიკური ტექნიკის გამოყენებით შესრულებული მძივები (ტაბ. V,6) [Алексеева Е. 1982:40]. სამარხ №9-ში აღმოჩნდა თვალიანი მინის მძივი. მისი დამზადება იწყება ძვ.წ. II ათასწლეულიდან და მომდინარეობს ეგვიპტიდან და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან [Lankton J.W. 2003:63]. ყვავილის გამოსახულებიანი მინის მძივები გვხვდება №7 და №9 სამარხებში (ტაბ. II,9-10; IV,4-5). ყვავილის ან ვარსკვლავის გამოსახულება მძივებზე ჩნდება ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში და მზადდებოდა ეგვიპტეში [Lankton J.W. 2003:70]. ერთი ნიმუში აღმოჩენილია ასევე ხერსონესში [Алексеева Е. 1982:43]. იყო რწმენა, რომ მძივი კურნავდა ავადმყოფობას. ადამიანს იგი უნდა ეტარებინა ცხრა დღის განმავლობაში, რომ განეკურნა გრიპის, ყელის და თვალის დაავადებები, გაციება და ჭრილობები. ასევე ეხმარებოდა მეძუძურ დედებს ჩვილის გამოკვებაში და ბავშვებს - კბილის მოცვლაში. აღნიშნული მძივები გადაეცემოდა თაობიდან თაობას, რის გამოც მძივი შეიძლებოდა დაემზადებინათ I ს-ში, მაგრამ ხმარებაში ყოფილიყო III-IV სს-მდე [Lankton J.W. 2003:70].

გონის სამაროვანზე აღმოჩენილი მშვილდსაკინძები მუხლზამბარიანი, ბუდეაბმული, რკალისებური ან ნიჟარისმშვილდიანია

(ტაბ. I). ერთნილად, ბუდეაბმულ, მუხლზამ-  
ბარიან ფიბულებს ნ. აფხაზავა I ჯგუფის I  
სერიამი აერთიანებს. მსგავსი ფიბულები  
აღმოჩენილია ურბნისის სამაროვანზე, ჩხ-  
ორონწყუში, ქალეში, ურეკში, ბიჭვინთაში,  
ციხისძირში (ბათუმთან), კლდეეთში, ნებელ-  
დაში და II-III სს-ით თარიღდება [აფხაზავა ნ.  
1979:9]. რკალისებური ფიბულები გვხვდება  
ანყურში, სტეფანწმინდაში, ახალგორში,  
სოხთაში და I-V სს-ითაა დათარიღებული  
[აფხაზავა ნ. 1979:35], ასევე საირხეში და I-IV  
სს-ით თარიღდება [ბრაგვაძე ზ. 2004:121].  
№10 სამარხში აღმოჩენილი მშვილდსაკინ-  
დის მსგავსია მცხეთაში, სვეტიცხოვლის V  
უბანზე, ქვაყუთში აღმოჩენილი ფიბულა,  
რომელიც გვიანანტიკური ხანით თარიღდება  
[აფაქიძე ან. და სხვ., 1989:46]. №11 სამარხში  
აღმოჩენილი მშვილდსაკინდი ახლო კავშირს  
ავლენს ცხეთის №2 სამარხში აღმოჩენილ  
მშვილდსაკინდთან. ისიც ბუდეაბმულია, მუხ-  
ლზამბარიანი, ქვედა უღლით, ორნაწილადი.  
თანაბრადმორკალული მშვილდი ოთხკუთხა-  
განივკვეთიანი და ბრტყელია. ნ. სულავა მას  
IV ს-ით ათარიღებს [სულავა ნ. 1996:27]. ამავე  
სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ფიბულა  
ახლო კავშირს ავლენს ბრინჯაოს ფიბუ-  
ლასთან ცხეთის სამაროვნიდან, რომელიც  
ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდ-  
ება [სულავა ნ. 1996:30]. ფიბულების დიდი  
რაოდენობით აღმოჩენა და ტყავის ნაშთე-  
ბი №11 სამარხში, გვაფიქრებინებს, რომ  
მიცვალებულს ტყავის სამოსი უნდა ცმოდა,  
რომელიც ფიბულებით იქნებოდა შეკრული.  
№10 და №11 სამარხებში აღმოჩენილი ნი-  
ჟარისმშვილდიანი ფიბულები საკმაოდ იშ-  
ვიათია. ერთადერთი ეგზემპლარი მოვიძიეთ  
კასპის მუზეუმის ფონდში, აღმოჩენილია  
ციხიაგორაზე. მასალა გამოუქვეყნებელია  
(ინვ.№16<sub>3</sub>-83:76).

მრგვალი და ოთხკუთხა ფორმის ჭვირუ-  
ლი ბალთები №1 და №10 სამარხში აღმოჩნდა.  
№1 სამარხის ოთხკუთხა ბალთა ანალოგიას  
პოულობს საჩხერეში და ჩრდილო კავკასიაში  
აღმოჩენილ ბალთებთან. ასევე ბრიტანეთის

მუზეუმში დაცულ ბალთასთან, რომლის აღ-  
მოჩენის ადგილი უცნობია. მ. ხიდაშელის  
ტიპოლოგიის მიხედვით, №1 სამარხის ბალთა  
III ჯგუფის მეორე ქვეჯგუფს ეკუთვნის [ხი-  
დაშელი მ. 1972:31]. მრგვალი ბალთა №10 სა-  
მარხიდან მსგავსია სოფ. იკოთში, მინის და-  
მუშავების დროს (ინვ. №9-25:4, №80-975:2),  
და სოფ. ქლივანაში (ცხინვალის რ-ნი) (ინვ. №  
9-60:3) აღმოჩენილი ბალთებისა. თარიღდება  
II – III სს-ით. ინახება საქართველოს ეროვნულ  
მუზეუმში. მასალა გამოუქვეყნებელია. დე-  
ტალებით (კონუსი, წნული ორნამენტი) იგი  
ახლო კავშირს ავლენს ასევე საქართველოში  
გავრცელებულ სხვა ჭვირულ ბალთებთან,  
რომელთაც მსგავსი კონუსები კუთხეებში  
აქვთ და იგივე პერიოდს მიეკუთვნებიან.

რგოლის ფორმის აბზინდა №1 სამარხიდან  
ემსგავსება შვედსტურის მუზეუმში (გაერთი-  
ანებული სამეფო) დაცულ აბზინდას და რო-  
მაულ-ბრიტანული პერიოდით თარიღდება  
[<http://www.darwincountry.org/explore/013338.html>].

აღმოჩენილი მასალიდან გამომდინარე  
სამარხები ახ.წ. II-IV სს-ით თარიღდება.

## ლიტერატურა:

**აფაქიძე ან.,** ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ან., ბიბი-  
ლური თ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ.,  
1989: დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქ. კვლევის შედე-  
გები. - მცხეთა, ტ. IX, თბ.

**აფხაზავა ნ. 1979:** ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავ-  
ლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ.

**ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი.,** სურამელაშვილი მ.,  
ჭურღულია ლ. 1983: ლეჩხუმი. თბ.

**ბრაგვაძე ზ. 2004:** გვიანანტიკური ხანის კომპლექსი  
საირხიდან. - არქეოლოგიური ჟურნალი № 3. გვ. 120-  
124, თბ.

**დუნდუა გ. 2013:** სამონეტო საქმე და სამონეტო მიმო-  
ქცევა საქართველოში ძვ.წ. VI ს.-ახ.წ. VII ს. პირველ ნახ-  
ევარში. - იბერია-კოლხეთი, №9. გვ. 5-52. თბ.

**დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006:** სამონეტო მიმოქცევა  
იბერიაში I-IV სს-ში, ქართული ნუმიზმატიკა, ტ. 1, თბი-  
ლისი.

**გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი მ. 2005:** ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბ.

**დავლიანიძე ც. 1983:** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ქრ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბილისი.

**თაყაიშვილი ექ. 1937:** არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი.

**პატარიძე მ. 2011:** სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები. - საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები № III. გვ. 17-33, თბილისი.

**სახაროვა ლ. 1973:** უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის. - მაცნე № 3. თბ., გვ. 87.

**სახაროვა ლ. 1976:** არქეოლოგიური დაზვერვები ლეჩხუმში. - მაცნე № 3. გვ. 96-104, თბ.

**სულავა ნ. 1996:** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში, თბილისი.

**სულავა ნ., აღაპიშვილი თ., კოპალიანი ნ., ქორიძე ი., პატარიძე მ., ბაქრაძე ი., ჩაგელიშვილი რ., მამარდაშვილი გ. 2012:** ცაგერის ისტორიული მუზეუმი, ალბომი, თბ.

**შეროზია მ. 2009:** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბადების შესახებ. – იბერია-კოლხეთი №5. გვ. 61-72, თბილისი.

**ხიდაშელი მ. 1972:** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტ.-თვის საქართველოში, თბ.

**Алексеева Е. 1982:** Античные бусы северного причерноморья. – Арх. СССР, Г1-12, с. 5-103, Мос.

**Lankton James W. 2003:** A bead Timeline. Volume 1: prehistory to 1200 CE. Washington D.C.

[http://museum.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=122&info\\_id=1110](http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=122&info_id=1110)


<http://www.virtual-egyptian-museum.org/Collection/Full-Visit/Collection.FullVisit-JFR.html?..Content/GLS.VS.00993.html&0>

<http://www.darwincountry.org/explore/013338.html>



<http://www.langantiques.com/university/index.php/Wreath>

### **ილუსტრაციების აღწერილობა:**


**ტაბ. I –** №1 სამარხის ინვენტარი; **II –** №1 სამარხის ინვენტარი; **III –** 1-13. №2 სამარხის ინვენტარი; 14-20. №5 სამარხის ინვენტარი; 21. შუბისპირი, შემთხვევითი მონაპოვარი; **IV -** №7 სამარხის ინვენტარი; **V –** 1- 7. №8 სამარხის ინვენტარი; 8-17. №9 სამარხის ინვენტარი; **VI -** №10 სამარხის ინვენტარი; **VII -** №11 სამარხის ინვენტარი.



II



1




2



3






4




5



III





# IV















# V



# VI



# VII



## ოთარ ლორთქიფანიძე და საქართველოს არქეოლოგია

ვისაც აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძესთან მუშაობის ბედნიერება ჰქონდა, მისთვისებათაგან გამოჰყოფდა ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს — ყოველთვის აქტიური პოზიცია ეკავა, როგორც მეცნიერს, ასევე მოქალაქეს. მისი კალმიდან გამოსულია მრავალი მონოგრაფია, სტატია, არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, მოხსენების თეზისი, საენციკლოპედიო სტატია, სახელმძღვანელო, რეცენზია, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი და სხვა [ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომების სია, 2001, გვ 8-20]; გარდა ამისა იგი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის და ვანის არქეოლოგიური მუზეუმის დამაარსებელია; მომწიბო და ორგანიზატორია სხვადასხვა სამეცნიერო სესიის, სიმპოზიუმის და კონფერენციის. შესაბამისად, ბატონი ოთარის მრავალპლანიანი მოღვაწეობის განხილვა ქვეყნისა და მისი მატერიალური კულტურის მემკვიდრეობის მოპოვების, დაცვისა და შესწავლის ისტორიისაგან მოწყვეტით, სრული არ იქნება.

ჩვენი სტატიის მიზანია შეძლებისდაგვარად განვიხილოთ ქართული არქეოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია და წარმოვაჩინოთ მასში ოთ. ლორთქიფანიძის წვლილი და ადგილი.

როგორც ცნობილია მეცნიერების, განსაკუთრებით ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარება, ძირითადად ორი ფაქტორით არის განპირობებული: პირველი — საზოგადოებრივი ინტერესი და დაკვეთა, მეორე — თვით მეცნიერების წინაშე მდგარი ამოცანები და განვითარების ხასიათი. ამჯერად, ჩვენი ინტერესის სფეროს საქართველოში მეცნიერების, კერძოდ, არქეოლოგიის განვითარების ისტორია წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით საქართველოში არქეოლოგიის განვითარების ისტორია ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

ამ კონტექსტში ბატონი ოთარის მოღვაწეობა ბოლო ორ პერიოდზე მოდის.

პირველი პერიოდის, ანუ საქართველოში არქეოლოგიის დასაწყისად, სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს: დიმიტრი ბაქრაძის აზრით, საქართველოში არქეოლოგიის ფუძემდებელი მარი ბროსე იყო [ბაქრაძე დ. 1987:XII]; “საქართველოს არქეოლოგიის” ავტორთა კრებულის მოსაზრებით ეს პატივი ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის [აფაქიძე ან. ... 1959:5]; ხოლო გელა გამყრელიძეს პირველ არქეოლოგად დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი მიაჩნია [იხ. გამყრელიძე გ. 1991:12-45; გამყრელიძე გ. 2009:7]. ჩვენ არ შევუდგებით ამ მოსაზრებების განხილვას. ავლნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოში ინტერესი მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ ანტიკური ხანიდან ფიქსირდება [ჭილაშვილი ლ. 1984:26-37], ხოლო პირველი პერიოდის დასასრულად 1919 წლის 18 მაისი გვესახება, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა თბილისის უნივერსტიტეტში წარადგინა “პროგრამა სტუდენტების გამოკითხვისა საქართველოს სიძველენის ცოდნაში” [ჩარკვიანი მ. 2006:63-71]. ამ პერიოდში საქართველოში ინტერესი მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ მრავალგვარია — XIX საუკუნემდე იგი შემოიფარგლებოდა რარიტეტების კოლექციონირებით [ჭილაშვილი ლ. 1984:26-34], ძეგლთა აღწერით და მათი ისტორიის მოკლე გადმოცემით. ეს რარიტეტები ინახებოდა სამეფო, დიდგვაროვანთა და ეკლესიების საგანძურებში.

ქართული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ პერიოდში, XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში (გასაბჭოებამდე) კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლები

მეცნიერთა ცხოველი ინტერესის სფეროში ექცევა, რაზეც მეტყველებს აქ სხვადასხვა დროს დაარსებული მრავალი სამეცნიერო დაწესებულება: “მოსკოვის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება”, “კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება”, “კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება”, “მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება.” ამავე დროს, 1881 წელს თბილისში ჩატარდა V არქეოლოგიური ყრილობა [გამყრელიძე, გ. 1991: 12-45; ყაზახიშვილი ლ. 2007:237-249]. ამ პერიოდში, საქართველოში სხვადასხვა წარმომავლობის მკვლევარები მოღვაწეობდნენ, რომლებიც მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი. ესენია: ერნსტ შანტრი, ჟაკ დე მორგანი, მარი ბროსე, რიხარდ ვირხოვი, ფრიდრიხ ბაიერნი, ალექსი უვაროვი, პრასკოვია უვაროვა, სტანისლავ კრუკოვსკი, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, პლატონ იოსელიანი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა. ისინი აფიქსირებდნენ და იკვლევდნენ, როგორც პრეისტორიულ, ასევე ისტორიული ხანის ძეგლებს. ზემოთაღნიშნულ მეცნიერებს სხვადასხვა მიზნები და ამოცანები ამოძრავებდათ. ამ პერიოდში პირველად საქართველოში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ახალმშენებლობებზე, ძეგლების გადარჩენის მიზნითაც: სამხედრო გზის მშენებლობისას მცხეთაში, სამთავროს ველზე (ბაიერნი); თბილისი — ალექსანდროპოლისის (თანამედროვე გიუმრი) გზის მშენებლობისას, დმანისში; მცხეთასთან, მარტაზისხევში ნავთსადენთან (ექ. თაყაიშვილი). რაც შეეხებათ ქართველ მკვლევარებს, ვფიქრობთ მათი ამოცანა ყველაზე უფრო ნათლად გამოხატა ექ. თაყაიშვილმა: “იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და და-

კარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამოიმეზურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევარებისათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ — იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაც და, გადაუჭარბებლივ, დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში” [თაყაიშვილი ექ. 1968:310]. ამ პერიოდში, გათხრების შედეგად, თუ სხვა გზებით მოპოვებული მასალა თავს იყრიდა მუზეუმებში — “რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების” მუზეუმში (დაარსდა 1851 წელს); “კავკასიის მუზეუმში” (დაარსდა 1863 წელს); “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” მუზეუმში; საეკლესიო მუზეუმში (დაარსდა 1889 წელს); საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში (დაარსდა 1907 წელს);. 1917 წელს თბილისში ნიკო მარმა დააარსა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი. მოპოვებული მასალების პუბლიცირება ხდებოდა, როგორც ცალკეულ მონოგრაფიების სახით, ასევე კრებულებში ისეთებში, როგორებიც იყო «Известия Кавказского археологического общества», «Записки общества любителей Кавказской археологии», «Материалы по археологии Кавказа», «Коллекции Кавказского музея». ყოველივე ამან გამოიწვია საჭიროება, რათა საქართველოში მომზადებულიყო პროფესიონალური არქეოლოგიური კადრები. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილმა შეადგინა საქართველოში პირველი სასწავლო პროგრამა არქეოლოგიაში [ჩარკვიანი მ., 2006:63-71]. 1919 წელსვე კავკასიის მუზეუმს საქართველოს მუზეუმი ეწოდა [ჭილაშვილი ლ. 1984:37].

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქვეყნის მატერიალური კულტურის შემსწავლელთა წრე შეიზღუდა, კერძოდ, უცხოელ მეცნიერებს აღარ ჰქონდათ საშუალება ეწარმოებინათ კვლევა-ძიება საქართველოს ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიური სამუშაოები არ შეწყვეტილა. სწორედ აქედან მიგვაჩნია მართებულად ქართულ არქეოლოგიაში მეორე ეტაპის დაწყება, რომელიც დასრულდა XX ს.-ის 60-იან წლებში, ანუ როდესაც დაიწერა “საქართველოს არქეოლოგია” (1959 წ.) [აფაქიძე ან. 1959] უძველესი დროიდან განვითარებული საშუალო საუკუნეების ჩათვლით.

თავდაპირველად არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაევალა. 1925 წელს საქართველოში ბრუნდება გიორგი ნიორაძე, რომელიც დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების უფროსად, 1934-1953 წლებში იგი ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრას, რომელიც შემდეგ არქეოლოგიის კათედრად გადაიქმნა (გამგე ოთ. ჯაფარიძე) [გამყრელიძე გ. 2009:27-28]. გ. ნიორაძემ თავის გარშემო, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიზნით, შემოიკრიბა სერგი მაკალათია, გიორგი გოზალიშვილი, სოლომონ იორდანიშვილი, ბორის კუფტინი, ლევან მუსხელიშვილი, გიორგი ჩიტაია, ოთარ ჯაფარიძე და სხვა. ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესი გათხრები ჩატარდა ხრამჭესის კაშხალის მშენებლობის ტერიტორიაზე და სამთავროს ველზე. 1936 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად (ენიმკი), რომლის პერიოდული ჟურნალიც “ენიმკის მოამბე” იყო. 1941 წელს ამ ინსტიტუტს გამოეყო ისტორიის ინსტიტუტი. შესაბამისად

“ენიმკში” მომუშავე არქეოლოგები გადავიდნენ ისტორიის ინსტიტუტში [გამყრელიძე გ. 2009:34; Gamkrelidze, G. 2010: 15-51.].

1934-1963 წლებში მოეწყო ოთხი არქეოლოგიური გამოფენა. თუ პირველი სამი საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებს ეძღვნებოდა [აბულაშვილი თ. ... 2010: 253-270], უკანასკნელში წარმოდგენილი იყო საქართველოს არქეოლოგია ქვის ხანიდან განვითარებული შუა საუკუნეების ჩათვლით, რისი საშუალებაც გათხრების შედეგად დაგროვილმა მასალამ გახადა შესაძლებელი [მუზეუმის... 2002:12-13].

დაბოლოს, 1959 წელს გამოიცა “საქართველოს არქეოლოგია” ქვედა პალეოლითიდან “შუაფეოდალური ხანის” ჩათვლით. მისი ავტორები იყვნენ: ანდრია აფაქიძე, ნინო ბერძენიშვილი, გერმანე გობეჯიშვილი, ალექსანდრე კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, ნინო ხოშტარია. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ არქეოლოგიის სისტემატური, მთლიანი კურსი მანამდე მთელს საბჭოთა კავშირში ჯერ არ იყო შექმნილი. მაგრამ საქართველოს არქეოლოგიის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის ძირითად ფუძემდებლად ბორის კუფტინი შეიძლება ჩაითვალოს. ქართული არქეოლოგიის ამ ეტაპის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიგვაჩნია ასევე 1955 წელს “მცხეთა I” (არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლების) გამოცემა, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ანგარიშების სრული სახით წარმოდგენას.

ქართული არქეოლოგიის მესამე პერიოდი იწყება XX ს.-ის 60-იანი წლებიდან და გრძელდება საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვებამდე. მართალია, ბატონი ოთარი სამოღვაწეო ასპარეზზე 50-იან წლებში გამოვიდა, მაგრამ მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი 60-იანი წლებიდან ხდება. ეს პერიოდი გამოირჩევა ორი ძირითადი მახასიათებლით. პირველი – ეს არის საველე არქეოლოგიური სამუშაოები (ძეგლების გათხრა და მათი კონსერვაცია-რესტავრაცია) დიდ მასშტაბებს იძენს, და მე-

ორე – კვლევის მიმართულებად იქცა საქართველოს არქეოლოგიის წარმოჩენა მსოფლიო ისტორიული განვითარების კონტექსტში.

ფართოდ გაშლილ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით 1977 წელს ოთარ ლორთქიფანიძის ძალისხმევით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, რომელშიც სხვადასხვა პერიოდის ძეგლების შემსწავლელ განყოფილებებთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო ინტერდისციპლინარული კვლევისა და ახალმშენებლობებზე არქეოლოგიური გათხრების განყოფილებებმა. პირველში ხდებოდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის შესწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდების გამოყენებით, როგორც არტეფაქტების, ისე ეკოფაქტების, და აგრეთვე მათი კონსერვაცია-რესტავრაცია. მეორეში – ახალმშენებლობებზე მუშაობის კოორდინირება და ხელმძღვანელობა. ყალიბდება საქართველოს ყველა კუთხის შემსწავლელი მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციები. ამ პერიოდში ხდებოდა გათხრების შედეგად მოპოვებული დიდი რაოდენობის მასალის პუბლიცირება, როგორც ყოველწლიური მოკლე ანგარიშების სახით “Полевые археологические исследования (ПАИ)”, ასევე შესწავლილი ცალკეული ძეგლების სრული წარდგენა მრავალტომეულების სახით, როგორცაა “ვანი”, “მცხეთა”, “ბიჭვინთა”, “ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები”, “კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები”, “ჟინვალი” და სხვ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის რაოდენობა უაღრესად გაიზარდა. სახელმწიფო მუზეუმი ველარ უზრუნველყოფდა მათ შენახვასა და ექსპონირებას, ამიტომ მათი განთავსება ძირითადად არქეოლოგიური ექსპედიციების ბაზებზე ხდებოდა. ამის გამო უახლესი, ბრწყინვალე აღმოჩენები ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ბატონმა ოთარმა როგორც ყოველთვის, შექმნილი

სიტუაციიდან მოძებნა გამოსავალი - დაარსა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც გაიხსნა 1985 წელს ვანში. დღეს იგი მისი სახელობისაა.

რაც შეეხება საქართველოს არქეოლოგიის შესწავლას მსოფლიო კულტურის განვითარების კონტექსტში – ამ თემის დამუშავების პირველი მცდელობა იყო ბატონი ოთარის სადოქტორო დისერტაცია “ანტიკური სამყარო და საქართველო”, რომელიც შემდეგ ორ მონოგრაფიად - “ანტიკური სამყარო და კოლხეთი” (1966 წ.) და “ანტიკური სამყარო და იბერია” (1968 წ.) გამოიცა.

ამ პრობლემის წარმატებით წარმოჩენისათვის არჩეულ იქნა სამუშაოების ისეთი ფორმა, როგორცაა სამეცნიერო სიმპოზიუმები, ჯერ საკავშირო, ხოლო შემდეგ საერთაშორისო. ეს ხელს უწყობდა ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით წყაროებზე ინფორმაციის მოპოვებას, მეორე მხრივ სხვადასხვა შეხედულებების შეჯერებას. ასეთი სიმპოზიუმების ჩატარება დაიგეგმა ჯერ წყალტუბოში, შემდეგ ვანში, რომლებიც შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემების შესწავლისადმი იყო მიძღვნილი, ხოლო ძველი კოლხეთი წარმოჩინდა შავიზღვისპირეთის ქვეყნების კონტექსტში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიმპოზიუმის მოხსენებებთან ერთად დისკუსიების მასალებიც იბეჭდებოდა, რაც ორიგინალურ და მეტად ნაყოფიერ საფუძველს იძლეოდა მეცნიერული პროგრესისათვის.

სხვა ამდაგვარი სიმპოზიუმი “კავკასია ევრაზიის ადრელითონების ხანის კულტურათა სისტემაში” მიძღვნილი პალეომეტალოგიული კვლევებისადმი მოეწყო სიღნაღში.

საქართველოს არქეოლოგიაში მეოთხე პერიოდი იწყება ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. განმეორებით ვიტყვით: ვისაც ბატონ ოთართან მუშაობის პატივი ჰქონდა, მათთვის ეს ეტაპი ორ ნაწილად იყოფა – ბატონი ოთარის ცხოვრების ბოლო ათწლეული და მისი გარდაცვალების შემდგომი დრო.

ეს პერიოდი ხასიათდება იმით, რომ არქეოლოგიას, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებს ახალ, განსაკუთრებულ პირობებში მოუწია მუშაობა. გარკვეული ნიშნებით იგი წააგავს პირველ პერიოდს, ანუ გასაბჭოებამდე პერიოდს. უპირველეს ყოვლისა იმით, რომ საქართველოს სიძველენი კვლავ გახდა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ინტერესის სფერო და სხვადასხვა მკვლევარებს სხვადასხვა მიზნები და ამოცანები ამოძრავებთ. ამავე დროს საქართველოს სიძველეებისადმი გაიზარდა მსოფლიოს საზოგადოების ინტერესი, რაზეც, ის მრავალი გამოფენა მეტყველებს, რომელიც ჩატარდა ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში.

1991 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ბატონი ოთარის ძალისხმევით, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დაწესებულებად, რომელმაც ქვეყანაში არსებული არასახარბიელო სიტუაციის მიუხედავად, არამარტო შეინარჩუნა შრომისუნარიანობა, არამედ გააძლიერა კიდევაც. მუშაობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით დაიგეგმა: პირველი — აქამდე ჩატარებული სამუშაოების შეჯამება - გამოიცა შემაჯამებელი ნაშრომები ოთ. ლორთქიფანიძის “ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან” (2002) და ოთ. ჯაფარიძის “საქართველოს ისტორიის სათავეებთან” (2003). ასევე დაიგეგმა რვა ტომად “საქართველოს არქეოლოგიის” გამოცემა, აქედან ორი დაიბეჭდა; საქართველოს არქეოლოგიური რუკის შექმნა; არქეოლოგიური განმარტებითი ლექსიკონის შემუშავება. მეორე — მუშაობის გაგრძელება საქართველოს არქეოლოგიის წარმოჩენისა მსოფლიო ისტორიული განვითარების კონტექსტში. ამ მიმართულებით გაგრძელდა შავიზღვისპირეთის ქვეყნების ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები, მას დაემატა - საქართველო აქემენიდურ და პოსტაქემენიდურ ხანაში, სემინარი — “მსოფლიო კულტურულ-ისტორიული

პროცესი და საქართველო”, “საქართველო და აბრეშუმის გზა” და სხვა. მესამე — მიმდინარეობდა მუშაობა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის რეორგანიზაციისა ახალი რეალიზების გათვალისწინებით, კერძოდ, სამეცნიერო პროექტების შემუშავება და განხორციელება, ახალ პირობებში სავსე გათხრების წარმოება ახალმშენებლობებზე (კერძოდ, გაზსადენებსა და ნავთობსადენებზე), შემუშავდა ფორმები ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობისა და მრავალი სხვა.

ბატონი ოთარი ამ ვითარებაში გვევლინებოდა ნამდვილ ლიდერად, რომლის ერთ-ერთ დიდ ღირსებად მიმაჩნია კოლეგების ყოველმხრივი ხელისშეწყობა, ნახალისება და თუ საჭირო იყო გამოსარჩლებაც. სიცოცხლის ბოლო წელსაც კი იგი მომავალზე ფიქრობდა, რაზეც მეტყველებს მის მიერ ორგანიზებული ბოლო სამეცნიერო თავყრილობა — “არქეოლოგია XXI საუკუნეში: მემკვიდრეობა და პერსპექტივები” –2002 წ. თუკი, ჩვენს თანამედროვეობაში ვინმეს ეკუთვნის პოეტის სიტყვები “Нет, весь я не умру ...” ეს ბატონი ოთარია, ვინაიდან წინამორბედთაგან ჩაბარებული და მის მიერ გაძლიერებული საქმე საფუძველია შთამომავლებისათვის წარმატებით განაგრძონ და განავითარონ ქვეყნის მატერიალური კულტურის კვლევა.

სადღეისოდ ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი შესულია ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში, რომელიც აგრძელებს მუშაობის ძველ სტილს — ანახლებს, სრულჰყოფს და აფართოებს სამუშაოებს; უპირველესი ამოცანაა მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებთან და მუზეუმებთან მუშაობის ინტეგრაცია და კოორდინაცია. ჩვენი ნაშრომის ფორმატი არ იძლება საშუალებას მთლიანად წარმოვაჩინოთ მუზეუმში მიმდინარე რეფორმები, ის სპეციალური განხილვის საკითხია.



## ლიტერატურა:

**აბულაშვილი თ., ახვლედიანი დ., გურული ვ. 2010:** საქართველოს სახელ. მუზეუმში 1934 და 1941 წწ. მონყობილი არქეოლოგიური გამოფენები. – კრ. კულტურულ-საისტორიო ძიებანი, მიძღვნილი გურამ ლორთქიფანიძის სამეცნ. მოღვაწეობის 50 წ-დმი, თბ, გვ. 253-270.

**აფაქიძე ან., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი ნ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ოთ., ხოშტარია ნ. 1959:** საქართველოს არქეოლოგია, თბ.

**ბაქრაძე დ. 1987:** არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში, ბათუმი.

**გამყრელიძე, გ. 1991:** საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, წიგნი — *საქართველოს არქეოლოგია* (რვა ტომად), ტ. I, საქ. მეცნ. აკად. გამომც. "მეცნიერება", თბ., გვ.12-45.

**გამყრელიძე, გ. 2009:** ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, თბილისი.

**თაყაიშვილი, ექ. 1968:** რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ.

**მუზეუმის მიერ მონყობილი უმნიშვნელოვანესი გამოფენები (1855-2002 წწ.) 2002:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, № 44, თბ., გვ. 12-13.

**ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომების სია, 2001:** ძიებანი, დამატებანი IV, ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები, თბ., გვ. 8-20.

**ყაზახიშვილი ლ. 2007:** რუსეთის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობის შესწავლისათვის. – კრ. საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები, თბილისი, გვ. 237-249.

**ჩარკვიანი მ. 2006:** ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში - არქეოლოგიური კრებული, V, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 63-71.

**ჭილაშვილი ლ. 1984:** მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები თბ.

**Gamkrelidze, G. 2010:** The Development Archaeology in Georgia, *Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasian Pipelines*, Tb., pp.15-51. (in English).



### **მარგო ლორთქიფანიძე**

გლიჯტიკის შესწავლის ფუძემდებელი საქართველოში

მარგო (მარგარიტა) ლორთქიფანიძის სახელს უკავშირდება საქართველოში გლიჯტიკური მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება; ის სრულიად სამართლიანად ითვლება ამ საკმარის რთული მეცნიერული დარგის ფუძემდებლად. მარგო ლორთქიფანიძე მეცნიერთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოში მეოცე საუკუნის შუახანებიდან არქეოლოგიური კვლევა-ძიების აღორძინებასა და წინსვლაში, განხორციელებული, ძირითადად, მცხეთის არქეოლოგიური გათხრებითა და დიდი აღმოჩენებით.

ქალბატონი მარგო ლორთქიფანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეპოქის ბეჭედი აზის თავისი სირთულეებით, უსამართლობით. დაიბადა 1921 წლის 13 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში. დედა იყო შესანიშნავი ქალბატონი – დარბაისელი, განათლებული, ფალავანდიშვილების გვარის ღირსეული წარმომადგენელი. მამა — ცნობილი მეცნიერი (გეოგრაფი), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე — ულმობელი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ბავშვობა ქალბატონმა მარგომ ბათუმში გაატარა. იქვე 1938 წელს

დაამთავრა საშუალო სკოლა. მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა განსაკუთრებული სითბო და სიყვარული ამ ქალაქის მიმართ, რომელიც ყოველთვის იყო ერთ-ერთი მონინავე კულტურული კერა. სტუდენტობა დაემთხვა მეტად მძიმე დროს — რეპრესიებისა და ომის წლებს. დედა-შვილმა, ნათესავ-მეგობრების თანადგომით, ღირსეულად გაართვა თავი სიძნელეებს; ტრადიციულმა, სტუმართმოყვარე ოჯახმა არ დაკარგა თავის სახე არც გასაჭირის ჟამს და არც შედარებით მშვიდობიან პერიოდში.

1942 წლის ნოემბერში მარგო ლორთქიფანიძემ დაასრულა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის განყოფილებაზე — სპეციალობით ფრანგული ენა და ლიტერატურა. 1943 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. პირველ ხანებში ის აწარმოებდა მუზეუმში შემოსული ექსპონატების აღწერა-რეგისტრაციას. 1944 წელს — გადაყვანილი იყო ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებაში და ამ დროიდან ქალბატონი მარგო

ინყებს გლიპტიკური ძეგლების შესწავლას. 1946 წლის მარტში ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებაში შეიქმნა „საქართველოს მუზეუმის სფრაგისტიკისა და გლიპტიკის კაბინეტი“. 1948 წელს მარგო ლორთქიფანიძე დაინიშნა კაბინეტის სწავლულ მცველად.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სამსახური (1943 წლის ოქტომბერი — 1960 წლის დეკემბერი) ქალბატონი მარგო ლორთქიფანიძის მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია. მან უდიდესი წვლილი შეიტანა გლიპტიკის კაბინეტის ჩამოყალიბებაში; შეაგროვა, მოაწესრიგა და სისტემაში მოიყვანა მუზეუმში დაცული ყველა გლიპტიკური ძეგლი; მოახდინა მათი ინვენტარიზაცია, შეადგინა საკატალოგო ბარათები... ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემების კატალოგის გამოცემის სერიას: გამოიცა I და II ტომები (1954 და 1958 წწ.) და გამოსაცემად მომზადდა III და IV ტომები (გამოიცა მოგვიანებით — 1961 და 1967 წლებში). ეს იყო დიდი მიღწევა საქართველოში გლიპტიკის, როგორც მეცნიერების, განვითარების საქმეში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტი შემდგომ პერიოდშიც წარმატებით ახორციელებდა თავის საქმიანობას ქალბატონ ქეთევან ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც (ამჟამად: ეროვნული სახელმწიფო მუზეუმის — ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის გლიპტიკის ფონდი).

1945-1948 წლებში ქალბატონი მარგო ლორთქიფანიძე მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ წარმოებული მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში (1945-1946 წწ. — არმაზისხევის რაზმი, 1947-1948 წწ. — სამთავროს რაზმი) და სწორედ მცხეთის ექსპედიციებში მიიღო მან საფუძვლიანი საველე გამოცდილება.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის პერიოდში მარგო ლორთქიფანიძე სისტემატურად მეცადინეობდა გლიპტიკაში პროფ. მარია მაქსიმოვასთან (ლენინგრადი

— ამჟამად სანკტ-პეტერბურგი, სახელმწიფო ერმიტაჟი). ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგში) ხანგრძლივი მივლინებების დროს (1949-1953 წწ.) სწავლობდა, აგრეთვე, ცნობილ სპეციალისტებთან: ანტიკური ქვეყნებისა და ანტიკურ ეპოქაში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ხელოვნების ისტორიას (პროფ. ა. ივანოვა), ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიას (პროფ. ვ. გაიდუკევიჩი), ბერძნულ-რომაული ვაზების მხატვრობასა და სკულპტურას (პროფ. ა. პერედოლსკაია). პედაგოგები განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქალბატონ მარგო ლორთქიფანიძის საქმიანობას. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია დიდი მეცნიერისა და პედაგოგის — მარია მაქსიმოვას დახასიათება, დათარიღებული 1958 წლის 12 ნოემბრით: С первых шагов своей самостоятельной научной деятельности М.Н. Лордкипанидзе заинтересовалась резными камнями. Мне уже тогда было ясно, что из М.Н. Лордкипанидзе может получиться незаурядный специалист по истории глиптики. У нее налицо были все необходимые для этого данные: острый глаз, художественное чутье, интерес к предмету и большая энергия и упорство в работе. Ожидания мои полностью подтвердились. В настоящее время, по моему мнению, следует считать М.Н. Лордкипанидзе выдающимся знатоком резных камней, способным не только оценить и определить любой памятник (что очень важно в музейной практике), но и использовать, при углубленном ее изучении, любую древнюю гемму как исторический источник. Говорить подробно о М.Н. Лордкипанидзе, как о выдающемся специалисте по геммам, считаю излишним, поскольку лучше всяких слов об этом свидетельствуют две вышедшие в свет ее книги... (მხედველობაშია კატალოგების ორი პირველი ტომი).

მისი ყოფილი მასწავლებლები და კოლეგები ქალბატონ მარგო ლორთქიფანიძეს აღიარებდნენ უმაღლესი რანგის სპეციალისტად და განსაკუთრებული პატივისცე-

მითა და ამავე დროს ერთგვარი მორიდებით მოიხსენიებდნენ მის სახელს. ქალბატონ მარგოს ბევრ ცნობილ მეცნიერთან ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა, მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ აკად. ბ. პიოტროვსკი და მისი მეუღლე, ქ. გორბუნოვა, ა. პერედოლსკაია, ნ. გრაჩი და ბევრი სხვა. ისინი დიდად აფასებდნენ და უფრთხილდებოდნენ ამ მეგობრულ ურთიერთობას, მათივე განსაზღვრებით, უდიდეს მეცნიერთან და მეტად ფაქიზ და საინტერესო პიროვნებასთან.

1954 წლის იანვარში ქალბატონმა მარგო ლორთქიფანიძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე — „არმაზის ხევისა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები“ (რომელიც გამოცემული იყო წიგნად — გემების კატალოგი, ტ. II) და მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. სადისერტაციო ნაშრომმა დიდი მონონება დაიმსახურა (ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი იყო აკად. ოთ. ჯაფარიძე). მიღებული იყო დადებითი გამოხმაურებები და უმაღლესი შეფასებები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან (პროფ. ვ. პავლოვი, ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. როზანოვა, პროფ. მ. მაქსიმოვა). ნ. როზანოვას სიტყვებით, მარგარიტა ლორთქიფანიძე არის პიონერი ქართული გლიპტიკის სამეცნიერო ნაშრომის, ამავე დროს — მუზეუმის გემების კატალოგის, და, საერთოდ, სამუზეუმო კატალოგების გამოცემის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იბერიის ადგილობრივი სახელოსნოების გამოყოფის მნიშვნელობაზე.

1961 წლის იანვრიდან იწყება მეორე ეტაპი მარგო ლორთქიფანიძის მოღვაწეობაში. ის გადადის სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ანტიკური და ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 1973 წლის 11 იანვრიდან — ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პალეოურბანისტული კვლევის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ თანამშრომელია, ხოლო არქე-

ოლოგიური კვლევის ცენტრის დაარსებიდან — 1977 წლიდან — ცენტრის პალეოურბანისტული კვლევის ლაბორატორიის თანამშრომელი; 1986 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — კოლხეთისა და პალეოურბანისტული კვლევის სექტორის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ისტორიის ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ქალბატონ მარგოს მრავალწლიანი მოღვაწეობა ასევე ნაყოფიერი გამოდგა და ახალი მეცნიერული მიღწევებით აღინიშნა. ის ჩვეულებრივად შემართებით, საქმის ერთგულებითა და დიდი პასუხისმგებლობით იკვლევდა და გამოსაქვეყნებლად ამზადებდა ჯერ ინსტიტუტის, ხოლო შემდგომ — არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ექსპედიციების გლიპტიკურ მონაპოვარს. ამ პერიოდში მომზადდა და გამოქვეყნდა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები: მონოგრაფიები — ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. ტ. I (1969 წ.); კოლხეთის ძვ.წ. V—III სს. საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი) (1975 წ.); უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან (1981 წ.); სტატიები — გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული საბეჭდავების იბერიული პირები—ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები (1963 წ.); წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები №6 სამარხიდან (1976 წ.); არაქული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან (1976 წ.); გლიპტიკური ნახელავი (1983 წ.); გლიპტიკის შედეგები (ფრანგულ ენაზე, 1984 წ) და სხვა.

ამ გამოკვლევათა ძირითადი შედეგები გატანილი იყო საერთაშორისო კონგრესებზე და დაიბეჭდა სტატიების სახით, რამაც დიდი აღიარება მოუტანა მეცნიერს. ქალბატონ მარგო ლორთქიფანიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული ანტიკურობის მკვლევართა „ირენე“-ს საერთაშორისო კონგრესების — X (1967 წ. გერმანია, გერლიცი), XII (1971 წ. რუმინეთი, ქ. კლუჟი), XIII (1974 წ. იუგოსლავია, ქ. დუბროვნიკი), XVI (1982 წ. ჩეხოსლოვაკია,

ქ. პრალა) — მუშაობაში; აგრეთვე, კლასიკური ძიებების საერთაშორისო ფედერაციის ასოციაციების (ე.წ. IEC) საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში (1979 წ. უნგრეთი, ქ. ბუდაპეშტი).

ქალბატონი მარგო ლორთქიფანიძე ავტორია 50-მდე სამეცნიერო ნაშრომისა. აქედან შვიდი — მონოგრაფიაა. მარგო ლორთქიფანიძის ყველა ნაშრომი ხასიათდება ფართო ისტორიული ხედვითა და განზოგადობებით. მისი მხატვრულ-სტილისტური ანალიზი შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს და ბევრ მეცნიერს უწევს დიდ სამსახურს. ეს ნაშრომები გამოირჩევა ხელოვნების ისტორიის, მითოლოგიის, იკონოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკისა და სხვა მეცნიერული დისციპლინების ღრმა ცოდნით. ქალბატონმა მარგომ დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე გლიპტიკური ქართული ტერმინოლოგიის დადგენაში.

ადრეულ ნაშრომებშივე უკვე აშკარად გამოიკვეთა ავტორის მაღალი მეცნიერული დონე, გლიპტიკური ძეგლების კვლევის სპეციფიკური, შეიძლება ითქვას, იმ დროისთვის — ნოვატორული მეთოდიკა.

პირველი სტატია ქალბატონმა მარგო ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 1950 წელს საქართველოს მუზეუმის მოამბეში (ტ. XVI-B), სახელწოდებით „ანტიკური დროის გემები მცხეთაში აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან“. ნაშრომში განხილულია მცხეთაში აღ. კალანდაძის მიერ (და ავტორის მონაწილეობით) 1947 წელს გათხრილ კრამიტსამარხში მოპოვებული კამეები და ინტალიო, რომელიც ავტორმა სტილისა და შესრულების ტექნიკის ანალიზის საფუძველზე ძვ.წ. I და ახ.წ. I სს-ებით დაათარილა და განსაზღვრა მათი წარმომავლობა.

მეორე სტატია დაიბეჭდა 1953 წელს, ასევე მუზეუმის მოამბეში (ტ. XVII-), სახელწოდებით „ქვის მჭრელი პლატონის ნახელავი ახ.წ. III საუკუნისა“. ავტორმა განსაზღვრა გამოსახულება ალექსანდრე მაკედონელის იდეალიზებულ პორტრეტად, ხოლო გემაზე

ამოკვეთილი წარწერა — ბერძენი ოსტატის სახელად, რომელიც მოღვაწეობდა ახ.წ. III ს-ში რომელიმე ადგილობრივ სახელოსნოში.

ქ-ნ მარგო ლორთქიფანიძის შვიდი მონოგრაფიიდან ოთხი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემების კატალოგს (ტ. I - IV). I ტომში წარმოადგენილია სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემები (გამოიცა 1954 წ.); II ტომში - არმაზისხევისა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები (1958 წ.); III ტომში — საქართველოს ტერიტორიაზე (ახალგორი, ახმეტა, ბოლნისი, ბორი, წილკანი, ყოლოთო...) - მოპოვებული გლიპტიკური ძეგლები (1961 წ.); IV ტომში — კერძო პირთაგან შექმნილი კოლექციები და შემთხვევით შემოსული გემები (1967 წ.).

კატალოგების გამოცემას და, საერთოდ, ამ სერიის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში გლიპტიკური ძეგლების სისტემურ კვლევასა და მათ მთლიანობაში გააზრების საქმეს. ქალბატონი მარგოს ნაშრომების შემდეგ გამოცემულია V ტომი ქალბატონი ქეთევან ჯავახიშვილის ავტორობით და, იმედია, ეს სერია მომავალშიც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება.

ქალბატონი მარგო ლორთქიფანიძის ნაშრომებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება მონოგრაფიას — „ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. ტ. I“, რომელიც გამოქვეყნდა 1969 წელს. ნაშრომში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ადგილობრივი წარმოშობის გლიპტიკური ძეგლები ძვ.წ. XIV ს. — ახ.წ. IV ს. ჩათვლით. ესაა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელსაც უდიდესი როლი ენიჭება რთული ისტორიული პრობლემების დამუშავებისას.

მარია მაქსიმოვას ქალბატონ მარგოსადმი გამოგზავნილ პირადი წერილიდან (დათარიღებულია 1969 წლის 4 ოქტომბრით): «*Два дня тому назад я получила ваш новый опус и сразу-же оставила в стороне все другие*

свои занятия и постаралась по мере сил и возможностей освоить Вашу книгу. Первым моим впечатлением было удивление, т.к. я не подозревала какой большой, сложный и ответственный труд Вы на себя взяли. Вами задумана и осуществлена очень большая научная работа, к тому-же взятая в целом, совершенно новая. Уже за одно это мне хочется от души Вас поздравить с крупным научным достижением. Думаю, что после завершения всей своей задачи, Вы будете иметь полное право на признание больших Ваших заслуг, как крупного ученого. Итак, радуюсь за Вас, крепко обнимаю и от души желаю Вашему труду большого успеха».

ქალბატონი მარგო ლორთქიფანიძის შემდეგი მონოგრაფია გამოვიდა 1975 წელს; სახელწოდებით: „კოლხეთის ძვ.წ. V-III სს, საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი)“. ავტორმა ეს წიგნი მიუძღვნა მირანდა ფალავანდიშვილისა და თამარ გამსახურდიას ნათელ ხსოვნას. ნაშრომში განხილულია ძველი კოლხეთის გლიპტიკური ძეგლები; გამოყოფილია სხვადასხვა დანიშნულების საბეჭდავები. ავტორმა დაადგინა, რომ კოლხეთში, ძვ.წ. VII ს. ბოლო წლებიდან — ძვ.წ. III ს. ჩათვლით, ძირითადად გავრცელებული იყო ბერძნულ სახელოსნოებში ნაკეთები ლითონის ბეჭდები და, ამასთანავე, თანაარსებობდა ადგილობრივ, კოლხურ სახელოსნოებში ნაკვეთი ინტალიობეჭდები. ამ დასკვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მონოგრაფიამ დიდი გამოხმაურება პოვა ფართო მეცნიერულ წრეებში. 1977 წელს მას მიენიჭა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პრემია.

რიგით მეშვიდე მონოგრაფია „უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან (ძვ.წ. V – I სს)“ გამოქვეყნდა 1981 წელს. ნაშრომი, როგორც ჩვეულებრივ, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. ავტორმა დაადგინა, რომ იბერიაში ძვ.წ. V-III სს.-ში ძირითადად ადგილობრივი საბეჭდავი-ბეჭდებია გავრცელებული, რომელთა შორის

გამოიყოფა სხვადასხვა მიმდინარეობებისა და სკოლების გავლენით შექმნილი ძეგლები. მისი ვარაუდით, ძვ.წ. V ს.-ში აღმ. საქართველოში (შიდა ქართლში) დაარსებულია სპეციალური სახელოსნო.

ქ-ნ მარგო ლორთქიფანიძის თითოეული მონოგრაფია თუ სტატია, გარდა დიდი ცოდნისა და ნიჭიერებისა, დაულალავი შრომის შედეგია. მრავალ ღირსებასთან ერთად ქალბატონი მარგო ფლობდა ერთ მეტად მნიშვნელოვან თვისებას — თავდადებული შრომის უნარს. ის შრომობდა მუდამ, მაშინაც კი, როდესაც ოჯახური მდგომარეობა — დედის ავადმყოფობა — ან საკუთარი ჯანმრთელობა ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. შრომობდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, სიყვარულით. ყოველი მისი გეგმური, ე.წ. წლიური თემა იყო დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, ფაქტობრივად გამზადებული პუბლიკაციისათვის. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღემდე გამოუქვეყნებელია, ისევე, როგორც მისი უკანასკნელი ნაშრომი „ძველი საქართველოს წარჩინებულ პირთა პორტრეტები გემებზე და მათი უფლებრივი საბეჭდავები“, შესრულებული განსაკუთრებული რუდუნებითა და სიფაქიზით.

მარგო (მარგარიტა) ლორთქიფანიძე 1997 წლის 19 მაისს გარდაიცვალა. მან ღრმა კვალი დატოვა გლიპტიკური ძეგლების შესწავლის საქმეში და, საერთოდ, ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

*კოლეგების სახელით — ანა ჭყონია*

## მარბო ლორთქიფანიძის კირითაღი შრომების სია

### წიგნები:

- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემების კატალოგი, ტ. I. სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემები (1940-41 და 1946-48 წლები), თბ., 1954.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემების კატალოგი, ტ. II. არმაზის ხევისა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1958.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემების კატალოგი, ტ. III. საქართველოში (ახალგორი, ახმეტა, ბოლნისი...) — მოპოვებული გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1961.
- საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემების კატალოგი, ტ. IV. კერძო პირთაგან შეძენილი კოლექციები და შემთხვევით შემოსული გემები, თბ., 1967.
- ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. ტ. I, თბ., 1969.
- კოლხეთის ძვ.წ. V—III სს. საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი), თბ., 1975.
- უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან, თბ., 1981.
- ლა ქვეები ვანიდან. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი. თბ., 1973.
- წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები № 6 სამარხიდან. კრებ. ვანი II, 1976.
- არაქული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან. კრებ. ვანი II, 1976.
- გლიპტიკური ნახელავი (იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში). კრებ. ვანი VII, თბ., 1983.
- La Gliptique de la Géorgie. Ancienne (Congres locales. XIV S. an.n. ère – IV S. de n. ère). –“Eirene” IX, Studia Graeca et Latina Academia Red. Praha, 1971.
- Архаические и «архаизирование» перстни-печати из Вани (Résumés des Communications). XII-e Conférence Internationale du Comité “Eirene” (Société des Etudes classique de Roumanie), Cluj, 1972.
- Колхидские перстни-печати V-III вв. до н.э. и взаимоотношения с греческими мастерскими (Résumés des Communications). XIII-e Congrès International du Comité “Eirene”, Dubrovnic, 1974.
- Les Bagnes-Cachets dès Ve-IIIe ss. an.n. è. de la Cochide la question des rapports avec les ateliers grecs. Antiquité vivante. Skoplje, 1975.
- Памятники позднеантичной глиптики в Иберии (по новым археологическим данным). XIV международная конференция античников социалистических стран “Eirene”, тезисы докладов. Ереван, 1976.
- Les monuments de la glyptique de l’ancienne Iberie (Bagnes-Cachets dès Ve-IIIe ss. an.n. è. Oluvres locale). XVI-e Congrès International du Comité “Eirene”, Praha, 1982.
- Chefs-d’Ouvre de la Glyptique. Histoire et archéology (Au pays de la toison d’or), 1984.

### სტატიები:

- ანტიკური დროის გემები მცხეთაში აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, 1950.
- ქვის მჭრელი პლატონის ნახელავი ახ.წ. III ს. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, 1953.
- გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული საბეჭდავების იბერიული პირები — ლურჯი მინის მრავალნახნაგა საბეჭდავები. მოამბე, № 6, 1963.
- ძვ.წ. VI-IV სს. საბეჭდავი-ბეჭდები და ჭრი-



## ვახტანგ ნიკოლაიშვილი 75 წლისაა

2013 წლის 2 ივნისს ქართველ არქეოლოგ-სა და ყველასთვის საყვარელ პიროვნებას, ბატონ ვახტანგ ნიკოლაიშვილის 75 წელი შეუსრულდა.

ვახტანგ (ვლადიმერ) ნიკოლაიშვილი დაიბადა 1938 წელს ქ. ლაგოდეხში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, 1963 წელს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1968 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1977 წლიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ, ბატონ ვახტანგის მოღვაწეობა დაკავშირებულია ამ ორგანიზაციასთან. 1982 წლიდან იგი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 1997 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე ”კარსნისხევის მეთუნეხელოსანთა დასახლება“.

ვახტანგ ნიკოლაიშვილი უაღრესად აქტიური და საქმიანი მონაწილეა მრავალი არქეოლოგიური ექსპედიციისა; 1964 წლიდან მონაწილეობას იღებს ჯერ ისტორიის ინსტი-

ტუტის, შემდეგ კი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციებში, ეს იყო ალგეთის, ენგურის, ფოთის, არუხლოს, ახალქალაქის, ბიჭვინთის, დიღმის და მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციები.

1977-1997 წლებში ბატონი ვახტანგი მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის (1994 წლიდან მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის) ხელმძღვანელის მოადგილესავე და სამეცნიერო მუშაობის დარგში. ის წარმატებით ხელმძღვანელობდა ამ ექსპედიციის სხვადასხვა დამოუკიდებელი რაზმის საველე საქმიანობას და თვითონაც უძღვებოდა გათხრებს ისეთ უმნიშვნელოვანეს უბნებზე, როგორცაა კარსნისხევის მეთუნეთა დასახლება და წილკნის, შეიძლება ითქვას, უნიკალური განსასვენებელი.

ბატონი ვახტანგის არქეოლოგიური კვლევის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

მოხდა სტრაბონის ცნობის იდენტიფიკაცია ღართისკარ-არაგვის გზის ბოლოს არსებულ მიუდგომელ სიმაგრესთან. ქალაქგემარების ამსახველი ნამოსახლარის ნიმუშები



გამოვლინდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე. დადასტურდა ქუჩები და მის ორივე მხარეს განლაგებული კვარტლები (ახ.წ. III-VI სს.). როგორც ჩანს, რეგულარული გეგმარების მქონე ქალაქის ცენტრალური ნაწილი - აკროპოლისი შემოსაზღვრული იყო გალავნით, რომელიც ქვის საფუძველზე ალიზით იყო ნაგები.

არმაზციხეზე უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, ქართლის დიდი მეფე ამაზასპი უნდა იყოს ქართული წყაროების ამაზასპ II, რომლის სახელი აისახა ირანის შაჰინშაჰ შაპურ I-ის(242-272წწ.) პერსეპოლისთან აღმოჩენილ წარწერაში - ე.წ. მაზდას ქააბზე. აღნიშნული წარწერა აზუსტებს ქართლის მეფის ამაზასპ II-ის ზეობის ხანას III საუკუნის შუა ხანებით. არმაზციხე-ბაგინეთზე ბოლო წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ გაცხოველებულ კონტაქტებზე, რომელიც ჰქონდა ქართლის სამეფოს (იბერიას) ანტიკური ცივილიზაციის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი რომის ძლიერ სახელმწიფოსთან.

დადასტურდა წინაანტიკური და ანტიკური ხანის ძეგლების ქრონოლოგიური კავშირის მაგალითები: სამთავროზე, კამარახევსა და ნარეკვავზე აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით, რომელიც აისახა დაკრძალვის წესში - სარეცელზე დაკრძალვა, ინვენტარში — სამკაულის მსგავსება. ბოლო წლებში გამოვლენილ ანტიკური ხანის სამაროვნებზე (ძვ.წ. IV-III სს.) დადასტურდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამარხები: მეთუნის სამარხი (ნატახტარი, კამარახევი), მეომრის სამარხები, კულტმსახურის სამარხი (იგივე სამაროვნებზე), სამეფო კარის მწერალ-მდივანბგის სამარხი სვეტიცხოვლის ეზოში (ახ.წ. III ს.). ამ სამარხ-აკლდამაში გამოვლინდა ვერცხლის სანერი ხელსაწყო - სამი კალამ-კალმისტრითა და ოქროს სამელნიო. ხელსაწყოზე გამოსახულნი არიან: ჰომეროსი, მენანდრე, დემოსთენე და ცხრა მუზა სათანადო ბერძნული წარწერებით. მცხეთაში ადრე

აღმოჩენილ სტილოსებთან და სამელნებთან ერთად ეს აღმოჩენა ქართლის(იბერიის) სამეფო კარზე მნიგნობრობის დანიშნულებასთან ერთად ქალაქური კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ მეფის ოჯახის განსასვენებელი სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზეც. ამაზე უნდა მეტყველებდეს ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში (ახ.წ. III ს.) დადასტურებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ოქრო-ვერცხლის ნივთებთან ერთად აღმოჩენილი წარწერა: „თირიდატი უფლისწული (ეს ლანგარი) მისი საკუთარია“. ამ სამარხ-აკლდამაში აღმოჩენილი ოქრომჭედლობისა და ტორევეტიკის ძეგლები მნიშვნელოვანია არა მარტო ქართლის (ბერძნულ-რომაული წყაროების იბერიის) მატერი-ალური კულტურის ისტორიისათვის, არამედ ზოგადად, ანტიკური კულტურის ისტორიის შესწავლისთვისაც პირველხარისხოვან მასალას წარმოადგენს. სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში - გორანამოსახლარის ძირზე აღმოჩნდა ძვ.წ. I - ახ.წ. I სს-ის ტაძრის (ნამოსახლარის) ნაშთები, რაც მტკვრისა და არაგვის ხერთვისში ამ დროისათვის არსებული დასახლების მაჩვენებელია და მიუთითებს იქ დიდი რაოდენობით გამოვლენილი სამარხების სინქრონული დასახლების არსებობაზე.

ქართლის (იბერიის) სამეფოში ებრაელთა დიასპორას არსებობას ადასტურებენ როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური მონაცემები. წარწერების შინაარსიდან და ზოგ შემთხვევაში არქეოლოგიური კონტექსტიდან ირკვევა, მათი პატრონები სოციალურად დანიშნულებული ფენის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ (სასულიერო პირი, მოხელე, ვაჭარი).

ახალი არქეოლოგიური და ძველი მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა ისტორიული დიდი მცხეთის გამაგრებული სისტემით შემოსაზღვრული ტერიტორია: ღართისკარი, სავანეთის ქედი, გრძელი მინდორი, ციხე-დიდისხევი, კაციტავანა, არმაზციხე, დევის

ნამუხლი, ავჭალისკარი, წინამური. იგი ჩაენ-  
ერა „დიდი მცხეთის“ ცნობილ გეოგრაფი-  
ულ საზღვრებში: აღმოსავლეთით ზაჰესის  
თანამედროვე დასახლება, დასავლეთით  
— ძეგვი, ხეკორძულას ხევი და ნასტაკისი,  
ჩრდილოეთით მუხრანის სანახები, სამხრეთ-  
ით — სანკეპელა-დიდგორის ქედი.

2008-2010 წლებში ბატონი ვახტანგი  
საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეგიდით  
მონყობილი საქართველო-ავსტრალიის ერ-  
თობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარებუ-  
ლი სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცი-  
ის ხელმძღვანელია; ხოლო 2011 წლიდან იგი  
ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული  
მუზეუმის არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლო-  
გიურ ექსპედიციას.

ვახტანგ ნიკოლაიშვილს დიდი წვლილი  
აქვს შეტანილი მრავალტომეული კრებულის  
- "მცხეთა" - გამოსაქვეყნებლად მომზადება-  
ში. იგი არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის  
ავტორი და თანაავტორი, რომლებშიც ძირი-  
თადად ასახულია წინაანტიკური, ანტიკური  
და ადრე შუასაუკუნეების ხანის ისტორიული  
დიდი მცხეთის (დედაქალაქობის პერიოდის  
მცხეთისა და მისი შემოგარენის) ისტორია.

ბატონი ვახტანგი გულითადი მრჩეველი  
და ხელმძღვანელია უმცროსი თაობის ახალ-  
გაზრდა არქეოლოგებისათვის, ავტორიტეტ-  
ული სპეციალისტია და სარგებლობს კო-  
ლეგების დიდი პატივისცემით. მისი მეცნიერ-  
ული ინტერესი, განათლება, სიბეჯითე და  
დაუღალავი ენერჯია ქართული არქეოლოგი-  
ის სამსახურში დიდად ნაყოფიერი გამოდგა.  
ვუსურვებთ ახალ წარმატებებს.

*კოლეგები და ჟურნალის  
სარედაქციო საბჭო*

## **ვახტანგ ნიკოლაიშვილის ძირითადი ნაშრომების სია:**

### **წიგნები:**

- კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლე-  
ბა, თბილისი, 1993.
- ნარეკვავის სამაროვანი, მცხეთა 1998. ნარეკ-  
ვავი I, თბილისი, 1999 (თანაავტორი).
- ნარეკვავის სამაროვანი, მცხეთა 1999. ნარეკ-  
ვავი II, 2000 (თანაავტორი).
- მცხეთის ძველი („პომპეუსის“) ხიდი. თბილი-  
სი, 2001 (თანაავტორი).
- ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები, თბი-  
ლისი, 2007(თანაავტორი).
- ბებრისციხე — ბელტისციხე, თბილისი, 2009  
(თანაავტორი).
- არმაზციხე — ქართლის სამეფო რეზიდენცია,  
თბილისი, 2011.

### **სტატიები:**

- დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში,  
საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III,  
თბ., 1985.
- ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები  
ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე,  
„ძეგლის მეგობარი“, №4, 1987.
- ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ  
აღმოჩენათა შუქზე (პრეპრინტი), თბ., 1990.
- An aristokratik tomb of the roman period from  
Mtskheta, Georgia. - The Antiquaries jurnal, Being  
the Societe of Antiquaries of London. 1994, vol-  
ume LXXI (co-author A. Apakidze).
- Grave goods with Christian symbols from the  
Greatest Mtskheta semeteri, - Internacional Sum-  
pozium\_ Christianiti: Past,Prezent,Future, Tbilisi,  
2000 (co-author G. Manjgaladze).
- Памятники протогородской цивилизации из  
Мцхета, - Международная научная конференция  
археологии и этнологии Кавказа, Баку, 2000  
(соавт. А. Апакидзе, Г. Гиунашвили).
- A rich burial from Mtskheta (Caucasian Iberia).  
Ancient West and East, volume 3,N1, Brill, Leiden-  
Boston, 2004 (co-authors Apakidze A.).

- დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია. იბერია-კოლხეთი (საქართველოს ანტიკური პერიოდის
- არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული) , №2, თბილისი, 2005.
- ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ებრაელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამადასტურებელი წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები. - დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, IV, თბ., 2006.
- Историческая топография стольного города Картли – Иберии «Мцхета Великой» в свете новых открытии, - Международная научная конференция археологии и этнологии Кавказа, Ереван, 2003.
- «Алан-Бакур» из древней Иберии. - Российская Археология, #4, Мос., 2010 (соавт. Балахванцев А.).
- О проникновении христианской религии на территорию «Мцхета Великой», - Международная научная конференция археологии и этнологии Кавказа, Тбилиси, 2007.
- ქალაქი მცხეთა ახ.წ. III-VI სს-ში, კავკასიის მაცნე (სპეციალური გამოცემა 3).
- The Archaeological Context of the Hebrew Inscriptions Discovered in Eastern Georgia, ჟურ. იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), № 5, თბ., 2009.
- სხალთის ნამოსახლარი და სამაროვანი. - ბაქო-თბილისი –ჯეიჰანი— სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 2010 (თანაავტ.).
- Tsilkani Erly Vault, ჟურ. იბერია-კოლხეთი, (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი) , №7, თბ., 2011.
- მცხეთის შემოგარენში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბრძოლო საპარადო ცული. - ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, 2011, თბ. ( თანაავტ.)
- არმაზციხე-ბაგინეთი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, "ძველი ხელოვნება დღეს", თბ., 04\2013.



**მაიკლ ვიკერსისადმი (MICHAEL VICKERS)**

**მიძღვნილი საერთაშორისო არქეოლოგიური კონფერენცია**

ამა წლის 5 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილ ბრიტანელ არქეოლოგს, პროფესორ მაიკლ ვიკერსს.

ბ-ნ მაიკლ ვიკერსმა 1964 წელს დაამთავრა ჩრდილოეთ უელსის უნივერსიტეტის კლასიკური ფაკულტეტი, 1965 წელს კი მიიღო დიპლომი კლასიკურ არქეოლოგიაში კემბრიჯის კორპუს კრისტის კოლეჯიდან. 1999 წელს მან მიიღო დოქტორის დიპლომი უელსის უნივერსიტეტში. 1971-2000 წელს მუშაობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში დოქტორის სტატუსით, სადაც 2000 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის სპეციალური რეზოლუციით მიენიჭა არქეოლოგიის პროფესორის წოდება. 2011 წლიდან მაიკლ ვიკერსი არის ოქსფორდის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი და ჯეზუს კოლეჯის ხარისხების მინიჭების დეკანი.

მაიკლ ვიკერსის კვლევის სფერო მეტად ფართოა, მოიცავს ბერძნულ-რომაული და

ბიზანტიური სამყაროს არქეოლოგიას, ისტორიასა და ლიტერატურას. იგი წლების მანძილზე აშშ-ის მუზეუმის (ოქსფორდი) ბერძნულ-რომაული სიძველეების კურატორი იყო. ამასთანავე, ის ლექციების კურსს კითხულობდა ბოულდერის, ოსტინის, პრინსტონის, კატანიის, დუბლინის, ბენგაზის უნივერსიტეტებში. მას რეგულარულად ინვევენ ამერიკისა და ევროპის მრავალ ქალაქში მოხსენებების წასაკითხად, ასევე აქტიურად მონაწილეობს კონფერენციებში კლასიკურ არქეოლოგიასა და ლიტერატურაში.

მაიკლ ვიკერსი არის გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი (1978), ანტიკვართა საზოგადოების (1978) და ხელოვნების სამეფო საზოგადოების წევრი (1993), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის საპატიო წევრი (1995), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი *honoriscausa*, ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრი (2009). 2005-2010 წლებში

მაიკლ ვიკერსი „საქართველოში სამეცნიერო კვლევის მეგობართა საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო, რომლის ინიციატივითაც აშშ-ის მუზეუმში ჩატარდა საქართველოს არქეოლოგიისადმი მიძღვნილი დღე ქართველი და ინგლისელი არქეოლოგების მონაწილეობით.

მაიკლ ვიკერსს დიდი ხნის მეგობრული და პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს საქართველოსთან. პირველად იგი საქართველოში 1994 წელს ჩამოვიდა ბრიტანეთის აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შორის არსებული გაცვლითი პროგრამით. მაშინ თბილისში კომენდანტის საათი ჯერ კიდევ ძალაში იყო, არ არსებობდა კომუნიკაციები, მხოლოდ ერთი ჩარტერული თვითმფრინავი აკავშირებდა ჩაბნელებულ თბილისს ევროპასთან. მაგრამ ბატონი მაიკლის ცნობისმოყვარეობამ გადასძლია: იგი დაინტერესებულია ბერძნულ-რომაული სამყაროს მატერიალური ღირებულებების და ფუფუნების საგნების კვლევით. მისი თეორიის მიხედვით, ბერძნული შავი და წითელფიურიანი კერამიკის ფორმები და დეკორაცია არის მინაბადი ძველი ბერძნების ყოფაში არსებულ და ჩვენამდე არ მოღწეულ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლისა. საქართველოში საბერძნეთისგან განსხვავებით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია კარგად დათარიღებული ვერცხლის ფიალები. სწორედ მათ შესასწავლად ჩამოვიდა მაიკლ ვიკერსი საქართველოში. იგი მოხვდა დარეჯან კაჭარავას არაჩვეულებრივ ოჯახში და მაშინვე გადანყვიტა, რომ ამ ქვეყანასთან და ქართველ კოლეგებთან მისი ურთიერთობა გაგრძელდებოდა.

მაიკლ ვიკერსის ინიციატივით, აშშ-ის მუზეუმსა და თბილისის არქეოლოგიური ცენტრის დირექტორს, ოთარ ლორთქიფანიძეს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რის შედეგადაც ქართლში მოპოვებული ბრინჯაოს ხანის კერამიკული ნატეხები აშშ-ის მუზეუმში გამოიფინა, სამაგიეროდ აშშ-ის მუზეუმმა დააფინანსა უცხოური სამეცნიერო პუბლიკაციები ქართ-

ველი მეცნიერებისათვის.

1996 წელს, როდესაც ბატონი მაიკლი ეწვია ბათუმს, პროფ. ამირან კახიძემ მას გააცნო ის მძიმე ვითარება, რაც ფიჭვნარის უნიკალურ სამაროვანზე ხდებოდა: გაიძარცვა ბაზა, არქეოლოგიური ტერიტორიიდან მშენებლობებისათვის სისტემურად გაჰყონდათ სილა, ნადგურდებოდა ბერძნული და კოლხური სამაროვნები. მაიკლ ვიკერსმა ამირან კახიძეს თანადგომა აღუთქვა და მალე სიტყვა საქმედ აქცია. მაიკლ ვიკერსის ავტორიტეტის და დაუღალავი ენთუზიაზმის მეშვეობით, 1998 წლიდან შესაძლებელი გახდა აღდგენილიყო ფიჭვნარის არქეოლოგიური ბაზა, აშენდა ახალი ნაგებობა. 13 წლის განმავლობაში ფიჭვნარის არქეოლოგიური საველე სამუშაოები ფინანსდებოდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ჯეზუს კოლეჯის და აშშ-ის მუზეუმის, კრავენ კომიტეტის, ლოურენს არაბის ფონდის, ბრიტანეთის აკადემიისა და კერძო შემოწირულობების მიერ. 1998-2011 წლებში ფიჭვნარის ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და ინგლისელი მეცნიერები, გამოიცა გათხრების შედეგები ქართულ და ინგლისურ ენებზე. ფიჭვნარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ქართულ-ინგლისური პუბლიკაციები ოქსფორდის გამომცემლობების საშუალებით ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა.

ფიჭვნარის გათხრებში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები ბათუმის და თბილისის, ოქსფორდის, ამერიკის, ჰოლანდიის, ბელგიის, დანიის, შვეიცარიის, პოლონეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. საქმიანმა და სასიამოვნო გარემომ, რომელსაც ბატონი მაიკლი, ბატონი ამირანი და ექსპედიციის უკლებლივ ყველა მონაწილე ქმნიდა, მრავალ პერსპექტიულ და ნიჭიერ ახალგაზრდას გაუღვივა ქართული კულტურისადმი სიყვარული და ინტერესი. ერთობლივი მუშაობის 13 წლის განმავლობაში გამოვიდნენ კლასიკური ბერძნული და რომაული ხანის კოლხური და ბერძნული სამყაროს კერამიკული და მინის ნაწარმი, სამკაული და მონ-

ეტები, რომლებიც ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში იქნა გადატანილი. 2014 წელს გაიხსნა განახლებული ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელშიც შესანიშნავად წარმოჩინდა ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციის მდიდარი მონაპოვარი. ბათუმის მუზეუმის თანადგომით ოქსფორდის უნივერსიტეტის აშშ-ის მუზეუმში გამოიფინა ფიჭვნარის ექსპოზიცია გათხრების ფოტო მასალით, კოლხური და ბერძნული კერამიკის ტიპური ნიმუშებით. ახალ საგამოფენო სივრცეში ფიჭვნარმა ადგილი დაიკავა აშშ-ის მუზეუმის სხვა არქეოლოგიური გათხრების, ნიმუშების და ჰესპერიდების გვერდით. მაიკლ ვიკერსის ინიციატივით აშშ-ის მუზეუმმა საპასუხოდ ბათუმის მუზეუმს გადასცა კერამიკული ჭურჭელი სპარტიდან.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მაიკლ ვიკერსის და მისი მეუღლის, მანანა ოდიშელის ხელშეწყობით, მრავალი ქართველი არქეოლოგი ეწვია ოქსფორდს, დაათვალიერეს ბრიტანეთის ქალაქები და მუზეუმები. მათ კვლევით საქმიანობას დიდად შეუწყობდა ოქსფორდის მდიდარი ბიბლიოთეკებით სარგებლობამ. ბატონი მაიკლი და მისი მეუღლე ასევე მასპინძლობენ და ეხმარებიან საქართველოში ჩამოსულ ინგლისელ არქეოლოგებს. მრავალი გამოჩენილი მეცნიერი ეწვია საქართველოს არქეოლოგიურ და კულტურულ ძეგლებს ბატონი მაიკლის პირადი რეკომენდაციით და ხელშეწყობით. მაიკლ ვიკერსი და მისი მეუღლე თავიანთი მოხსენებებით და პუბლიკაციებით ეწვეიან ქართული კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდას და პოპულარიზაციას მთელს მსოფლიოში. ბატონი მაიკლი ასევე იყო ვანის გამოფენის კურატორი ვაშინგტონის საკლერის მუზეუმში.

მაიკლ ვიკერსი რეგულარულად მონაწილეობდა შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ ვანის სიმპოზიუმებში. იგი იყო ბრიტიშ პეტროლიუმის გათხრების პუბლიკაციის თანარედაქტორი, რითაც

დიდი წვლილი შეიტანა ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიის დაზუსტების და გამდიდრების საქმეში. იგი ასევე თანამშრომლობს “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან” ინგლისური ტექსტების დახვეწა-გამართვის მიზნით.

ბ-ნ მაიკლ ვიკერსი და მისი მეუღლე ქ-ნ მანანა ოდიშელი აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საქსპოზიციო და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობაში. ისინი ასევე თავისი და შემოწირული თანხებით წლების განმავლობაში იქნდნენ ქართულ წიგნებს და ამდიდრებდნენ ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის ქართული წიგნების კოლექციას, რომელსაც ოლივერ უორდროპმა ჩაუყარა საფუძველი. 2010 წელს მაიკლ ვიკერსმა მისი პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც 3500-ზე მეტ წიგნს ითვლის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს უსახსოვრა. მას ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვს ბათუმის უნივერსიტეტთან და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კლასიკურ ფაკულტეტთან, რომელსაც ასევე გადასცა მისი პირადი სამეცნიერო ლიტერატურა.

2009 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაიკლ ვიკერსის დიდი მხარდაჭერით, ტარდება პიტ რივერსისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სტუდენტთა კონფერენცია ვარძიაში ბატონი მაიკლის მუდმივი თავმჯდომარეობით, რაც ხელს უწყობს ქართველი სტუდენტების სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ წლის დეკემბერში მაიკლ ვიკერსი მიწვეულია ბათუმის უნივერსიტეტში ლექციების კურსის წასაკითხად.

ბ-ნ მაიკლ ვიკერსის დამსახურებისა და მეცნიერული მიღწევების აღსანიშნავად 2011 წელს ჩატარდა კონფერენცია ოქსფორდის უნივერსიტეტის ჯეზუს კოლეჯში, სადაც მონაწილეობა მიიღეს მისმა კოლეგებმა ინგლისიდან, ამერიკიდან, პოლონეთიდან და საქართველოდან. მათ თვალნათლივ წარმოაჩინეს პროფესორ მაიკლ ვიკერსის სამეცნი-

ერო ინტერესების ფართო არეალი.

ბ-ნ მაიკლ ვიკერსის საქართველოში მოღვაწეობისადმი მადლიერება გამოხატეს მისმა ინგლისელმა და ქართველმა კოლეგებმა და საინტერესო, უახლესი აღმოჩენების შემცველი პრეზენტაციები მიუძღვნეს ეროვნულ მუზეუმში გამართულ კონფერენციაზე თბილისში, ამა წლის 5 სექტემბერს. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი სიამოვნებით უერთდება ბატონი მაიკლისადმი მიძღვნილ მილოცვებს.

### ჟურნალის სარედაქციო საბჭო.

### მაიკლ ვიკერსის უახლესი პუბლიკაციები

საბერძნეთის ისტორია და დრამა:

- "The Caryatids on the Erechtheum at Athens: questions of chronology and symbolism," *Miscellanea Anthropologica et Sociologica* 15 (2014).
- "Politics and challenge: the case of Euripides' *Ion*," *Classical World* 107 (2014) 299-318.
- "Alcibiades and the irrational." *Scripta Classica Israelica* 31 (2012).
- "Antigone's Creon and the Ephebic Oath." *Scripta Classica Israelica* 30 (2011) 1-8.
- "Alcibiades, a Classical Precursor for Alexander". In *From Pella to Gandhara: Hybridisation and Identity in the Art and Architecture of the Hellenistic East*, 11-16. Oxford, BAR 2011.
- "Hagnon, Amphipolis and Rhesus", in *Ergasteria: Works Presented to John Ellis Jones on his 80th Birthday*, 76-81. Gdansk 2010.
- *Sophocles and Alcibiades: Athenian Politics in Ancient Greek Literature* (Stocksfield, Acumen Publishing, 2008).
- "A legend of wild beauty: Sophocles' *Antigone*," *Classics Ireland* 14 (2007) 44-77. (with D. Nash Briggs), 'Juvenile crime, aggression and abuse in classical antiquity: a case study.' In *Children and Sexuality: The Greeks to the Great War*, edited by G. Rousseau, 41-64 (London, Palgrave Macmillan, 2007).
- "Sophocles' *Antigone* in Ancient Greece and Modern Georgia". *Phasis: Greek and Roman Studies* 8 (2005) 134-151. *Oedipus and Alcibiades in Sophocles* (Xenia Toru-niensi 9) Toruń, Wydawnictwo Uniwersytetu Mikołaja Kopernika, 2005).
- "Aspasia on Stage: Aristophanes' *Ecclesiazusae*," *Athenaeum* 92 (2004) 431-50.
- "Ten years of Anglo-Georgian collaboration at Pichvnari", in *Pontika 2008: Recent Research on the Northern and Eastern Black Sea in Ancient Times*. BAR International Series 2240, 377-82. Oxford 2010.
- "Amphora studies: is there light at the end of the tunnel?," *Patabs I - Production and Trade of Amphorae in the Black Sea*, Istanbul 2010.
- A Colchian and Greek settlement: excavations at Pichvnari 1967 to 2005, in P.G. Bilde and J.H. Petersen (eds), *Meetings of cultures in the Black Sea region: Between Conflict and Coexistence*, 131-48. Aarhus, 2008.
- "Vani, rich in gold", *Wine, Worship, and Sacrifice: the Golden Graves of Ancient Vani* (New York, 2008) 28-49.
- "Pichvnari 1967-2005; recent work in a Colchian and Greek settlement", in *Pontika 2006: Recent Research in Northern Black Sea Coast Greek Colonies* (Krakow, 2008) 221-37, pls 31-2 (with A. Kakhidze).
- "Pichvnari, Georgia 2008-2009", *Anatolian Archaeology* 15 (2009) 15.
- "Recent work by the joint British-Georgian Archaeological Expedition to Pichvnari", in *À la recherche d'une colonie* (Actes du Colloque International '40 ans de recherche archéologique à Orgamè/Argamum, Bucarest-Tulcea-Jurilovca, 3-5 octobre 2005', 37-51 (*Orgame/Argamum*, Suppl. 1) (Bucharest, 2006) (with A. Kakhidze).
- "Excavating among the pine trees", *The Ashmolean* 51 (2006) 13-14.
- "Pichvnari, Ajarian AR, Georgia 2005", *Anatolian Archaeology* 11 (2005) (with A. Kakhidze).
- "Pichvnari: the work of the joint British-Georgian expedition, results and prospects", *Proceedings of the Inter-*

### საველე არქეოლოგია

### (საქართველო და შავი ზღვისპირეთი)

*national Colloquium "Georgien—Archäologie und Kunstgeschichte", Wiesbaden, 2002. In Metalla (Bochum) 12 (2005) 114-124 (with A. Kakhidze and G. Tavamaishvili).*

- *Pichvnari 1: Results of Excavations Conducted by the Joint British-Georgian Expedition 1998-2002: Greeks and Colchians on the East Coast of the Black Sea (Ashmolean Museum, Oxford and the Batumi Archaeological Museum, 2004).*
- "Pichvnari, Ajarian AR, Georgia 2004", *Anatolian Archaeology* 10 (2004) 21-2.
- M. Vickers, A. Kakhidze, *Pichvnari 1: Results of Excavations Conducted by the Joint British-Georgian Expedition 1998-2002*(Ashmolean Museum, Oxford and the Batumi Archaeological Museum, 2004).
- A. Kakhidze, I. Iashvili, M. Vickers, "Silver coins of Black Sea coastal cities from the fifth century BC necropolis at Pichvnari", *Numismatic Chronicle* 161 (2001) 282-8.
- M. Vickers, A. Kakhidze, "The British-Georgian Excavation at Pichvnari, 1998: the 'Greek' and 'Colchian' cemeteries", *Anatolian Studies* 51 (2001) 65-90.

## არქეოლოგიის თეორია

- Michael Vickers, David Gill, *Artful Crafts: Ancient Greek Silverware and Pottery*. Oxford: Clarendon Press, 1994. pp. 255.
- "Silver, horses and pots" In D. Metzler (ed.) *Massadifiori. Essays presented to Herbert Hoffmann on his 80th birthday* (Wiesbaden, 2010) 351-67.
- 'Art or Kitsch?' *Apollo Magazine* (January 2007) 114-5.
- "The role of Greek ceramics in antiquity and today", in the *Proceedings of the Summer School "La ceramicagreci", UniversitadegliStudi, Lecce, 2001* (forthcoming).
- "Materialwertegestern und heute - eine kleine Geschichte über den Stellenwertgriechischer Keramik", *Antike Welt* 35 (2004) 63-9.

## აშმოლის მუზეუმის სიძველეები

- "Sculpture from Sir Howard Colvin's collection", *The Ashmolean* 57 (2009) 6-7 (with T. Wilson)
- "Charon's obols", *The Ashmolean* 56 (2009) 5.
- "Two Scythian elks from the Black Sea", *The Ashmolean* 54 (2008) 6.
- "Martin Robertson's Burgon drawing", *The Ashmolean* 53 (2007) 10.
- "The Arundel and Pomfret Marbles in Oxford", *Minerva* November/December 2007, 29-32.
- "Oxford news", *Apollo* July 2006, 19-20.
- "Le terrecotte di Cori: la prospettivaOxonienese", *ArcheologiaClassica* 57 (2006) 512-5.
- "Le terrecotte di Cori: la prospettivaOxonienese", *L'Acropoli (Cori)* July 2006. *The Arundel and Pomfret Marbles at the Ashmolean Museum* (Oxford, Ashmolean Museum, 2006).
- "A Roman priest from the eastern Mediterranean", *The Ashmolean* 49 (2005) 5-6 (with R.R.R. Smith).
- "Nelson's Greek pot?" *The Ashmolean* 49 (2005) 18-20 (reprinted in the *Bulletin of the Association for the Study of Travel in Egypt and the Near East: Notes and Queries* 25 [Autumn 2005] 21-2).
- "A pillar of y<sup>e</sup> Temple of Apollo at Delphos' and Winckelmann's columns from Delos in English gardens", *Reisen in den Orient vom 13. bis zum 19. Jahrhundert* (Schriften der Winckelmann-Gesellschaft 26), (Stendal, 2007) 139-44.
- "The rise and fall of an imperial shrine: Roman sculpture from the Augusteum at Narona", *The Ashmolean* 47 (2004) 3-4.
- "Margaret Evans in Gela, Sicily, in 1887", *The Ashmolean* 46 (2004) 15-17.
- "...at Terranova one gets more for one's money than at Rome": Arthur and Margaret Evans in Gela, 1887-1896, in R. Panvini and F. Giudice (eds), *TA ATTIKA, Veder Greco a Gela: ceramicheattiche figurate dall'anticacolonialia* (Rome, 2004) 239-42.

## წიგნიშები

- "Kolkhidki: a footnote", *Numismatic Chronicle* 170 (2010) 1-2.



## პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ

### Pomponius Mela, DE CHOROGRAPHIA-დან

თარგმანი და კომენტარები ალექსანდრე გამყრელიძის ქ\*

პომპონიუს მელა, ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, ავტორია სამწიგნობრივი თხზულებისა „დედამიწის მდებარეობის შესახებ“ (De situ orbis). მას ზოგი ხელნაწერის მიხედვით აგრეთვე ეწოდება ბერძნულიდან მომდინარე სახელიც — „De chorographia“ („ქვეყნის აღწერილობის შესახებ“) და ჩვენამდე სრული სახითაა მოღწეული, რაც ერთადერთი შემთხვევაა მთელს რომაულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში. პომპონიუს მელას ნაშრომი შედგენილია, ზოგი მკვლევრის მტკიცებით; ახ. წ. 40/41 წლამდე<sup>1</sup>, ზოგის თქმით — 43 წლამდე<sup>2</sup>, ხოლო ზოგი 44 წელს დებს მიჯნად<sup>3</sup>. ყველა ესენი ეყრდნობიან თვით ავტორისავე ნათქვამს (III, 49), სადაც იმპერატორის ტრიუმფზეა ლაპარაკი ბრიტანეთში ლაშქრობის აღსანიშნავად. ამ ტრიუმფის გმირად ზოგი იმპერატორ კალიგულას სახავს, ზოგს კი იმპერატორი კლავდიუსი ჰგონია. უმრავლესობა მაინც უკანასკნელ მოსაზრებისაკენ იხრება და ამ ნაშრომის შეთხზვის დროდ ახ. წ. 44 წ. მიიჩნევენ.

ჩვენი ავტორი, მისივე გადმოცემით (II, 96), ესპანეთის ქალაქ ტინგენტერადან უნდა ყოფილიყო. მისი დაბადების თარიღი არაა ცნობილი, ხოლო გარდაცვალების შესახებ მას აიგივებენ ტაციტუსის „ანალებში“ მოხსენიებულ (XVI, 17) იმ მელასთან, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეჭირა ნერონის დროს და ახ. წ. 67 წელს ვენები გადაიჭრა, იმპერატორის საწინააღმდეგო მოქმედებაში ბრალის დადების გამო<sup>4</sup>.

პომპონიუს მელას ნაშრომის ღირსებათა შეფასებაში საკმაოდ განსხვავებული შეხედულებანი არსებობენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგი რომ მის თხზულებას კარგ წყაროებზე დაფუძნებულს, მდიდარ მასალიანსა და ჩინებულად გამართულს უწოდებს<sup>5</sup>, სხვანი მის მოწვედილ მასალასაც და ნაწერსაც ფრი-

<sup>1</sup> იხ. მაგ., ა. ფრიკი, პომპონიუს მელას ტექსტის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. V; აგრეთვე მისი წერილი — *Philologus*, 33, 1874, გვ. 742.

<sup>2</sup> Л. А. Ельницкий, Знания древних о северных странах, Москва, 1961, стр. 169; Дж. О. Томсон, История древней географии, Москва, 1953, стр. 321.

<sup>3</sup> G. Wissowa, Die Abfassungszeit der Chorographie des P. Mela, *Hermes*, № 51, 1916, S. 95; Schanz—Hosius, *Gesch. der röm. Litt.*, II, B. 4. Aufl., München, 1935, S. 654; В. И. Модестов, Лекции по ист. рим. лит., СПб., 1888, стр. 665, *Ист. римской лит.* под ред. С. И. Соболевского и др. стр. 126 და სხვ.

<sup>4</sup> *Ист. рим. лит.*, под ред. С. И. Соболевского и др. стр. 126—127.

<sup>5</sup> Teuffel—Kroll-Skutsch, *Geschichte der röm. Lit.*, II B., 6. Aufl., S. 247. М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 46.

\*გადმოღებულია — ქართული ნყაროთმცოდნეობა, კრებ. I, თბ. 1965, გვ. 12-47. იქვეა ლათინური ტექსტი.

ად დაბალ შეფასებას აძლევენ და არად მიიჩნევენ<sup>6</sup>. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მის წყაროთაგან ბევრი დაკარგულია ან ფრაგმენტულად არის მოღწეული ჩვენამდე და ზოგი, თუნდაც მცირე რამ, მხოლოდ მასთან გვაქვს შემდრჩენილი; ამასთანავე თვით თხზულება დასრულებული სახითაა შემონახული ჩვენამდე,—ეს ავტორი მაინც საპატიო ადგილს იმსახურებს ანტიკური გეოგრაფიის წარმომადგენელთა შორის.

პომპონიუს მელა თავის პატარა მოცულობის თხზულებაში მთელი მაშინდელი ცნობილი სამყაროს გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ აღწერილობას იძლევა. I წიგნში, დედამიწის ნაწილების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ხმელთაშუა ზღვის აუზს მიიჩნევს ერთგვარ ცენტრად; აქედან იწყებს და ჯერ მის მარჯვენა სანაპიროს და აფრიკას აღწერს, შემდეგ აზიაში გადადის; II წიგნში სკვითიდან გამოუყვება ევროპისაკენ და გალიასა და ესპანეთამდე მიდის, ამასთანავე ხმელთაშუა ზღვის კუნძულებს აღწერს; III წიგნში კი კვლავ ესპანეთს, გალიას, გერმანიას, სარმატიას და სკვითას; კიდევ კუნძულებს; აგრეთვე აღმოსავლეთის ოკეანეს და შემდეგ ატლანტის ოკეანეს მიმოხილავს. მასალის დალაგებით მისი ნარკვევი ანტიკურ გეოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილ პერიპლუსებს მიაგავს და კიდევ ვარაუდობენ, რომ მის მთავარ წყაროთა შორის უნდა ყოფილიყო ძველი იონიური წყაროები — ფსევდო-სკილაქსის ტიპის პერიპლუსი და ჰეკატაიოს მილეტელის მონათესავე დედამიწის აღწერილობა, ოღონდ აგრეთვე მერე მოპოვებული; განსაკუთრებით ერატოსთენეს შემდეგდროინდელი, ცნობებით შეესგბულ-გამართული<sup>7</sup>.

თავისი წყაროებიდან თვითონვე ასახელებს ბერძენ ჰიპარქოსს (III, 70), კორნელიუს ნეპოტს (III, 45, 90), აგრეთვე კართაგენელ ჰანონს და ბერძენ ევდოქსოსს (III, 90); მაგრამ მისი მასალიდან ჩანს, რომ გაცილებით მეტი და ნაირფერი წყაროები უნდა ჰქონდეს ხელთ და უმთავრესად სწორედ მწიგნობრულ მასალას ეყრდნობა და არა საკუთარი თვალთ ნანახს და განცდილს<sup>8</sup>.

პომპონიუს მელას ბევრი აქვს საერთო პეროდოტესთანაც ძველი იონიური წყაროების კვალი განსაკუთრებით თავს იჩენს ჩვენთვის საინტერესო შავი-ზღვისპირეთის აღწერაში, რაც კავკასიის მრავალი ეთნიკური და გეოგრაფიული სახელის გადმოცემაზე ეტყობა<sup>9</sup>.

ჩანს, იმდროინდელი რომაული რუკებითაც უსარგებლია, განსაკუთრებით, ოქტავიანუს ავგუსტუსის თანამედროვე ვიპსანიუს აგრიპას რუკით თუ მისი მსგავსი რუკებით, რომელნიც თავიანთი აღწერებით ცნობილ „ტაბულა პეუტინგერიანას“ ტიპისა უნდა ყოფილიყვნენ (აგრიპას რუკას კიდევ მიიჩნევენ, მაგალითად, „ტაბულა პეუტინგერიანას“ უახლოეს პროტოტიპად). ეს ეტყობა მელას ზოგი მთების სახელების გადმოცემაში, რომელთაც მათ ახლოს მოსახლე ტომების სახელების მიხედვით ნათლავს, როგორც ეს რუკაზე ყოფილა გამოსახული და დაწერილი<sup>10</sup>.

<sup>6</sup> Дж. О. Томсон, Ист. др. географии, стр. 321—322.

<sup>7</sup> Л. А. Ельницкий, Знания древних... стр. 169—70.

<sup>8</sup> Schanz—Hosius, II B., 655; F. S. Gisinger, Pomp. Mela, RE, XXI B., 1952, SS. 2398—2405; М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 45.

<sup>9</sup> ВДИ, № 1 (27), 1949, стр. 270—271.

<sup>10</sup> იხ. ლ. ა. ელნიცკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 170.

პომპონიუს მელას, ვითარცა წყაროს, ასახელებს თვით პლინიუს უფროსეც თავის „ბუნების ისტორიაში“ (წიგნები 3, 4, 5, 6, 8, 12, და სხვ.) იგი გამოუყენებია იუგენალის სქოლიასტს, ისტორიკოს იორდანს, სოლინუსს და სხვებსაც. მაგრამ გარდა იმისა, რომ პლინიუსს გამოუყენებია, ჩანს, მათ საერთო წყაროც ჰქონიათ, რომლითაც აგრეთვე ვალერიუს ფლაკუსს, ამიანუს მარცელინუსსა და სხვებსაც უნდა ესარგებლათ<sup>11</sup>.

პომპონიუს მელას მიერ გადმოცემული მასალა უფრო თვალსაჩინოდ. პლინიუს უფროსის თხზულების გეოგრაფიულ ნაწილშიაც მეორდება, ოღონდ უფრო ვრცლად. მაგრამ აღსანიშნავია, რომ პლინიუსის ტექსტი გაცილებით უფრო დაზიანებული სახითაა მოღწეული და ბევრი გეოგრაფიული თუ ეთნიკური სახელი ძალიან დამახინჯებულია.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ, როგორც სხვა მისი მსგავსი კომპილატორი მწერლების მიმართ, პომპონიუს მელასადმიც დიდი სიფრთხილით მადგომაა საჭირო, რადგან სხვადასხვა დროის ავტორების ცნობები ზშირად სრულიად განურჩევლად ერთმანეთის გვერდით აქვს მოთავსებული.

პომპონიუს მელა ქართველ ტომებს, კავკასიის ხალხებს და სკვითებს უმთავრესად პირველ წიგნში ახსენებს.

სკვითებთან ყველაზე ახლოს მცხოვრებლებად თვლის კასპიანებს. რომელნიც კასპიის უბის გარშემო ცხოვრობენ და ამით მას მიაჩნია ისინი კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირის ბინადრებად, რაც ეწინააღმდეგება სტრაბონის ცნობას (XI, 4, 5), რომლის მიხედვითაც კასპიანები აღბანელთა ტომი იყო და მის დროს უკვე აღარ არსებობდნენ. აქ უნდა დავსძინოთ, რომ სტრაბონის ცნობა უფრო ახლო უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან, რადგან ეს სახელი, გეოგრაფიული თუ ეთნიკური, კავკასიის (უფრო აღმოსავლეთ კავკასიის) მიდამოებში უფრო მეტად ტრიალებს და ჩანს, ვიდრე სხვაგან.

კასპიანებს ზემოთ მელა, ვარაუდობს ამაზონებს, რომელთა უძველესი სამყოფელი, ძველი ბერძნული თქმულებების თანახმად, მცირე აზიაში, მდინარე თერმოდონტის მიდამოებში იყო, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელისა და რომაელი სარდლების ლაშქრობათა შემდეგ ამ ზღაპრული ხალხის საბინადრო ადგილმა, ძველ მწერალთა წარმოდგენაში, ნელ-ნელა აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა და პომპონიუს მელას ეს ცნობა შემდეგდროინდელი შეხედულებების ანარეკლი უნდა იყოს.

კასპიის უბის ზემოთ (super), მელას თქმით (I, 13), ცხოვრობენ კომარები, მასაგეტები, კადუსები, ჰირკანები და ჰიბერები, ხოლო ამაზონთა და ჰიპერბორეელთა ზემოთ—კიმერიელები, კისიანტები, აქაელები, გეორგილები, მოსხები, კორსიტები, ფორისტები და რიმფაკები: შავი ზღვის ახლოს — მატიანები და ტიბარანები, აგრეთვე მიდიელები, არმენიელები. შავი ზღვის გარშემო, სხვადასხვა ნაწილში, სხვადასხვა ხალხები ცხოვრობენ, რომელთაც ყველას ერთ სახელს — პონტოელებს — უწოდებენო.

ერთმანეთის გვერდით ჩამოთვლილ ამ ხალხთა ლოკალიზაცია, თუ სიტყვას super გავიგებთ მისი ჩვეულებრივი გაგებით — „ზემოთ“ — გართულებოდა. ზოგ მკვლევარს აქ ეს სიტყვა ესმის როგორც — „ახლოს“, „გვერდით“. მაშინ

<sup>11</sup> М. И. Ростовцев, Скифия. . стр. 48; F. Gisinger, RE, XXI B., SS. 2405—2407

ამ ტომთა განლაგება (განსაკუთრებით იმ ხალხების, რომელნიც უფრო ცნობილნი არიან სხვა წყაროებითაც — მასაგეტები, პირკანები, ჰიბერები) დაუახლოვდებოდა მათ ჩვეულებრივ ადგილსამყოფელებს.

რაც შეეხება კომარებს, რომელნიც ასეთი სახით სხვაგან არსად გვხვდება, მკვლევართა აზრით, დიონისე პერიეგეტის (მისი შრომა დაწერილია, ზოგის აზრით, დომიციანეს [81—96 ახ. წ.], ზოგის აზრით, ადრიანეს [117—138 ახ. წ.] დროს) „დასახლებული სამყაროს აღწერაში“ მოხსენებული (ტაეპი 699) კამარიტები უნდა იყვნენ და აფგივებენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებ ტომებთან. ჰენიოხებთან, ზიგებთან და აქაელებთან, რომელნიც თავისებური ნაგებობით — „კამარებით“ — ესხმოდნენ თავს მეზღვაურებს და ძარცვავდნენ. სხვათა შორის ცოტა ქვემოთ მოხსენებული „აქაელები“ ერთ-ერთი მკვლევრის მიერ ამოკითხულია დამახინჯებული ადგილიდან და საკმაოდ საეჭვოცაა. ხელნაწერში ყოფილა მხოლოდ — *cissi anthiaca*.

განსაკუთრებით საყურადღებოა აქ გეორგილების მოხსენიება ცნობილი მოხსენების გვერდით. ამ სახელს ცოტა სხვა სახით შემდეგ პლინიუსიც ახსენებს („გეორგები“) და ამაში ზოგნი ვარაუდობენ შემდეგ ფართოდ გავრცელებულსა და საერთოდ ქართული ტომებისათვის მიკუთვნებულ სახელს.

პომპონიუსის ტიბარანები სხვა წყაროებით ცნობილი ტიბარენები უნდა იყვნენ და დაახლოებით უდგება კიდევ მათი ლოკალიზაცია სხვა წყაროთა მონაცემებს.

უფრო ქვემოთ პომპონიუსს მელა, ალბათ უკვე სხვა წყაროს მიხედვით, კვლავ ახსენებს ტიბარენებს — „ტიბერენების“ სახით და მიაწერს მათ თამაშისა და სიცილის მოყვარულობას, რაც ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით, (V, 4, 34) ტიბარენებს კი არა, მოსინიკებს მიეწერება. მელას ამ ადგილას ტიბარენები გაამოყვანილნი არიან ხალიბების გვერდით მცხოვრებლებად, ხალიბები კი — პაფლაგონელთა მეზობლებად. ხალიბების მნიშვნელოვან ქალაქებად დასახლებულია ამისოსი და სინოპე, მდინარეებიდან კი — ჰალისა და თერმოდონტი, რომელზედაც ნათქვამია: აქ ამაზონთა ბანაკიც იყო და ამიტომ ამაზონთა მდინარესაც ეძახიანო. ხალიბების ხსენება ჰალისისა და თერმოდონტის სანაპიროებზე ძველი იონიური წყაროების გავლენით უნდა აიხსნას პომპონიუსის შრომაში.

ტიბარენების (ანუ ტაბერენების) შემდეგ (ეტყობა, აღმოსავლეთით) დასახლებულნი არიან მოსინები, რომლებიც, ქსენოფონტის თანახმად, მოსინიკებად იწოდებოდნენ. მათზე ნათქვამია, რომ ისინი ცხოვრობენ ხის კოშკებში, ტანს იხატავენ, ქუჩაში შეექცევიან საჭმელს, სქესობრივ კავშირს საჯაროდ იქერავენ. მერე აგრეთვე გადმოცემულია მეფის არჩევის ჩვეულება, მისი შებოროკილი ყოფნა გუშავთა სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ და მერე მისი „შიმშილით“ დასჯა, თუ რაიმეს დააშავებს. ეს ცნობები ზოგი სხვა ძველი წყაროთიც არის ცნობილი.

საყურადღებოა, რომ ალბათ მეფის დასჯის ასეთი ჩვეულება აფიქრებინებდა ზოგ ძველ მწერალს (მაგ., სოკრატეს თანამედროვე ჰეროდოროს ჰერაკლიელს, რომლის აზრიც მოყვანილია აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკის ერთ-ერთ სქოლიოში [II, 1284]), რომ პრომეთესის მიჯაჭვის ამბავი თავისებურად გაეშუქებინა და იგი გამოეყვანა, როგორც თვით თავის ხალხის მიერვე დასჯილი, გარკვეულ საქმეში დამნაშავე, მეფე.

მოსინების, ანუ მოსინიკების, შემდეგ იმავე თავში (I, 106) შავი ზღვის გამოყოფებით დასახელებულნი არიან მაკროკეფალები, ბეხირები და ბუქსერები. ეს ორი უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ბეხეარებსა და ბიძერებს. მიუთითებს, რომ ამ მხარეში ქალაქები ცოტაა, მათგან ყველაზე სახელგანთქმულებია კერასუნტი და ტრაპეზუნტიო. შემდეგ ახსენებს კოლხებს, მდინარე ფასისსა და ამავე სახელის მქონე ქალაქს და გულიხმობს, რომ ეს არის შავი ზღვის სანაპიროს ყველაზე უკიდურესი აღმოსავლეთი ადგილი და რომ აქედან უკვე კვლავ დასავლეთისკენ უხვევს სანაპირო ხაზი. ეს ვარაუდი საკმაოდ სწორი ჩანს და ძალიან არ არის დაშორებული ჭეშმარიტებას, რადგან ნამდვილად უკიდურეს წერტილს ჩაქვის მიდამოებში უჩვენებენ.

ფასისის კოლონიის დამაარსებლად ასახელებს თემისტაგორა მილეტელს, რაც სხვა წყაროებით არ არის ცნობილი, თუმცა საერთოდ მილეტელთა მიერ ფასისის კოლონიზაციაზე კი სხვაგანაც არის ლაპარაკი (მაგ., იხ. სტეფანე ბიზანტიონელი ფასისთან დაკავშირებით).

ამის მერე პომპონიუს მელა აღნიშნავს (I, 109), რომ ამ მიდამოებიდან იწყება დიდი მთები, რამდენიც ერთის მხრით მიქცეულნი არიან ევქსინისა, მეოტიდისა (აზოვის ზღვა) და ტანაისისაკენ (დონი), მეორეს მხრით კი — კასპიის ზღვისაკენ და იწოდებიან ზოგან კერავნულ, ზოგან კი — ტავრულ, მოსხურ, ამაზონურ, კასპიურ, კორაქსიკულ და კავკასიურ მთებადო და თან დასძენს, რომელ ხალხსაც ესაზღვრებიან, იმათი სახელიცა ჰქვიათო.

ზღვის სანაპიროს ხაზის კვლავ დასავლეთისაკენ შემობრუნების ადგილის ახლოს (ე. ი. ფასისის ახლოს) ასახელებს ქალაქს — კიკნოსს (ანუ გედს), რომელსაც, თქმულების მიხედვით, ბერძენთა დაარსებულად თვლის, თუმცა ბერძნულ წყაროებში კი თითქოს არ ჩანს.

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო რკალის მობინადრეებად მელა ჩამოთვლის „ველურსა და გაუნათლებელ“ (*ferae incultaeque*) ტომებს: მელანხლენებს, ტორეტიკებს, ექვს კოლიკს, კორაქსიკებს, ფთიროფაგებს, ჰენიოხებს, აქაელებს, კერკეტიკებს და უკვე მეოტიდთან — სინდონებს (ანუ სინდებს (I, 110). აქვე აღნიშნავს (I, 111), რომ ჰენიოხთა ქვეყანაშია დაარსებული დიოსკორია (იგივე დიოსკურია) კასტორისა და პოლუქსის მიერ, რომელიც იასონს, მაზასადაძე, არგონავტებს ჩამოჰყვნენო.

აქ ჩამოთვლილი ტომები მეტნაკლებად სხვა ბერძნულ-ლათინური წყაროებითაც არიან ცნობილნი; რაც შეეხება ფთიროფაგებს, რომელიც ასე ამოუკითხავს ტექსტის ერთ-ერთ გამომცემელს სიტყვიდან — *cleptiophagi* — ზოგს ეს სახელი ესმოდა როგორც „ტილიჭამიები“, მაგრამ არ უწევდნენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ბერძნულ სიტყვას *φθισ* სხვა ბევრი მნიშვნელობაცა აქვს, მათ შორის — გირჩისა და ზღვის ერთგვარი ჯიშის თევზისაც კი. ფთიროფაგები ანუ ფთიროფაგები დაახლოებით ამავე მიდამოებში ნახსენები აქვს სტრაბონსაც (გეოგრ., XI, 2, 1) და სხვებსაც.

შემდეგ პომპონიუს მელა გადადის (I წიგნის ბოლო და II წიგნი) ჩრდილო კავკასიის ხალხების აღწერაზე და განსაკუთრებით ხანგრძლივად ჩერდება სკვითთა ტომებზე და მათ ზნე-ჩვეულებებზე.

III წიგნში სხვა ხალხებთან ერთად სარმატებსაც ეხება და კვლავ უბრაუნდება კავკასიისა და კასპიის ზღვის სანაპიროების მიმოხილვას. როგორც ეტ-



ყოფა, აქ უკვე სხვა წყაროს გავლენას განიცდის და ცოტა სხვანაირადაც წარმოგვიდგენს კასპიის ზღვის სანაპიროების მოსახლეობას.

ჯერ ერთი, თვით კასპიის ზღვა ჩრდილოეთის ოკეანიდან შემოჭრილ ვიწრო უბედ მიაჩნია, მერე კი მას სამ უბედ ჰყოფს (III, 38): სამხრეთის ნაწილს პირკანიის უბეს ეძახის, ახლანდელ ყარა-ბულაზს—სკვითურ უბეს, ხოლო დასავლეთ, ანუ უფრო, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს—საკუთრივ კასპიის უბეს და ემჩნევა, რომ ეს სახელწოდებანი მათ სანაპიროებზე მოსახლე ხალხთა სახელების მიხედვით აქვს შერქმეული. მაგ., კასპიის უბესთან მცხოვრებლებად დასახელებული ყავს კასპიები და ამაზონები, რომლებსაც (ამაზონებს) სავრომატიდებს ეძახიანო. პირკანიის უბესთან — ალბანები, მოსხები, პირკანები.

აქ ალბანები და მოსხები გვერდი-გვერდ არიან მოხსენებულნი და, ზოგი მკვლევრის თვალში, გაკვირვებასაც იწვევს, რადგან მოსხები ჩვეულებრივ იგულისხმებიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროების მიდამოებში, კოლხიდის ახლოს. იქვეა ცნობილი მოსხების მთებიც, რომელსაც მცირე კავკასიონის დასავლეთ ნაწილს უწოდებს სტრაბონი (გეოგრ. XI, 12, 4).

მაგრამ აქ შეიძლება დავხვდეთ საკითხი, ხომ არ არის პომპონიუს მელას ეს ადგილი რომელიმე ისეთი წყაროს ანარეკლი, რომელიც მოსხების თუ მოსხთა ერთი ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებაზე მიუთითებდა სასპირების მსგავსად და ხომ არ არის, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმული აზრი „მცხეთის“ მოსხ-მესხებთან კავშირის თაობაზე, ამ გადმოსახლებასთან რაიმე კავშირში. თუ ეს ვარაუდი სიმართლესთან ახლოა, პომპონიუს მელას ეს ცნობა ფრიად თავისებურ და საინტერესო უუქმე წარმოგვიდგება.

შემდეგ პომპონიუსი ჩამოთვლის, და ზოგს ახასიათებს კიდეც, იმ მდინარეებს, რომლებიც კასპიის ზღვას ერთვის. ამათგან ყურადღებას იქცევს არაქსი. რომლის მდინარეების აღწერა ძირითადად სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ამის თქმა ჭირს მდინარეების მტკვრისა და კამბისის შესახებ, რომლებზედაც ნათქვამია, რომ ისინი ერთმანეთის ახლოს გამოდიან კორაქსული მთების ძირში, მერე ცალკევედებიან და შორი-შორს მიედინებიან იბერთა და პირკანთა ქვეყნებზე, ბოლოს კი ზღვის სიახლოვეს ერთ და იმავე ტბაში ერთდებიან და ერთად ერთვიან პირკანიის უბეს.

კორაქსული მთები ჩვეულებრივ კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის სახელად ივარაუდება, კამბისი კი — ზოგი მკვლევრის აზრით, იორთან, ზოგის აზრით, ალაზნთან არის გაიგივებული. ეტყობა, მელას აქ არეული აქვს ცნობები. რომ არაქსზე სავანგებოდ საკმაოდ ვრცლად არ იყოს იქვე, ზემოთ საუბარი, მაშინ კამბისისა და მტკვრის აქ აღწერილი ვითარება მტკვარსა და არაქსს უფრო გვაგულსხმებინებდა, მაგრამ მტკიცედ აქ რამეს ფქმა ძნელია.

პომპონიუს მელას ტექსტიდან, აკად. ვ. ვ. ლატიშევის ცნობილ კრებულში გადმოცემულ მასალებთან შედარებით, ზოგი რამ ახალიც გვაქვს შემოტანილი წინამდებარე ტექსტში. ამ მასალებიდან საყურადღებოა ცნობა კასპიის კარის შესახებ, რომელიც მოცემულია ლიკიის აღწერილობაში (I, 15, 80), იქ, სადაც ლაპარაკია ტავროსის მთებისა და მათი შემადგენელი ნაწილების შესახებ (კ. ფრიკის გამოცემის გვ. 1827—1911). ავტორი ახსენებს კასპიის კარებსა (Caspiae pylae) და არმენიის კარებს (Armeniae pylae) და მათ ორივეს სამხრეთის მთიანეთში გულისხმობს და არა კავკასიონის ქედის მიდამოებში, როგორც ეს ზოგ ანტიკურ წყაროშია ნათქვამი კასპიის კარის მიმართ.

იონიის აღწერილობაში (I, 88) ჩართულია სხვა ცნობა მითოლოგიურ ამაზონების შესახებ (20<sup>24</sup>—21<sup>1</sup>), თითქოს მათ, თქმულების მიხედვით, საფუძველი ჩაუყარეს ეფესში დიანას ტაძარს, მაშინ, როცა ისინი აზიაში ბატონობდნენ. რაკი ამაზონები მცირე აზიის შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროების იმ ნაწილის ბინადრებად იგულისხმებოდნენ, რომლის მეზობლადაც ქართველი ტომების წინაპრები მოსახლეობდნენ, ამდენად ეს ცნობაც საყურადღებოა.

ამაზონები მოხსენებულნი არიან ეოლიის აღწერაშიაც (I, 90) — მათმა დედოფალმა კიმემ გაპყარა ეოლიის ერთი ქალაქიდან (ტროადის ახლოს მდებარე) ძველი მცხოვრებლები და მას თვითონ თავისი სახელი — კიმე — უწოდაო.

იქ სადაც ბითინია, პაფლაგონია და პონტოსა და მეოტიდის სხვა კუთხეებია აღწერილი, ლაპარაკია კიზიკოსის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით მოხსენებულია კოლხეთიც (I, 97—98). მინიები (ე. ი. არგონავტები) რომ კოლხეთზე სალაშქროდ მიდიოდნენ; ამ ადგილას მომხდარ ბრძოლაში მოჰკლეს კაცი, სახელად კიზიკოსი, და ამიტომ უწოდეს ამ ქალაქს მისი სახელიო.

ცოტა უფრო ქვემოთ ლაპარაკია კიტოროსის დაარსების ამბავზე ფრიქსის ძის კიტისოროსის მიერ, რომელიც ცნობილია არგონავტთა თქმულების ზოგიერთი ვარიანტის მიხედვითაც. ბოლო ხანებში მის სახელს უკავშირებენ „ქუთაისის“ სახელს და ამ მხრით ეს ადგილი საინტერესოა ჩვენი წარსულის მკვლევრისათვის.

პონტოს, ე. ი. შავი ზღვის, დასავლეთი ნაპირის ქვეყნების აღწერაში (II, 22) ნახსენებია მდინარე ფასისის შესართავი, როგორც ქალაქ ტომესა და სხვა ქალაქების მოპირდაპირე მხარეს მდებარე, რაც დაახლოებით კიდევ შეესაბამება საქმის ნამდვილ ვითარებას.

ეპირის აღწერაში არგონავტთა მითის კიდევ ერთი დეტალია მოხსენებული (II, 44;) — პაგასას ყურეში, ქალაქი პაგასა, სადაც მდ. სპერქიონი ჩამოდის, იმითაა ცნობილი, რომ აქედან არგონავტები გაემგზავრნენ კოლხეთშიო.

ამავე თავში (II, 57) მოხსენებულნი არიან აგრეთვე კოლხები, როგორც ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ქ. პოლას უძველესი მცხოვრებლები. ეს გამოძახილია არგონავტთა მითის იმ ვერსიისა, რომლის მიხედვითაც არგონავტთა მღვევარი კოლხები უკან ველარ დაბრუნდნენ მედეას მამის აიეტის შიშით და შორს უცხოეთში დარჩნენ.

პონტოს ზღვის კუნძულების ჩამოთვლაში (II, 97—98) ნახსენებია კუნძულები ლევკე ანუ აქილეია, რაც სხვა წყაროებითაა ცნობილი; აგრეთვე არესის კუნძული (არია), რომელიც შორს არ არის იმ ნაპირიდან, კოლხებით რომ არის დასახლებულიო. გადმოცემის მიხედვით, ფრინველებმა შეუშალეს ხელი ზღვაოსნებს ამ კუნძულზე გადასხდომაში იმით, რამ ფრთები დაუშინეს, რომლებიც ისრებივით ჟღერდა ხალხს.

პომპონიუს მელას თხზულების ეს ადგილები უმთავრესად ზოგ დეტალს მატებენ ან აზუსტებენ კოლხიდის უძველეს წარსულთან დაკავშირებულ არგონავტთა მითს და მათი გათვალისწინება ამ საკითხების სისრულით შესწავლისათვის საჭიროა.

პომპონიუს მელას ლათინური ორიგინალი მრავალი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ, როგორც დანამდვილებით არის გამორკვეული, ტექსტის გამოცემისათვის მხოლოდ ერთადერთს — X საუკუნის ვატიკანურ ხელნაწერს (Vaticanus 4929)—აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ყველა დანარჩენი

მისგან მომდინარეობს<sup>12</sup>. ამ ავტორის ტექსტზე დაკვირვებისათვის სხვა ხელნაწერებზე უფრო საყურადღებო მოჩანს ვატიკანურ ხელნაწერში სამი სხვადასხვა ხელით შეტანილი შესწორებები.

საერთოდ, ძველი რომაული მწერლობის შუა საუკუნეებში გადაწერილი სხვა ძეგლების მსგავსად, ეს ხელნაწერიც ძალიან შერყვნილი სახითაა წარმოდგენილი და ამიტომ მრავალი გამომცემლისა და მეცნიერის ჯაფა დასჭირდა პომპონიუს მელას თხზულების ტექსტის რიგიანად გამართვას, თუმცა ბევრი მისი ადგილი დღესაც სადაოდ ითვლება. ამიტომაც, რომ ტექსტის სქოლიოში გამომცემელთა წაკითხვებიც მოგვყავს, რომელთა სრულ დასახელებას აქვე, შემოკლებათა ნუსხაში იპოვის მკითხველი.

ყველაზე საუკეთესო კრიტიკულ გამოცემად ჯერჯერობით მაინც 1880 წელს ლაიპციგში გამოცემული ტექსტი ითვლება, რომელიც კარლ ფრიკმა გამოაქვეყნა ბერძენ და რომაელ მწერალთა ტოიბნერის ცნობილ სერიაში. ამიტომ ჩვენს მუშაობაში ძირითადად ამ გამოცემას ვეყრდნობოდით და ის დაუდეთ კიდევ საფუძვლად, თუმცა სხვა მნიშვნელოვანი გამოცემებიც არ დაგვიტოვებია უყურადღებოდ.

თუ რაიმე გადახვევაა კ. ფრიკის გამოცემისაგან, სქოლიოში მითითებულია. არ მიგვითითებია მხოლოდ ზოგიერთი ორთოგრაფიული შესწორება, რომელიც საჭიროდ ვცანით ლათინური ენის არასპეციალისტი მკითხველის სასარგებლოდ. კერძოდ ასოთა კომპლექსები, მაგ., *adf-, adp-, ads-, adt-, -inl-, inm-, inr-* და სხვ. შესაბამისად *aff-, app-, ass-, att-, ill-, imm-, irr-* და სხვა ასიმილირებული ფორმებით წარმოვადგინეთ, რაც უფრო მიღებულია ლექსიკონებში და გასაგებია ფართო საზოგადოებისათვის.

პომპონიუს მელას ლათინური ტექსტის აზრის რაც შეიძლება სრულად გათვალისწინებისათვის (რადგან ჩვენი თარგმანი, როგორც მკითხველს მოეხსენება, სპეციალურ მიზანს ისახავს), ზოგ ჭდგილას ჩვეულებრივი და უფრო ხშირად კი კუთხოვანი ფრჩხილები ვიხმარეთ. ჩვეულებრივ ფრჩხილებში მოთავსებულია ის სიტყვები ან გამოთქმები, რომლებიც ძირითად ტექსტში მოყვანილ ამა თუ იმ გამოთქმის ან სიტყვის მნიშვნელობას აზუსტებს ან ერთგვარად განმარტავს, ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში ის სიტყვებია მოქცეული, რომლებიც ლათინურ ტექსტში შეიძლება არ ეწეროს, მაგრამ კი ივარაუდება.

დასასრულ, სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პომპონიუს მელას წინამდებარე ტექსტზე ხათანაძო კომენტარების დართვა ამჟამად ვერ მოხერხდა და იძულებული ვარ, ეს საქმე შემდგომი გამოცემისათვის გადავდო.

ძირითადი კრიტიკული გამოცემა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს ტექსტს:

Pomponii Melae de chorographia libri tres: Recognovit C. Frick, Lipsiae, Billiotheca Teubneriana, 1880.

<sup>12</sup> Schanz-Hosius, II B., 1935; S. 656; Teuffel-Kroll-Skutsch, II B., 1910, S. 248; Pomponii Melae de chorographia... Recogn. C. Frick, Praefatio. pp. VII—X და სხვ.



მნიშვნელოვანია აგრეთვე G. Parthey-ს (ბერლინი, 1867) და H. Tzschucke-ს (ლაიპციგი, 1807) გამოცემები. სხვა საყურადღებო გამოცემებზე მითითება იხ. ქვემოთ, შემოკლებათა ნუსხაში.

პომპონიუს მელას ექსცერპტებისა და მთლიანი ტექსტის თარგმანები:

В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, ч. II, латинские писатели, СПб, 1904—1906. (ლათინური ტექსტით). მეორე გამოცემა, ლათინური ტექსტის გარეშე, იხ. ჟურნ. Вестник древней истории, 1949, № 1(27), стр. 270—287; 1952, № 2(40), стр. 304—305.

К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, ч. I, Тифлис, 1884, стр. 97—98.

Помпоний Мела, О положении земли. Пер. С. К. Апта. В книге — «Античная география», книга для чтения. Составитель проф. М. С. Боднарский, Москва, 1953, стр. 176—237.

Pomponius Mela, Geographie des Erdkreises. Aus dem lateinischen übersetzt von H. Phillip, Leipzig, 1912.

Macrobe, Varron, Pomponius Mela (oeuvres complètes), Paris, 1869, pp. 599—711. ფრანგული თარგმანი ეკუთვნის M. Huot-ს, სერიაში — Collection des auteurs latins avec la traduction en Français, publiées sous la direction de M. Nisard.

ძირითადი ლიტერატურა პომპონიუს მელასა და მისი თხზულების შესახებ:

История римской литературы, т. II. Под редакцией С. И. Соболевского, М. Е. Грабарь-Пассек, Ф. А. Петровского, Москва, 1962, стр. 126—128.

Ельницкий Л. А., Знания древних о северных странах, Москва, 1961, стр. 168—181.

Ростовцев М. И., Скифия и Боспор. Ленинград, 1925, стр. 45—48 и др.

Модестов В. И., Лекции по истории римской литературы, СПб, 1888.

Томсон Дж. О., История древней географии. Пер. с английского, Москва, 1953.

Schanz—Hosius, Geschichte der römischen Litteratur. II B., 4. Aufl. München, 1935, SS. 654—656.

Teuffel W. S., Geschichte der römischen Literatur: 6. Aufl., neu bearbeitet von W. Kroll und F. Skutsch. II B., Leipzig und Berlin, 1910. SS. 247—248.

Gisinger F., Pomponius Mela. Pauly-Wissowa-Kroll-Ziegler, Realencyklopädie der classischen Altertumswissenschaft. Stuttgart, 1952, XIXB., SS. 2360—2411.

Wissowa G., Die Abfassungszeit der Chorographie des P. Mela, Hermes, LI, 1916, SS. 95 ff.

Fink J., Pomponius Mela und seine chorographie, Rosenheim, 1881.

Schweder E., Die Konkordanz der Chorographien des Mela und Plinius, Kiel, 1879.

ლათინური ტექსტის სკოლიოზში ნახმარი უმთავრესი შემოკლებების ახსნა:

A—codex Vaticanus N 4929.

A<sup>1</sup>, A<sup>2</sup>, A<sup>3</sup>—ვატიკანის ხელნაწერში პირველი, მეორე და მესამე ხელით შეტანილი შესწორებები.

Barbarus—Pomponius Mela cum praefatione Hermolai Barbari, 1493.

Bursian—Recensio editionis, quam curavit Gustavus Parthey, in Fleck. annal. 1869 p. 629 sqq.

Frick—Pomponii Melae de chorographia libri tres. Recognovit C. Frick, Lipsiae, 1880.

I. Gronovius—editiones Iacobi Gronovii. Lugd. Bat. 1685, 1696.

Nisard—Macrobe, Varron, Pomponius Mela (oeuvres complètes) avec la traduction en français publiées sous la direction de M. Nisard, Paris, 1863.

Pintianus—Nonii Pintiani editio. Salmanticae 1498.

Reinoldius—Io. Reinoldii editio. Iscae 1711.

Schottus—Andr. Schottii editio. Antwerpiae 1582.

Vadianus—Io. Vadiani editio. Viennae 1518.

Vinetus—Eliae Vineti editio. Parisiis 1572.

Vossius—Isaaci Vossii editiones et observationes. 1658—1686.

1,7. ... Qua diffunditur alia aliis locis cognomina **acceptat**. ubi **primum**  
 5 **se artat** Hellespontus vocatur, Propontis ubi **expandit**, ubi iterum **pressi**  
 Thracius Bosphorus, ubi iterum **effudit** Pontus **Euxinus**, qua paludi **com-**  
 mittitur Cimmerius Bosphorus, palus ipsa **Maeotis**. [8] hoc mari et duobus  
 inclutis amnibus, Tanai atque Nilo, in tres partes **universa dividitur**. **Ta-**  
 nais a septentrione ad meridiem vergens, in mediam fere **Maeotida defluit**:  
 10 **et ex diverso Nilus in pelagus...**

## წიგნი I

1, 7. ... [ჩვენი ზღვა, ე. ი. ხმელთაშუა ზღვა], საითაც მიედინება (ვრცელ-  
 დება), სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელწოდებას იღებს: სადაც პირვე-  
 ლად შევიწროვდება, ჰელესპონტს უწოდებენ, სადაც გაიშლება — პროპონტიდს,  
 სადაც კვლავ ვიწროვდება — თრაკიის ბოსფორს. სადაც კვლავ გაიშლება  
 ევქსინის პონტოს: სადაც ჭაობს უერთდება — კიმერიელთა ბოსფორს, თვით  
 ჭაობს კი — მეოტიდს. [8] ამ ზღვითა და ორი სახელგანთქმული მდინარით,  
 ტანაისითა და ნილოსით, სამყარო სამ ნაწილად იყოფა. ჩრდილოეთიდან სამ-  
 ხრეთისაკენ მომდინარე ტანაისი თითქმის შუაგულ მეოტიდში ჩადის; მოპირ-  
 დაპირე მხრიდან კი ზღვას [ერთვის] ნილოსი. ...

2,9. სამი მხრიდან ერთკმის ამას [ე. ი. აზიას] გარს ოკეანე, ადგილების  
 მიხედვით სახელებით განსხვავებული — აღმოსავლეთიდან აღმოსავლეთისა  
 [ეწოდება], სამხრეთიდან — ინდოეთისა, ჩრდილოეთიდან — სკვითებისა... იმ  
 ოკეანიდან, რომელსაც ინდოეთისას ვუწოდებთ, არაბეთისა და სპარსეთის  
 ზღვები შემოდის, სკვითების [ოკეანიდან] კი — კასპიისა: და შესაბამისად, სა-  
 დაც იჭრება [წყალი, ხმელეთი] უფრო ვიწროა, [მერე] კვლავ განივრდება და  
 ისეთივე სიგანისა ხდება, როგორც იყო. შემდეგ, როცა უკვე თავისი საზღვ-  
 რით სხვა ქვეყნების საზღვრებს აღწევს, შუაგულში ჩვენი წყლებით ისაზღვრე-  
 ბა, დანარჩენი [ნაწილებიდან] ერთი კილით მიდის ნილოსამდე, მეორეთი  
 კი — ტანაისამდე. [10]...[აზიის საზღვარი] იქიდან კვლავ ბოსფორისაკენ  
 იხრება და პონტოს მრავალგზის დახლაკნილი ნაპირით მეოტიდის შესავალს  
 აღწევს კიდეც მოხვევის შემდგომ. [საზღვარი] თვით ტანაისამდე მიჰყვება მას  
 (ე. ი. მეოტიდს) და მერე იმ ნაპირებს უერთდება, რომლებიც ტანაისისაა.  
 [11] იქ (ე. ი. აზიაში), როგორც ვიცით, აღმოსავლეთით, ხალხთაგან პირ-  
 ველნი ინდოელები, სერები და სკვითები [არიან]. სერები [აზიის] აღმოსავ-  
 ლეთის ნაწილის შუაში ცხოვრობენ, ინდოელები და სკვითები — კიდეებში.  
 სკვითები ბინადრობენ ჩრდილოეთით და სკვითების სანაპიროზე თვით კასპიის  
 უბემდე, გარდა [იმ ადგილებისა], საიდანაც სიცივე დევნის მათ. [12]... სკვი-  
 თებთან უახლოესნი კასპიანები კასპიის უბეს ერთკმიან. იქით ამაზონები, იმათ  
 იქით კი, ამბობენ, ჰიპერბორეები არიანო. [13] შიდა ქვეყნებში ბევრი და  
 ნაირ-ნაირი ხალხები ცხოვრობენ... სკვითებსა და სკვითების ტრამალებს ზე-  
 მოთ დაჰები [ცხოვრობენ]; ხოლო კასპიის უბეს ზემოთ — კომარეები, მასაგეტები,  
 კადუსები, პირკანები, ჰიბერები: ამაზონებსა და ჰიპერბორეებს ახლოს — კიმე-  
 რიელები, კისიანტები, აქეები, გეორგილები, მოსხები, კორსიტები, ფორის-

ტები, რომელები; ხოლო სადაც ჩვენს ზღვებს ემხრობა — მატინები, ტიბარანები და უკვე უფრო ცნობილი სახელის [მქონენი] — მიდიელები, არმენიელები, კომაგენები, მურანები, ვეგეტები, კაპადოკიელები, გალოგრეკები, ლიკონელები, ფრიგიელები, პისიდიელები, ისავრიელები, ლიდიელები, სიროკილიკიელები.

[14] ... პონტოს ირგვლივ რამდენიმე სხვადასხვა ხალხი, სხვადასხვა საზღვრებში ცხოვრობს; ყველას ერთი სახელი — პონტოელები ჰქვიათ. მეოტიდის ტბასთან მეოტიკები ცხოვრობენ, ტანაისთან კი — სავრომატები.

3,15. ევროპას აღმოსავლეთიდან საზღვრავს ტანაისი, მეოტიდი და პონტო, სამხრეთიდან — ჩვენი ზღვის დანარჩენი ნაწილი; დასავლეთიდან — ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთიდან კი — ბრიტანეთის ოკეანე. მისი (ე. ი. ევროპის) სანაპირო ნაპირების მოყვანილობით ტანაისიდან ჰელესპონტამდე, სადაც ხსენებული მდინარის ნაპირია, სადაც ჭაობის მოხრილობა პონტოში გადადის და სადაც პროპონტიდსა და ჰელესპონტს ემხრობა, არა მარტო უპირისპირდება აზიის მოპირდაპირე სანაპიროებს, არამედ ემსგავსება კიდეც... [18] [ევროპაში] ხალხთაგან პირველად სკვითია არის (სხვა და არა ის, რომელიც ნახსენებია ტანაისთან), თითქმის პონტოს სანაპიროს შუაგულში; აქედან ეგევის [ზღვის] ნაწილს აღწევს თრაკია, ამას კი მაკედონია ემიჯნება... [19] ... გერმანელები, სარმატებამდე აღწევენ, ისინი კი — აზიამდე.

15,80. იქვე მოსდევს ლიკია, რომელსაც ეს სახელი ჰქვია მეფე ლიკოსისაგან, პანდიონის ძისაგან და, როგორც ამბობენ, ოდესღაც მას ემუქრებოდა ქიმერის ცეცხლი. სიდას ნავსადგური და ტავროსის კონცხი დიდ უბეს ერთყმიან გარს. [81] თვითონ ტავროსი აღმოსავლეთი ნაპირებიდან დაწყებული საკმაოდ შორს აღწევს; მარჯვენა კალთა ჩრდილოეთისაკენ აქვს მიქართული, მარცხენა კი — სამხრეთისაკენ; მოიმართება პირდაპირ დასავლეთისაკენ განუწყვეტელ ჯაჭვად. ეს ქედი დიდი ხალხების გამყოფს წარმოადგენს და სადაც ხმელეთი თავდება, ზღვას ებჯინება. ხოლო იგივე ჰქვია მთელსაც, როგორც ითქვა, და აგრეთვე იმ [ნაწილსაც], რომელიც აღმოსავლეთითაა. მერე კი [ეწოდება] ჰემოდები, კავკასიონი და პროპანისუსი; შემდეგ კასპიის კარი, ნიფატები, არმენიის კარი და სადაც უკვე ჩვენს ზღვებს მოაღწევს — კვლავ ტავროსი.

17,88... იქვე (ე. ი. იონიაში) არის ეფესი და დიანას უსახელოვანესი ტაძარი, რომელიც, ამბობენ, რომ ამაზონებმა შესწირეს (აუგეს) [ღმერთს] მაშინ, როცა მათ აზია ეპყრათ. იქვეა მდინარე კაისტროსი...

18,90. უახლოეს მხარეს (იგულისხმება — იონიასთან), რომელსაც მას შემდეგ, რაც ეოლიელებმა იწყეს დასახლება იქ, ეოლია დაერქვა, წინათ კი მისია [ერქვა]; ხოლო [ის მხარე], რომელიც ჰელესპონტს აკრავს, რაკი ტროელებს ეკუთვნის, ტროია იყო. ქალაქებიდან პირველს დამაარსებლის მირინოსის [სახელის] მიხედვით მირინა ეწოდება; მომდევნო [ქალაქი] დააარსა პელოპსმა, ოინომოსის დამარცხების შემდეგ საბერძნეთიდან რომ დაბრუნდა. ამაზონების წინამძღოლმა კიმემ გარეკა [იქიდან] წინანდელი მცხოვრებლები და მას კიმე დაარქვა.

19,97. უფრო შიგნით არიან ბითინიელები და მარიანდინები, სანაპიროზე კი — ბერძნული ქალაქები აბიდოსი, ლამპსაკოსი, პარიონი და პრიაპო-

სი. აბიდოსი ოდინდელი დიდი სასიყვარულო კავშირის [ამბით] არის ცნობილი. ლამსაკოსი იქიდან ატარებს ფოკელებისაგან წოდებულ სახელს, რომ როცა ისინი დაეკითხნენ [ორაკულს]. ყველაზე უფრო რომელ ქვეყანაში წასვლა სჯობიაო, პასუხად იყო: იქ დაიდეთ ბინა, სადაც პირველად იელებსო. [98] შემდეგ კვლავ იშლება (ფართოვდება) ზღვა პროპონტიდად. მასში ჩადის გრანიკოსი, რომელმაც სახელი გაითქვა სპარსელებსა და ალექსანდრეს შორის პირველი ბრძოლით. მდინარის ვაღმა, ნახევარკუნძულის ყელზე, მდებარეობს კიზიკოსი. სახელი მისცა კიზიკოსმა, რომელიც, გაგვიგონია, როცა კოლხებთან მიემგზავრებოდნენ, მინიებმა უნებურად (უცოდინრად) მოჰკლეს შეტაკებაშიო შემდეგაა პლაკია და სკილაკე, პელასგთა პატარა ახალშენები, რომელთა უკან (ზურგში) აღმართულია ოლიმპოსის მთა, [ადგილობრივი] მცხოვრებლები რომ მისიისას ეძახიან. [99] იქიდან (ე. ი. ოლიმპოსის მთიდან) ჩამოდის მდინარე რინდაკოსი. იმ მიდამოებში შენობენ არაჩვეულებრივი გველები, რომლებიც არა მარტო სიდიდით არიან საოცარნი, არამედ იმითაც, რომ როცა სიცხისა და მზისაგან მის კალაპოტში იმალებიან, თავს ამოყოფენ, პირს აღებენ და რაც უნდა მალა და სწრაფად გადაუფრინონ ფრინველებმა, შთანთქავენ. რინდაკოსის გადაღმა არის დასკილოსი და მირლეა, რომელიც კოლოფონელებმა დაასახლეს. [100] შემდეგ არის ორი მომცრო უბე. ერთი, სახელად კიანი, ეკვრის კიოსს, ფრიგიის არა შორს მდებარე ყველაზე უფრო მოხერხებულ საბაზრო ქალაქს; მეორის — ოლბიანოსის კონცხზე დგას ნებტუნის ტაძარი, შიგნით [ხმელეთზე] კი ასტაკოსი, დაარსებული მეგარელთა მიერ. [101] შემდეგ ხმელეთი კვლავ ვიწროვდება (ერთმანეთისკენ იწვეს) და პონტოში გამავალი ზღვის უფრო წვრილი სრუტე, როგორც ეძახიან — თრაკიის ბოსფორი, ევროპას აზიისაგან ხუთი სტადიონით ჰყოფს. თვითონ ყელში მდებარეობს ქალაქი, გასასვლელში კი ტაძარი. ქალაქის სახელია კალქედონი, დამაარსებელია — არქიასი, მეგარელთა ბელადი; ტაძარი არის იუპიტერის სახელობაზე, დამაარსებელია იასონი. [102] აქ უკვე ვეება პონტოს ზღვა იშლება (იხსნება, გადაიშლება). თუ არ ზოგიერთი კონცხისა, კალაპოტი (ნაპირები) აქეთ და იქით შორს სწორად მიიმართება, მერე კი მოხრილია, მაგრამ ვინაიდან [სრუტის] მოპირდაპირე [ნაპირი] უფრო მოკლე (პატარა) [მანძილზე] ვრცელდება, ვიდრე მარცხენა და მარჯვენა [ნაპირები], სწორი (არა ოღრო-ოღრო, არა დახლაკნილი) კიდეებით [მიიმართება], სანამ ორივე მხარეს ვიწრო კუთხეებს არ შექმნის და ძალიან გადრეკილი სკვითური მშვილდის ფორმით იხრება. [ზღვა] არის დაბალი, მკაცრი, ნისლიანი; ნავსადგურები იშვიათია; დაქანებული და უქვიშო ნაპირებითაა გარშემორტყმული; მეზობელია ჩრდილოეთის ქარისა და რადგანაც არ არის ღრმა, მღელვარეა და მშფოთვარე. ოდესმე მცხოვრებთა ძალიან მცნინვარე ხასიათის გამო აქსენოსი [ეწოდებოდა], შემდეგ სხვა ერებთან სავაჭრო ურთიერთობით საკმაოდ თვინიერი ჩვევები რომ გაუხდათ, ევქსინოსი ეწოდება. [103] მასში (ე. ი. პონტოს ზღვის სანაპიროზე) პირველად მარიანდინები სახლობენ, როგორც ამბობენ, არგოსელი ჰერკულესის მიერ აგებულ ქალაქში. ეწოდება ჰერაკლეა და ეს გადმოცემას ნდობას (სიმართლეს, უცილობლობას) მატებს. იქვე არის გამოქვაბული აქერუსია, როგორც ამბობენ, მანებთან გამავალი, და ვარაუდობენ, რომ იქიდან გამოიყვანეს კერბეროსი.

[104] შემდეგ არის ქალაქი ტიოსი, ოდესმე მილეტელების ახალშენი, მაგრამ უკვე მიწა და ხალხი (მცხოვრებნი) პაფლაგონიელებისაა. მათი სანა-

პიროს თითქმის შუაში კარამბისის კონცხია, [კონცხს] აქეთ არის მდინარე პართენიოსი, ქალაქები სესამოსი, კრომნოსი და კიტისოროსის, ფრიქსის ვაფიშვილის, მიერ დაარსებული კიტოროსი; შემდეგ არის კინოლისი, კოლიორისი და ის, რომელიც პაფლაგონიის უკანასკნელი ქალაქია — არმენე. [105] პაფლაგონიასთან ყველაზე ახლოს მყოფ ხალიბებს აქეთ სახელგანთქმული [ქალაქები] ამისოსი და სინოპე, ცინიკოსი დიოგენეს სამშობლო, მდინარეები ჰალისი და თერმოდონტი. ჰალისს იქით ქალაქია — ლიკასტო, ხოლო თერმოდონტს იქით — ველი. იქ იყო ქალაქი თემისკური, იყო ამაზონთა ბანაკებიც, რის გამოც ამაზონთა [მდინარესაც] უწოდებენ. [106] ხალიბებს ტაბერენები ესაზღვრებიან, რომლებსათვისაც უდიდესი ბედნიერება თამაშობა და სიცილია. იქით მოსინები ცხოვრობენ ხის კოშკებში, მთელ სხეულს ნიშნებით იჭრელებენ, საჯაროდ ჭამენ, განურჩევლად (აღრეულად) იჭერენ ერთმანეთთან სქესობრივ კავშირს და საქვეყნოდაც; მეფეებს კენჭის ყრით ირჩევენ, ინახავენ მათ ბორკილებში მტკიცე დაცვის ქვეშ და როცა რაიმე უგვანი ბრძანების გამოცემით დააშავენ, მთელი დღის უჭმელობით სჯიან. სხვა მხრით, მძვინვარენი, ველურნი არიან ნაპირს მიმდგომთათვის. [107] შემდეგ უფრო ნაკლებ ველური [ხალხებია], თუმცა ესენიც ტლანქი ზნისანი არიან — მაკროკფალეები, ბეხირები, ბუქსერები. ქალაქები იშვიათია — ყველაზე ბრწყინვალენი არიან კერასუნტი და ტრაპეზოსი. [108] მერე ის ადგილია, სადაც თავდება ბოსფორიდან მომავალი სანაპირო და მერე აღმართული მოპირდაპირე ნაპირის მოხრილობა პონტოს ყველაზე უფრო ვიწრო კუთხეს ქმნის. აქ არიან კოლხები, აქ ჩამოდის ფასისი, აქვეა ამავე მდინარის სახელის მქონე, თემისტაგორა მილეტელის მიერ დაარსებული ქალაქი, აქაა ფრიქსის ტაძარი და კორომი, სახელგანთქმულნი ოქროს საწმისის შესახებ ძველი თქმულებით. [109] აქედან დაწყებული მთები მიმართებიან მანამ, სანამ რიფეის მთებს არ შეუერთდებიან. ისინი ერთი მხრით მიმართულნი არიან ევქსინის, მეოტიდისა და ტანაისისსაკენ, მეორეს მხრით კი — კასპიის ზღვისაკენ და იწოდებიან კერავნისად. სხვადასხვა ადგილებში კი [უწოდებენ] ტავრულ, მოსხურ, ამაზონურ, კასპიურ, კორაქსულ და კავკასიურ [მთებს] — როგორც სხვადასხვა ხალხებს ემიჯნებიან, ისეც უწოდებენ მათ სხვადასხვა სახელებს. [110] სანაპიროს მოსახლევის დასაწყისში ქალაქია, რომელიც, როგორც ამბობენ, ბერძენი ვაჭრების დაარსებულია და კიკნოსი ჰქვია, რადგან როცა ბნელი ქარიშხალი მიაქროლებდა მათ და არ იცოდნენ საით იყო მიწა, გედის ხმამ მისცათ ნიშანი. დანარჩენი ნაწილი უჭირავთ ველურ და გაუნათლებელ ტომებს, ფართო ზღვასთან მცხოვრებთ — მელანხლენას, ტორეტიკას, ექვს კოლიკს, კორაქსიკებს, ფთოროფაგებს, ჰენიოხებს, აქეებს, კერკეტიკებს და, უკვე მეოტიდის ახლოს — სინდონებს. [111] ჰენიოხთა საზღვრებშია დიოსკორია, კასტორისა და პოლუქსის მიერ დაარსებული, როცა ისინი იასონთან ერთად პონტოში შემოვიდნენ; თვით სინდონების მიერ თავიანთ ქვეყანაში კი დაარსებულია სინდოსი. [112] მერე მრუდე და არც თუ განიერი ზოლი მიდის პონტოსა და ჭაობს შორის ბოსფორამდე, რომელსაც მდინარე კორაკანდა, ორი ტოტით ჩამავალი ტბასა და ზღვაში, თითქმის კუნძულის სახეს აძლევს. იქ ოთხი ქალაქია: ჰერმონასა, კეპე, ფანაგორეა და თვით ყელთან — კიმერიონი. [113] ამ ყელით შედიან შორს და ფართოდ გამდგარ ტბაში, რომელსაც გარს ერტყმის მიხვეულ-მოხვეული სანაპირო ხმელეთი გარდა იმ ადგილისა, სადაც გახსნილია და სიდიდით თითქმის პონტოს ოდენაა. [114] სანაპირო, რომელიც იხრება ბოსფორიდან



ტანისამდე, დასახლებულია მეოტიკებით. თატებით, სირახებით, ფიკო-  
რებით და მდინარის შესართავთან ყველაზე ახლოს — იქსამატებით. მათში  
ქალები იმავე საქმეებს აკეთებენ, რასაც მანაკაცები და სამხედრო სამსახური.  
დანაც კი არ არიან თავისუფალნი. ვაჟკაცები ქვეით ჯარში მსახურობენ და  
ბრძოლაში ისრებს ისვრიან, ქალები კი ამხედრებულნი ებმებიან ბრძოლაში  
და რკინის იარაღს კი არ იყენებენ. არამედ ქამანდებს სტყორცნიან მტერს  
და იმითი აღრჩობენ მათ. ქალები თხოვდებიან, მაგრამ გათხოვებისათვის რომ  
მზად იყვნენ, მარტო ასაკი არ კმარა — ვისაც მტერი არ მოუკლავს, ქალწუ-  
ლად რჩება. [115] თვით ტანისი რომელიც რიფეის მთებიდან მოდის, ისე-  
თი სისწრაფით მოედინება, რომ, მაშინ როცა მეზობელი მდინარეები, მეო-  
ტიდი, ბოსფორი და პონტოს ზოგი ნაწილიც იყინება ზამთრის სუსხისაგან,  
ის ერთი იტანს ერთნაირად სიცხესა და სიცივეს, ერთნაირად რჩება და მიჭ-  
ქრის სწრაფად. [116] მის ნაპირებსა და სანაპიროებს სავრომატები ფლობენ,  
ერთი ტომის, ოღონდ სხვადასხვა სახელების ხალხად დაყოფილნი. პირველად  
მეოტიდები-ქალთამორჩილნი (გინაიკოკრატუნენები) [ფლობენ] ამაზონთა სა-  
მეფოს, ტრამალებს, საწოვრებით მდიდარს, ნაგრამ სხვა მხრით კი ხრიოქსა  
და შიშველს. ბუდინები ცხოვრობენ ხის ქალაქ გელონიონში. მათ ახლოს ტი-  
საგეტებსა და ტურკებს ვეება ტყეები უჭირავთ და ნადირობით ირჩენენ თავს.  
[117] შემდეგ მოჰყვება მკაცრი და უდაბური ქვეყანა, დიდ მანძილზე განუ-  
წყვეტელი კლდეების ჯაჭვით დაფარული და არემფეებამდე აღწევს. ისინი  
სამართლად ხნისანი არიან, ტყეებში ცხოვრობენ, ტყის ხილს სჭამენ, ქა-  
ლებსაც და კაცებსაც თავები შიშველი აქვთ. ამიტომ წმიდანებად ითვლებიან,  
და არა მარტო თვითონ მათ არას ერჩიან ასე ველური ტომები, არამედ ისი-  
ნიც, ვინც მათ შეეფარებიან, ხელშეუხებელნი ხდებიან, მათ იქით აღმართუ-  
ლია რიფეის მთა, ხოლო აქითა მხარეს სანაპიროა, ოკეანისკენ მიქცეული.

## წ ი გ ნ ი II

I,1. ჩვენი ზღვისა და ტანისისაკენ მოქცეული აზიის საზღვარი და მდე-  
ბარეობა, როგორც ვთქვით, ეს არის. ამავე მდინარით მეოტიდში ჩაბრუნე-  
ბულთათვის მარჯვენა მხარეს ევროპაა, იქიდან ამომსვლელთათვის კი მარ-  
ცხენა მხარეს იქნება. რიფეის მთებთან (ისინი ხომ აქამდე აღწევენ) ახლოს  
მდებარე ადგილებს მუდმივ მომდინარე თოვლი ისე გაუვალს ხდის, რომ იქით  
ალარც არაფერი ჩანს. მერე არის ნოყიერნიადგიანი ქვეყანა, მაგრამ უკა-  
ცური, რადგან გრიფებს, ველურ და ჯიუტი ჯურის ცხოველებს ძალიან უყვარ-  
თაწის წიაღიდან ამოღებული ოქრო და თავს ესხმიან მათ, ვინც ხელს ახლებს.  
[2] ადამიანთაგან პირველნი არიან [აქ] სკვითები, ხოლო სკვითებში — არი-  
მასპები, რომელთაც, ამბობენ, ცალ-ცალი თვალი აქვთო; მათ იქით ესედონე-  
ბი — თვით მეოტიდამდე. მის რკალს ჰყვეთავს მდინარე ბუქესი. აქ ცხოვრო-  
ბენ ავათირსები და სავრომატები, ამაქსაბიებს რომ უწოდებენ, რადგან სა-  
ზღების მაგივრად ურმები აქვთ. მერე მრუდი ზოლია, ბოსფორისაკენ რომ  
ეშვება და პონტოთი და მეოტიდით შემოისაზღვრება. [3] ჭაობისაკენ მიქცე-  
ული [მხარე] სატარხებს უჭირავთ, ბოსფორისაკენ კი — კიმერიელთა ქალაქებს:  
ბურმეკიონს, პანტიკაპეონს, თეოდოსიას, ჰერმისიუმს: ეგქსინის ზღვისაკენ —  
ტავრიკებს. მათ ზემოთ კარგი ნავმისადგომი ყურვა, ამიტომ კალოს-ლიმენი  
(შშვენიერი ნავსადგური) ჰქვია და შემოსაზღვრულია ორი კონცხით. ერთს  
უწოდებენ კრიუ-მეტაპონს (ვერძის შუბლს) და მოპირდაპირეა ნახსენები კარამ-

ბიკისა აზიაში, მეორეს—პართენიონს. ახლოს ემიჯნება ქალაქი ხერონესოსი, თქმულების თანახმად, დაარსებული დიანას მიერ და დიდად სახელგანთქმულია ნიმფების გამოქვამულით, რომელიც მის ციხე-სიმაგრეში [მდებარეობს] და ნიმფებისადმი შეწირული. [4] შემდეგ ნაპირებში შემოდის ზღვა და ხუთი ათას ნაბიჯამდე მანძილით არის დაშორებული მეოტიდისაგან; ნაპირების შეწეულ-გამოწეულობის წყალობით, სატარხებსა და ტავრიკებს თითქმის კუნძულები უჭირავთ. ჭაობსა და უბეს შორის მოქცეულ [ადგილს] ეწოდება ტაფრე, უბეს კი — კარკინის უბე. იქ არის ქალაქი კარკინე, რომელსაც ორი მდინარე გეროსი და იპაკარესი ჩამოუდის. ისინი ერთი შესართავით ერთვიან [ზღვას], ოღონდ სხვადასხვა წყაროებიდან და სხვადასხვა ადგილებიდან კი გამოდიან; გეროსი ბასილიდებსა და ნომადებს შორის მოდის, იპაკარესი კი—ნომადებში. [5] შემდეგ არის ტყეები, ამ ქვეყნებში ყველაზე უდიდესი, და პანტიკაპესი, რომელიც ნომადებსა და გეორგებს მიჯნავს ერთმანეთისაგან. შემდეგ შორს გამოწეული ზოლი ნაპირს უერთდება ვიწრო ყელით, მერე დიდ სივრცეზე ნელ-ნელა ზომიერად ვიწროვდება, თითქოს გრძელი გვერდები შეეწევა და მოგვაგონებს ბრტყლად დადებულ მახვილს. ამბობენ, რომ პონტოს ზღვაში მტრული ფლოტით შემოსულმა აქილევესმა აქ იზეიმა გამარჯვება შეჯიბრ-თამაშობებით და, როცა ომისაგან მოიცალა (დამშვიდდა), თვითონ და თავისიანებს სირბილში ავარჯიშებდა. ამიტომ ჰქვია აქილევესის ნარბენი. [6] შემდეგ თავისივე სახელის მქონე ტომის [ქვეყანას] ჩამოუდის ბორისთენესი, სკვითის ულამაზესი მდინარე; სხვა მღვრიე [მდინარეებზე] უფრო სუფთად მოედინება, სხვებზე უფრო წყნარია და სასმელად ყველაზე გემრიელი. იგი ასაზრდოებს უმდიდრეს საძოვრებს და დიდრონ თევზებს, რომელნიც ძალიან გემრიელნი არიან, ძვლები კი არ გააჩნიათ. შორიდან მოდის, უცნობი სათავეებიდან; ორმოც დღეს მოჰყვება კალაპოტს და ამდენივე მანძილზე სანაოსნოა. ერთვის ზღვას ბერძნულ ქალაქებს ბორისთენიდსა და ოლბიასთან [7]. კალიპიდებს ჰიპანისი საზღვრავს. იგი იწყება დიდი ჭაობიდან, რომელსაც მცხოვრებნი მის დედას უწოდებენ და დიდხანს მიმდინარეობს ისე, როგორც წარმოიშვა. ბოლოს, ზღვიდან არც თუ შორს, პატარა წყაროდან, რომელსაც ექსამპეოსი ჰქვია, იმდენად მწარე წყალს ირთავს, რომ თვითონაც უკვე თავის თავს აღარ ჰგავს და აქედან [მოყოლებული] უგემური მიედინება. ყველაზე ახლოს ასიაკესი ჩამოდის—კალიპიდებსა და ასიაკებს შორის. ამათ [ე. ი. ასიაკებს] ჰისტრიელებისაგან ტირა ჰყოფს; იწყება ნეგრებში, ხოლო როცა ერთვის [ზღვას], თავის მოსახელე ქალაქს ჩაუდის. [8] ხოლო ის, რომელიც სკვითის ხალხებს მომდევნო [ხალხებისაგან] ჰყოფს, გერმანიაში იჩენს თავს და ზემო ნაწილში ქვემო დინებისაგან განსხვავებული სახელით მოედინება. დიდი ტომების უზარმაზარ ადგილებში დიდხანს დანუვიუსია, შემდეგ, როგორც სხვანაირად უწოდებენ მას მცხოვრებნი,—ჰისტერი; შეიერთებს რა რამდენიმე მდინარეს, უკვე ვეება ხდება და იმ მდინარეებიდან, რომელნიც ჩვენს ზღვაში ჩამოდიან, მხოლოდ ნილოსზე უფრო პატარაა და ერთვის იმდენივე შესართავით, რამდენითაც ის (ე. ი. ნილოსი), მაგრამ სამი [მათგანი] თხელია, დანარჩენი კი—სანაოსნო. [9] ტომების ხასიათი (ბუნება) და კულტურა სხვადასხვაგვარია. ესეღონები მშობელთა გარდაცვალებას მხიარულებით, მსხვერპლის შეწირვით და ნათესავთა საზეიმო შეკრებით დღესასწაულობენ. თვით გვამებს, დაჩხილებსა და ცხოველთა დაკვბილ შიგნეულობაში არეულს, ქვიფის დროს სანსლავენ. თავებს, როცა ოსტატურად გააპრიანენ-



ბენ, ოქროთი შემოჭედნილებს, როგორც სასმისებს, ატარებენ. ეს არის მათში მშობლის ყველაზე უკანასკნელი პატივისცემა. [10] აგათირსები პირსა და [სხეულის] ასოებს იხატავენ, ოღონდ რამდენად მეტად წარჩინებულნი არიან, იმდენად მეტად ან ნაკლებად. სხვა მხრით ყველას ერთი და იგივე ნიშნები აქვთ და ისე, რომ ჩამორეცხა არ შეუძლიათ. სატარხები, ოქროს და ვერცხლის—უდიდესი უბედურების—არამცოდნენი, ვაჭრობას ნივთების გაცვლით აწარმოებენ და მეტად გამუდმებული სასტიკი ზამთრის გამო მიწაში ჩათხრილ ბინებში, გამოქვაბულებსა ანდა გამონათხარებში ცხოვრობენ; მთელ სხეულს იფარავენ და სახესაც იბურავენ გარდა თვალებისა. [11] ტაერები, ყველაზე უფრო იფიგენიას და ორესტეს იქ მისვლით სახელგანთქმულნი, მძვინვარე ჩვევებისა არიან და მძვინვარე სახელიც აქვთ დაგდებული—ჩასულებს ხშირად მსხვერპლად შესაწირავად ხოცავენო. ბასილიდები ჰერკულესისა და ექიდნას შთამომავალნი არიან, მეფური ჩვეულებანი აქვთ; იარაღად კი—მარტო ისრები. მოხეტიალე ნომადები საქონლის საკვებს დასდევენ და როგორც ის (საკვები) გაუძღვბთ (ეყოფათ), იმდენ ხანს ეწევიან ბინადარ ცხოვრებას. გეორგები ამუშავენ და უვლიან ყანებს. ასიაკებმა მოპარვა რა არის, არ იციან და ამიტომ არც თავისას დარაჯობენ, არც სხვისას ახლებენ ხელს. [12] უფრო შიგნით მცხოვრებთა ჩვეულებანი კიდევ უფრო ტლანქია და მხარეც უფრო დაუშუშავებელია. უყვართ ომები და მკვლელობანი. მეომრებს ჩვეულებად აქვთ თვით ჭრილობებიდან გადმოდენილი სისხლი დალიონ იმისი, ვისაც პირველად მოჰკლავენ. ვინც მეტს მოჰკლავს, მათში ის ითვლება უფრო წარჩინებულად; ხოლო არმოკვლა—უდიდესი სირცხვილია. ხელშეკრულებათა დადებაც კი არ ხდება უსისხლოდ. ხელშეკრულების დამდებნი გაიჭრიან, გამოსულ სისხლს ერთმანეთს შეურევენ და იგემებენ. ამას თვლიან სამუდამო პირიანობის (სიტყვის გაუტეხელობის) ყველაზე უფრო საიმედო საწინდრად. [13] ქეიფებში ყველაზე საამური და ხშირი სალაპარაკოა, ვინ რამდენი მოკლა, და ვინც მეტს იტყვის, ორ-ორი თასით სვამს. მოლხინეებში ეს უდიდესი პატივია. სასმისებს (თასებს), როგორც ესეღონები მშობლების [თავებისაგან იკეთებენ], ასევე ესენი ყველაზე უფრო დიდი მტრების თავებისაგან იკეთებენ. [14] ანთროპოფაგებში თვით კერძებიც ადამიანის შიგნეულისაგან მზადდება. გელონები მტრების კანს ცხენებზე და თავიანთ თავზე იფარებენ—მათ (ცხენებს) სხეულის დანარჩენი ნაწილის კანს [აფარებენ], თვითონ კი [მტრების] თავის კანს [იფარებენ]. მელანხლენებს შავი სამოსი აქვთ და აქედანაა [მათი] სახელიც; ნეერებს ყველას დადგენილი დრო აქვთ, როცა თავიანთი სურვილით მგლებად [გადაიქცევიან] და კვლავ იზადვე იქცევიან, რანიც იყვნენ. [15] მარსი ყველას ღმერთია. მას გამოსახულებების (ქანდაკებების) მაგიერ მახვილებს და ყაწიმებს სწირავენ და მსხვერპლად პირუტყვების ნაცვლად ადამიანებს უკლავენ. მიწები შორს არის გადაშლილი და, რადგან უმეტესად მდინარეები თავიანთ ნაპირებს გადმოდიან, ყველგან ნაყოფიერი საძოვრებია; ზოგან კი სხვა მხრით იმდენად უნაყოფოა, რომ მცხოვრებნი უშეშობის გამო ცეცხლს ძვლებს უნთებენ.

2,22. სანაპიროზე ჰისტერთან ყველაზე ახლოს არის ჰისტროპოლისი; შემდეგ მილეტელების მიერ დასახლებული კალატისი; მერე ტომე, ნავსადგური კარია და კონცხი ტირისტისი, რომლის გავლის შემდეგ არის პონტოს მეორე კუთხე, ფასისის [კუთხის] პირდაპირ და, უფრო განიერი რომ არ იყოს.

[მისი] მსგავსია. აქ იყო ბიზონე, რომელიც მიწისძვრით დაიღუპა. არის ნაგ-  
სადგური კრუნოსი, ქალაქები დიონისოპოლისი, ოდესოსი, მესემბრია, ანქია-  
ლოსი და უბის სულ შიგნით, სადაც პონტოს ზღვა თავის მეორე უბეს კუთ-  
ხით დაასრულებს — დიდი აპოლონია.

3,44. სანაპიროს რომ გაჰყვეს კაცი, სეპიადის კონცხიდან პაგასას უბემ-  
დე, [საზღვაო] გზა დევს დემეტრიონსა, ჰალონსა, პტელეონსა და ექინონზე.  
ქალაქ პაგასას მიკრულ უბეს მდინარე სპერქიონი შეერთვის და რადგან კოლ-  
ხიდას მიმავალმა მინიებმა აქ შეაცურეს ხომალდი არგო [ზღვაში], ამიტომ  
მოიხსენება...

[56] შემდეგ არიან [ისინი], რომელთაც საკუთრივ ილირიელებს ეძახიან,  
მერე — პირეელები, ლიბურნები და ჰისტრია. ქალაქებიდან პირველად არის  
ორიკუმი, მერე დირაქიუმი, რომელიც წინათ ეპიდამნოსი იყო. რომელებმა  
შეუცვალეს სახელი, რადგან თითქოს ავ ნიშნად ჩანდა. [57] იქით არის აპო-  
ლონია, სალონა, იადერი, ნარონა, ტრაგურიუმი, პოლას უბე და პოლა, ოდეს-  
მე, როგორც გადმოსცემენ, კოლხებით დასახლებული. ასე იცვლებიან საქმენი!  
ახლა რომელთა კოლონიაა. ხოლო მდინარეებია ეასო, ნარი და დანუვიუსი,  
რომელსაც ახლა ჰქვია ჰისტერი; მაგრამ ეასი აპოლონიის იქით ჩამოდის,  
ნარი — პირეელებსა და ლიბურნებს შორის, ხოლო ჰისტერი — ჰისტრიელებ-  
ში. ტერგესტე, რომელიც ჰადრიას უბის შუაგულში მდებარეობს, ილირიის  
ბოლო [ქალაქია].

4,71. სინესა, ლირისი, მინტურნე, ფორმიე, ფუნდი, ტარაცინა, ოდესმე  
კირკეს სამყოფელი — კირკვია, ანციუმი, აფროდისიუმი, არდუა, ლავრენტუმი,  
ოსტია ტიბრის აქეთა მხარეს, ამ სანაპიროზე მდებარეობენ.

7,97... ცოტა [კუნძული] არის მეოტიდში, — ვინაიდან, მგონია, აქედან  
ყველაზე უფრო მოსახერხებელია დაწყება. მაგრამ ყველა არაა დასახლებული,  
რადგან იქ საძოვრებიც კი არ არის საკმაო. ამიტომ მცხოვრებლებს მზეზე  
გამხმარი და წმინდად დაფხვნილი დიდრონი თევზების ხორცი ფქვილის მა-  
გიერ აქვთ. [98] [კუნძულები] ცოტაა პონტოშიც. [აქ არის] ბორისთენესის  
შესართავის წინ მდებარე ლევკე, ძალიან პატარა [კუნძული], და რადგან იქ  
აქილევსი განისვენებს, აქილევაც ჰქვია. კოლხებისაგან არც თუ შორს არია  
[მდებარეობს], რომელიც მარსისადმია შეწირული. როგორც თქმულება გად-  
მოგვცემს, იქ იცის ისეთი ფრინველები, რომელნიც უდიდეს უბედურებას  
აყენებენ ჩამომსვლელთ ისრების მსგავსად ნასროლი ფრთებით.

7. 114. ... ჰადრიას [უბეში] არის [კუნძულები] აპსოროსი, დისკელა-  
დოსი, აბსირტისი, ისა, ტიტანა, ჰიდრია, ელექტრიდები, შავი კორკირა, ლინ-  
გვარუმი, დიომედია, ესტრია, ასინე და, როგორც ალექსანდრიის წინ, ისე  
ბრუნდიზიუმის წინაც — ფაროსი.

### წ ი გ ნ ი III

4,33. სარმატია, შიგნით უფრო განიერი, ვიდრე ზღვის სანაპიროზე,  
განიყოფება თავის მომდევნოთაგან მდინარე ვისტულათი და, ქვემოთ დაშვე-  
ბული, მდინარე ჰისტერამდე ჩამოდის. ტომი ჩაცმითა და შეიარაღებით ყვე-

ლახე ახლოა პარტიელებთან, ოღონდ მკაცრი ჰავის მიხედვით თვითონაც უფრო სასტიკნი არიან. [34] ქალაქები არა აქვთ და არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილები. საითაც მიიზიდავენ საძოვრები, ანდა უკანდახეული ან დადევნებული მტრები, იქით მიათრევენ თავიანთ ქონებას და მუდამ ბანაკებში ცხოვრობენ. მეომარი, თავისუფალი, თავმოუდრეკელი და იმდენად ველური და სასტიკი ხალხია, რომ ქალებიც ვაჟკაცებთან ერთად ომობენ. რათა უფრო მოხერხებულად იყვნენ, გოგოებს დაბადებისთანავე მოუწვავენ მარჯვენა ძუძუს, რითაც მკლავი თავისუფალი ხდება მოქნევისათვის, მკერდი კი — კაცური. [35] მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ნადრობა ქალიშვილთა საცოდნელია; მოზრდილთა ვალია მტრის მოკვლა, ამის აუსრულებლობა დანაშაულად ითვლება და ქალწულად დატოვებაა სათანადო სასჯელი.

5,36. შემდეგ აზიის საზღვრებია, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მუდმივი ზამთარია და აუტანელი სიცივე. ცხოვრობენ სკვითთა ხალხები, თითქმის ყველას ერთად ბელკებს უწოდებენ. აზიის სანაპიროზე პირველად ჰიპერბორეები ცხოვრობენ ზევით ჩრდილოეთისაკენ და რიფების მთებს იქით, თვით ჩრდილოეთის ვარსკვლავის ქვეშ (ჩრდილოეთ პოლუსზე), სადაც მზე ყოველდღიურად კი არ ამოდის როგორც ჩვენთან, არამედ პირველად გაზაფხულის ბუნიობის დროს ამოსული, მხოლოდ შემოდგომის ბუნიობის დროს ჩადის; მაშასადამე ექვს თვეს გრძელდება დღე და კიდევ ამდენივე ხანს ღამე. [37] მიწა ვიწრო (ცოტა) აქვთ, მზით გამთბარი და თავისთავად ნაყოფიერი. მიწისმოქმედნი ფრიად სამართლიანნი არიან და სხვა სიკვდილის შვილებზე უფრო დიდ ხანს და ბედნიერად ცხოვრობენ. მუდამ მხიარული უქმობიხ სტკებებიან და არც ომები იციან, არც ჩხუბი. ყველაზე ძალიან თაყვანს სცემენ აპოლონს. თავდაპირველად პირველ ნაყოფს დელოსს ჰგზავნიდნენ თავიანთი ქალწულებია ხელით, შემდეგ ხალხების ხელით, რომელნიც ერთმანეთს, უფრო შორეულსა და შორეულს, გადასცემდნენ, და ეს ადათი დიდხანს შეინახეს, სანამ არ შეიბღალა იგი ტომების ბოროტმოქმედების წყალობით. ცხოვრობენ კორომებსა და ტყეებში და როცა სიცოცხლით უფრო გაძლებიან, ვიდრე მობეზრდებათ იგი, მხიარულნი დაიდგამენ ყვავილების გვირგვინებს და ცნობილი ფრიადო კლდიდან თვითონვე გადაცვივდებიან ზღვაში. მათში ასეთი დაკრძალვა ყველაზე კარგად ითვლება. [38] კასპიის ზღვა პირველად ხმელეთის შიგნით ვიწრო და გრძელი ყელით შემოიჭრება, თითქოს მდინარეაო, ხოლო სწორი კალაპოტით რომ შემოვა — სამ უბედ განიყოფება: თვითონ ყელის პირდაპირ — ჰირკანიისა, მარცხნივ — სკვითისა, მარჯვნივ კი — ის, რომელსაც ყველაზე უფრო საკუთრივ ეკუთვნის კასპიის სახელი. მთლიანად სასტიკი და შმაგია, უნავსადგურო, ყოველის მხრით ქარებისათვის ხსნილი, აგრეთვე სხვაზე უფრო მეტია აქ ურჩხულები და ამიტომ ნაკლებ სანაოსნოც არის. შემოსასვლელის მარჯვნივ, ყელის სანაპიროზე მომთაბარე (ნომადი) სკვითები ბინადრობენ. [39] კასპიის უბის შიგნით არიან კასპიები და ამაზონები, ოღონდ ამით სავრომატიდებს უწოდებენ; ჰირკანიის [უბესთან] — ალბანელები, მოსხები და ჰირკანები; სკვითის [უბესთან] — ამარდები და პესტიკები, ხოლო უკვე უფრო — დერბიკები. იმ უბეში ბევრი დიდი და პატარა მდინარე ჩადის, მაგრამ ის, რომელიც სახელგანთქმულია... კერავნის მთებიდან ერთი კალაპოტით ჩამოდის, კასპიის უბეს კი ორით ერთვის. [40] ტავროსის კალთებიდან ჩამომდინარე არაქსი, სანამ არმენიის ველებს ჰკვეთს, წყნარად და ჩუმად მოედინება, ისე რომ რომელ მხარეს მიდის, თუნდაც რომ დაუკვირდე, არ ეტ-

ყობა. როცა უფრო მკაცრ [ადგილებს] აღწევს, აქეთ-იქიდან კლდეებში მოწყვედული, რაც უფრო ვიწროდ არის, მით უფრო სწრაფად მიჰქრის, ეხეთქება შეხვედრილ კლდეებს და ამიტომ უდიდესი ხმაურითა და გრუხუნით მიექანება იმდენად სწრაფად, რომ გზაში შეხვედრილ უფსკრულზე გადმოღინების დროს ტალღა მაშინვე კი არ გადმოდის, არამედ წინ გაიჭრება კალაპოტის მიმართულებით იუგერზე მეტი მანძილით და წყალი უკალაპოტოდ ჰკიდია ჰაერში. შემდეგ მდინარე როცა მოუხვევს და მოირკალება, წყნარდება, ველებზე კვლავ მშვიდად, ზღაზვნით მიედინება და სანაპიროს აღწევს. [41] კიროსი და კამბისი, კორაქსთა მთების ძირებში მეზობლად მდებარე სათავეებიდან გამოსულნი, სხვადასხვა მხარეს იშლებიან და ჰიბერებისა და ჰირკანების [მიწებზე] დიდხანს და შორ მანძილზე დაშორებული კალაპოტებით მიედინებიან, შემდეგ ზღვიდან არც თუ დაშორებით, ერთსა და იმავე ტბაში ჩადიან და ჰირკანიის უბეს ერთი შესართავით ერთვიან. [42] სუგდიანების მხარედან მომდინარე იაქსარტი და ოქსოსი სკვითის უდაბნოებზე გავლით სკვითის უბეში ჩადიან. ის სათაფიდანვე დიდია, ეს კი სხვა მდინარეების შერთვით არის უფრო დიდი; ერთ ხანს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მომდინარე, იგი პირველად დაჰების ახლოს უხვევს, ჩრდილოეთისაკენ იბრუნებს პირს და ამარდებსა და პესტიკებს შორის აქვს შესართავი. [43] ტყეებში საშინელი ცხოველები იცის, ჰირკანიის [ტყეებში] განსაკუთრებით ბუდობენ ვეფხვები. იგი სასტიკი ჯურის ნადირია და იმდენად სწრაფი, რომ მისთვის ადვილია შორს დაწინაურებულ მხედარსაც დაეწიოს და არა მხოლოდ ერთხელ, არამედ რამდენიმეჯერაც, დაიწყებს რა სირბილს იქიდან, სადაც ჩვეულებრივ ბევრჯერ არის დაბრუნებული. ამის მიზეზი ის არის, რომ როცა ცხენოსანი მათ მოტაცებულ ვეფხვების ლეკვებს სასწრაფოდ მიაქროლებს, მოახლოებული ვეფხვების რისხვას ხრიკით აბათილებენ—მრავალთავან ერთი ლეკვის დაგდებათ. ესენი გადაგდებულს აიყვანენ, ისევ თავიანთ ბუნაგებში მიიყვანენ, კვლავ და კვლავ ბრუნდებიან, და იგივე მეორდება, ვიდრე ლტოლვილი მომტაცებელი უფრო ხალხმრავალ ისეთ ადგილში არ უშველის თავს, სადაც ისინი (ვეფხვები) მისვლას ვეღარ გაბედავენ. [44] ერთ ხანს ბუნდოვანი იყო, რა იქნებოდა კასპიის უბის იქით — იგივე ოკეანე თუ სიცივეებით საშიში მიწა, შეუზღუდავად და დაუბოლოებლად გადაშლილი. [45] მთელი ქვეყნიერება რომ ზღვით არის შემოზღუდული, ამას, გარდა ფიზიკოსებისა და ჰომეროსისა, კორნელიუს ნეპოტიც ამბობს, როგორც უფრო ახალი და ამიტომ მნიშვნელობითაც (ავტორიტეტითაც) უფრო სანდო (საიმედო); ხოლო ამის მოწმედ მოჰყავს კვინტუს მეტელუს ცელერი და მოიხსენიებს, რომ მას უთქვამს: როცა გალიის პროკონსულად ვიყავი, ბოტების მეფისაგან საჩუქრად მივიღე რამდენიმე ინდოელი; როცა ვკითხე, იმ ქვეყანაში საიდან ჩამოხვედით-მეთქი, შევიტყვე, რომ ქარიშხალს ინდოეთის ზღვიდან გამოეტაცა ისინი, გამოეტარებინა შუაში მოქცეული მანძილი და ბოლოს გერმანიის სანაპიროზე გამოსულიყვნენ. მაშასადამე, უკანაც [ე. ი. კასპიის უბის უკან] ზღვაა, მაგრამ მისი დანარჩენი სანაპირო მუდმივი ყინვით არის გამაგრებული და ამიტომ უდაბურია.

6,55. რომლებიც [ე. ი. კუნძულები] სარმატების პირდაპირ არიან, ზღვის თანამიმდევრული მოქცევა-უკუქცევის გამო და რადგან ხმელეთსა და კუნძულებს შორის სივრცე ხან ტალღებით იფარება, ხან კი შიშველია — ხან კუნძულებად ჩანან, ხან კი ხმელეთთან გაერთიანებულად. [56] ამათზე არიან

ეონები, რომელნიც მხოლოდ ჭაობის ფრინველთა კვერცხებითა და შვრით იკვებებიან; არიან ცხენისფეხებიანი ჰიპოპოდები და პანუატიები, რომელთაც მთელ სხეულზე შემოხვეული დიდი, განიერი ყურები საერთოდ სიშიშვლის საფარად (სამოსად) აქვთ. [ეს ამბები] გარდა იმისა, რომ თქმულებაშია გადმოცემული, ისეთ მწერალთა თხზულებებშიაც შემხვედრია, რომელთა დაჯერება არ არის დასაწანი (სამარცხენო)... [58] კასპიის ზღვაში [კუნძული] ტალგე დაუშუშავებლადაც ნაყოფიერია და მდიდარია ყოველი ნაყოფითა და ხილით, მაგრამ მეზობლად მყოფი ხალხები ხელის ხლებას დანაშაულად და მკრეხელობად თვლიან, რადგან ღმერთებისათვის განკუთვნილად და ღმერთებისათვის შესანახავად მიიჩნიათ. იმ ნაპირებთან, რომლებზედაც ვთქვით, უდაბურებიაო, მდებარეობს რამდენიმე ასევე უდაბური [კუნძული], რომელთაც საკუთარი სახელები არ გააჩნიათ და სკვიტების [კუნძულებს] უწოდებენ.

7,59. აქედან გეზი იხრება აღმოსავლეთის ზღვისა და მიწის იმ ნაპირისაკენ. რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მიქცეული. ეს სკვიტების კონცხიდან კოლიდამდე აღწევს. იგი, ჯერ ერთი, თოვლის გამო უგზოა, მერე კიდევ — მცხოვრებთა მძვინვარების გამო დაუშუშავებელია. სკვიტები აქ არიან ანტროპოფაგები და საკები, რომლებიც განიყოფებიან ნადირებით სავსე და ამიტომ დაუსახლებელი ოლქით. [60] შემდეგ არის კვლავ ნადირებით საშიში უხარმაზარი ადგილები, რომლებიც [აღწევს] ზღვაზე გადამდგარ მთამდე, სახელად ტაბისი. მისგან ტავროსი შორს მდებარეობს.

(საბჭუთარ სახელთა საძიებელი)\*

- |   |  |
|---|--|
| აბიდოსი — I, 97.  | აპოლონია — ქალაქი თრაკიაში II, 22.   |
| აბსირტისი — ადრიატიკის ზღვის კუნძული, II, 114.  | აპოლონია — ქალაქი ილირიაში II, 57  |
| აგათორსები — II, 2; 10.   | აპატროსი — II, 114.  |
| აზია I, 9; 11, 15, 19, 88, 101; II, 1, 3, 36.   | არაბეთის ზღვა — I, 9.  |
| ალბანელები — ჰირკანიის უბესთან ბინადრობენ III, 39.  | არაქსი - ტავროსის კალთებიდან ჩამოდის და არმენიის ველებზე მიედინება III, 40.                                |
| ალექსანდრია — II, 114.  | არგო — ხომალდი, რომელიც პაგასას უბესთან შეაცურეს ზღვაში კოლხიდას მიმავალმა მინიებმა (არგონავტებმა) II, 44. |
| ამაზონები — კასპიის ზღვასა და მეოტიდთან მოსახლეობენ I, 12, 13, 116; III, 39. აზია რომ ეპყრათ, ეფესში დიანას ტაძარი ააგეს I, 88; | არდეა — II, 71.  |
| ამაზონთა ბანაკები — I, 105.   | არემფეები — I, 117,  |
| ამაზონთა წინამძღოლი კიმე — I, 90.   | არია — კუნძული, კოლხებისაგან არც თუ შორს მდებარეობს II, 98.  |
| ამაზონური მთები — I, 109.   | არიმასები — II, 2.   |
| ამარდები — III, 39, 41.   | არმენე — პაფლაგონიის ქალაქი I, 104.  |
| ამაქსაბიები — II, 2.  | არმენია — III, 40.   |
| ამისოსი — ხალიბების ქალაქია I, 105.   | არმენიელები — I, 13.   |
| ანდროფაგები — სკვიტური ხალხი III, 59.   | არმენიის კარი — I, 81.   |
| ანთროპოფაგები — სკვიტური ხალხი I, 14.   | არქიასი — კალქედონის დამარსებელი I, 101.   |
| ანქიალოსი ქ. — II, 22.  | ასიაკები — II, 7, 11.  |
| ანციუმი — II, 71.   | ასიაკისი მდ. — II, 7.  |
| აპოლონი — III, 37.  | ასინე — კუნძული II, 114.   |

\*) მითითებულია წიგნისა და პარაგრაფის (და არა თავის) სათვალავი, რომელიც ტექსტის კუთვნიან ფრაზილებშია მოთავსებული. საძიებელში მარტო პომპონიუს მელას ტექსტის მასალაა წარმოდგენილი.

- ასტაკოსი — I, 100.  
 ატლანტის ოკეანე — I, 15.  
 აფროდიისუმი — II, 71.  
 აქეები — ხალხი პონტოს ზღვასთან, მოიხსენება კისიანტებსა და გეორგილებს შორის I, 13; ჰენიოზებსა და კერკტიკებს შორის I, 110  
 აქერუსია — I, 103.  
 აქილე — კუნძული, იგივე ლევკე II, 98.  
 აქილევსი — II, 5, 98.  
 აქილევსის ნარბენი — II, 5.  
 აქსენოსი — წინათ ეწოდებოდა პონტოს ანუ შავ ზღვას I, 102.  
 აღმოსავლეთის ოკეანე — I, 9.  
 ბასილიდები — II, 4, 11.  
 ბელკები — სკვითური ხალხი III, 36.  
 ბეიირები — ნაკლებ ველური, მაგრამ ტლანქი ზნის ხალხი შავი ზღვის სანაპიროზე I, 107.  
 ბიზონე — ქ. თრაკიაში II, 22.  
 ბითინიელები — I, 97.  
 ბორისთენესი — მდ. II, 6, 98.  
 ბორისთენიდი — ქალაქი II, 6.  
 ბოსფორი (თრაკიის) — I, 7, 10, 101, 108.  
 ბოსფორი (კიმერიელთა) — I, 7, 112, 114, 115; II, 2, 3.  
 ბოტები — III, 45.  
 ბრიტანეთის ოკეანე — I, 15.  
 ბრუნდიზიუმი — II, 114.  
 ბუდინები — I, 116.  
 ბუქესი — მდ. II, 2.  
 ბუქსერები — ნაკლებ ველური, მაგრამ ტლანქი ზნის ხალხი შავი ზღვის სანაპიროზე I, 107.  
 გალია — III, 45.  
 გალოგრეკები — I, 13.  
 გელონები — II, 14.  
 გელონიონი — I, 116.  
 გეორგები — გეროპის სკვითიის ხალხი II, 5, 11.  
 გეორგილები — ხალხი აზიაში, აქეებსა და მოსხებს შორის I, 13.  
 გერმანელები — I, 19.  
 გერმანია — II, 8; III, 45.  
 გეროსი — მდ. II, 4.  
 გინაიკოკრატუმენები-მეოტიდები — I, 116.  
 გრანიკოსი — I, 98.  
 დანუვიუსი — II, 8, 57. იხ. აგრეთვე ჰისტერი.  
 დასკილოსი — I, 99.  
 დაჰები — აზიის ხალხი I, 13; III, 42.  
 დელოსი — III, 37.  
 დემეტრიონი — II, 44.  
 დერბიკები — III, 39.  
 დიანა — I, 86; II, 3.  
 დიოგენე კინიკოსი — I, 105.  
 დიომედია — II, 114;  
 დიონისოპოლისი — II, 22.  
 დიოსკორია — ქალაქი ჰენიოზთა საზღვრებში, კასტორისა და პოლუქსის მიერ დაარსებული I, 111.  
 დირაქიუმი — II, 56.  
 დისკვლადოსი — კუნძული II, 114.  
 ეასი — მდ. II, 57.  
 ეგვესის ზღვა — I, 18.  
 ევროპა — I, 15, 18, 101; II, 1.  
 ევქსინოსი, ევქსინის პონტო, ევქსინის ზღვა — I, 7, 102, 109; II, 3. იხ. აგრეთვე პონტო, პონტოს ზღვა.  
 ელექტრიდები — კუნძ. II, 114.  
 ეოლია — I, 90.  
 ეოლიელები — I, 90.  
 ეონები — III, 56.  
 ეპიდამნოსი — II, 56.  
 ესედონები — II, 2, 9, 13.  
 ესტრია — კუნძული II, 114.  
 ეფესი — ქალაქი I, 88.  
 ექიდნა — II, 11.  
 ექინონი — II, 44.  
 ექსამპეოსი — II, 7.  
 ევგეტები — I, 13.  
 ვერძის შუბლი — იხ. კრიუ-მეტოპონ II, 3.  
 ვისტულა — მდ. III, 33.  
 თატები — I, 114.  
 თემისკური — ქალაქი; მდ. თერმოლონტის იქით ველზე იყო I, 105.  
 თემისტაგორა მილეტელი — ამის დაარსებულა მდ. ფასისის მოსახლე ქალაქი I, 108.  
 თეოდოსია — II, 3.  
 თერმოლონტი — მდინარე ხალიბების საზღვრებში I, 105.  
 თრაკია — I, 18.  
 თრაკიის ბოსფორი — იხ. ბოსფორი (თრაკიის).  
 იადერი — II, 57.  
 იასონი — არგონავტთა ბელადი. იუპიტერის სახელობაზე ტაძარი ააგო I, 101; მასთან ერთად პონტოში შემოვიდნენ კასტორი და პოლუქსი I, 111.  
 იაქსარტი — მდ. III, 42.  
 იბერები — იხ. ჰიბერები.  
 ილირია — II, 57.  
 ილირიელები — II, 56.  
 ინდოეთის ზღვა, ინდოეთის ოკეანე — I, 9; III, 45.  
 ინდოელები — I, 11; III, 45.  
 იონია — I, 88.  
 იპაკარესი — II, 4.  
 ისა — კუნძული II, 114.  
 ისავრიელები — I, 13,  
 იუპიტერი — I, 101.  
 იფიგენია — II, 11.  
 იქსამატები — I, 114.



- კადულები — ხალხი კასპიის უბესთან I, 13.  
კავკასიონი (ინდოეთის) — I, 81.  
კავკასიური მთები — I, 109.  
კაისტროსი — მდ. I, 88.  
კალატისი — II, 22.  
კალიპიდები — II, 7.  
კალას-ლიმენი — II, 3.  
კალქედონი — I, 101.  
კამბისი — მდინარე; კიროსთან ერთად მოგ-  
დინება ჰირკანებისა და ჰიბერების მი-  
წებზე და ჰირკანიის უბეს ერთვის III,  
41.  
კარამბიკის კონცხი, კარამბისის კონცხი —  
I, 104; II, 3.  
კარია — ნავსადგური II, 22.  
კარკინე — ქალაქი II, 4.  
კარკინის უბე — II, 4.  
კაპადოკიელები — I, 13  
კასპიანები, კასპიები — I, 12; III, 39,  
კასპიის ზღვა, კასპიის უბე — I, 9, 11, 12, 13  
109; III, 38, 39, 44, 58,  
კასპიის კარი — I, 80.  
კასპიური მთები — I, 109.  
კასტორი — ამის და პოლუქსის მიერ არის  
დაარსებული დიოსკორია I, 111.  
კეპე — ქალაქი I, 112.  
კერავნის მთები — I, 109; III, 39.  
კერასუნტი — I, 107.  
კერბეროსი — I, 103.  
კერკიტები, კერკიტეები — I, 13, 110. იხ. აგ-  
რეთვე კორსიტები.  
კვინტუს მეტელუს ცელერი — III, 45.  
კიანის უბე — I, 100.  
კიზიკოსი — ქალაქ კიზიკოსის დამაარსებელი  
I, 97.  
კიზიკოსი — ქალაქი I, 98.  
კიკნოსი — ქალაქი I, 110.  
კიმე — ამაზონების წინამძღოლი I, 90.  
კიმე — ქალაქი; დაარსა ამაზონების წინამ-  
ძღოლმა კიმემ I, 90.  
კიმერიელები — კიმერიელთა ქალაქები  
II, 3, 13.  
კიმერიელთა ბოსფორი — იხ. ბოსფორი (კი-  
მერიელთა).  
კიმერიონი — ქალაქი I, 112.  
კინოლისი — I, 104,  
კიოსი — I, 100.  
კირკე — II, 71.  
კირკეია — II, 71.  
კიროსი — მდინარე. იგი კამბისთან ერთად  
კორაქსთა მთების ძირში გამოდის, ჰი-  
ბერებისა და ჰირკანების მიწაზე მიე-  
დინება და ჰირკანიის უბეს ერთვის  
III, 41,  
კისიანტები — I, 13.  
კიტისოროსი — ფრიკსის ვაჟიშვილი I, 104.  
კიტოროსი — I, 104.  
კოლიდა — III, 59.  
კოლიკები (ექვსი) — I, 110.  
კოლირისი — I, 104.  
კოლოფონელები — I, 99.  
კოლხები — მათთან მიემგზავრებოდნენ მინიები  
I, 98. პონტოს ყველაზე ვიწრო კუთხეში  
ცხოვრობენ ფასისთან I, 108; ოდესმე  
ისინი სახლობდნენ პოლაში II, 57; მათ-  
გან არც თუ შორს მდებარეობს კუნძუ-  
ლი არია II, 98.  
კოლხიდა — კოლხიდას მიმავალი მინიები პა-  
გასას უბესთან შეეცურდნენ ზღვაში II, 44.  
კომაგენები — I, 13.  
კომარები — I, 13.  
კორაკანდა — I, 112.  
კორაქსთა მთები, კორაქსული მთები — I, 109;  
კორაქსთა მთების ძირში გამოდის კი-  
როსი და კამბისი III, 41.  
კორაქსიკები — I, 110.  
კორკირა — II, 114.  
კორნელიუს ნეპოტი — იხ. ნეპოტი კორნე-  
ლიუს.  
კორსიტები — I, 13.  
კრიუ-მეტოპონ — II, 3.  
კრომნოსი — I, 104.  
კრუნოსი — ნავსადგური II, 22,  
ლაგრენტუმი — II, 71.  
ლამპსაკოსი — I, 97.  
ლეკვე — კუნძული II, 98.  
ლიბურნები — II, 56, 57.  
ლინგვარუმი — კუნძული II, 114.  
ლიდიელები — I, 13.  
ლიკაონელები — I, 13.  
ლიკასტო — ქალაქი I, 105.  
ლიკია — I, 80.  
ლიკოსი — ლიკიის მეფე, პანდიონის ძე I, 80.  
ლირიისი — II, 71,  
მაკედონია — I, 18.  
მაკროკეფალები — I, 107.  
მარიანდინები — I, 97, 103.  
მარსი — II, 15, 98.  
მასაგეტები — ხალხი აზიაში კასპიის უბეს-  
თან I, 13.  
მატიანები — I, 13.  
მეგარელები — I, 100.  
მელანხლენა — ტომი პონტოს სანაპიროზე  
I, 110; II, 14.  
მელანხლენები — ხალხი ევროპის სკვითია-  
ში II, 14.  
მეოტიდები-ქალთამორჩილნი I, 116; იხ.  
აგრეთვე გინაიკოკრატუმენები.  
მეოტიდი, მეოტიდის ტბა, მეოტიდის ჭაობი  
— I, 8, 10, 14, 15, 109, 110, 115; II, 1,  
2, 4 97.

- მუტაციები — I, 14, 114.  
 მუსეუმბრია — ქალაქი II, 22.  
 მიდიელები — I, 13.  
 მილეტელები — I, 104; II, 22.  
 შინიები — არგონავტები. უნებურად მოკლეს მათ კიზიკოსი II, 98. კოლხიდას მიმავლებმა პაგასას უბესთან შეაცურეს ზღვაში ზომალდი არგო II, 44.  
 შინტურნე — II, 71.  
 შირინა — I, 90.  
 შირინოსი — ქალაქ შირინას დამაარსებელი I, 90.  
 შირლეა — I, 99.  
 შისია — I, 90.  
 შისიის მთა — I, 98.  
 შოსინები — ტაბერენებს იქით ბინადრობენ; ზის კოშკებში ცხოვრობენ; სხეულს ნიშნებით იჭრებდნენ და სხვ. I, 106.  
 შოსნები — გეორგილების გვერდით არიან I, 13; აღბანელებსა და ჰირკანელებს შორის ცხოვრობენ ჰირკანიის უბესთან III, 39.  
 შოსხური მთები — ცერანის მთების ნაწილია I, 109.  
 შურანები — I, 13.  
 შურმეკიონი — ქალაქი II, 3.  
 შშვენიერი ნავსადგური — იხ. კალს-ლიმენი.  
 ნაზი — მდინარე II, 57.  
 ნარონა — II, 57.  
 ნეერები — II, 7, 14.  
 ნეპოტი კორნელიუს — III, 45.  
 ნეპტუნი — I, 100.  
 ნილოსი — I, 8, 9; II, 8.  
 ნიფატები — I, 80.  
 ნომადები — II, 4, 5, 11.  
 ოდესოსი — II, 22.  
 ონიომასი — I, 90.  
 ოკვანე — I, 9, 117; III, 44.  
 ოკვანე აღმოსავლეთისა I, 9. იხ. აგრეთვე აღმოსავლეთის ოკვანე.  
 ოკვანე ინდოეთისა — I, 9. იხ. ინდოეთის ოკვანე.  
 ოკვანე სვეითებისა — I, 9. იხ. სვეითების ოკვანე.  
 ოლბია, ოლეია — II, 6.  
 ოლბიანოსის უბე — I, 100.  
 ოლიმპოსის მთა — I, 98.  
 ორესტე — II, 11.  
 ორიკუმი — ქალაქი II, 56.  
 ოსტია — II, 71.  
 ოტსოსი — მდ. III, 42.  
 პაგასა — ქალაქი II, 44.  
 პაგასას უბე — კოლხიდას მიმავალმა შინიებმა (არგონავტებმა) აქ შეაცურეს ზღვაში ზომალდი არგო II, 44.  
 პანდიონი — ამის ძეა ლიკოსი I, 80.  
 პანტიკაპეონი — ქალაქი II, 3.  
 პანტიკაპესი — მდ. II, 5.  
 პანუტიები — III, 56.  
 პართენიონი — კონცი მცირე აზიაში II, 3.  
 პართენიონი — მდ. I, 104.  
 პართიელები — III, 33.  
 პარიონი — I, 97.  
 პაფლაგონია — I, 104, 105.  
 პაფლაგონიელები — I, 104.  
 პელასგები — პელასგთა აზალშენები I, 98.  
 პელოპი — I, 90.  
 პესტიები — III, 39, 42.  
 პირველები — II, 56, 57.  
 პისიდელები — I, 13.  
 პლაკია — I, 98.  
 პოლა — ოდესზე კოლხებით იყო დასახლებული II, 57.  
 პოლას უბე — II, 57.  
 პოლექსი — ამის და კასტორის შიერ არის დაარსებული ჭენიობთა საზღვრებში დიოსკორია I, 111.  
 პონტო, პონტოს ზღვა — I, 10, 14, 15, 101, 102, 103, 108, 111, 112, 113, 115; II, 2, 5, 22, 98.  
 პონტოელები — პონტოს ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ყველას ერთ სახელს — პონტოელებს ეძახიან I, 14.  
 პონტოს სანაპირო — I, 18.  
 პრიაპოსი — I, 97.  
 პროპანისუსი — I, 80.  
 პროპონტიდი — I, 7, 15, 98.  
 პტელეონი — II, 44.  
 რიმფაქები — I, 13.  
 რინდაკოსი — მდ. I, 99.  
 რიფეის მთა, რიფეის მთები — I, 109, 115, 117; II, 4; III, 36.  
 რომაელები, რომაელნი, II, 56, 57.  
 საბერძნეთი — I, 90.  
 სავრომატები — I, 14, 116; II, 2; III, 39.  
 საკები — III, 59.  
 სალონა — II, 57.  
 სარმატები — I, 19; III, 55.  
 სარმატია — III, 33.  
 სატარზები — II, 2, 4, 10.  
 სემიადის კონცი — II, 44.  
 სერები — I, 11.  
 სესამოსი — ქალაქი I, 104.  
 სიდას ნავსადგური — I, 80.  
 სინდონები — I, 110, 111.  
 სინდოსი — ქალაქი I, 111.  
 სინესა — II, 71;  
 სინოპე — ხალიბების ქალაქი I, 105.  
 სირაზები — I, 114.  
 სიროკილიციელები — I, 13.



- სკვიტები — I, 11, 12, 13; II, 2, III, 36, 38.  
სკვიტების კონცხი — III, 59.  
სკვიტების კუნძულები — III, 58.  
სკვიტების ოკეანე — I, 9.  
სკვიტების სანაპირო — I, 11.  
სკვიტების ტრამალები — I, 13.  
სკვიტია — I, 18; II, 6, 8; III, 42.  
სკვიტიის უბე — III, 38, 39, 42.  
სკილაკე — I, 98.  
სპარსეთის ზღვა — I, 9.  
სპარსელები — I, 98.  
სპერჭიონი — მდინარე II, 44.  
სუგდიანები — III, 42.
- ტაბერენები** — ესაზღვრებიან ხალიბებს; მათთვის უდიდესი ბედნიერება თამაშობა და სიცილია I, 106. იხ. აგრეთვე ტიბარანები.
- ტაბისი** — მთა III, 60.  
**ტაგრები, ტაგრიკები** — II, 3, 4, 11.  
**ტაგროსი, ტაგრული მთები, ტაგროსის მთები** — I, 81, 109; III, 40, 60.  
**ტაგროსის კონცხი** — I, 80.  
**ტალგე-კუნძული** III, 58.  
**ტანაისი** — მდინარე I, 8, 9, 10, 14, 15, 18, 109, 114, 115; II, 1.  
**ტარაციანა** — II, 71.  
**ტაფრე** — II, 4.  
**ტერგესტე** — II, 57.  
**ტიბარანები** — მატინების გვერდით ცხოვრობენ I, 13. იხ. აგრეთვე ტაბერენები.  
**ტიბრი** — II, 71.  
**ტიოსი** — I, 104.  
**ტირა** — მდინარე II, 7.  
**ტირისტისი** — II, 22.  
**ტისაგეტები** — I, 116.  
**ტიტანა** — II, 114.  
**ტიმე** — II, 22.  
**ტირეტიკა** — I, 110.  
**ტირაგურიუმი** — II, 57.  
**ტრაპეზოსი** — ქალაქი პონტოს სანაპიროზე (ტრაპეზუნტი) I, 107.  
**ტროელები** — I, 90.  
**ტროია** — I, 90.  
**ტურკები** — I, 116.
- ფანაგორა** — I, 112.  
**ფაროსი** — კუნძული III, 114.  
**ფასისი** — მდინარე; ჩამოდის კოლხებში; პონტოს ყველაზე ვიწრო კუთხესთან ერთად ზღვას; იქვეა მისი მოსახლე ქალაქი II, 108; მის მოპირდაპირე მხარეს არის პონტოს მეორე უფრო განიერი კუთხე II, 22.  
